საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
29 თებერვალი – 6 მარტი, 2012
№8 (146)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

ზურაბ კვარაცხელია:
**დროა, ჩამოვაყალიბოთ ეროვნული გადარჩენის ფრონტი!** 9



## ვინც თბილისში სისხლის გუბეები დააყენა შსს-მ 3-3 ათასი პრემია გადაუხადა 8

**შიდა კორუფციულ სისტემას მინისტრი აკონტროლებს და თანხებს ზემოდან ქვემოთ ანაწილებს**

მაშინ, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნიდან ქვეყნის აღმშენებლობით და არნახული ეკონომიკური წარმატებებით ტრაბახობს, საქართველოში 14

# 800 000

ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 1000 სულ მოსახლეზე უფრო მეტი ონკო-დაავადებულია, ვიდრე ჩერნობილის კატასტროფაგადატანილ უკრაინაში, ხოლო მოსახლეობის 32 პროცენტი, **ანუ მილიონ სამასი ათასზე მეტი ადამიანი დღეში ორ დოლარსაც ვერ იღებს**

ვალერიან გორგილაძე: 6



## საქართველოს მოსახლეობის 47,7 პროცენტი თანახმაა, გაწყვიტოს ამერიკასთან პარტნიორობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების სანაცვლოდ

აგვისტოს ომმა, რომელიც იყო მყისიერი და აბსოლუტურად მოულოდნელი მოსახლეობისთვის, ხალხს დაანახა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან ვერ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას ვერც სამხედრო და ვერც პოლიტიკური თვალსაზრისით. ობივატელის აზრით, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მხარდაჭერა და გვეგონა, რომ ვიღაც-ვიღაცები დაგვიცავდნენ, ერთადერთი დახმარება, რაც ამერიკამ გაიღო, იყო სასმელი წყალი.

# ლევან რამიშვილი მორმონია! 10

## ავღანური მარყუჟი



7

**კარი გააღე, დემოკრატია მოვიდა!**

## ობამას თავისუფალი ვაჭრობა და სააკაშვილის თავისუფალი ვარდნა

4



ელექტორატის უდიდეს ნაწილს კი თვალწინ არა მომავლის ბუნდოვანი სურათები უდგას, არამედ ის, რასაც საკუთარი თავის გარშემო ხედავს. მაგალითად იმას, რომ ქვეყანა დანაწევრებულია, ერთ-ერთი მიზეზით იმიტომ, რომ „სტრატეგიულმა პარტნიორმა" 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დაცვა ვერ შეძლო; იმიტომ, რომ აშშ ქართული არმიისთვის ათიოდე ზომიერად დაჟანგულ STINGER-ს ვერ იმეტებს

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისტორია დუმს იმის თაობაზე, თუ რამდენი თვითმფრინავი ჩამოაგდო გივი თარგამაძემ, რამდენი არტილერისტი მოკლა უგულავამ და რამდენი სამედიცინო ყუთი მოსტაცა პარაშუტს მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ 2008 წლის შემდეგ სიცოცხლე რომ გაუხანგრძლივდათ, ამას ყველანი ვხედავთ.**



# წინასწარ წაგებული თამაში, ანუ როგორც მიშამ — აგვისტოში...

**ვანო მერაბიშვილის უწყების მიერ დაფინანსებული კომპიუტერული თამაშის — „პოლიციის“ შემდეგ ქართველმა გეიმერებმა კიდევ ერთი ახალი გასართობი მიიღეს — „დაამარცხე ოკუპანტები ქაქუცასთან ერთად“. ჩვენი საზოგადოება შეეჩვია იმას, რომ, კეთილდღეობასთან და წინსვლასთან ერთად, საქართველოს ისტორიაც სულ უფრო ვირტუალური ხდება.**

მიხეილ სააკაშვილმა ჯერ თურქეთი გამოგვიცხადა „ისტორიულ მეგობრად“, მერე რუსეთი – ქართველების დამმონებლად და ბოლოს, 2008 წელს შეძლო ის, რაც ვერც შვედებმა, ვერც ფრანგებმა და ვერც გერმანელებმა ვერ შეძლეს – რუსეთი დაამარცხა!

**ახალი კომპიუტერული თამაშიც, სააკაშვილის ლოზუნგებივით, მხოლოდ ფორმით როდია ვირტუალური. იგი შინაარსითაც ისეთივე ვირტუალურია, როგორც სააკაშვილის „ძლიერი საქართველო“.** მის შემქმნელებს სახელწოდებაში გამოაქვთ ის, რაც ისტორიაში არ მომხდარა, ანუ სააკაშვილივით ჩოლოყაშვილსაც „ოკუპანტები დაამარცხებინეს“! ერთი სიტყვით, **როგორც მიშამ დაამარცხა 2008-ში რუსეთი, ქაქუცაც ისევე „ამარცხებს ოკუპანტებს“.**

თამაშის წარდგენიდან ვარკვევთ, რომ ავტორებს ისტორიული სიმართლე მაინც სცოდნიათ, თუმცა ამ მწარე სიმართლეს ერთობ „ლაითად“ აწვდიან გეიმერებს: **„თამაში დაფუძნებულია 1921 წლის ისტორიულ მოვლენებზე. სიუჟეტად აღებულია ბრძოლები საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ, ხოლო თამაშის მთავარი გმირია ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დრამატული პერიოდია ჩვენს ისტორიაში, დრომ მაინც გმირულ-რომანტიკულ ეპოპეად შემოგვინახა. გამარჯვება არც ამ თამაშშია იოლი, თუმცა ოკუპანტების დამარცხება ღირსების საქმეა!“**

ამ მოწოდებაზე შევჩერდეთ და ვცადოთ იმის გარკვევა, რაც 1921 წელს მოხდა, „დრამატული“ მოვლენა იყო თუ მარცხი? თამაშის შემქმნელები მხოლოდ გვაკვალიანებენ: **„გაიარე 200-კილომეტრიანი მონაკვეთი. გადაახტი წინააღმდეგობებს და გაანადგურე მტერი! თვითმფრინავის ჩამოგდებისა და არტილერისტის მოკვლის შემთხვევაში მოგემატება სიცოცხლე. პარაშუტით დაშვებული სამედიცინო ყუთი სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებთ!“**

**ისტორია დუმს იმის თაობაზე, თუ რამდენი თვითმფრინავი ჩამოაგდო გივი თარგამაძემ, რამდენი არტილერისტი მოკლა უგულავამ და რამდენი სამედიცინო ყუთი მოსტაცა პარაშუტს მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ, სიცოცხლე 2008 წლის შემდეგ რომ „მოემატათ“ და გაუხანგრძლივდათ, ამას ყველანი ვხედავთ.**

რაც შეეხება ქაქუცა ჩოლოყაშვილს, სააკაშვილის სამდღიანი ავანტიურისგან განსხვავებით, 1921 წლის მარცხის შემდეგ იგი კიდევ 3 წელი იბრძოდა, მაგრამ მე-11 არმია შემდეგი 70 წლით დარჩა საქართველოში. **კომპიუტერულ თამაშში გამოსახულ თვითმფრინავს ფუზელაჟზე ნამგალი და ურო ახატია, ხოლო კუდზე რუსული ტრიკოლორი აქვს. ერთი სიტყვით, საბჭოთაა თუ რუსული, ვერ გაიგებ, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი? მთავარი ღირსებაა! ღირსებას კი ცხენზე ამხედრებული ნაგანიანი (?!) და წელზე ხანჯალშებმული, თვითმფრინავთან მებრძოლი ქაქუცა განასახიერებს.**

ვინაიდან ზოგჯერ ღირსეული ადამიანებიც მარცხდებიან, კომპიუტერული თამაში „ლუზერებისთვის“ ისტორიულ სიმართლეს ინახავს: წაგების შემთხვევაში ეკრანზე ჩოლოყაშვილი ჩნდება, რომელიც მაგიდას მიჯდომია და სევდიანად უსმენს გრამოფონს. მის გვერდით ღია ფანჯარაა, რომელშიც ეიფელის კოშკი მოჩანს, კედელზე კი ლენინის სურათია, რომელშიც დანა არის ჩარჭობილი. თუმცა ეს შემდეგ, 1930 წელს მოხდება, მანამდე კი ქაქუცა 1924 წლის აჯანყებას უხელმძღვანელებს და დამარცხდება, მაგრამ თამაშის ავტორები 1921 წელში ჩარჩნენ და გენერალი ჩოლოყაშვილი პირტიტველა იუნკერებს ამოუყენეს გვერდით.

**ქაქუცა ჩოლოყაშვილს იმთავითვე დაებედა, რომ მუდმივად იდეოლოგიური ბრძოლის არგუმენტი იყოს. ერთნი მას საქართველოს დამოუკიდებლობას შეწირულ გმირად მიიჩნევდნენ, მეორენი — ბანდიტად. წითლები შულენბურგის აგენტობაში სდებდნენ ბრალს, თეთრები – ლავრენტი ბერიასთან თანამშრომლობაში. ეს ბედი 2005 წელსაც წამოეწია, როცა სააკაშვილმა მას „ეროვნული გმირი“ უწოდა და შინდისფერ დროშას შეწირულს და 75 წლის შემდეგ საქართველოში გადმოსვენებულს ტამპლიერების თუ როზენკრეიცერების ხუთჯვრიანი დროშა გადააფარა.**

დღეს ქაქუცა, ეროვნული გმირის ნაცვლად, „ცნობილ ქართველ სამხედრო მოღვაწედ“ ჩამოალაბორანტეს. არც




**ახლო მომავალში შეიძლება ვიხილოთ კომპიუტერული თამაშები: „შეხვდი ახალ წელს ცხინვალში ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად“, „დაშალე რუსეთი სააკაშვილთან ერთად“, „შედი ნატოში ბაჩო ახალაიასთან ერთად“, „დაიპყარი ავღანეთი ამერიკელების მაგივრად“, „გამოასახლე დევნილები კიდევ და კიდევ“, „ააშენე 100 საავადმყოფო ავადმყოფების ჯიბრზე“, „გაანათე დედაქალაქი პენსიონერების ჩაბნელებული ბინების ხარჯზე“, „ამშობიარე 15 ქალი ერთდროულად“, „დაამარცხე ოკუპანტები ქაქუცასთან ერთად“ და, რაც მთავარია, „აიძულე საქართველო, ითამაშოს წინასწარ წაგებული თამაში!“**

არის გასაკვირი, — გმირების გადმოსვენებაზე სააკაშვილს მას შემდეგ აუცრუვდა გული, რაც ზვიად გამსახურდიას ნეშტის დასახვედრად საპიარედ გამზადებულს პარლამენტის შენობის წინ „მიშა! მიშას!“ ნაცვლად „ზვიადი! ზვიადი!“ მიახალა ხალხმა.

თუმცა იდეოლოგიას მუდამ სჭირდება საკვები და 2008 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით (საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი) „მეომრის ბიბლიოთეკაში“ მე-5 ნომრით გამოდის ბროშურა „ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“. შესავალში ნათქვამია: **„სერიის მიზანია ქართველი მეომრის და, იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში... სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება“.**

ბროშურების სერიამ სააკაშვილს ვერაფერი უშველა 2008 წლის აგვისტოში და ესეც იმედგაცრუების კიდევ ერთ მიზეზად იქცა. არადა, საქართველოს ხელისუფლებამ „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებებიც კი მოამზადა, რომლის მთავარ ლოზუნგად „ეროვნული სიამაყის გრძნობის გაზრდა“ გამოაცხადა. **მესიანისტური ამბიციებით შეპყრობილმა სააკაშვილმა საერთაშორისო ფორუმიც კი ჩაატარა სახელწოდებით „ევროპის გათავისუფლების ახალი ტალღა: დემოკრატია და ტრანსფორმაცია“.**

მაშინ, 2005 წლის 20 ნოემბერს, სააკაშვილმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა. ჯერ საკუთარი ადმინისტრაციის მიღწევებზე ისაუბრა, მერე კი ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა „ეროვნული სიამაყის გრძნობის გაზრდის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე, რაც რევოლუციის შთაგონებით მოხდა“. პრეზიდენტის „წარმატებულმა“ ადმინისტრაციამ „ეროვნული სიამაყის გრძნობით“ გვამცნო, რომ ამ ტენდენციის სხვა მაგალითებს შორის, რომელთა შორისაა ასევე საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს ჰიმნის ცოდნა, მან გაიხსენა ერთი ინციდენტი, რომელიც ქართველების „ეროვნული სიამაყის დიდ გრძნობას“ ადასტურებს. მან გაამართლა ის თავდასხმა, რომელიც სექტემბერში სოფელ ნაფარეულის მოსახლეობამ რუს ჟურნალისტებზე განახორციელა. სააკაშვილის თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა გააღიზიანა რუსი ჟურნალისტების მცდელობამ, გაეგოთ მათი აზრი პრეზიდენტ სააკაშვილისა და უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს შესახებ გადაღებული პაროდიული ფილმის შესახებ. „ნაფარეულის მოსახლეობას გააჩნია ეროვნული სიამაყის გრძნობა და მათ (ჟურნალისტებს) შესაბამისი პასუხი გასცეს“, — განაცხადა სააკაშვილმა.

**„ეროვნული სიამაყის გრძნობა“ ვერც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას იდუმალებით მოცულმა გარდაცვალებამ დაჩრდილა და ვერც 2008 წელს ამაყად შეჭმულმა ჰალსტუხმა. „საკადრისი პასუხი“ რუსულ ავიაციას სააკაშვილმა ქართულ მიწაზე ფორთხვით გასცა, შემდეგ კი წაგებული ომი აზეიმა ხალხს. კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის მიერ „საქართველოს ეროვნული სულისკვეთების“ სიმბოლოდ გამოცხადებული ქაქუცა ჩოლოყაშვილიც მარცხთან არის გაიგივებული.**

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გაქცევის შემდეგ (სააკაშვილის მთავრობაც იმავე გზას ადგა, რუსის ჯარი უკან რომ არ გაბრუნებულიყო!) ქაქუცა ტყეში გაიჭრა და პარტიზანული ბრძოლა დაიწყო. ხევსურეთში მისი რაზმის წევრებმა ერთმანეთს საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ მედგრად იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. სწორედ ამ ფიცის გამო უწოდეს მათ „შეფიცულთა რაზმი“. **გავა ზუსტად 90 წელი და საქართველოში ახალი „შეფიცულთა რაზმი“ გამოჩნდება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე რამდენიმე საათით ადრე სააკაშვილი სამაგალითო სისხლიან ეგზეკუციას ჩაუტარებს, ხოლო შემდეგ იმავე ადგილზე სამხედრო აღლუმს გამართავს და მორჩილ „ვარდისფერ“ ინტელიგენციას ორდენებს ჩამოურიგებს.**

ანალოგიები ამით არ მთავრდება. ქაქუცას ყოველი მარცხის შემდეგ საბჭოთა რევოლუციური ხელისუფლება ხან ხევსურეთის მოსახლეობას აოხრებს, ხან იმერეთისას, თავად ჩოლოყაშვილი კი თავს ჩეჩნეთს აფარებს. მას სურდა, ჩეჩნებთან გაერთიანებულიყო და ერთად ეომათ რუსების წინააღმდეგ, თუმცა ამ წამოწყებას წარმატება არ ეწერა. ზუსტად 70 წლის შემდეგ იმავე გზას გაიმეორებს ზვიად გამსახურდია და კვლავ წარუმატებლად. **დღეს „პირველი კავკასიური“ ტელეარხით შეიარაღებული სააკაშვილი ასევე ლამობს ჩრდილოეთ კავკასიელები რუსეთის წინააღმდეგ მომართოს, მაგრამ წარმატება კვლავ არ ჩანს.**

ტვერის დრაგუნთა პოლკში გამოზრდილი ოფიცერი ჩოლოყაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ფრონტზე იბრძვის. მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ კავკასიის ფრონტზე ბრუნდება. ციხესიმაგრე „არწივის ბუდეზე“ თურქებთან ბრძოლაში ჩადენილი გმირობისთვის მას ოქროს ხმლით აჯილდოებენ, 1915 წელს კი ახალდაარსებულ ქართველ ცხენოსანთა რაზმში ეწერება და სპარსეთში იბრძვის. რაზმი წარმატებულ რეიდს ახორციელებს და მესოპოტამიის უდაბნოს გავლით ბრიტანეთის არმიას უერთდება.

**მამლუქებად გაყიდული თანამედროვე ქართველი მეომრები თითქმის იმავე მარშრუტს იმეორებენ, ოღონდ სხვა რიგითობით: ისინი ჯერ ერაყში** (ისტორიულ მესოპოტამიაში) **იბრძვიან ამერიკელების მაგივრად, ახლა კი, „მამაცი მთავარსარდლის“ მითითებით, ირანისკენ** (ისტორიული სპარსეთისკენ) **იყურებიან.** ქაქუცას ავღანეთში ბრძოლა არ მოუწია, მაგრამ სხვა ეპოქის ქართველებმა იქაც დატოვეს საკუთარი კვალი. ახლახან ავღანეთში ჩასულმა სააკაშვილმა ისევ ბევრი ილაპარაკა „ეროვნული სიამაყის გრძნობაზე“, რომელიც რატომღაც მხოლოდ სამშობლოდან შორს იღვიძებს ხოლმე, მაგრამ მარცხმა შეჩვევა იცის და მისი დაბრუნების მეორე დღეს ერთბაშად სამი ქართველი კაპრალის დაღუპვა გვაცნობეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ისინი სააკაშვილის იქ ყოფნისას დაიღუპნენ, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ტრაგიკული ამბავი მხოლოდ მისი ვიზიტის დასრულების შემდეგ გაახმიანა.

**თურქებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისთვის ოქროს ხმლით დაჯილდოებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი დღეს მთაწმინდაზე განისვენებს, „ეროვნული სიამაყის გრძნობით“ აღვსილი სააკაშვილის ხელისუფლება კი ბათუმში სულთან აზიზიეს მეჩეთის მშენებლობით აპირებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას.** კომპიუტერული თამაში გვასწავლის: **„გაიარე 200-კილომეტრიანი მონაკვეთი, გადაახტი წინააღმდეგობებს და გაანადგურე მტერი!“** სააკაშვილი მართლაც არაერთ წინააღმდეგობას გადაახტა, მაგრამ ვერც მტერი გაანადგურა და ვერც ისტორია შეცვალა. თუმცა ისტორიაც ხომ ჩვენი დღევანდელობასავით თანდათან სულ უფრო ვირტუალური ხდება და, თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში შეიძლება ვიხილოთ კომპიუტერული თამაშები: **„შეხვდი ახალ წელს ცხინვალში ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად“, „დაშალე რუსეთი სააკაშვილთან ერთად“, „შედი ნატოში ბაჩო ახალაიასთან ერთად“, „დაიპყარი ავღანეთი ამერიკელების მაგივრად“, „გამოასახლე დევნილები კიდევ და კიდევ“, „ააშენე 100 საავადმყოფო ავადმყოფების ჯიბრზე“, „გაანათე დედაქალაქი პენსიონერების ჩაბნელებული ბინების ხარჯზე“, „ამშობიარე 15 ქალი ერთდროულად“, „დაამარცხე ოკუპანტები ქაქუცასთან ერთად“** და, რაც მთავარია, **„აიძულე საქართველო, ითამაშოს წინასწარ წაგებული თამაში!“**

**თამარ დავითულიანი**

**სააკაშვილს არც ომის წარმოება და არც მშვიდობის მოტანა შეუძლია და ქვეყანა, უფრო სწორად კი ის, რაც მისგან დარჩა, ჰაერში გამოკიდებულ მდგომარეობაში რჩება. სხვა პოლიტიკოსების პრიორიტეტებზე ყურადღების გადატანით კი „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადი, როგორც ჩანს, ცდილობს, თავი აარიდოს საუბარს იმ სიცარიელეზე, რომელიც მისი პოლიტიკის (თუ მისი იმიტაციის) მიღმა დგას.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კუდი ძაღლისა არ განემართების, ანუ ომი და მშვიდობა



**„ვისაც პუტინი მოგწონთ, მისი გჯერათ ან ფიქრობთ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების მისეული ხედვა შეგიძლიათ მიიღოთ, გთხოვთ, ამის შესახებ ხმამაღლა თქვათ და აქეთ-იქით კუდს ნუ აქიცინებთ“, —** ეს მოკლე ფრაზა, ალბათ, ერთადერთია სააკაშვილის შაბათის გამოსვლიდან თავდაცვის აკადემიის მსმენელების წინაშე, რომელიც დაკვირვებას საჭიროებს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, ვინმე სერიოზულად დაინტერესდეს იმით, თუ რა თქვა პატრიოტიზმსა და ჰეროიზმზე ადამიანმა, რომელიც 2008-ში გორში შეშინებული გარბოდა, ხოლო ქსნისა და კოდორის ხეობა უბრძოლველად დათმო.

## ყველაზე მასშტაბური ხოტბა საქართველოს ისტორიაში ვლადიმერ პუტინს სააკაშვილმა შეასხა; სხვა ქართველ პოლიტიკოსს მსგავსი რამ, უბრალოდ, არ უთქვამს

ამდენი წელი გავიდა, მიხეილ სააკაშვილმა კი, როგორც ჩანს, დღემდე ვერ გაიგო, რომ საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება დაეფუძნოს ისეთ ფაქტორებსა და მოტივებს, როგორიცაა მოწონება-არმოწონება ან დაჯერება-არდაჯერება, თუმცა ვინაიდან ძველ დროში „პირველწყაროებიდან დაწყებას“ გვასწავლიდნენ, ალბათ, აჯობებს არქივებს გადავხედოთ. როგორც ჩანს, ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიწევს იმ ინტერვიუს ციტირება, რომელიც ფიგურანტმა 2004 წლის აპრილში გაზეთ „იზვესტიას“ მისცა. მიხეილ სააკაშვილი: **„მე რომანტიკული ადამიანი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, არცთუ ცოტა რამ მინახავს. მას (პუტინს) პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს — ეს სწორედ ასეა. მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა. ამიტომ დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში! პუტინი უფრო პრაგმატულია, აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი“.**

შეიძლება თუ არა, ამ ციტატაზე დაყრდნობით იმის თქმა, რომ სააკაშვილს მოსწონდა პუტინი და სჯეროდა მისი? ხომ არ იმალება ამ სიტყვების მიღმა რაღაც ისეთი, რაც „კუდის ქიცინს“ მოაგონებს? თუ ეს ასეა, რატომ იშვერს სააკაშვილი ხელს სხვისკენ? **ყველაზე მასშტაბური ხოტბა საქართველოს ისტორიაში ვლადიმერ პუტინს სააკაშვილმა შეასხა; სხვა ქართველ პოლიტიკოსს მსგავსი რამ, უბრალოდ, არ უთქვამს.**

დღეს, როდესაც სააკაშვილი ქართულ პარტიებს მოუწოდებს, მათი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბონ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, იმის დადგენა ვცადოთ, თუ საღამდე მიგვიყვანა მისმა პრიორიტეტებმა (ამჯერად ომის შემდგომ პერიოდს შევეხოთ). სააკაშვილის პოლიტიკა ამ წლებში, პრინციპში, შეიძლება, ლევ ტროცკის ცნობილი ფორმულის „არც ომი, არც მშვიდობა“ მეშვეობით აღიწეროს. **დღეს საქართველო არ აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, თუმცა ადგილი არც რეალურ სამშვიდობო პროცესს აქვს. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ახალი ომის საფრთხე კვლავინდებურად დიდია, ხოლო დასავლური ქვეყნების ლიდერები გამუდმებით შეახსენებენ სააკაშვილს, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების გარეშე საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში პერსპექტივა არ გააჩნია** (დროებით თავი დავანებოთ ისეთ „წვრილმანებს“, როგორიცაა ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ჩაკეტვა და ა. შ.).

**არჩევანი არც ისე დიდია: ან ყოვლისმომცველი ომი რუსეთთან, ან სამშვიდობო დარეგულირება თანმდევი კომპრომისებით.** ორივე მიდგომის აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ მათი გზა საქართველოს გამარჯვებამდე მიიყვანს, ხოლო ოპონენტების მიერ შემოთავაზებული — კატასტროფამდე. ყველაფერი ეს გასაგებია, თუმცა მთავარი პრობლემა, სავარაუდოდ, მესამე, „სააკაშვილის გზაშია“, რომელიც არსად არ მიდის. **პოლიტიკას „არც ომი, არც მშვიდობა“ საქართველოსთვის 2008 წლიდან დღემდე, უძრაობისა და ნელი კვდომის გარდა, არაფერი მოუტანია: არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ან თუნდაც მასთან დაკავშირებული რეალისტური იმედების გაჩენა, არც ნატოსთან შესამჩნევი დახლოება, გაწევრიანებს თავი რომ დავანებოთ, არც ეკონომიკური აყვავება და ა.შ. ყოველივე ამას, საბოლოოდ, „ომისა და მშვიდობის“ ფუნდამენტურ პრობლემამდე მივყავართ.**

**სააკაშვილს არც ომის წარმოება და არც მშვიდობის მოტანა შეუძლია და ქვეყანა, უფრო სწორად კი ის, რაც მისგან დარჩა, ჰაერში გამოკიდებულ მდგომარეობაში რჩება. სხვა პოლიტიკოსების პრიორიტეტებზე ყურადღების გადატანით კი, „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადი, როგორც ჩანს, ცდილობს, თავი აარიდოს საუბარს იმ სიცარიელეზე, რომელიც მისი პოლიტიკის (თუ მისი იმიტაციის) მიღმა დგას.**

საქართველოს პატარა ქვეყანაა, თუმცა ოდითგანვე ძლიერი დიპლომატია და უცხო ქვეყნების დედაქალაქებში წარმატებული მუშაობის განვითარებული უნარი ჰქონდა. რუსეთს კი, პირიქით, არაერთგზის დაუკარგავს მოლაპარაკების მაგიდასთან ის, რაც ბრძოლის ველზე მოუპოვებია, რუსული დიპლომატია უნაკლო ნამდვილად არ არის; უბრალოდ, კრემლთან საუბრის დროს სასურველია ოტო ფონ ბისმარკის რჩევის გათვალისწინება: **„რუსებს ან პატიოსნად უნდა ეთამაშო, ან საერთოდ არანაირად“.**

რუსეთთან, მოლაპარაკების მაგიდის ნაცვლად, ბრძოლის ველზე ურთიერთობის გარკვევის მსურველები ბევრმა შეიძლება კლინიკურ იდიოტებად ჩათვალოს, მაგრამ ასეთი, მათ შორის, მილიტარისტული ფსიქოზით შეპყრობილი ადამიანებიც კი, გაცილებით თანმიმდევრულნი და თავისებურად პატიოსანნი არიან, ვიდრე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ტროცკის სახელობის „არც ომი, არც მშვიდობის“ კურსით.

ლევ ტროცკი 1918-ში მსოფლიო (უპირველესად კი, გერმანულ) რევოლუციას ელოდა. **სააკაშვილის გარემოცვა გამუდმებით მიანიშნებს იმაზე, რომ ელოდება ცვლილებებს მოსკოვში და ხელისუფლების სათავეში პროამერიკული ძალების მოსვლას, რამაც საქართველოს პრობლემები ლამის ავტომატურ რეჟიმში უნდა მოაგვაროს.** სხვათა შორის, 1993 წლის შემოდგომაზე, როდესაც ბორის ელცინი პარლამენტს დაუპირისპირდა და მოსკოვის ქუჩებში სისხლი დაიღვარა, ის ვაშინგტონის მხარდაჭერაზე თითქმის 100%-ით დამოკიდებული გახდა, თუმცა აფხაზეთზე საქართველოს კონტროლის დაკარგვაზე, რომელიც იმავე პერიოდში მოხდა, ამას არანაირად არ უმოქმედია. პირდაპირი პარალელების გავლება დღევანდელობასთან, ცხადია, არ შეიძლება, თუმცა **ძალზე საეჭვოა, კრემლის ახალ ბინადრებს იმის სურვილი გაუჩნდეთ, მოსახლეობას ამცნონ, რომ სააკაშვილის მოთხოვნებს დათანხმდნენ; ეს მათ რეიტინგზე გამანადგურებელ ზემოქმედებას მოახდენს და ამის გაკეთებას, სავარაუდოდ, არც ამერიკელი პარტნიორები ურჩევენ. თუმცა ასე შორს ნუ წავალთ, რადგან მოსკოვში ხელისუფლების შეცვლის ალბათობა ძალზე მცირეა, ცეცხლოვან ტროცკისტულ ოცნებებს თავი დავანებოთ და ისევ რეალობას დავუბრუნდეთ, რომელშიც რუსეთს ვლადიმერ პუტინი მართავს**.

მცირე ჩანართი ომზე, პრაგმატიზმსა და რეალიზმზე. ომის დასრულების და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, მიწასთან გასწორებული ვიეტნამის ხელისუფლებას ძალიან ცოტა ფული ჰქონდა. მაგრამ მან დამატებითი დახმარებისთვის სსრკ-სა და ჩინეთს კი არ მიმართა, რადგან ეს ნაბიჯი მათზე ვიეტნამის დამოკიდებულებას კიდევ უფრო გაზრდიდა, არამედ მსოფლიო ბანკს, რომელსაც, ფაქტობრივად, აშშ აკონტროლებდა. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი იმ დროს აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მდივანი, ვიეტნამის ომის „მთავარი არქიტექტორი“ რობერტ მაკნამარა იყო. წარმოვიდგინოთ მოლაპარაკების მაგიდა; ერთ მხარეს — მაკნამარა, რომელსაც ვიეტნამის მოსახლეობა მილიონობით თანამემამულის დაღუპვაში დამნაშავედ მიიჩნევდა, მეორე მხარეს — ვიეტნამელი კომუნისტები, რომლებმაც სამოცი ათასამდე ამერიკელი და ვინ მოთვლის, რამდენი სამხრეთვიეტნამელი მოკლეს; შევეცადოთ ამ მომენტის ფსიქოლოგიური ქვეტექსტი და ზოგადი დაძაბულობა შევიგრძნოთ.

**აშშ-ის აზიელ მოკავშირეებს ნერვებმა უმტყუნა. სამხრეთ კორეამ და ფილიპინებმა, რომლებმაც ვიეტნამის ომში ბევრი სამხედრო დაკარგეს, დაიწყეს ყვირილი იმის თაობაზე, რომ სისხლისმსმელი კომუნისტებისთვის ფულის მიცემა არ შეიძლება; მათ ზოგიერთი სხვა ქვეყანაც აჰყვა. მაგრამ რობერტ მაკნამარამ მოკავშირეებს „ხელები ამოუტრიალა“, გააჩუმა ისინი და 1978-ში ვიეტნამისთვის 60 მილიონი (მაშინდელი) დოლარის გამოყოფას მიაღწია. დაკარგეს თუ არა ამერიკელებმა ან ვიეტნამელებმა ამ ეპიზოდში „სახე“? ალბათ, არა. ზრუნავდა თუ არა ორივე მხარე საკუთარი შეცდომების, ომისა და უბედურების მიუხედავად, მომავალი თაობების ინტერესებზე? სავარაუდოდ, — კი.**

აშშ და ვიეტნამი მეგობარი ქვეყნები კიდევ საკმაო დროის განმავლობაში ვერ გახდებიან, თუმცა ურთიერთსასარგებლო (როგორც წესი, ანტიჩინური შინაარსის) თანამშრომლობას ისინი მშვენივრად ახერხებენ. იქ, სადაც ომის წლებში ამერიკელი და ვიეტნამელი ჯარისკაცების სისხლი დაიღვარა, ერთობლივი სამხედრო წვრთნები ტარდება, რომელშიც ამას წინათ მონაწილეობა აშშ-ის მხრიდან საესკადრო ნაღმოსანმა „ჯონ მაკკეინმა“ მიიღო. ეს სახელი ხომალდს ჩვენი ძველი ნაცნობის, ვიეტნამის ომის მფრინავის, ჯონ მაკკეინის ბაბუის და მამის (ერთდროულად) საპატივცემულოდ მიენიჭა (ეს უკანასკნელი, ვიეტნამის ომის დროს წყნარი ოკეანის სარდლობას ხელმძღვანელობდა). სხვათა შორის, მათი მოუსვენარი შთამომავალი ომის შემდეგ ვიეტნამში არაერთგზის ჩავიდა და იმ ადამიანებს შეხვდა, ვისაც 1967-ში ბომბავდა, მათ, ვინც ტყვეობაში ყოფნის დროს მას დარაჯობდა.

**ცხოვრება გრძელდება... მალე ორბიტაზე ვიეტნამური თანამგზავრი „ვინასატ-2“ გავა, რომელიც ამერიკელებმა შექმნეს** (ისევე როგორც „ვინასატ-1“) **და ამით ასობით მილიონი დოლარის მოგება ნახეს. მართალია, აშშ-ვიეტნამის ურთიერთობა ჯერჯერობით არ შეიძლება აღიწეროს როგორც „მეგობრული“** (ზოგიერთი ამხანაგი პეკინში დარწმუნებულია, რომ საქმე ყოფილი მოწინააღმდეგეების ფარულ სტრატეგიულ ალიანსთან გვაქვს), **მაგრამ ომი მათ შორის აშკარად დასრულდა.** რაოდენ ბანალურადაც უნდა გაიჟღეროს, ნებისმიერი ომი ადრე თუ გვიან სრულდება და ამის ილუსტრირება არა მხოლოდ აშშ-ვიეტნამის, არამედ რუსეთ-ფინეთის, საფრანგეთ-გერმანიისა და ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითზე შეიძლება, რომელთა ომებში ასი ათასობით. თუ არა მილიონობით, ადამიანი დაიღუპა.

არის ერთი მარტივი კითხვა, რომელსაც ვერსად გავექცევით: **რა უნდა ვქნათ? დავასრულოთ ომი რუსეთთან თუ გავაგრძელოთ ის? არჩევანის გაკეთება ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს,** რადგან ერთობ შიზოფრენიული კურსი „არც ომი, არც მშვიდობა“ საქართველოს ღუპავს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი გამთლიანების პერსპექტივა სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, ხოლო უსაფრთხოების ვაკუუმი ქვეყნის მდგრად განვითარებს გამორიცხავს.

**დიალოგი რუსეთთან, რომელიც ადრე თუ გვიან დაიწყება, უპრობლემო ნამდვილად არ იქნება და ილუზიები ამასთან დაკავშირებით, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. ეს ძალზე რთული, მტკივნეული საუბარი იქნება. შეხების წერტილების ძიება მესანგრის მუშაობას დაემსგავსება, რომელიც ძველი ნაღმის განეიტრალებას ცდილობს. ყველა პოლიტიკოსს როდი აქვს შესაბამისი ნებისყოფა და პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს.**

თაობა, რომელიც დღეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ როლს ასრულებს, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს მემკვიდრეებისთვის ძლიერი ეკონომიკისა და საათივით აწყობილი დემოკრატიული სახელმწიფოს დატოვებას; ამ მიმართულებით იდეალური შედეგების მიღწევას ის, უბრალოდ, ვერ მოასწრებს. ერთადერთი რამ, რასაც ის შთამომავლებს უანდერძებს, იქნება მშვიდობა (ან კიდევ ომი, თუ საზოგადოება შესაბამის არჩევანს გააკეთებს). ალბათ, დროა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოვყალიბდეთ, რადგან ამ შემთხვევაში სააკაშვილს ვერ მივბაძავთ და პრობლემისგან მუდმივ დამალვას ვერ შევძლებთ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიზიტმა ვაშინგტონში სააკაშვილს არ მოუტანა არაფერი ისეთი (ოვალურ კაბინეტში გადაღებული ფოტო „არ ითვლება“; ასეთი ჰოსნი მუბარაქსაც ჰქონდა, თანაც ბევრი), რისთვისაც ის სერიოზული პროპაგანდისტული დატვირთვის მიცემას შეძლებდა (ან ახლო მომავალში შეძლებს).**

## აშშ რუსეთსა და ჩინეთს დიდი პოლიტიკის მიღმა ტოვებს

**აშშ მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოება რუსეთისა და ჩინეთის მონაწილეობის გარეშეც საკმაოდ მკაფიო სიგნალს გაუგზავნის ასადის რეჟიმს „სირიის მეგობარი ქვეყნების“ შეხვედრიდან.** შესაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ ტონერმა გააკეთა. „გაეროს უშიშროების საბჭოში რეზოლუციისათვის ხმის მიცემის პროცედურის შემდეგ, როდესაც ორმა ქვეყანამ საკუთარი თავის იზოლირება მოახდინა, ხოლო დანარჩენებმა სირიელ ხალხს დაუჭირეს მხარი, არც არაფერი შეცვლილა. ხმის მიცემის პროცედურის შემდეგ ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი განზრახვის შესახებ, შევქმნათ სირიის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი, რასაც ახლა ვაკეთებთ კიდეც“, — აცხადებს ტონერი.



## თავდასხმა დესტაბილიზაციის მიზნით

**„თავდასხმა ალექსანდრე ანქვაბზე აფხაზეთში მდგომარეობის დესტაბილიზების მცდელობაა“, — ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.** „ჩვენ შეგვაშფოთა აფხაზეთის პრეზიდენტ ანქვაბზე თავდასხმის ინფორმაციამ. ცხადია, რომ ყოველივე ეს საპარლამენტო არჩევნების წინ მდგომარეობის დაძაბვას ისახავს მიზნად. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დანაშაულის შემკვეთები და შემსრულებლები მალე გამოვლინდებიან“, — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ალექსანდრე ანქვაბს თავდასხმის გამოძიების საქმეში დახმარება შესთავაზა.

**შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აშშ-სა და საქართველოს შორის, რომლის შესაძლებლობაზე ბარაკ ობამამ 30 იანვარს, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ისაუბრა, საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზე მოექცა. ქართულ აუდიტორიას, უპირველესად, აინტერესებდა თეთრი სახლის დამოკიდებულება მომავალი არჩევნებისა და „სააკაშვილის პრობლემის“ მიმართ და, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მსჯელობას შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივაზე მან გაცილებით ნაკლები დრო დაუთმო. არადა, ეს თემა ძალზე საინტერესოა, ის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ერთგვარი გასაღები, რომელიც აშშ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობების საიდუმლოს ამოხსნაში დაგვეხმარება. მოსაზრება, რომელიც ამასთან დაკავშირებით თომას დე ვაალმა გასულ კვირას The National Interest-ში გამოაქვეყნა, უდავოდ ყურადღებას იმსახურებს.**



# ობამას თავისუფალი ვაჭრობა და სააკაშვილის თავისუფალი ვარდნა

### სათადარიგო ინსტინქტი

დე ვაალი გვთავაზობს, ჰიპოთეტური შეთანხმება უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ, ვიდრე ამას სხვა კომენტატორები აკეთებენ: **„მთავარი სიახლე, რის შესახებაც ობამამ თეთრ სახლში განაცხადა, საქართველოსთან „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ იყო. ეს სააკაშვილისთვის დიდი პოლიტიკური ჯილდო იქნებოდა, რადგან შეერთებულ შტატებს დღევანდელ დღეს არ აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ცალკეულ ევროპულ ქვეყნებთან. თეთრი სახლისთვის ეს ისეთი რამ იყო, რაც მათ შეეძლოთ სააკაშვილისთვის ახალი თავდაცვითი შეთანხმების ნაცვლად შეეთავაზებინათ. და ეს მათ გონივრულობაზე მიუთითებს, რადგან ისინი ცდილობენ, კონგრესს ჯექსონ-ვენიკის შესწორება გააუქმებინონ — ის, რაც უნდა მოხდეს მანამ, სანამ ამერიკული კომპანიები შეძლებენ იმ სავაჭრო პრივილეგიების მიღებას, რომელიც მათ ეკუთვნით რუსეთთან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით. ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმების მცდელობას ადგილი ზაფხულის დასაწყისში ექნება, მალევე, რაც ვლადიმერ პუტინი, სავარაუდოდ, კრემლში დაბრუნდება. ეს ხელს შეუწყობს კონგრესისთვის იმის თქმას, რომ ბიზნესი ბრმაა და შეერთებულ შტატებს თავისუფალი ვაჭრობა არამხოლოდ რუსეთთან, არამედ მის მოსისხლე მტერ საქართველოსთანაც აქვს“** (foreignpress.ge-ს თარგმანი).

**ჯექსონ-ვენიკის შესწორება აშშ-ის კანონმდებლობაში 1974-ში შევიდა. მისი მიზანი სოციალისტური ბანაკის რამდენიმე ქვეყანასთან, უპირველესად კი, საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვა იყო. დღეს ის განიხილება როგორც „ცივი ომის“ გადმონაშთი, მის მიერ გათვალისწინებულ შეზღუდვებს რუსეთთან ურთიერთობაში აშშ-ის ხელისუფლება, დიდი ხანია, გვერდს უვლის; ის რეალურად აღარ მოქმედებს.** თუმცა ამ შესწორების საბოლოო გაუქმება ვერც ბუშის და ვერც ობამას ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა. არადა, თუ ეს პრობლემა არ მოიხსნება იმ მომენტამდე, ვიდრე რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების პროცესს არ დაასრულებს (სარატიფიკაციო პროცედურების დასრულება ივლისის ბოლოსთვის იგეგმება), ორი ქვეყანა მსო-ს პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობას ვერ დაამყარებს. ვაშინგტონში ესმით, რომ ეს სიტუაცია არანორმალურია — 20 თებერვალს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას აუცილებლად მიიჩნევს. ანალოგიური რამ ადრე ბარაკ ობამას, ჯოზეფ ბაიდენს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს არაერთგზის უთქვამთ. მართლაც, **გასაკვირი იქნებოდა, თუ აშშ საკუთარ თავს რუსეთის ბაზარზე მოქმედების შესაძლებლობას შეუზღუდავდა, რომელიც სახელმწიფო მოადგილის — გორდონის თქმით „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია“.**

**თეთრ სახლს, როგორც ჩანს, არ სურს, მხარი დაუჭიროს სააკაშვილის გეგმებს ხელისუფლების სათავეში დარჩეს;** ობამას ცნობილი ფრაზა „ხელისუფლების გადაცემის“ თაობაზე, Washington Post-ის სარედაქციო საბჭოს 5 თებერვლის წერილი მკაფიო მინიშნებით სააკაშვილის ამბიციების შეზღუდვის აუცილებლობაზე (კაცმა რომ თქვას, ამ პუბლიკაციას მხოლოდ „მიშა, წადი!“-ს სტილის სათაურიღა აკლდა) და მთელი რიგი სხვა განცხადებები სრულიად საპირისპიროზე მიუთითებს. **ადმინისტრაციას ასევე არ შეუძლია საქართველოს მასშტაბური სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს და ბარაკ ობამა, დიდი ალბათობით, უგულებელყოფს აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის 1242-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელიც ამის გაკეთებას ავალდებულებს.**

ბიუჯეტის ხელმოწერის წინ მან თავი საგანგებო შენიშვნის მეშვეობით დაიზღვია; **ამასთანავე, ბუნდოვანი ფორმულირებები, რომელთაც ამერიკელი მაღალჩინოსნები სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით იყენებენ, სააკაშვილს ოპტიმიზმის საბაბს არ აძლევს.**

**რამდენადმე შესამჩნევ წინსვლას, სავარაუდოდ, არც ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით უნდა ველოდოთ. არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ვაშინგტონი მზად არის, ევროპელ მოკავშირეებზე სერიოზული ზეწოლა მოახდინოს, რათა მათ მხარი დაუჭირონ საქართველოს რეალურ დაახლოებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.**

ყოველივე ამის საკომპენსაციოდ, უფრო სწორად კი „პუტინის წახალისებასთან“ და „საქართველოს მიტოვებასთან“ დაკავშირებული კრიტიკის განეიტრალებისთვის, რომელსაც ობამას ოპონენტები დროდადრო მიმართავენ, ადმინისტრაციამ თავისუფალ ვაჭრობაზე საუბარი დაიწყო.

კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული არაფერი ხდება. ამერიკელები, ტრადიციისამებრ, ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დახარჯონ და მაქსიმალური მოგება ნახონ. ეს მათი, როგორც კარგი ბიზნესმენების, ძირითადი ან, თუ გნებავთ, სათადარიგო ინსტინქტია, რომლითაც ნებისმიერ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ, მიუხედავად იმისა, თუ ვისთან აქვთ საქმე — ძლევამოსილ ზესახელმწიფოსთან თუ პატარა გაძვალტყავებულ რესპუბლიკასთან. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ვნახოთ, თუ როგორ განლაგდება ყოველივე ეს დროის ხაზზე.

რუსეთის მსო-ში გაწევრიანების პროცესის დასრულება ივლისის ბოლოს, მაქსიმუმ — აგვისტოში, გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში ობამას ადმინისტრაცია ჯექსონ-ვენიკის შესწორებაზე უკანასკნელ იერიშს მიიტანს. აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ამ დროისთვის (და არც არჩევნებისთვის), 99%-იანი ალბათობით, ვერ მოხერხდება, რადგან ამას სამუშაო ჯგუფის ხანგრძლივი მუშაობა და საქართველოში მთელი რიგი ნორმების დამკვიდრება დასჭირდება. იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო დახმარებაზეც: იმუშავებს შესაბამისი კომისია, გაიმართება შეხვედრები, თუმცა სააკაშვილი, სავარაუდოდ, არჩევნებამდე ამ მიმართულებითაც ვერ მიიღებს სერიოზულ პროპაგანდისტულ კოზირს, რომელიც დღეს ჰაერზე მეტად სჭირდება. ▶

**არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ვაშინგტონი მზად არის, ევროპელ მოკავშირეებზე სერიოზული ზეწოლა მოახდინოს, რათა მათ მხარი დაუჭირონ საქართველოს რეალურ დაახლოებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან**

მოკლედ

## ბარაკ ობამამ ჰამიდ ყარზაის წერილობით მოუბოდიშა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთის პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა.** ბარაკ ობამა წერილში ამერიკელი ჯარისკაცების მხრიდან ყურანის შეურაცხყოფის გამო ყარზაის ბოდიშს უხდის. წერილი ყარზაის ადმინისტრაციას მიაწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ავღანეთში. „ღრმა მწუხარებას გამოვხატავ იმ ფაქტის გამო, რომელიც მოხდა. მე გთავაზობთ ჩემს გულწრფელ ბოდიშს. ჩვენ მივიღებთ ყველანაირ ზომას, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტი“, — აღნიშნულია წერილში. არსებული ინფორმაციით, ბაგრამის ავიაბაზაზე ჯარისკაცებმა ყურანი დაწვეს, რამაც ავღანეთში საპროტესტო აქციების დაწყება განაპირობა. აქციებს მსხვერპლიც მოჰყვა.

## ირანთან მოლაპარაკებები ჩაიშალა

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, ირანმა გაეროს ინსპექტორებს თეირანის სამხრეთით მდებარე მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტის, პარჩინის დათვალიერების უფლება არ მისცა.** ირანში მყოფი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, ირანის ხელისუფლებასთან ორდღიანმა ინტენსიურმა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. არსებობს ინფორმაცია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბირთვული იარაღის შესაქმნელად სწორედ პარჩინიზე მიმდინარეობდა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოცდა.

**დღესდღეობით სააკაშვილმა, სავარაუდოდ, ვერ მოახერხა არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ საკუთარი თანაგუნდელების დარწმუნება იმაში, რომ ვაშინგტონი ხელისუფლებაში მის დარჩენას მხარს დაუჭერს. არადა, ამ უკანასკნელებისთვის ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შუა საუკუნეების ევროპის მცირე ფეოდალებისთვის მათი სიუზერენის კურთხევა რომის პაპის მიერ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ელექტორატის უდიდეს ნაწილს კი თვალწინ არა მომავლის ბუნდოვანი სურათები უდგას, არამედ ის, რასაც საკუთარი თავის გარშემო ხედავს. მაგალითად იმას, რომ ქვეყანა დანაწევრებულია, ერთ-ერთი მიზეზით იმიტომ, რომ „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დაცვა ვერ შეძლო; იმიტომ, რომ აშშ ქართული არმიისთვის ათიოდე ზომიერად დაჟანგულ STINGER-ს ვერ იმეტებს; იმიტომ, რომ ავღანეთში სულ უფრო მეტი ქართველი სამხედრო იღუპება; იმიტომ, რომ, ამერიკელი პარტნიორების ყველა შელოცვის მიუხედავად, ქართული ეკონომიკა პირველი ჯგუფის ინვალიდს ჰგავს.**

# «მაპზე უკეთესი მივიღეთ» ტიპის რიტორიკა წინასაარჩევნო კონტექსტში აღარ იმუშავებს

## ხე ნაყოფით იცნობა

ნებისმიერ პოლიტიკას ხელშესახები შედეგი უნდა მოჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პოპულარულობით ვერ ისარგებლებს. სააკაშვილის მკვეთრად პროამერიკული კურსი დღეს წარმატებული შედეგებისა და დასამახსოვრებელი სიმბოლოების მწვავე ნაკლებობას განიცდის, რაც წინასაარჩევნო სიტუაციაში ხელისუფლებისთვის არცთუ სასიამოვნო უნდა იყოს. სააკაშვილს არჩევნების წინ იმის დადასტურება სჭირდება, რომ მისი სწრაფვა ამერიკისკენ, თუნდაც რომელიმე ერთ ასპექტში, აშკარა წარმატებით დაგვირგვინდა.

**დღესდღეობით სააკაშვილმა, სავარაუდოდ, ვერ მოახერხა არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ საკუთარი თანაგუნდელების დარწმუნება იმაში, რომ ვაშინგტონი ხელისუფლებაში მის დარჩენას მხარს დაუჭერს,** არადა, ამ უკანასკნელებისთვის ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შუა საუკუნეების ევროპის მცირე ფეოდალებისთვის მათი სიუზერენის კურთხევა რომის პაპის მიერ; ნებისმიერი შეფერხება ან თუნდაც მცირედი ბუნდოვანება ამ საკითხში მათში ვასალური ფიცის გატეხვის დაუოკებელ სურვილს აღვივებდა.

**ვიზიტმა ვაშინგტონში სააკაშვილს არ მოუტანა არაფერი ისეთი** (ოვალურ კაბინეტში გადაღებული ფოტო „არ ითვლება“; ასეთი ჰოსნი მუბარაქსაც ჰქონდა, თანაც ბევრი), **რისთვისაც ის სერიოზული პროპაგანდისტული დატვირთვის მიცემას შეძლებდა** (ან ახლო მომავალში შეძლებს). **მარტივად რომ ვთქვათ, მაისში მას არ მიეცემა შესაძლებლობა, განაცხადოს: „ჩიკაგოს სამიტზე ჩვენ მაპი მოგვანიჭეს“, რადგან ბავშვმაც კი იცის, რომ ეს არ მოხდება, ხოლო „მაპზე უკეთესი მივიღეთ“ ტიპის რიტორიკა წინასაარჩევნო კონტექსტში აღარ იმუშავებს; იგივე ეხება ამერიკულ შეიარაღებას და შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ის ჯერჯერობით არ არსებობს და, ცხადია, არც შედეგი მოაქვს.** ელექტორატის უდიდეს ნაწილს კი თვალწინ არა მომავლის ბუნდოვანი სურათები უდგას, არამედ ის, რასაც საკუთარი თავის გარშემო ხედავს. მაგალითად იმას, რომ **ქვეყანა დანაწევრებულია, ერთ-ერთი მიზეზით იმიტომ, რომ „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დაცვა ვერ შეძლო; იმიტომ, რომ აშშ ქართული არმიისთვის ათიოდე ზომიერად დაჟანგულ STINGER-ს ვერ იმეტებს; იმიტომ, რომ ავღანეთში სულ უფრო მეტი ქართველი სამხედრო იღუპება; იმიტომ, რომ, ამერიკელი პარტნიორების ყველა შელოცვის მიუხედავად, ქართული ეკონომიკა პირველი ჯგუფის ინვალიდს ჰგავს. ამ ჩამონათვალის გაგრძელება საკმაოდ დიდხანს შეიძლება. არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ აშშ დიდი (და დიადი) ქვეყანაა, თუმცა, თუ სიტუაციას ჩვეულებრივი ამომრჩევლის თვალით შევხედავთ, შეიძლება დაიბადოს მარტივი თანმდევი კითხვა: და ჩვენ ამით რა?**

აქ ძალზე საინტერესო მომენტს მივუახლოვდით. სააკაშვილს დღეს ძალიან სჭირდება ვაშინგტონის მიერ მისი მხარდაჭერის და მისი ხელისუფლების პროამერიკული კურსის ეფექტურობის ნათელი დადასტურება, თუმცა ბარაკ ობამა მისთვის დახმარების აღმოჩენას, როგორც ჩანს, არ ჩქარობს. ხომ არ დგას ამის მიღმა სააკაშვილის რეჟიმთან დამშვიდობების სურვილი? თუ ეს, უბრალოდ, თამაშია და ვაშინგტონი მკაცრი, მიუკერძოებელი არბიტრის მანტიას ირგებს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მხარს მაინც სააკაშვილს დაუჭერს? თუ სიმართლეს მეორე ვარაუდი შეესაბამება, მაშინ რატომ ნერვიულობენ ასე სააკაშვილის თანაგუნდელები? **მმართველი ძალის წარმომადგენლებმა, სავარაუდოდ, ჯერჯერობით ვერ მიიღეს ის სიგნალი ვაშინგტონიდან, რომელიც მომავალთან დაკავშირებით მათ ეჭვებს გაფანტავს.** ხოლო თუ საქმე პირველ ვარიანტთან („სააკაშვილი — ისტორიის სანაგვეზე“) გვაქვს, ალბათ, იმაზე დაფიქრება ღირს, თუ რა დაუშავა ფიგურანტმა ძია სემს ასეთი. ის ხომ უაღრესად პროამერიკული ლიდერი იყო, ვაშინგტონი კი თავის დროზე მხარს გაცილებით ოდიოზურ დიქტატორებს უჭერდა და, სიმართლე რომ ვთქვათ, უცოდველი ამ მხრივ არც დღეს არის. **დაუშვა თუ არა სააკაშვილმა ფატალური შეცდომა, რამაც უბიძგა ვაშინგტონს, ხელისუფლებიდან მის ჩამოცილებაზე დაფიქრებულიყო?**

## ისევ ამერიკის აღმოჩენა მოგვიწევს

სააკაშვილის მთავარი, სტრატეგიული ხასიათის შეცდომა, სავარაუდოდ, შემდეგი სიტყვების მიღმა დგას: **„ჩვენთვის სასიამოვნო მოვლენა გახდა, რომ საქართველო აშშ-ის შიდა პოლიტიკის ნაწილად იქცა. პარტიები ერთმანეთს ჩვენთვის მხარდაჭერის გამოხატვაში ეჯიბრებიან“** (ეს განცხადება სააკაშვილმა Berliner Zeitung-თან საუბარში 2010 წლის ივნისში გააკეთა).

**აშშ-ის ორივე პარტიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებაში დასაძრახი არაფერია, ვაშინგტონელი ლობისტების აქტიურ გამოყენებას კი ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო ცდილობს, თუმცა თავის მოწადინებაში — აშშ-ის პოლიტიკურ „დღის წესრიგში“ ქართული პრობლემატიკის ინტეგრირება მოახდინოს — სააკაშვილმა, როგორც ჩანს, ვერ შეამჩნია ზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა.**

სააკაშვილის მმართველობის წლებში საქართველოს პრაქტიკულად ყველა ნაბიჯი საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთ მთავარ, ხშირ შემთხვევაში კი ერთადერთ მიზნად ისახავდა: ვაშინგტონის მოწონების დამსახურებას. მაგრამ ნელ-ნელა მოკრძალებული ბონუსების (მაგ. ეკონომიკური და ფინანსური დახმარების გაზრდა) მიღების სურვილი გაცილებით ამბიციურმა ფანტაზიებმა შეცვალა, რომელსაც სააკაშვილის ზოგიერთი ამერიკელი მეგობარი ასაზრდოებდა (აშშ-რუსეთის ურთიერთობებში კრიზისის პროვოცირება, „გადატვირთვის“ ჩაძირვა და ა. შ.) და რეჟიმის პოლიტიკაში შანტაჟის აშკარა ნიშნები გაჩნდა. რამდენად რაციონალურია, ბარაკ ობამა დაჯდეს და დაელოდოს, თუ როდის მიიყვანს „ნეოკონების“ იდეებით და სკამის დაკარგვის შიშით შეპყრობილი სააკაშვილი საქმეს ახალ კავკასიურ ომამდე? დღევანდელი მცირე დისკომფორტი, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს საკითხზე რესპუბლიკელების კრიტიკის გამო განიცდის, არაფერია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ახლო მომავალში მოხდეს. ეს მოლოდინი ვინმემ შეიძლება ერთობ პესიმისტურად ჩათვალოს, თუმცა 2008-ში განვითარებული მოვლენები გადაჭარბებული ოპტიმიზმის საფუძველს, ალბათ, არ გვაძლევს.

**როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებიდან წავა, საზოგადოებას იმაზე დაფიქრება მოუწევს, თუ რა ფუნდამენტს დაეფუძნება საქართველოს მეგობრული ურთიერთობა აშშ-თან მომავალში, რომელიც დღევანდელი ისტერიული შანტაჟისგან, ყოვლად სამარცხვინო მაამებლობისგან და ეროვნული ინტერესების მუდმივი უგულებელყოფისგან აშკარად გათავისუფლებას საჭიროებს, რადგან ეს სირთულეებს ორივე მხარეს — ქართველებსაც და ამერიკელებსაც უქმნის.**

შესაბამისად, საჭირო გახდება ჯანსაღი, რეალისტური პრინციპების ფორმულირება, რომლითაც შტატებთან თანამშრომლობის პროცესში ვიხელმძღვანელებთ, რაც ტრივიალური ამოცანა სულაც არ არის, რადგან ბოლო წლებში ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაფუჭდა.

**დიმიტრი მონიავა**




## სირიის ოპოზიცია იარაღით დახმარებას ითხოვს

**სირიის ერთ-ერთმა მთავარმა ოპოზიციურმა ჯგუფმა ტუნისში მიმდინარე სირიის მეგობარი ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს იარაღის დახმარების თხოვნით მიმართა.** „თუ მმართველი ძალა არ შეწყვეტს სისხლისღვრას და არ მიიღებს არაბული სახელმწიფოების ლიგის წინადადებებს, მაშინ „სირიის მეგობრებმა“ ხელი არ უნდა შეუშალონ ცალკეულ ქვეყნებს ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებაში და ოპოზიციის მოხალისეების სამხედრო მომზადებაში“, — ნათქვამია სირიის ნაციონალური საბჭოს განცხადებაში.



## უგო ჩავესი კიდევ ერთ ოპერაციას გაიკეთებს

**ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი კუბაში სიმსივნის კიდევ ერთ ოპერაციას გაიკეთებს.** პარლამენტმა ჩავესს ქვეყნის ხუთი დღით დატოვების უფლება მისცა. ჩავესმა განაცხადა, რომ სიმსივნე, სავარაუდოდ, ავთვისებიანია და არჩევნების წინ იგი ვერ შეძლებს სრული დატვირთვით მუშაობას. ადრე ჩავესი ამტკიცებდა, რომ სრულად განიკურნა და მისი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ დგას. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ჩავესს კუბაში სიმსივნე ამოაჭრეს, რის შემდეგაც მის რეაბილიტაციას სამ თვემდე დასჭირდა.

## «თალიბანი» უცხოელ ჯარისკაცებს ემუქრება

**ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა მუსლიმანთა წმინდა წიგნი „ყურანი“ დაწვეს.** როგორც ადგილობრივი პოლიცია იუწყება, ლეღმანის პროვინციაში შეკრებილი ასობით ადამიანი ხმამაღლა სკანდირებდა „სიკვდილი ამერიკას“. გარდა ლეღმანისა, საპროტესტო აქციები მთელი ავღანეთის მასშტაბით მიმდინარეობს. ამასთან, თალიბანი გამოვიდა მოწოდებით, რომ ყურანის შეურაცხყოფისთვის მოკვდეს ყველა უცხოელი ჯარისკაცი, რომლებიც ავღანეთში იმყოფებიან. „ავღანელებმა უნდა გააგრძელონ პროტესტი და მიზანში უნდა ამოიღონ უცხოური სამხედრო ბაზები და სამხედროები. ეს ფაქტი უნდა გახდეს გაკვეთილი, რათა ყურანს შეურაცხყოფა ველარავინ მიაყენოს“, — აღნიშნულია თალიბანის წევრის განცხადებაში.

## მშვიდობას კოფი ანანი დაამყარებს

**გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი სირიაში გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნა.** დანიშვნის გადაწყვეტილება გაერომ გააჟღერა და მას სირიელი ხალხისთვის კრიტიკულ მომენტში უმნიშვნელოვანესი უწოდა. გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყოფილი გენერალური მდივანი მაქსიმალურ ძალისხმევას გამოიყენებს, რათა სირიაში დასრულდეს ძალადობა და ადამიანის უფლებების დარღვევა, ასევე „ხელს შეუწყობს სირიის კრიზისის მშვიდობიან დარეგულირებას“.

გამოკითხვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს უკვე გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „პრორუსული“ ვექტორი არის ელექტორალური ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა მოკლებულია რეპრეზენტაციას. თუ კი ამ კვლევის მონაცემებს დავეყრდნობით, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა იმას, რომ საქართველომ ნებისმიერი კომპრომისის, თუნდაც ამერიკასთან ურთიერთობის გაწყვეტის ან გარკვეულწილად დისტანცირების ხარჯზე, გამონახოს საერთო ენა რუსეთთან. ეს არის ფაქტი და სწორედ ამას ადასტურებს ეს კვლევაც, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა, ჩემის აზრით, უსაფუძვლოა.“**



# ვალერიან გორგილაძე: საქართველოს მოსახლეობის 47,7 პროცენტი თანახმაა, გაწყვიტოს ამერიკასთან პარტნიორობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების სანაცვლოდ

**რამდენიმე დღის წინ საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ თანადაფინანსებით ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომლის მიზანიც ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის კვლევა იყო, ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი აჩვენა — საზოგადოების დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ამერიკასთან პარტნიორობის გაწყვეტის ხარჯზე ემხრობა... კონკრეტულად რა ფორმით ჩატარდა ეს კვლევა და რა კითხვაზე გასცა პასუხი ქართველმა ხალხმა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკური კონსულტანტი ვალერიან გორგილაძე.**



— საინტერესო კვლევაა ნამდვილად. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს ამ კვლევის შედეგებს, რომელიც დევს სოროსის ფონდის საიტზე. მეც, სხვათაშორის, სწორედ საიტზე გავეცანი ამ კვლევას და გავარკვიე, რომ საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტისა და „ღია საზოგადოება — საქართველოს“ თანადაფინანსებით 21 ნოემბრიდან 19 დეკემბრამდე საქართველოს ყველა რეგიონში მიმდინარეობდა საველე სამუშაოები. გამოიკითხა სამი თაობის ადამიანები, — 18-24 წლის, 40-50 და 60-70. როგორც ჩანს, კვლევას თავისი სპეციფიკური ამოცანები გააჩნდა და შესაბამისი კვოტით განსაზღვრული ასაკობრივი კატეგორიები არ გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ კვლევის რეპრეზენტატიულობაზე. რაც შეეხება რესპონდენტთა საერთო რაოდენობას, გამოკითხვაში მონაწილეობდა სულ 1058 მოქალაქემ. ერთ-ერთი კითხვა დასმული იყო ასე: ორი მტკიცებიდან რომელს უფრო ეთანხმებით?

1. ამერიკა შორსაა და ვერაფერს გვიშველის, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე იმისათვის, რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა;

2. დღეს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, რა მოხდება, ამას ამერიკა წყვეტს და მთავარი მასთან თანამშრომლობაა, რუსეთს ბევრი არაფერი შეუძლია.

რესპონდენტების 47,7 პროცენტი პირველ დებულებას იზიარებს, ანუ რესპონდენტების დიდი ნაწილი ირჩევს რუსეთთან პარტნიორობას ამერიკასთან ურთიერთობის გაწყვეტის ხარჯზე. სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველთა 26% პროცენტიც ამ მოსაზრებას იზიარებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე, თუნდაც ამ პროცესმა საბოლოოდ მოგვწყვიტოს და დაგვაშოროს ამერიკას.

რაც შეეხება დანარჩენს, გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურად ნეიტრალურია და არც ხელისუფლებას ემხრობა, არც ოპოზიციას, 45 პროცენტმა გასცა დადებითი პასუხი პირველ დებულებაზე, ხოლო ის ჯგუფი, რომელსაც გაუჭირდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, იყო ძალიან მცირე, რაც ასევე მიანიშნებს სწორედ იმაზე, რომ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას შეეხება, ჩვენს საზოგადოებას გააჩნია ორი, მკაფიოდ გამოხატული გეოპოლიტიკური ვექტორი...

**— საინტერესოა, წინა წლებში თუ ჩატარდა ანალოგიური გამოკითხვები და რა მონაცემები არსებობს?**

— რა თქმა უნდა, მსგავსი კვლევები ადრეც ტარდებოდა და მაშინ სხვა შედეგები იყო, ანუ საზოგადოებაში პირობითად „პროდასავლური“, „პროამერიკული“ განწყობა ბევრად სჭარბობდა ე.წ. „პრორუსულს“. ვფიქრობ, რომ ვითარება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიცვალა. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოხდა ერთგვარი გარდატეხა, რომლის შემდეგაც მოსახლეობაში „პრორუსულმა განწყობამ“ იჩინა თავი. **დღეს უკვე გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „პრორუსული“ ვექტორი არის ელექტორალური ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა მოკლებულია რეპრეზენტაციას. თუ კი ამ კვლევის მონაცემებს დავეყრდნობით, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა იმას, რომ საქართველომ ნებისმიერი კომპრომისის, თუნდაც ამერიკასთან ურთიერთობის გაწყვეტის ან გარკვეულწილად დისტანცირების ხარჯზე, გამონახოს საერთო ენა რუსეთთან. ეს არის ფაქტი და სწორედ ამას ადასტურებს ეს კვლევაც, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა, ჩემის აზრით, უსაფუძვლოა.**

**— თქვენ თქვით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საზოგადოებაში პროამერიკული განწყობა შესუსტდა, როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რამ განაპირობა ეს ყველაფერი?**

— უბრალოდ, **ამ ომმა, რომელიც იყო მყისიერი და აბსოლუტურად მოულოდნელი მოსახლეობისთვის, ხალხს დაანახა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან ვერ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას ვერც სამხედრო და ვერც პოლიტიკური თვალსაზრისით.** ობივატელის აზრით, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მხარდაჭერა და გვეგონა, რომ ვილაც-ვილაცები დაგვიცავდნენ, ერთადერთი დახმარება, რაც ამერიკამ გაიღო, იყო სასმელი წყალი. ობივატელს არ აკმაყოფილებს ის გარემოება, რომ თავად ის ფაქტი, რომ ამერიკული სამხედრო კრეისერი შედის ქართულ პორტში, წარმოადგენს უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიას. მოსახლეობამ დაინახა, რომ რუსული სამხედრო მანქანა უმოწყალოდ უსწორდებოდა ქართულ ჯარს, პრინციპში, ამერიკელების მეთვალყურეობით.

გარდა ამისა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი გაჭიანურდა. მოსახლეობას ესმის, რომ ამ ბლოკში გასაწევრიანებლად ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ დემოკრატიულ სტანდარტებს, მაგრამ ამ დროს იმავე ალიანსში წევრიანდება ალბანეთი, რომელიც დემოკრატიული ან სამხედრო სტანდარტებით, არა მგონია, ბევრად უსწრებდეს საქართველოს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაშ, ჩვენ რა მიზეზით გვეუბნებიან უარს? კავკასიაზე პუტინის ცნობილი სიტყვების გამო ხომ არა — „ჩვენ აქ ვიყავით, ვართ და ვიქნებით“?! მოკლედ, საზოგადოება დაიღალა გაურკვევლობით, მოსახლეობას სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და ვეჭვობ, რომ მისთვის სულ ერთი ხდება, თუ ვინ მისცემს მსგავს გარანტიებს.

**— თქვენ რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ ეს დამოკიდებულება?**

— ყველაზე სახიფათო არის ის, რომ საზოგადოებას გარეშე მტრის (რუსეთი) და ხელისუფლების მიმართაც შეიძლება ჩამოუყალიბდეს ე. წ. სტოკჰოლმის ეფექტი — როდესაც მძევალი უნებლიე სიმპათიას იჩენს მოძალადის მიმართ. ეს საგანგაშო ტენდენციაა. ამაზე უნდა დაფიქრდეს ჩვენი ხელისუფლებაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც. სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებმაც შემდგომში შესაძლოა განაპირობოს „პრორუსული“ ტრენდის ზრდა საქართველოში, დავასახელებდი: არსებული ხელისუფლების მიმართ, რომელიც მოსახლეობაში ასოცირდება მკვეთრად „პროამერიკულ“ რეჟიმთან, მზარდ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან საქართველოს მოქალაქეების მხრიდან და ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის დროს ქართველი ჯარისკაცების მხრიდან მსხვერპლის ზრდასთან.

**— თქვენ თქვით, რომ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველთა 26 პროცენტი პრორუსულადაა განწყობილი, ცოტა არ იყოს, უცნაურია, სახელისუფლო არხებიდან ხომ მუდმივად ანტირუსული პროპაგანდა ისმის?**

— ერთია პროპაგანდა, მაგრამ სხვა საკითხია, თვითონ მოსახლეობა როგორ აღიქვამს ამას. ზოგადად, ამ კვლევებმა აჩვენა, რომ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი უფრო მეტად სოფლად ცხოვრობს, ვიდრე ქალაქად, ნაკლებად ინტერესდება ინფორმაციით, ნაკლებად მოიხმარს ინტერნეტს, ნაკლებად არის აქტიური სოციალურ ქსელებში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ, თუ კი არის ინფორმაცია და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის, დიდი ალბათობით, იქ ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილი განწყობილი იქნება ანტისახელისუფლოდ.

სხვათა შორის, ეს კვლევა არანაკლებ საყურადღებოა ოპოზიციისთვისაც და არ მინდა ვინმემ პოლიტიკურ კონსულტაციაში ჩამომართვას, მაგრამ მას ამის გამოყენება თავის სასარგებლოდ შეეძლო.

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ, როცა ასეთი სერიოზული დასკვნა იდება, პოლიტიკურმა პარტიებმა მას ყურადღება უნდა მიაქციონ. ნახეთ, როგორ იყენებს კვლევებს ხელისუფლება, თავის სასარგებლოდ როგორ ოსტატურად ახდენს მონაცემების გავრცელებასა და ინტერპრეტაციას. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ოპოზიციამ, რომელსაც ისედაც შეზღუდული აქვს საინფორმაციო ველი და მთელი ქვეყნის მასშტაბით ჯერჯერობით ვერ ახერხებს მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამყარებას, მსგავსი მოვლენა ისე არ უნდა გაატაროს, მით უმეტეს, აქ საუბარია საზოგადოების დიდი ნაწილის აზრსა და პოზიციაზე, რომელიც კვლევაში საკმაოდ მკაფიოდაა დაფიქსირებული.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებმა რომ მსგავსი თემებით მანიპულირება დაიწყონ, ხელისუფლება ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, იტყვის, რომ კრემლის დაკვეთით მოქმედებენ...**

— მმართველი გუნდი ამას ისედაც აკეთებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია, საზოგადოება, ამომრჩეველი როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს.

აი, მაგალითად, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს იმ პოლიტიკოსების რეიტინგი, რომლებიც ერთ-ერთ მთავარ დაპირებად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას იძლეოდნენ, პროპორციულად თუ შევადარებთ, გაცილებით უფრო სწრაფად იწევდა მაღლა, ვიდრე სხვების; მეტიც, ბევრმა სწორედ ამ დაპირების შედეგად შეძლო ბარიერის გადალახვაც. **საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძიძიგურის, დავითაშვილისა და ნოღაიდელის ეროვნულმა საბჭომ პრორუსულობის ხარჯზე გადალახა ბარიერი ადგილობრივი არჩევნების დროს.** სხვათაშორის, მათი რეიტინგი საარჩევნო კამპანიის დროს არ იზომებოდა, „პრორუსული“ თემა იმ დროს ჯერ კიდევ ტაბუდადებულ პოლიტიკურ პროდუქტად აღიქმებოდა და მოსახლეობა საჯაროდ არ ამჟღავნებდა თავის განწყობებს. დღეს ვითარება შეცვლილია და ვფიქრობ ამ, საკმაოდ მოზრდილ ელექტორალურ ლუკმაზე ნადირობას გამოაცხადებენ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ალიანსი და შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტები.

**— კიდევ ერთი თემა, რომლითაც ხელისუფლება მუდმივად მანიპულირებს, არის საქართველოს სინგაპურისა და დუბაის მსგავს სახელმწიფოდ გადაქცევის მიზანია როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად მომგებიანი პიარია „ნაცმოძრაობისთვის“?**

— სანამ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ქვეყანა-ქალაქი სინგაპური, ეს შეიძლება მიმზიდველ თემად გამოიყურებოდეს. მაგრამ როგორც კი ვიგებთ, რომ ეს მართლაც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყანა წარმოადგენს ბანალურ ავტოკრატიას და ზღუდავს ყველანაირ თავისუფლებას, მისი მიმზიდველობა შეიძლება სათუო გახდეს. ასე მაგალითად, სინგაპურში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ცოლ-ქმარს არ აქვს უმაღლესი განათლება, სახელმწიფო სთავაზობს კომპენსაციას სტერილიზაციის სანაცვლოდ. ამასთან, აკრძალულია შინაური ცხოველების ყოლა ან რაიმე მცენარის ქონა სახლში. მსგავსი აკრძალვები ვრცელდება კიდევ უამრავ რამეზე. გაზეთებსა და ზოგადად საინფორმაციო საშუალებებს აკრძალული აქვთ პოლიტიკაზე საუბარი, შეკრებების, მანიფესტაციების ან სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობა აზრადაც არ მოუვა არავის და ა. შ. ამდენად, არჩევანი ჩვენზეა, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, ჩვენ მაგივრად ამას ვერავინ გადაწყვეტს, თუ კი გვაქვს პრეტენზია, გვეწოდებოდეს ერი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ამ ეტაპზე ავღანეთში 950 ქართველი ჯარისკაცი იმყოფება, რომელთაც მიმდინარე წელს 750 სამხედრო მიემატება და სულ 1700-მდე გაიზრდება. ეს სრული ნონსენსია, რადგან ნატოს არაწევრი საქართველო ზრდის სამხედრო კონტინგენტს მაშინ, როცა ნატოს წევრი სხვა ქვეყნის სამხედრო ძალები ავღანეთს ნელ-ნელა ტოვებენ. თუ კი ტერორიზმი მსოფლიო გამოწვევაა, მაშინ მის ამოსაძირკვად ყველა სახელმწიფო ერთნაირად უნდა ზრუნავდეს და გაურკვეველია, რატომ იღებს საქართველოს ხელისუფლება ასეთ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას და რატომ აგდებს ქართულ საზოგადოებას სერიოზულ საფრთხეში?!

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავღანური მარყუჟი

**სრულიად საქართველო შეძრა ავღანეთში ერთდროულად სამი ქართველი ჯარისკაცის, კაპრალების: ვალიკო ბერაიას, რუსლან მელაძისა და პაატა კაჭარავას დაღუპვის ფაქტმა, რომლის შესახებაც ყანდაგარში სააკაშვილის ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ, 22 თებერვალს თავდაცვის სამინისტრომ ამცნო საზოგადოებას.**

სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნების დაუოკებელი წყურვილი და მისი ხელისუფლებისადმი საზოგადოების უნდობლობა გახდა ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვასთან დაკავშირებით რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ვერსიის გავრცელების მიზეზი. კერძოდ, **ერთი ვერსიით, ეს ჯარისკაცები სააკაშვილისთვის დაგეგმილ საჩვენებელ სპეცოპერაციას შეეწირნენ. მეორე ვერსიით კი, ისინი უკვე დაღუპულები იყვნენ, ხოლო სააკაშვილის ავღანეთში ჩასვლა, იქ მყოფი სხვა სამხედროების გამხნევებას ისახავდა მიზნად, რათა მათ მოტივაცია არ დაეკარგათ. ოფიციალური ვერსიით კი, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა, „სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, დაიღუპნენ საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად თალიბებთან შეტაკებისას“.** მიუხედავად განსხვავებული ვერსიებისა თუ მოსაზრებებისა, ამ ეტაპზე ძნელია იმის გარკვევა, თუ რა ვითარებაში დაიღუპნენ ქართველი სამხედროები ავღანეთის დაწყევლილ მიწაზე. უბრალოდ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავფიქრდეთ და ვიმსჯელოთ ISAF-ის სამხედრო მისიაში ასეთი დიდი კონტინგენტით საქართველოს მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ.

**ამ ეტაპზე ავღანეთში 950 ქართველი ჯარისკაცი იმყოფება, რომელთაც მიმდინარე წელს 750 სამხედრო მიემატება და სულ 1700-მდე გაიზრდება. ეს სრული ნონსენსია, რადგან ნატოს არაწევრი საქართველო ზრდის სამხედრო კონტინგენტს მაშინ, როცა ნატოს წევრი სხვა ქვეყნის სამხედრო ძალები ავღანეთს ნელ-ნელა ტოვებენ. თუ კი ტერორიზმი მსოფლიო გამოწვევაა, მაშინ მის ამოსაძირკვად ყველა სახელმწიფო ერთნაირად უნდა ზრუნავდეს და გაურკვეველია, რატომ იღებს საქართველოს ხელისუფლება ასეთ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას და რატომ აგდებს ქართულ საზოგადოებას სერიოზულ საფრთხეში?!**

მართალია, დამატებითი სამხედრო კონტინგენტის ავღანეთში გაგზავნა აბსურდული გადაწყვეტილებაა, რომელიც არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება, მაგრამ დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ამ გადაწყვეტილებას სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან საერთო არაფერი აქვს და სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმისთვის ძალაუფლების მუდმივად შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

რას აძლევს ეს მისია საქართველოს? — გარდა იმისა, რომ უკვე 15 დაღუპული ჯარისკაცი მივაბარეთ მიწას, არაფერს. მითუმეტეს, რომ ეს არის სახელმწიფოს მხრიდან უაზროდ გაღებული მსხვერპლი, რომელსაც ხელისუფლება ღირსეულ პატივს არ მიაგებს. ხოლო სამხედრო კონტინგენტის არასერიოზულად გაზრდასთან ნატოში გაწევრიანების დაკავშირება საზოგადოების შეურაცხყოფაა და მისთვის თვალში ნაცრის შეყრა, რადგან **ალიანსში ტერიტორიული პრობლემების მოგვარებისა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე არ მიგვიღებენ, თუნდაც ჩვენი ჯარის სრული შემადგენლობა გავაგზავნოთ ავღანეთის მისიაში.**

მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ავღანეთში არაერთხელ დაღვრილა ქართველთა სისხლი, თუმცა არა სამშობლოს დაცვის მიზნით, არამედ იმ სახელმწიფოთა იმპერიული ინტერესების დასაცავად, რომლებიც საქართველოს აკონტროლებდნენ. ასე იყო შაჰის ირანის თუ საბჭოთა კავშირის დროს და ასეა ახლაც. მაგრამ **დღეს პარადოქსი ის არის, რომ თავად ოკუპირებული ქვეყნის შვილები ამერიკას ვეხმარებით ავღანეთის ოკუპაციაში.**

შუა საუკუნეების ავბედით დროსაც, ირანის დამპყრობლური პოლიტიკის სამსახურში, ავღანეთში ასეულობით და ათასეულობით ქართველი რაინდი იხოცებოდა. მართალია, ქართველებმა ამ ქვეყანაში სახელი გაითქვეს როგორც საუკეთესო მეომრებმა, მაგრამ სხვა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ ბრძოლა და სიკვდილი სამშობლოსთვის დიდი ვერაფერი შვებაა. სწორედ ყანდაგარში მოკლეს ირანის შაჰის მიერ ავღანეთის მმართველად დანიშნული გურგინ ხანი (გიორგი XI) და მისი თანმხლები ორმოცდაათი ქართველი ვაჟკაცი ავღანელთა ბელადის, მირვეისის (ჰაჯი მირ ვეის ხან ჰოტაკი) მეთაურობით მოწყობილი აჯანყების დროს. დიახ, ეს სწორედ ის მირვეისია, რომელსაც მთელი გულწრფელობითა და სავსებით სამართლიანად აქვს ნათქვამი: **„ყიზილბაშები დიაცები არიან ჩვენთან შედარებით, ჩვენ კი დიაცები ვართ ქართველებთან შედარებით“.** აქ ყანდაგარის სიახლოვეს მოკლეს გიორგის ძმა ქაიხოსროც, ასეულობით ქართველ ჯარისკაცთან ერთად.

**ისტორია განმეორდა საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ოკუპაციის (1979-1989 წწ.) დროს, როცა ათასობით ქართველი ჯარისკაცი საბჭოთა ხელმძღვანელობამ ავღანეთის სასაკლაოზე გაგზავნა. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ომში საქართველოს რესპუბლიკიდან გაწვეული ხუთი ათასამდე რიგითი და სერჟანტი მონაწილეობდა. საერთოდ კი, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, რვა ათასამდე ჯარისკაცმა იმსახურა, მათ შორის 126 დაიღუპა.**

ისევე როგორც შაჰის ირანის თუ საბჭოთა კავშირის პერიოდში, დღესაც ქართველი სამხედროები ამერიკის მხარდამხარ გმირულად იბრძვიან (იბრძოდნენ) და იღუპებიან ავღანეთში. მაგრამ **ამ მსხვერპლს, მიუხედავად სახელისუფლო პროპაგანდის მტკიცებისა, საქართველოს ინტერესებისა და სამშობლოს დაცვასთან საერთო არაფერი აქვს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა, რომელსაც იჩენს საქართველოს ხელისუფლება დაღუპული ჯარისკაცებისადმი, როცა მათ ჩუმად, სახელმწიფო პატივის მიგების გარეშე კრძალავს.** საქმე ის არის, რომ ჩვენი ჯარისკაცები, უბრალოდ, „საზარბაზნე ხორცს“ წარმოადგენენ. უფრო მეტიც, **დღეს საქართველოს მიერ ავღანეთში გაღებული მსხვერპლი ქვეყნის შიგნით მმართველი რეჟიმისთვის ძალაუფლების შენარჩუნებას, ხოლო ქვეყნის გარეთ უცხო, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გლობალური ინტერესების დაცვას ემსახურება.**

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირისა და ნატოს ეგიდით ამერიკის ავღანეთში ინტერვენცია-ოკუპაციას შორის ძალიან დიდი მსგავსებაა. ორივე სახელმწიფო ცდილობდა და ცდილობს საკუთარი იდეოლოგიისა (საბჭოთა კავშირი — სოციალიზმის, ხოლო ამერიკა — დემოკრატიის) და კულტურის გავრცელებას და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაში ძალით დამკვიდრებას. თუმცა ავღანელებს არც ერთისადმი ინტერესი არასოდეს გამოუხატავთ, მითუმეტეს ამის გაკეთება არ მოუთხოვიათ იარაღის გამოყენებით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ორივე შემთხვევაში იდეოლოგიის გავრცელება მხოლოდ საშუალებაა იმპერიული მიზნების უზრუნველსაყოფად და ოკუპაციის „გასაკეთილშობილებლად“.

**დღეს ავღანეთში ვითარება ძალიან დაძაბულია, რაც გამოიწვია გასულ კვირას მომხდარმა ფაქტმა, როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა სამხედრო ბაზაზე ყურანი დაწვეს. ამ ფაქტს მშვენივრად გამოიყენებს და იყენებს კიდეც ტერორისტული ძალები, რისი დასტურიცაა ის, რომ, უკვე რამდენიმე დღეა, თალიბები და ადგილობრივი მოსახლეობა პოლიციასა და გაეროს წარმომადგენლებზე თავდასხმებს განაგრძობენ.** ამ დაპირისპირებას უკვე მოჰყვა მსხვერპლი. კერძოდ, ერთ-ერთი თალიბი ტერორისტი ქაბულში, შსს-ს შენობაში შეიჭრა და კოალიციური ძალების ორი უფროსი ოფიცერი სიცოცხლეს გამოასალმა.

თუმცა ავღანეთში ანტიამერიკული განწყობის გაღვივებას ხელი შეუწყო ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ვირტუალურ სივრცეში გავრცელებულმა ვიდეოჩანაწერმა, რომელზეც ასახულია, თუ როგორ აშარდავს და შეურაცხყოფს ოთხი ამერიკელი ჯარისკაცი თალიბი მეომრების ცხედრებს. ეს მართლაც საშინელი და ამაზრზენი კადრია, რომელიც სულაც არ მეტყველებს ჰუმანურობისა და ტოლერანტობის მქადაგებელი ამერიკელების კეთილისმყოფელობაზე. საერთოდ, **ამერიკელების ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ისინი პატივს არ სცემენ იმ ქვეყნის ტრადიციებს, რომელშიც იმყოფებიან, რადგან უზენაესი და საუკეთესო მხოლოდ ამერიკული კულტურა ჰგონიათ.**

მაგრამ დღეს უკვე აშკარაა, რომ ანტიამერიკული გამოსვლები უკვალოდ არ ჩაივლის და, ავღანური სპეციფიკიდან გამომდინარე, ამერიკას ძალიან ბევრ დათმობაზე წასვლა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში უმართავი ქაოსი დაიწყება. მდგომარეობის სირთულეს, როგორც ჩანს, ნატოში კარგად აცნობიერებენ, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ალიანსის ხელმძღვანელობამ ავღანეთის სამინისტროებში დასაქმებული ყველა თავისი თანამშრომლი სასწრაფოდ გაიწვია. როგორც ავღანეთში ISAF-ის სამხედრო ძალების მეთაურმა ჯონ ალენმა განაცხადა: **„უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მივიღე სასწრაფო გადაწყვეტილება ქაბულის სამინისტროებსა და მის ფარგლებს გარეთ დასაქმებული ISAF-ის სრული პერსონალის გამოწვევის შესახებ“.**

და მაინც, სიტუაციის სერიოზულად გამწვავების შემთხვევაში, რა ახალი გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო? — გარდა იმისა, რომ უკვე სამხედრო მისიაში მყოფი ჯარისკაცების სიცოცხლეს საფრთხე სერიოზულად დაემუქრება, ქართული სახელმწიფო და საზოგადოება შეიძლება გახდეს ტერორისტების სამიზნე. **არ არის გამორიცხული, დღეს ავღანეთში არსებული ანტიამერიკული განწყობა თანდათან გავრცელდეს ამერიკის მოკავშირე ქვეყნებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ავღანეთის ოკუპაციაში.**

ეს მითუმეტეს სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის იმ ფონზე, როცა საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ შემოსვლის უფლება აქვთ ტერორისტებით სავსე რამდენიმე ისლამური სახელმწიფოს: არაბთა გაერთიანებული საამიროების, ქუვეითის, კატარის, ირანის, თურქეთის, ბაჰრეინის, ომანის, ბრუნეის, მალაიზიის, ერაყის, საუდის არაბეთის სამეფოს მოქალაქეებს. ცნობისათვის, ამ უკანასკნელი ქვეყნის მოქალაქეებმა ააფეთქეს 11 სექტემბერს ნიუ იორკის ცათამბჯენები.

გარდა ამისა, საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება აქვს ისლამური ფუნდამენტალიზმით გაჯერებულ ჩრდილოკავკასიის მოსახლეობას, სადაც, მოგეხსენებათ, ტერორიზმი სერიოზულად „ყვავის“. ამიტომ, ღმერთმა ნუ ქნას, ქართველი ჯარისკაცების ამერიკელების მხარდამხარ ავღანეთის სამხედრო ოკუპაციაში მონაწილეობის გამო შურისძიება დაისახონ მიზნად ფანატიკოსმა ისლამისტებმა და ჩვენს დედაქალაქში ან რომელიმე ხალხმრავალ ადგილას ტერორისტული აქტები მოაწყონ, რადგან ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სახიფათო და დამღუპველი შეიძლება გახდეს.

**ზურაბ ჯამბურია**



კარი გააღე, ნაძირალა, დემოკრატია მოვიდა.

**P.S. ტერორიზმი უნდა დამარცხდეს, რადგან ის თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი ბოროტებაა, მაგრამ იმის გაცნობიერებაც არ გვაწყენდა, რომ ტერორიზმის სათავე და მიზეზი ავღანეთში არ არის. მითუმეტეს კოალიციის ჯარების იქ ყოფნით ტერორიზმი ვერ ამოიშანთება, რადგან სანამ მარადტანჯული ავღანელი ერი უფლებააყრილი იქნება, ხოლო მათი სამშობლო — უცხო ძალის მიერ ოკუპირებული, წინააღმდეგობა არ შეწყდება, რადგან ეს უკვე მათი ღირსების საქმეა და თავისუფლებისმოყვარე ავღანელები საკუთარ მიწასა და ღირსებას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაიცავენ.**

**ნაც-რეალობა**

**იმ 3 კაცს, ვინც უჩავა მანქანით გაიტაცეს, იმავე დღეს მისცეს 15-15 ათასი ლარი, ხოლო იმ სოდელებს, რომლებიც ავტომანქანებიდან ამ სამეულს აზღვევდა და რომელთაც ხალხი დაცხრილეს რეზინისა და ცრემლსადენი ტყვიებით, 5-5 ათასი ერგოთ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფული, რომელსაც სისხლის სუნი ასდის

## ვანო მერაბიშვილი პრემიებს აძლევს იმ ხალხს, ვინც მისი დანაშაულებრივი საქმიანობის უშუალო მონაწილენი და აღმსრულებელნი არიან

**შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი თავის თანამშრომლებს, ძირითადად, მაღალჩინოსნებს, ოფიციალური პრემიების გარდა, ყოველთვიურად ნაღდი ფულით დამატებით სოლიდურ პრემიებსაც ურიგებს. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ეს არის საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხები, რომლებიც შსს-ს სპეცფონდებში ირიცხება. ამ საქმეში მერაბიშვილს მისი მასწავლებელი და ქვეყნის მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილიც ეხმარება, რომელიც დიდი ვანოს ჩრდილქვეშ იმყოფება და მისი ნების აღმსრულებელია.**



გარდა ოფიციალურად გადახდილი თანხებისა, ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა ნაღდი ფულით ქრთამს ართმევენ იმ ადამიანებს, რომლებიც შსს-ს კლანჭებში ხვდებიან. წამებით აღიარებითი ჩვენების მიცემას და მრავალწლიან პატიმრობას ეს ხალხი ფულის გადახდას ამჯობინებს. **სპეცფონდების მთავარი შემავსებლები ქართველი ბიზნესმენები და ის ჩინოვნიკები არიან, რომელთაც „ნაციონალური" კლანი ჯერ ფულს აშოვნინებს, მერე კი მოიძულებს და სხვადასხვა ბრალდებით იჭერს. ასევე, ხშირია ბიზნესმენთა მიერ ამ ფონდებში თანხების გადარიცხვის ფაქტები. ეს არის არაოფიციალური ქრთამი მერაბიშვილისთვის, რის საფასურადაც ბიზნესის ხელშეუხებლობასა და თავისუფლებას ყიდულობენ. მოკლედ, თუ ადრე დაბალჩინიანი პოლიციელები იღებდნენ ქრთამს და უფროსებს უნაწილებდნენ, ახლა პირიქით ხდება — კორუფციულ სისტემას მინისტრი აკონტროლებს და თანხას ზემოდან ქვემოთ ანაწილებს.**

მერაბიშვილს ამ პრემიების განაწილების მისეული კრიტერიუმები აქვს: რაც უფრო მაღალჩინოსანია შსს-ს თანამშრომელი, მით უფრო მეტ ფულს იღებს. მათ, ვინც პრემიას იღებს, კარგად იციან, საიდან მოდის ეს პრემიები. ამიტომაც, ბუნებრივია, სოდის, კუდის თუ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები უშუალოდ არიან დაინტერესებულნი, რაც შეიძლება მეტად შეანჯღრიონ ბრალდებული, რაც შეიძლება აგრესიული მეთოდებით დააშანტაჟონ, დააშინონ და აწამონ კიდეც, რათა მეტი ფული გადაახდევინონ სპეც-ფონდებშიც და ქრთამის სახითაც. შესაბამისად, თავადაც მეტს მიიღებენ მინისტრისგან.

ახლა კი იმ პრემიების შესახებ, რომლებითაც **მინისტრი თავის ხელქვეითებს ანებივრებს თუ ასაჩუქრებს უკანონო ბრძანებების შესრულებისთვის, ვანდალური ქმედებებისთვის, მიტინგების დარბევისთვის, ოპოზიციურად მოაზროვნეთა დევნისთვის, ქუჩაში ხალხის დახოცვისთვის თუ სხვა არაადამიანური ქმედებებისთვის.** ეს პრემიები იმ სისხლისა და ცრემლების საფასურია, რომელიც ქართველ ხალხს დაანთხევინეს და დაალვრევინეს ვანოს პაპუასებმა და არც მომავალში დაზოგავენ მათ. **შს მინისტრის მოადგილეები თვეში 35-40 ათას ლარს იღებენ პრემიად, თანხის ოდენობა კონკრეტულ თვეში სპეცფონდებში შეტანილი თანხის რაოდენობაზეა დამოკიდებული. პირველხარისხოვანი დეპარტამენტების უფროსები** (სოდი, კუდი, კრიმინალური, საპატრულო, ანალიტიკური, ფინანსური პოლიცია, გენინსპექცია) **თვიურად 25-30 ათასს იღებენ, მეორეხარისხოვნები კი — 20-25 ათასს** (ამ კატეგორიაში გადიან საგანგებო სიტუაციათა, პროტოკოლის, ექსპერტიზისა და სხვა დეპარტამენტები). **მინისტრმა ქვემდებარე სამსახურები თავად დაახარისხა. პირველი კატეგორიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები 15-20 ათას ლარს იღებენ, მათი „მეორეხარისხოვანი კოლეგები" — „მოჭრილად" 15-15 ათასს. სამინისტროს სპეცრაზმის უფროსი პირველი კატეგორიის დეპარტამენტის თავმჯდომარეებთანაა გატოლებული და 25-30 ათასს იღებს, მისი მოადგილეები კი, შესაბამისად, — 20-25 ათასს.**

**რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსებს ვანო მოჭრილად 20-20 ათასს უხდის, უფრო მეტი — 25-25 ათასი ემეტება მერაბიშვილს დიდი ქალაქების** (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი) **„შერიფებისთვის". თბილისის რაიონული პოლიციის სამმართველოს შეფები აშკარად დაჩაგრა ვანომ. მათაც იმდენივეს უხდის, რამდენსაც, ვთქვათ, ონის ან ვანის პოლიციის უფროსებს — 20-20 ათასს.** არადა, დანაშაული თბილისში მეტია, თან **თბილისელი პოლიციელები რომ ნარკოტიკსა თუ იარაღს**

## 26 მაისს ვინც თბილისში, რუსთაველზე, სისხლის გუბეები დააყენა, 3-3 ათასი გადაუხადეს

**უდებენ უდანაშაულო ადამიანებს და აუბედურებენ, იმდენს მათი რაიონელი კოლეგები რას დაიტრაბახებენ? შესაბამისად, თბილისელი პოლიციელების წვლილი მეტია სპეცფონდებში შენატან თანხებში.** გამოდის, თბილისელები თანარაიონელ კოლეგებზეც ზრუნავენ. აი, მესმის კოლეგიალობა!

**დიდი ქალაქების პოლიციის უფროსის მოადგილეები 10-12 ათასს იღებენ, ისევე, როგორც მათი კოლეგა-მოადგილეები თბილისიდან. შსს-ს განყოფილების უფროსებისთვის მინისტრი 15-20 ათას ლარს იმეტებს, მათი მოადგილეებისთვის — 10-15 ათასს. 15 ათასს ხეირობს ყოველთვიურად თბილისის მთავარი სამმართველოს სპეცრაზმის უფროსი,** გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მისი კოლეგა სამინისტროდან. აშკარა დასკრიმინაციაა — საპროტესტო აქციებს შსს-სა და თბილისის სამმართველოს სპეცრაზმელები ერთნაირი მონდომებით არბევენ, კაცი ვერ გაარჩევს, რომელი რომელია, ვანო კი, აქაოდა, მაინც სამინისტროს სპეცრაზმიაო, იმის უფროსს მეტს უხდის.

**მინისტრის მოადგილის სარგოს — 35-40 ათასს უხდის მერაბიშვილი აჭარის შს მინისტრს.** კაცმა რომ თქვას, ეკუთვნის — საზღვაო სეზონზე იქაური პოლიციელები გვარიანად ზრუნავენ იარაღისა თუ ნარკოტიკის ჩადებაზე, ბიზნესმენთათვის ფულის გამოძალვაზე და ამით ვანოს ფონდებს უვსებენ. თანაც, აჭარის შსს-ს სპეცსამსახურები პოლიტიკურ დაკვეთასაც კარგად ასრულებენ (ეკა ბესელიას შვილისა და ძმისთვის პროვოკაციის მოწყობა და დაჭერა, მურმან დუმბაძის დაჭერა, შარშან 21 და26 მაისის აქციების სასტიკად დარბევა, ოპოზიციის აქტივისტთა დაკავება და მათი ოჯახების დაწიოკება...). **25-30 ათასს აძლევს ვანო აჭარის შს მინისტრის მოადგილეებს, 25-30 ათასს — პირველხარისხოვანი დეპარტამენტების შეფებს, მეორე კატეგორიის დეპარტამენტების უფროსებს კი — 15-20 ათასს.**

**მერაბიშვილი გულუხვია ყველა სპეცოპერაციის მონაწილე თანამშრომელთა მიმართ, მით უფრო, თუ ეს სპეცოპერაცია ოპოზიციის წინააღმდეგაა მიმართული.** შარშან, 22 მაისს, გამთენიისას, ტელევიზიასთან მიმდინარე აქციაზე, მის ორგანიზატორებს ფუკასავით ააცალეს გენერალი გია უჩავა. ოპერაცია სოდმა ჩაატარა. **იმ 3 კაცს, ვინც უჩავა მანქანით გაიტაცეს, იმავე დღეს მისცეს 15-15 ათასი ლარი, ხოლო იმ სოდელებს, რომლებიც ავტომანქანებიდან ამ სამეულს აზღვევდა და რომელთაც ხალხი დაცხრილეს რეზინისა და ცრემლსადენი ტყვიებით, 5-5 ათასი ერგოთ.** გამოდის, უჩავას მოტაცება თუ მოტაცების იმიტაცია შსს-ს სულ რაღაც 100 ათასი ლარი დასჯდომია.

ასევე უხვად იხდის შს მინისტრი საპროტესტო აქციების დარბევასა და ხალხის ცემაში. **2011 წლის 21 და 26 მაისს ბათუმში აქციების ვანდალურად დამრბევ სპეცრაზმელებს 2000-2000 ერგოთ, ხოლო იმავე 26 მაისს ვინც თბილისში, რუსთაველზე, სისხლის გუბეები დააყენა, 3-3 ათასი გადაუხადეს.** ეტყობა, მერაბიშვილმა თბილისური აქციის არაადამიანურად დამრბევებს ხალხის დაღვრილი სისხლის საფასური გადაუხადა და ამიტომაც აჭარელ კოლეგებზე მეტი პრემია გასცა. **ყველა სპეცრაზმელი, როცა უქმადაა, ანუ აქციებს არ არბევს, ყოველთვიურად მაინც იღებს ვანოს ძღვენს — 1000 ლარს.** რიგით პოლიციელებს მერაბიშვილი ამ პრემიებს არ უხდის. ვანოს უთქვამს, ვისაც ხელფასი არ ჰყოფნის, წავიდეს, შეუცვლელი არავინ არისო. ცხადია, შეუცვლელნი არც პრემირებული ჩინოსნები და სპეცრაზმელები არიან, მაგრამ **ვანოს პოლიტიკა გასაგებია — ის ახალისებს იმ ხალხს, ვინც მისი დანაშაულებრივი საქმიანობის უშუალო მონაწილენი და აღმსრულებელნი არიან,** ვინც მის ნებისმიერ ბრძანებას წარბშეუხრელად ასრულებს და ფულის გამო მზადაა, მიტინგის დაშლისას საკუთარი დედაც კი გაიგდოს „დუბინკის" ქვეშ.

**„საქართველო და მსოფლიომ" კომენტარი ადვოკატ ქეთი ბექაურს სთხოვა.**

**— ქეთი, ჩვენი ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილი თავის თანამშრომლებს, ოფიციალურის გარდა, ნაღდი ფულით ყოველთვიურად სოლიდურ პრემიებს ურიგებს. თუ გსმენიათ ამის თაობაზე რამე?**

— ამ ქვეყანაში კიდევ გიკვირთ რამე? სავსებით შესაძლებელია, რომ ამ პრემიებს მართლა არიგებდეს, მით უფრო ახლა, როცა არჩევნები ახლოვდება და პოლიციას მრავალი უკანონობის შესრულება მოუწევს. შესაძლოა, წინასაარჩევნოდ მინისტრმა კიდევ უფრო გაუზარდოს ეგ პრემიები თანამშრომლებს.

**— ამ პრემიებს მინისტრი სპეცფონდებიდან იხდის, რომლებიც საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხებით ივსება...**

— კი, ალბათ, ასეა... **მარტო 2010 წელს საპროცესო გარიგებებიდან ბიუჯეტში 66 მილიონი ლარი ჩაირიცხა. ვიცი, რომ დიდი თანხები რაღაც ფონდებშიც ირიცხება.** ადრე მქონდა ასეთი შემთხვევა: ვიცავდი პიროვნებას, რომელსაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, მისმა ოჯახმა საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა რაღაც გაურკვეველ ფონდში, რომელსაც ერქვა „პროკურატურისა და ძალოვანი ორგანოების განვითარების ფონდი". ამ ფონდს ანგარიში ბანკ „რესპუბლიკაში" ჰქონდა გახსნილი, ანგარიშის ნომერი კი თავად პროკურორმა მომცა, აქ ჩარიცხეთ ფულიო.

**— ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ბრალდებულს ცალკე საპროცესო გარიგების თანხას ახდევინებენ ბიუჯეტში ან ფონდებში, ცალკე — ნაღდი ფულით. პროკურატურისა თუ პოლიციის დიდჩინოსნები ფულს სძალავენ, რომელსაც მერე პრემიის სახით ანაწილებენ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე. ამ პრაქტიკას ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორობისას დაედო სათავე. ბოლო ხანს ამგვარი ფაქტების შესახებ თუ გსმენიათ?**

— კი, ჩემი კოლეგებისგან გამიგია, რომ ზოგჯერ ბრალდებულს ორმაგად ახდევინებენ. პოლიციისა რა გითხრათ, მაგრამ არაერთი ადვოკატისგან მსმენია, რომ, **საპროცესო შეთანხმების თანხის გარდა, ნაღდი ფულით გადაუხდიათ პროკურატურაში თავისუფლების დამატებითი საფასური.** სამწუხარო ისაა, რომ ამას ვერავინ დაამტკიცებს, თუ იმან არ ამოიღო ხმა, ვინც იხდის. ჩვენი პროკურატურისა და პოლიციისგან ძლივს თავდაღწეული ადამიანები ამაზე გასაგები მიზეზების გამო არ ლაპარაკობენ. ხმა რომ ამოიღონ, ხელახლა დაიჭერენ.

**ლევან ჯავახიშვილი**

„ბრიყვის გარდა, დღეს ყველა ხვდება, რომ პრობლემებს ვერც ნატო მოგვიგვარებს და ვერც ევროკავშირი. ჩვენი პრობლემების გზა ჩვენსავე გონიერებასა და საქართველო-რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრაზე გადის. არავის გასაღიზიანებლად არ ვამბობ, მაგრამ დროა, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი სერიოზულად ჩაუღრმავდეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკურ კონცეფციას. სხვათა შორის, არც ესაა მარტო ჩემი მოსაზრება, ასე ფიქრობს უამრავი ადამიანი და მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანებთან ურთიერთობაში ეს თემა მუდმივად მუსირებს. ასე რომ, ყველა უნდა ამაღლდეს იმაზე, რასაც შური და გაუტანლობა ჰქვია, რადგან სამშობლოა გადასარჩენი.“

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზურაბ კვარაცხელია:

# დროა, ჩამოვაყალიბოთ ეროვნული გადარჩენის ფრონტი!

**სრულიად საქართველო, მისი მოსახლეობა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია. ზუგდიდში მოქმედი სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ არჩევნებში პირდაპირ არ მონაწილეობს, თუმცა აქტიურად არის ჩართული ჩვენი თვითმყოფადობის გადარჩენისთვის ბრძოლაში. იგი არამხოლოდ რეგიონული პრობლემების წარმოჩენითა და მოგვარებით არის დაკავებული, არამედ აქტიურად იბრძვის საერთო ეროვნულის, საერთო ქართულის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული ტრადიციების შესანარჩუნებლად და დასამკვიდრებლად. გვესაუბრება სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბატონი ზურაბ კვარაცხელია.**

## არ დავიღლები იმის გამეორებით, რომ ის ავადსახსენებელი საბჭოეთი უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას, ვიდრე დღევანდელი ფსევდო დამოუკიდებლობა

— ამ ბოლო დროს ამეკვიატა დიდი კონსტანტინეს ცნობილი ნოველა „ჯამუდან“ ერთი ფრაზა: „დიდხანს ვადექი თავზე გულნაღვლიანი და ვუყურებდი, თუ როგორ ერეოდა სიკვდილი ჩემი რასის ქედმაღლობას.“ სწორედ ეგრეა ახლა ჩვენი საქმეც. ვხედავთ, რომ ჩვენი მოდგმა დაღუპვის გზაზეა შემდგარი. ის, შესაძლოა, თავისი რამდენიმე ათასწლოვანი დიდი და არცთუ უსაფუძვლოდ საამაყო ისტორიის უკანასკნელ ათასწლეულებს ითვლის; ის, შესაძლოა, სამუდამოდ გაქრეს და შეუერთდეს გამქრალი ერების თუ ეთნოსების გრძელ ნუსხას. ჩვენ კი ჯერჯერობით უძლურნი ვართ, შევაჩეროთ ეს პროცესი, ჩვენ ჯერჯერობით არ აღმოგვაჩნდა საკმარისი ნებელობა, საერთო ეროვნული ძალისხმევით ვიბრძოლოთ და არ დავუშვათ მოსალოდნელი კატასტროფა. **არ დავიღლები იმის გამეორებით, რომ ის ავადსახსენებელი საბჭოეთი უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას, ვიდრე დღევანდელი ფსევდო დამოუკიდებლობა. დიახ, ასეთი დამოუკიდებლობისთვის არ უბრძოლიათ სულმნათ ზვიადს, სულმნათ მერაბს და სხვა მამულიშვილებს. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააუფასურა.** ამათ წაბილწეს ყველაფერი წმინდა და, რაც მთავარია, ჩვენს ერში თითქმის ჩაკლეს წინააღმდეგობის სურვილი, თუმცა იმედი მაქვს, რომ მათ ბოლომდე ეს მაინც ვერ მოახერხეს და, ერთხელაც იქნება, საღათას ძილიდან გამოსული ერი და ბერი იქუხებს.

**— ბატონო ზურაბ, როგორია თქვენი დამოკიდებულება კოალიციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ ?**

— თავისთავად ცუდი არაფერია იმაში, რომ პოლიტიკურ მზის ქვეშეთში ადგილის მოპოვება გვსურდეს, მაგრამ ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯი, მოქმედება თანხვედრაში უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებთან და ის არ უნდა ემსახურებოდეს უაღესად საეჭვო რეპუტაციის მქონე პოლიტიკანებს. არავის არა აქვს უფლება, საკუთარი უმწიკვლო რეპუტაციის მძევლად აქციოს უკეთესობის მოიმედე მოსახლეობა და აიძულოს ის, ანტიეროვნული ძალის მხარდამჭერად აქციოს, იმავე მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ. თუ ჩამეძიებით, გიპასუხებთ, რომ მე იქ რამდენიმე მიუღებელ ანტიეროვნულ პოლიტიკურ ძალას ვგულისხმობ, მაგრამ განსაკუთრებით მაინც „რესპუბლიკელების“ პრობლემა დგას. ნურავინ იფიქრებს, რომ ასე მხოლოდ ერთეულები ფიქრობენ. დანამდვილებით ვიცი, ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ჩვენ გვაქვს კავშირი ბევრ მათგანთან. საერთო განწყობა ასეთია: ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და სხვებმაც, ვისაც გააჩნია პიროვნული და ფინანსური შესაძლებლობები, ყოველივე ეს უნდა გამოიყენოს ეროვნულ-პატრიოტულ პლატფორმასთან მდგომი პოლიტიკური ძალის შესაქმნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმას, რომ არსებულ ანტიეროვნულ ხელისუფლებას ჩაენაცვლება ისეთივე ანტიროვნული ძალა.

**— რამდენიმე დღეში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი საქართველოზე და საერთოდ მსოფლიოზე?**

— აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის სურვილი, მომდევნო ხელისუფლებამ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ ზესახელმწიფო რუსეთთან. **ბრიყვის გარდა, დღეს ყველა ხვდება, რომ პრობლემებს ვერც ნატო მოგვიგვარებს და ვერც ევროკავშირი. ჩვენი პრობლემების გზა ჩვენსავე გონიერებასა და საქართველო-რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრაზე გადის. არავის გასაღიზიანებლად არ ვამბობ, მაგრამ დროა, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი სერიოზულად ჩაუღრმავდეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკურ კონცეფციას. სხვათა შორის, არც ესაა მარტო ჩემი მოსაზრება, ასე ფიქრობს უამრავი ადამიანი და მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანებთან ურთიერთობაში ეს თემა მუდმივად მუსირებს. ასე რომ, ყველა უნდა ამაღლდეს იმაზე, რასაც შური და გაუტანლობა ჰქვია, რადგან სამშობლოა გადასარჩენი.** დრო გადის. დღე დღეზე ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი გახდება, რაც აუცილებლად შეიტანს კორექტირებას მსოფლიო პოლიტიკაში. ჩამოყალიბდება ევრაზიული კავშირი, ჩვენი ხვედრი კი, დიდი ალბათობით, შესაძლოა, კვლავაც სატრანზიტო დერეფნად თუ საომარ პლაცდარმად არსებობა იყოს.

**— ბატონო ზურაბ, ახლა რაც შეეხება იმ მოძრაობას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ...**

— ზოგადქართული, ზოგადეროვნული პრობლემატიკის პარალელურად სამეგრელოს სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვცდილობთ, საკუთრივ რეგიონის პრობლემატიკაზე ვიფიქროთ და შეძლებისდაგვარად ვიზრუნოთ მეგრული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. მეტიც, მიმაჩნია, რომ ეს არა მხოლოდ მეგრული პრობლემა და მეგრელთა საზრუნავი, არამედ ზოგადეროვნული პრობლემატიკაცაა. ფაქტია, სამეგრელოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა დიდი საფრთხის წინაშეა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ენა, რომლიც უმთავრესი ნიშანია ჩვენი იდენტობისა. სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად ცდილობს, ამას მიაქციოს ყურადღება. ჩვენი წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე მოვალენი ვართ, გავაკეთოთ შეუძლებელიც კი, რათა უძველესი, უმდიდრესი, უმშვენიერესი და მისტიკური მეგრული ენა შევუნარჩუნოთ საკუთარ ჯიშს, ჯილაგს და მერე კი, რა თქმა უნდა, კულტურულ კაცობრიობას. **ჩვენი მოძრაობის ლიდერმა, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ მოძრაობის ერთ-ერთ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება.“ ღრმად ვარ დარწმუნებული რომ მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარებაზე ზრუნვა არის თითოეული მეგრელის ვალი, უფრო მეტიც: ეს არის ვალი თითოეული ქართველისა, თუ ამას გაითავისებს ყოველი ქართველი, მაშინ კოლხურ-იბერიულ ერთიან ეროვნულ სხეულს, მერწმუნეთ, რომ ბევრად ნაკლები საშიშროება დაემუქრება.**

რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, ჩატარდა რამდენიმე თემატური ღონისძიება. კერძოდ, ოფისში მოვიწვიეთ გამოჩენილი და ვიტყვი პირდაპირ გენიალური ენათმეცნიერი, ბატონი მამანტი ძაძამია, რომლის ლექციამ თემაზე „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია (სამწუხაროდ, ბატონი მამანტი მძიმე ავადმყოფია და მას ცოტათი მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება). ჩავატარეთ პოეზიის საღამო, რომლებზეც ბატონმა გიორგი შენგელიამ საზოგადოებას გააცნო შექსპირის სონეტების, ილიას, გალაკტიონის, ომარ ხაიამის ლექსების ბრწყინვალე მეგრული თარგმანები. მოვაწყვეთ შეხვედრა ცნობილ პოეტ და საზოგადო მოღვაწესთან, ბატონ რინოს კვარაცხელიასთან, რომლის არაჩვეულებრივი მეგრული და ქართული პოეზიის ნიმუშებით მოიხიბლა დამსწრე საზოგადოება. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მეგრული ენის პოპულარიზაციას. თითქმის ყოველდღიურად მოდიან გულანთებული ადამიანები და მათთან მსჯელობისა და აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ, ვცდილობთ ჩვენი იდეების ხალხში გატანას და აქტიურ პროპაგანდას. მართალია, მკაცრი ზამთრის პირობებში სირთულეები გვემატება, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს მაინც უსათუოდ გავაკეთებთ.

**— რას გვეტყვით ჩვენი ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე.წ. ანტისაოკუპაციო კვირეულის შესახებ — ზუგდიდის სკოლებში მოსწავლეებს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი ფილმი ინგლისურ ენაზე უჩვენეს...**

— საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მიბრძოლია, მისი ნამდვილი დამოუკიდებლობისთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კიდევ ვიბრძოლებ, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში ვხედავდით ე.წ. ანტისაოკუპაციო კვირეულის სახით სხვა არაფერია, თუ არა ანტირუსული ისტერია, მარაზმში გადასული. რაც შეეხება ამ ფილმს, რომელიც ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, როგორც ვიცი, ბევრმა მოსწავლემ პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი, რაც მაძლევს იმის იმედს, რომ ამ ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო ჩვენი ახალგაზრდობის გარყვნა. ისე, დიდი გულისტკივილით მაინც მინდა ვთქვა, რომ არსებული რეჟიმი ჯერჯერობით ახერხებს ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილის სხვადასხვა მზაკვრული ხრიკით ჩვენგან დისტანცირებას, მაგრამ ვიმედოვნებ, გაუცხოების დაძლევა შესაძლებელი გახდება“ .

**— ბატონო ზურაბ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გავრცელებული ვერსიით, ზუგდიდში „ცისფერების“ ბარიც გაიხსნა...**

— ეს შოკისმომგვრელი ამბავი მეც შევიტყვე. ჩვენ, რა თქმა უნდა, გადავამოწმებთ ამ ინფორმაციას და ღმერთმა ნუ ქნას, მართალი იყოს. თუმცა ასეთ ქვეყანაში უფრო უარესის მოლოდინშიც უნდა ვიყოთ. ამიტომ, **ჩემო ძვირფასო ზუგდიდელებო, მეგრელებო, კოლხებო, იბერებო — ქართველებო, გამოფხიზლდით და ნუ დაუშვებთ ჩვენს გადაშენებას, გადაჯიშებას, გადაგვარებას, გათახსირებას და დაღუპვას! ვისაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია მამულიშვილობის, ქრისტიანული ზნეობრიობის, ტრადიციულობისა და უცილობელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიკვდილისგან თავის დახსნის სურვილი, სათითაოდ მოვძებნოთ ერთმანეთი, მოვახდინოთ კონსოლიდაცია, ჩამოვყალიბდეთ მძლავრ პატრიოტულ ძალად და გავშალოთ მასშტაბური წინააღმდეგობის მოძრაობა. დროა, თუ უკვე დაგვიანებულიც არაა, ჩამოვაყალიბოთ ეროვნული გადარჩენის ფრონტი.**

საკითხი დგას ასე: ჩვენ უკვე ვდგავართ დილემის წინაშე — ან ვპოულობთ საკუთარ თავში ძალას და ერთიან უმძლავრეს ეროვნულ ძალად ჩამოყალიბებული ვიბრძვით გადარჩენისთვის, ან მამულს საჯიჯგნად ვუტოვებთ ერისა და ქვეყნის დაუძინებელ მტერს.

ესაუბრა
**ლადო ქირია, ზუგდიდი**

საფრთხე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეკლესიამ უფრო აქტიურად უნდა ებრძოლოს ამათ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ყველა სექტა შეგვეხო, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, რადგან ეკლესია აქტიურად ებრძოდა მათ და მაშინ ვერ მოიკიდეს ფეხი. სამწუხაროდ, ახლა ნამეტანი გათამამდნენ, რაშიც მათ ყველანაირად უწყობს ხელს ხელისუფლება, რადგან ხელისუფლებაც თავად არიან — „თავისუფლების ინსტიტუტში" და სხვა ამგვარ ეშმაკისეულ ორგანიზაციებში გამობრძმედილი ანტიმართლმადიდებლები."**

# მამა ელიზბარი: «თავისუფლების ინსტიტუტის» მამამთავარი და «ნაცმოძრაობის» იდეოლოგი ლევან რამიშვილი მორმონია!

**ლევან რამიშვილს ღმერთი და ხატი რომ არ სწამს, ამას არც თვითონ მალავს. სწორედ მისი და მისი თანაგუნდელების — „თავისუფლების ინსტიტუტის" ძალისხმევის შედეგად მიიღო პარლამენტმა ე. წ. კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც არამარტო ტრადიციულ კონფესიებს ანიჭებს პრივილეგირებულ მდგომარეობას საქართველოში, არამედ იმ რელიგიურ მიმდინარეობებსაც, რომლებიც ევროსაბჭოს თუნდაც ერთ ქვეყანაშია ლეგალიზებული. არადა, ევროსაბჭოს არაერთ ქვეყანაში მრავალი ულმერთო სექტა გატოლებულია ტრადიციულ კონფესიებთან. „თავისუფლების ინსტიტუტის" მხარდაჭერილი ეს კანონი შენელებული მოქმედების ნაღმია. კაცმა არ იცის, მომავალში რომელ მკრეხელურ, ღვთისმგმობელ სექტას გაუხსნის ხელისუფლება კარს და სასათბურე პირობებს შეუქმნის. ტრადიციულად, ამგვარი სექტების ლიდერებსა და მათ მიმდევრებს იმ ქვეყნებში, სადაც შედიან საქადაგებლად და დასამკვიდრებლად, ამერიკისა და ევროკავშირის რიგი ქვეყნებისა უკან დიდ ფულს მიადევნებენ-ხოლმე.**



ლევან რამიშვილი

საქართველოში კი უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა, ხალხს, არც მეტი, არც ნაკლები, შია და წამლის ფული არ აქვს. ქვეყანაში მრავლად არიან მცირედ მორწმუნენი, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოქალაქეთა 85% მართლმადიდებელია. დიახ, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო ნოყიერი ნიადაგია ათასი ჯურის სექტანტთათვის ფეხის მოსაკიდებლად.

„საქართველო და მსოფლიოს" სარწმუნო წყარომ მოაწოდა ინფორმაცია, რომ **ლევან რამიშვილს არა მარტო სექტანტების ბედი აწუხებს, არა მარტო მათი უფლებებისთვის იბრძვის, არამედ მას პირადი, პირდაპირი ინტერესიც აქვს, როცა ასეთი თავგამოდებით ეფოფრება ნებისმიერი სექტის მიმდევრებს. წყაროს ინფორმაციით, ლევან რამიშვილი მორმონია.** დაუდასტურებელი ინფორმაციით, მან უარყო მართლმადიდებლობა და მორმონთა რელიგიას ეზიარა, რომელიც თვით ამერიკაში, 50 შტატში იდევნება და მხოლოდ ერთ — იუტას შტატშია ლეგალიზებული. **ევროპის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მორმონთა სექტის რელიგიურ მიმდინარეობად აღიარებას აპირებენ, ულტრალიბერალური დემოკრატიის ჰოლანდიაა; ჰოდა, აი, საფრთხეც: ჰოლანდია ევროსაბჭოს წევრია. თუ ეს ქვეყანა მორმონებს სხვა რელიგიურ კონფესიებს გაუთანაბრებს, ჩვენი პარლამენტარების მიერ ხელაწეული კანონის თანახმად, მორმონები შემოვლენ საქართველოში და მოითხოვენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას, რაც მათ საქართველოში მოქმედ ტრადიციულ რელიგიებთან, მათ შორის, მართლმადიდებლობასთან გაათანაბრებს.**

ისე, რომ იცოდეთ, საქართველოში უკვე არიან მორმონთა სექტის მიმდევრები. თბილისში, ერთ-ერთი ცნობილი სასტუმროს მეპატრონენი მორმონები არიან, ისინი ნომრებში კლიენტებს სპეციალურად ახვედრებენ ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილ ილუსტრირებულ მორმონულ ლიტერატურას. მართალია, ჯერ ცოტანი არიან, მაგრამ, თუ წყაროს დავეყრდნობით, მათ ისეთი პატრონი ჰყავთ, მალე მომრავლდებიან — „თავისუფლების ინსტიტუტს" ფული არ უჭირს, ლევან რამიშვილი კი არა მარტო ამ ინსტიტუტის მთავარი იდეოლოგია, არამედ ხელისუფლების „რუხი კარდინალიც".

**მორმონთა სექტა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. სექტა დააარსა ჯოზეფ სმიტმა. მას მიმდევრები წინასწარმეტყველად მოიხსენიებენ. სმიტი სწორუპოვარი თაღლითი იყო. 1926 წელს იგი მკითხაობისა და ჯადოქრობის გამო დააპატიმრეს, მერე ყალბი ფულის ბეჭდვაშიც ამხილეს.E სმიტი ხალხს ღმერთის სახელით ელაპარაკებოდა, ატყუებდა. ნიუ იორკში ყელში ამოუვიდათ სმიტის ცრუპენტელობა და პოლიციის ძალით გაყარეს ის და მისი მიმდევრები შტატიდან. ისინი ოჰაიოში გადაბარგდნენ. აქედანაც გაყარეს და მინესოტას მიაშურეს, მაგრამ ხალხი ყველგან მტრულად იყო განწყობილი სმიტისა და მისი თაღლითების მიმართ. მინესოტადან გამოძევებულებმა ილოინოისის შტატს მიაშურეს, აქედანაც გაყარეს და ბოლოს იუტას შტატში დამკვიდრდნენ.**

კომპლექსიანი თუ სიძვისმოყვარული მამაკაცები (ქალებიც) მორმონებს იმიტომ უერთდებოდნენ, რომ სმიტმა შემოიღო მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა. ერთ მამაკაცს ერთდროულად შეეძლო იმდენი ცოლი ჰყოლოდა, რამდენსაც გასწვდებოდა. თავად სმიტს 27 ცოლი ჰყავდა.

სექტის წევრი ჯონ ბენეტი 1844 წელს განუდგა ჯონ სმიტს და პოლიციაში მისი ცრუ ქადაგებები, აღვირახსნილობა ამხილა. **სმიტს არაერთი ურჩი სექტანტის მკვლელობაც ედებოდა ბრალად, რომელთაც სექტის დატოვება სურდათ, „მამამთავარმა" კი ისინი დახოცა. სმიტი და მისი ძმა დააპატიმრეს და პოლიციის დილეგში ჩასვეს. ხალხი გამოძიებასა და სასამართლოს აღარ დაელოდა, აღელვებული და ბრბოდქცეული დილეგში შეიჭრა, პოლიციამ სროლა ატეხა, რის დროსაც სმიტი და მისი ძმა დაიღუპნენ.**

1877 წელს სმიტის მემკვიდრე ბრაიმიანგი გახდა, რომელსაც 30 ცოლი ჰყავდა. შეშინებულმა იანგმა სექტანტები იუტას შტატში გადაიყვანა. მორმონებმა არაერთხელ მიმართეს იუტას შტატის მმართველებს, რომ მათთვის ლეგალური არსებობის უფლება მიეცათ, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება, მრავალცოლიანობის ტრადიციის გამო, უარს აცხადებდა. 1890 წელს მორმონებმა ოფიციალურად უარი თქვეს მრავალცოლიანობაზე. 1896 წელს კი იუტას შტატში მათ ლეგალიზაციას მიაღწიეს. თუმცა მორმონებმა მოატყუეს შტატის მესვეურნი, ლეგალიზაციის მერე მრავალცოლიანობა არაოფიციალურად აღადგინეს.

**სექტაში ავტორიტარიზმი და ტოტალური კონტროლი სუფევს. ითრგუნება პიროვნება და იდევნება განსხვავებული აზრი. თითოეული სექტანტი ვალდებულია, თავისი შემოსავლის 10% ორგანიზაციას შესწიროს. რიგითმა მორწმუნეებმა არ იციან, რომ სექტაში არიან „სიკვდილის ანგელოზები" — ჯალათები, რომლების ლიდერის მიერ მოძულებულ წევრებს სჯიან, ზოგჯერ, სიკვდილით.**

**საქართველოში მორმონები პირველად 90-იან წლებში ჩამოვიდნენ. მას შემდეგ ავრცელებენ თავიანთ ლიტერატურას, ხსნიან საქველმოქმედო ფონდებს, მიუსაფართა თავშესაფრებს, უცხო ენებისა და კომპიუტერის უფასო კურსებს და თან ფრთხილად, შეპარვით ქადაგებენ თავიანთ „რელიგიას".**

ავტორიტარიზმი, ადამიანთა ტოტალური კონტროლი, განსხვავებული აზრის დევნა, ხშირად ამგვარი ადამიანების დასჯა და სექტის მუდმივი პროპაგანდა, სადამსჯელო რაზმები — „ზონდერები", ლიდერის ბრძანების განუხრელად შესრულება — ეს ყველაფერი „მორმონთა სექტასა" და ჩვენს ხელისუფლებას აერთიანებს. მათაც იგივე წესები აქვთ, იგივე დიქტატორული და ავხორცული მიდრეკილებები ახასიათებთ, როგორიც ჩვენი ხელისუფლების მრავალ წარმომადგენელს. რაც მთავარია, **ამ ყველაფრის შერბილებას ყველაზე თავგამოდებით „თავისუფლების ინსტიტუტელი" პოლიტიკოსები ცდილობენ — დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეგ ყველაფერი გეჩვენებათო. ამ უბედურებათა იდეური მამები „თავისუფლების ინსტიტუტში" სხედან.**

ამ ყველაფრის მერე, რატომ გვიკვირს ე. წ. კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც პარლამენტმა რიხით მიიღო? ამ პარლამენტს ხომ „თავისუფლების ინსტიტუტიდან" გამორჩეკილი დეპუტატები მწყემსავენ; ამათი მამამთავრები კი უმაღლეს ხელისუფლებაში არიან, რომელთა უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება დაასუსტონ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ერთმანეთს წაჰკიდონ მღვდელმთავრები, დააკნინონ კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტი და გავლენა. **ამ ჯგუფის ოცნებაა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაშალონ, იგივე დამართონ, რაც საბერძნეთის ეკლესიას დაემართა და მათი ბინძური ვნებების, ზრახვების ერთადერთი შემაკავებელი მცირე ეპარქიებად დააქუცმაცონ.** ამას ჯერ ღიად ვერ ამბობენ, ხალხის რისხვისა ეშინიათ, მაგრამ **მათი საქმიანობა პოლიტიკაში, არასამთავრობო სექტორში თუ მედიაში ყოველდღიურად ადასტურებს, რომ გაალმასებულნი იბრძვიან თავიანთი სანუკვარი მიზნისთვის. რელიგიურ უმცირესობებზე ზრუნვაც ამ გეგმის ნაწილია.**

ღმერთმა ნუ ქნას, საწადელს მიაღწიონ, თორემ, თუ ეკლესია დაუძლურდა, საქართველოს რაც დარჩა, ბითუმად გაყიდიან უცხოელებზე, ხალხს კი მართლა სულს ამოხდიან. საამისო მეთოდები ოხრად მოიძებნება ამ ულმერთოთა არსენალში.

**ლევან რამიშვილის გამორმონებისა და „თავისუფლების ინსტიტუტში" შეყრილი სხვა სექტანტების შესახებ „საქართველო და მსოფლიო" მამა ელიზბარს (დიაკონიძე) ესაუბრა.** მას დიდად არ გაჰკვირვებია რამიშვილის გაურჯულოების ამბავი.

— დაუჯერებელი და გასაკვირი არაფერია მაგ ამბავში. მე როგორც ვიცი, „თავისუფლების ინსტიტუტის" მამამთავარი და „ნაცმოძრაობის" იდეოლოგი ლევან რამიშვილი მორმონია. იგი იუტას შტატში სწავლობდა, სადაც მორმონთა სექტის ცენტრი მდებარეობს. სხვათა შორის, ვინც იუტაში ჩადის სასწავლებლად, ყველა პირობას უქმნიან, მორმონი გახდეს. ერთი ჩემი ნათესავი ბიჭი გააგზავნეს ამ რამდენიმე წლის წინ იუტაში სასწავლებლად. იძულებული გახდა, მორმონი გამხდარიყო, თორემ აგდებდნენ უნივერსიტეტიდან. მე ამ ჩემს ნათესავს კი არ ვამართლებ, რაც იყო, იმას გიყვებით. ეს ბიჭი მერე, საბედნიეროდ, ხელახლა მოინათლა ქრისტიანად. აი, **ლევან რამიშვილი** ამას არ იზამს, ის **მორმონია, დარჩება მორმონად და მართლმადიდებლობის მტრად.**

**— ლევან რამიშვილი არ არის ერთადერთი ამ ინსტიტუტიდან, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვმიტანილია სექტანტობაში. ამ ულმერთო ორგანიზაციაში მრავლად არიან სხვადასხვა სექტის მიმდევრები. როცა ისინი რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს იცავენ, გამოდის, სხვისი უფლებები კი არ ადარდებთ, საკუთარი უფლებებისთვის იბრძვიან.**

— კი, **თავიანთ უფლებას აკანონებენ, ძირს უთხრიან ქართულ ეკლესიას და თან ამაში გრანტებს იღებენ უცხოეთიდან. თავიანთი აღვირახსნილობით, უზნეო ქმედებებით, ამ ხალხმა დიდი საფრთხე შეუქმნა მართლმადიდებლობას საქართველოში.** ჯანდაბას, დაიცვან თავიანთი უფლებები, მაგრამ ჩემს ხარჯზე, უმრავლესობის ხარჯზე ნუ დაიცავენ, რელიგიური უმრავლესობის უფლებებს ნუ ლახავენ.

**— მორმონებს აქვთ უზარმაზარი ფინანსური რესურსი, „თავისუფლების ინსტიტუტი" გრანტებს არ დაიშურებს იმ ადამიანებისთვის, ვინც მორმონი გახდება. იქ ფულიც და ძალაუფლებაც რამიშვილის ხელშია. ასე შემოიკრებს თანამოაზრეებს და იელოველები მოგვენატრება.**

— არის ამის რეალური საფრთხე, მით უფრო, როცა ამდენი გაჭირვებულია ქვეყანაში....ეგენი იბრძვიან თავის დასამკვიდრებლად, ჩვენც უნდა ვებრძოლოთ, დასაგმობი დაAაღსაკვეთი უნდა აღვკვეთოთ, ცხადია, მისაღები მეთოდებით. ურჯულო სექტანტებს არ უნდა მივცეთ ქადაგების საშუალება. სამწუხაროდ, ჩვენს ეკლესიაში ბევრი ასე არ ფიქრობს: იყვნენ, იქადაგონ თავიანთი სისულელეები, ჩვენ ჩვენი ვთქვათო. იმაზე არ ფიქრობენ, ქადაგების გარდა, ათასი ბინძური მეთოდით რომ იბირებენ ხალხს. **ეკლესიამ უფრო აქტიურად უნდა ებრძოლოს ამათ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ყველა სექტა შეგვეხო, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, რადგან ეკლესია აქტიურად ებრძოდა მათ და მაშინ ვერ მოიკიდეს ფეხი. სამწუხაროდ, ახლა ნამეტანი გათამამდნენ, რაშიც მათ ყველანაირად უწყობს ხელს ხელისუფლება, რადგან ხელისუფლებაც თავად არიან — „თავისუფლების ინსტიტუტში" და სხვა ამგვარ ეშმაკისეულ ორგანიზაციებში გამობრძმედილი ანტიმართლმადიდებლები.**

**ჯაბა ლეონიძე**

„პროკურორი კახა ცნობილაძე პასუხისგებაში მიცემულ ადამიანებს შეღავათიან ფასში სთავაზობდა იურიდიულ მომსახურებას და სანაცვლოდ მათგან იღებდა ფულს, რის შედეგადაც სახეზე იყო ტიპიური კორუფციული გარიგება.“



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტახი, როგორც 25-წლიანი განაჩენის პაროლი

## «ეს იყო ღია მუქარა, რომ, თუ კალაძის საქმეზე დაკავებული პირი შეთანხმებაზე არ წავიდოდა, სასჯელი იქნებოდა მაქსიმალურად მკაცრი»

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ამასწინათ პროკურორი კახა ცნობილაძე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა. როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო აღნიშნული, მან, უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით, საკუთარი იურიდიული კომპანია შექმნა და თავის წარმოებაში არსებულ საქმეებში ბრალდებულის სტატუსის მქონე პირებისგან, იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, ფულად გასამრჯელოს იღებდა; კონკრეტულად რა სქემით მოქმედებდა იგი და რა ზემოქმედებას ახდენდა დაკავებულებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო საზოგადოება – ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი მედეა კორკოტაშვილი.**

— მთავარი პროკურატურის პროკურორი კახა ცნობილაძე, რომლის სახელიც დაკავშირებულია უამრავ უკანონო და უსამართლო განაჩენთან, მოგეხსენებათ, კორუფციის ბრალდებით დააკავეს. საუბარი იყო იმაზე, რომ იგი პასუხისგებაში მიცემულ ადამიანებს შეღავათიან ფასში სთავაზობდა იურიდიულ მომსახურებას და სანაცვლოდ მათგან იღებდა ფულს, რის შედეგადაც სახეზე იყო ტიპიური კორუფციული გარიგება.

...გახმაურებული ამბავია, 2006 წლის 16 თებერვალს პეტერბურგში კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს ლევან ცინცაძე. იგი თბილისში ექსტრადირებულიც არ იყო, როდესაც კახა ცნობილაძემ მისი ოჯახის წევრები დაიბარა გენერალურ პროკურატურაში და შესთავაზა, წასულიყვნენ საპროცესო შეთანხმებაზე. ბრალდებულის ოჯახმა უარი თქვა ამაზე, ვინაიდან ცინცაძე ბრალდებას არ აღიარებდა. მაშინ ცნობილაძე დაემუქრა, გაგამწარებთო. ანუ ის პირდაპირ დაემუქრა ცინცაძის ოჯახს, რომ, თუ შეთანხმებაზე უარს იტყოდნენ, საქმე ცუდად წაუვიდოდათ... ეს იყო ღია მუქარა, რომ სასჯელი იქნებოდა მაქსიმალურად მკაცრი. მსგავსი ზემოქმედება სხვა ფორმითაც ხორციელდებოდა, მაგალითად საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი და, ასე ვთქვათ, „გამხსნელი“ ამისულაშვილის ადვოკატი ლევან ცინცაძის დედასთან შინ მივიდა და უთხრა, კარგი ოფისი გაკეთდებოდა ამ ბინაშიო. ხომ ხვდებით, რაზეც მიანიშნა?! — თუ დათმობაზე არ წახვალთ, ქონებასაც წაგართმევენო. სხვათა შორის, იმ დღეს, როცა ლევან ცინცაძის განაჩენი გამოაცხადეს, კახა ცნობილაძემ მოსამართლის გასაგონად ჩაილაპარაკა: გუშინ სანადიროდ ვიყავი და ოცდახუთკილოიანი გარეული ღორი მოვკალიო. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოცდახუთი წლით...

**— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ესეც მინიშნება იყო?**

— რა თქმა უნდა, ამით მან ერთგვარად შეამზადა სასამართლო კოლეგია იმ განაჩენისთვის, რომლის გამოტანაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, უფრო მეტიც: ეს იყო აშკარად მოსამართლის გასაგონად ნათქვამი ფრაზა, რომ მას პატიმრობის ზუსტად ის ვადა გამოეტანა, რაც ბრალდებას სურდა, და პროკურატურის „შეკვეთა“ ზუსტად შეესრულებინა. მართლაც, მოსამართლე ნინო ელეიშვილმა სხაპასხუპით ჩაარაკრაკა ტექსტი და ისე, რომ არავისთვის შეუხედავს, დაახეთქა 25-წლიანი განაჩენი მაგიდაზე.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ იყო პროკურატურა ასე დაინტერესებული საპროცესო შეთანხმებით?**

— ჩემი აზრით, ისინი, უბრალოდ, ჩიხში მოექცნენ საქმის წარმოების პროცესში, ვინაიდან ბრალდება, რომელიც ლევან ცინცაძეს წაუყენეს, გამოძიებამ ვერანაირად ვერ დაამტკიცა და დაასაბუთა. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმება, მსგავს შემთხვევებში, გასაგებ მიზეზთა გამო ყოველთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ბრალდებულის ციხეში ჩასმა. მაგრამ ვინაიდან ლევან ცინცაძე დანაშაულს არ აღიარებს, ის არ დათანხმდა საპროცესო გარიგებას, რაც მისი მხრიდან იქნებოდა აღიარება, რომ დამნაშავეა.

**— თქვენ თქვით, რომ საპროცესო გარიგების მისაღწევად ლევან ცინცაძის ოჯახს გარკვეული ფორმით ემუქრებოდნენ, უშუალოდ მსჯავრდებულს თუ სთავაზობდნენ შეთანხმებას?**

— ფიზიკური ან რამე სხვა სახის ზემოქმედება ნამდვილად არ ყოფილა, რაც შეეხება შეთავაზებას, **მასთან პირადად შედიოდა პროკურორი ცნობილაძე ადვოკატ პატარავასთან (რომელიც ამჟამად დაკავებულია) ერთად და „ურჩევდა“, დათანხმებოდა საპროცესო გარიგებას. მეტიც, მას შესთავაზეს, ხელი მოეწერა შეწყალებაზე, მაგრამ ლევან ცინცაძემ უარი განაცხადა;** თუკი ბრალდება დარწმუნებული იყო, რომ ცინცაძემ დანაშაული ჩაიდინა, მაშინ... რას ნიშნავდა ეს შეთავაზება, გაუგებარია. ეს გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ იმის დემონსტრირებად, რომ ბრალდების მხარე თვითონაც ხვდება — საქმე თეთრი ძაფით არის შეკერილი და ცდილობს, შეწყალების სანაცვლოდ მოიპოვოს აღიარებითი ჩვენება.

**— მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს საქმე წარმოებდა, ლევან ცინცაძის ოჯახმა რომელიმე საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციას თუ მიმართა ან სტრასბურგის სასამართლოში თუ აპირებენ სარჩელის შეტანას?**

— სტრასბურგში მათ უკვე შეიტანეს სარჩელი და არ გაჩერდებიან, სანამ სიმართლე არ დადგინდება. დღესდღეობით საქართველოში უამრავი მსჯავრდებულია, რომლებიც სასჯელს დაუმსახურებლად იხდიან. მიგვაჩნია, რომ ყველა ისეთ საქმეზე, რომელიც თეთრი ძაფითაა ნაკერი, უფლებადამცველებმა ხმა უნდა აღიმაღლონ, უნდა იყოს სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. და ეს თუ წესად დამკვიდრდება, მერწმუნეთ, უამრავი ადამიანი გადაურჩება დაუმსახურებელ სასჯელს და საზოგადოებაშიც აღარ იქნება დაუცველობის განცდა, რომ აქ სიმართლის დადგენა შეუძლებელია და ნებისმიერი რამის გამო შეიძლება აღმოჩნდე ციხეში.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# პირშიბოლოკგაჩრილი გოჭი და პირშიჩალაგამოვლებული საქართველო



**არ ვიცი, რომელი თებერვალი იგულისხმებოდა, როცა თქვეს, „თებერვალი დადგაო ხეში წყალი ჩადგაო“, მაგრამ ხუთ ათეულ წელს გადავაბიჯე და, რამდენადაც ვიცი, თებერვალი ყველაზე სუსხიანი და თოვლიანი თვეა საქართველოში. თუმცა წლევანდელ უჩვეულოდ ცივ თებერვალ-ზამთარზე ისე ვერ ვილაპარაკებ, თუ შემოდგომა და 7 ნოემბერი არ გავიხსენე.**

ჯერ იყო და, 70 წელიწადი გვაზეიმეს ბოლშევიკებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მორიგი თუ შიგადაშიგ საიუბილეო წლისთავები, თუმცა „ცოდვა გამხელილი სჯობს“ და გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან (ანუ იმ დროიდან, რომელსაც დაემთხვა ჩემი ყრმობა და სიყმაწვილე) თვით საბჭოთა პოლიტბიუროშიც კი სერიოზულად აღარავის სჯეროდა, რომ კომუნიზმის მწვერვალები ერთი ხელის გაწვდენაზე იყო.

ჩვენთვის, დიდი საბჭოეთის პატარა საქართველოსთვის, 7 ნოემბერი ერთმანეთზე მიყოლებულ რამდენიმე უქმე დღეს, მოახლოებულ ზამთრის სიცივეს და ინდაურის საცივის სეზონის გახსნას უფრო ნიშნავდა, ვიდრე კომპარტიულ ზეიმს — ერთს ჩავივლიდით ჩვენს „წითელ მოედანზე“, რუსთაველზე, ტრიბუნაზე მდგომ ჩვენს ეროვნულ პოლიტბიუროს მივესალმებოდით, ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძის თამადობით და საკუთარ, სინათლე-სითბოთი გაჩახჩახებულ-გაღუღუნებულ ბინებს მივაშურებდით, სადაც ყველას, განურჩევლად ერისა, სქესისა თუ დაკავებული იერარქიული საფეხურისა, მსუყე ქართული პურმარილი გველოდა, საცივში „ჩადობილი“ ინდაურითა და პირში ბოლოკგაჩრილი შემწვარი გოჭით.

ახლა? ანუ ზურიკელა ვაშალომიძის სკოლის დირექტორის დასმული კითხვის პერიფრაზით — როგორია ვითარება დემოკრატიის შუქურა საქართველოში?

რა თქმა უნდა, ახლა ყველაფერი პირიქითაა, 2007 წლის 7 ნოემბერს გარდაიცვალა მითი, როგორც საქართველოს დემოკრატიის შუქურობისა, ასევე მისი პრეზიდენტის შუქურვარსკვლავობისა. 7 ნოემბრის წითელი ფურცელი ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს ამოხიეს კალენდრიდან, მაგრამ სამაგიეროდ „ნაცებმა“ ჩააწებეს ისევ, ოღონდაც შავი ფერის ფურცლად.

კომუნისტებისა არ იყოს, დღეს აღარც „ნაცებს“ სჯერათ საკუთარი „კომუნიზმის“, ანუ, ნატო-ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისა, მაგრამ იმ სკამის შესანარჩუნებლად დღე და ღამ გვაბრიყვებენ — ოღონდ ახალი, თანამედროვე უტოპიით, ე. წ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსით და თუნდაც 26 მაისს სისხლით შეღებილ რუსთაველზე, აღლუმების გამართვასაც არ თაკილობენ.

და აი, მივადექით წერილის მთავარ თემას...

**იმ „საზიზღარი“ კომუნისტების დროს, გარდა ზემოთ უკვე ნახსენები „ბოროტებებისა“, კიდევ ერთი უცნაური ახირება ჰქონდათ მაშინდელ მმართველებს — 24 საათიანი, პრაქტიკულად, უფასო შუქი და გაზი ხომ გვქონდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხელი წყალიც კი მოთხრიშინებდა ონკანებში (ვინ იცოდა მაშინ ატმორ-დვიჟოკები ან საით ტრიალებდა ელექტრო „სოჩიკი“). ამ „წამებასაც“ აღარ გვაკმარებდნენ და საშვიდნოემბროდ აშკარა „სადიზმზე“ გადადიოდნენ — ცენტრალურ გათბობას ჩართავდნენ ხოლმე.**

მიხვდებოდით უკვე: ეს სტატია იმათ პასუხად იწერება, ვინც თავი წაგვჭამა და ყელში ამოგვიყვანა — ახლა შუქი და გაზი რომ გვაქვს, დაგავიწყდათ რომ მიშას მოსვლამდე არ გქონდათო?!

**როგორც ზემოთ ვნახეთ, მიშამდეც და უფრო მეტიც, „გრიშამდეც“ კი, გაზიც გვქონდა, შუქიც, გოჭ-ინდაურიც სუფრაზე და „კიდო“ 24-დღიანი უფასო საგზურები ლებარდეში, მაგრამ ის ქვეყანა მაინც დავანგრიეთ...**

**წელს ნამეტანი ცივი თებერვალი დაგვიდგა. მიშნაცებს რომ ჰკითხო, გაზიც მაქვს და შუქიც, მაგრამ რად გინდა? — შუქს, როგორც წესი, ისე ეკონომიურად ვხმარობ, რომ პრაქტიკულად ტელევიზორის შუქზე ვცხოვრობ ზამთარ-ზაფხულ. გაზია და ჩაის ასადუღებლად თუ გავრისკავ ანთებას, თორემ გასათბობად რომ ავანთო გაზის ღუმელი (რომელიც იმდენად დიდი ხანი არ აგვინთია, რომ აშკარად კონტექსტიდან ამოვარდნილივით არის კედელზე აკრული), იმისთანა კივილს მორთავს ჩემი გურული(!!!) ცოლი — შე სასიკვდილე, მაგის ფულს ვინ და რა გადაიხდისო და მართლაც, ისეთი თანხა მოგივა თვის ბოლოს ქვითარზე „ამოქარგული“, რომ სულს გაგიყინავს.**

რასაც, დიდი ალბათობით, მართლაც ვერ გადაიხდი და ყოველგვარი ალბათობის გარეშე, უეჭველად მოვარდებიან „ყაზტრანსგაზის“ ტერორისტები, დაგილუქავენ ვინტილს და საჩაიე გაზიც სანატრელი გაგიხდება. ასე რომ, დავბორიალობთ მე და ჩემი თანამეცხედრე გაყინულ-ჩაპოლუმრაკებულ ბინაში პალტო-დუბლიონკებში ჩაფუთნულები, რადგან ჯობია, ნაღდი იყოს და თუნდაც მხოლოდ ცხელი ჩაი (იქნებ მდუღარე წყლით მაინც გათბე ძილის წინ)...

არა, ძმაო! 90-იანების ომი და უბედურება ვის ენატრება, მაგრამ ერთი რამ მაინც მენატრება იმ დროისა — მეტ-ნაკლებად სუფევდა სოციალური სამართლიანობა — მდიდარსაც და ღარიბსაც მეტ-ნაკლებად ერთნაირად სციოდა, რადგან ორივენი ბედკრული, უშუქ-უგაზო, ჩაბნელებული საქართველოს შვილები იყვნენ!

დაახლოვებით იმავეს ვუპასუხებ იმათ, ვინც კომუნისტებისადმი ნოსტალგიას დამწამებს, ოღონდაც ასინეთა-სეთურისა არ იყოს, ოდნავ პირიქით — ბრეჟნევის „Миру мир“ ჩლიფინი და პროგრამა „время“ ვის ენატრება, მაგრამ მშვიდობაც რომ გვქონდა და სოციალურად დაცულებიც ყველანი ვიყავით, ესეც ნაღდია, რადგანაც ყველანი ბედკრული საბჭოეთის შვილები გახლდით.

ბრეჟნევის „время“, მიშას ქრონიკა-კურიერთან შედარებით, რომ უცოდველი ბავშვის ტიტინი იყო, ამაზე არაფერს ვიტყვი...

ასე რომ, ჩემო კეთილებო, როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით, გაზაფხული ხომ უეჭველად მოვა და ამბობენ, შემოდგომაზე ბიძინა ივანიშვილიც მოვაო. ჰოდა, იქნებ, როგორც მშობლიურ საჩხერეს უხდიდა წლების მანძილზე, ისე თბილისსა და მთელ საქართველოსაც მოგვცეს „საგათბობო და სასინათლე მინიმუმი“, სანამ ეკონომიკურად სულს მოვითქვამთ? რადგანაც ჩინოსნებმაც და უჩინოებმაც თამამად ავანთოთ გაზი თუ შუქი. და არა ისე, როგორც ახლაა, მაძღარ-გაღუღუნებული ხელისუფალი რომ მოგიწოდებს, შიმშილ-სიცივე დაითმინე, თუ გინდა, რომ ნატოში შევიდეთო, ეს იგივეა კახელი გლეხი რომ შეუძახებს ჩოკინას — აცე, ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვაო!..

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისრაელის პრეზიდენტს რონი ფუქსის დაბადების დღეზე შევხვდი. მან მადლობა გადამიხადა თანამემამულეების დაცვისთვის. მომხდარმა, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა მოახდინა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზე. 14 თვის განმავლობაში, რაც ებრაელები დაპატიმრებულები იყვნენ, არც ერთი ოფიციალური დელეგაცია საქართველოდან ისრაელში არ ჩასულა. გაუქმდა რამდენიმე ვიზიტი. ამ შემთხვევაში ის კი არ არის მთავარი, ჩაიდინეს თუ არა მათ დანაშაული, ეს ადამიანები ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის მოწვევით ჩამოვიდნენ და, როდესაც ქვეყნის პირველი პირი სტუმრად მოწვეულ ადამიანს ბორკილებს ადებს, ეს გაუგებარია და არანაირ მორალურ ჩარჩოებში არ ჯდება.“**

# არჩილ კბილაშვილი: უცხოელ ინვესტორებს ჩვენი ქვეყნის მიმართ არასტაბილურობის შეგრძნება აქვთ

**წარმატებული ადვოკატის პოლიტიკურ ამპლუაში წარმოთქმულმა პირველივე განცხადებამ აჟიოტაჟი გამოიწვია. რატომ არ აქვთ პოლიტიკაში ყოფნის უფლება „სექსუალური ლტოლვის ადრეფიზიოლოგიურ ეტაპგადაულახავებს“, რატომ გადაწყვიტა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და როგორ ესახება „ქართული ოცნების“ მომავალი, ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრი არჩილ კბილაშვილი.**



**— წარმატებულმა ადვოკატმა რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და რატომ აირჩიეთ ბიძინა ივანიშვილის გუნდი?**

— ჩემი გადაწყვეტილება რამდენიმე გარემოებამ განაპირობა: პირველი და უმთავრესი ჩემთვის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი აღმოჩნდა. ეს ადამიანი ყველასთვის უხილავი, მაგრამ თავისი მასშტაბური ქველმოქმედებით მაინც ცნობილი იყო. ამას გარდა, მან მშვენივრად მოახერხა, ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების ერთგული ყოფილიყო და პარალელურად, ეროვნული, მართლმადიდებლური საქმე ეკეთებინა. არადა, ითვლება, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები ნაკლებად შეთავსებადია ეროვნულთან. დღეს ერთ-ერთი გამოწვევა, რაც არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს წინაშე დგას, არის, ერთის მხრივ, გლობალიზაცია თავისი ლიბერალური ფასეულობებით და მეორე მხრივ — თვითმყოფადობის შენარჩუნების საშიშროება, მან კი ორივეს შეთავსება მშვენივრად მოახერხა.

ამას გარდა, ამ ნაბიჯისკენ მართლმსაჯულებაში არსებულმა პრობლემებმაც მიბიძგა. **2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლო კოლეგიამ 7300 სისხლის სამართლის საქმე განიხილა და მხოლოდ სამი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ 0,01 პროცენტია გამართლების კოეფიციენტი. ეს ციფრი რუსეთშიც კი დაახლოებით 1%-ს აღწევს, ანუ ასჯერ მეტია, ვიდრე ჩვენთან, აღარაფერს ვამბობ ევროპის ქვეყნებზე, სადაც გამართლების კოეფიციენტი 20-25%-ია. როგორ შეიძლება 100-დან 99 შემთხვევაში ბრალმდებელი მართალი იყოს, ხოლო ადვოკატის პროფესია მთლიანად დისკრიმინირებული?**

**— ბევრი ელოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციას გააერთიანებდა, მაგრამ მან პირიქით, გამიჯნა ოპოზიცია. როგორ შეძლებთ ორი-სამი პარტიით გამარჯვების მოპოვებას?**

— ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში გაერთიანდნენ ძალები, რომლებიც იდეოლოგიური, აზრობრივი თუ გარკვეული ფასეულობებით მის მსოფლმხედველობასთან ახლოს არიან, თუმცა ვინც ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში არ არის, არ ნიშნავს, რომ მტრული ბანაკის წევრია. იმ ოპოზიციურ პარტიებთან, რომლებთანაც კოალიციური და პარტნიორული თანამშრომლობა არ შედგა, საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ვითანამშრომლებთ.

**— როგორ და რა ფორმით წარმოგიდგენიათ კოალიციის გარეთ დარჩენილ პარტიებთან თანამშრომლობა?**

— ამ ეტაპზე, მთელი ოპოზიციური სპექტრის მთავარი მიზანია არჩევნების რაც შეიძლება სამართლიან გარემოში ჩატარება, მაგრამ, თუ როგორი იქნება ამ პარტიებთან თანამშრომლობის ფორმატი, ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია, ვინაიდან პარტია სულ ახლახან ჩამოყალიბდა და ჯერ ყველაფერი განხილვის პროცესშია.

**— იქმნება საინიციატივო თუ თემატური ჯგუფები, საზოგადოება კი ელოდება, როდის დაიწყებთ უფრო აქტიურ მოქმედებას...**

— როცა პარტია სრულად ჩამოყალიბდება, მას უკვე უფლებამოსილება და მანდატიც ექნება, რათა აქტიურად იმოქმედოს. მაგალითად, გავიდეს რეგიონებში, ხალხს გააცნოს თავისი ხედვა, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ამომრჩეველთან, ამიტომ ასე აქტიურები დღეს ვერ ვიქნებით.

**— თქვენ იცავდით ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ინტერესებს მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით. რა ხდება ამჟამად ამ საქმის ირგვლივ და რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა არ დაუბრუნა?**

— ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის მოპოვებისა და აღდგენის ორი პარალელური პროცესი მიმდინარეობს. უკვე გვაქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და განხილვას ველოდებით. პარალელურად, მივმართეთ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და მოვითხოვეთ მოქალაქეობის მინიჭება სპეციალური, ნატურალიზაციის წესით, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოო მაინც არ არის. ამ დასკვნის საფუძველზე პრეზიდენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. უარის შემთხვევაში, რასაკვირველია, გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გავასაჩივრებთ, ბუნებრივია, ამას დიდი დრო დასჭირდება და მანამდე, ალბათ, არჩევნებიც დასრულდება. ამიტომ ასეთი სათადარიგო ვარიანტიც არსებობს, რომელსაც ჩვენ ჯერ სერიოზულად არ განვიხილავთ, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში მივმართავთ.

**არ არის აუცილებელი, ბიძინა ივანიშვილი იყოს საარჩევნო სიაში, ეს ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარია, რომ სიის სახელწოდება ივანიშვილის სახელთან იქნება ასოცირებული და ამომრჩეველს ეცოდინება, რომ ეს პოლიტიკური გუნდი მისი გუნდია. ასე რომ, თუ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას არ მიანიჭებს, ტრაგედია არც ეს იქნება.**

**— თქვენი განცხადება — „ადამიანი პოლიტიკაში მაშინ უნდა მოვიდეს, როცა სექსუალური ლტოლვის ადრეფიზიოლოგიური ეტაპი გადალახული აქვს“ — ქილიკის საგნად იქცა. თქვენ ასევე ისაუბრეთ პოლიტიკოსების მატერიალურ შესაძლებლობებზე. თუ ელოდით ასეთ რეაქციას და პოლიტიკაში მოსვლის მსურველი ადამიანის მხრიდან რამდენად მართებულია მსგავსი გამონათქვამები?**

— მოდი ასე ვთქვათ: მართებულია, როდესაც ადამიანი გულწრფელია და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, თანაც პოლიტიკოსის რანგში ეს ჩემი პირველი გამოსვლაა. **მიმაჩნია, რომ ყველას არ აქვს ადამიანების ბედის გადაწყვეტის უფლება. ადამიანი ჯერ საკუთარ პროფესიაში უნდა იყოს წარმატებული, არ უნდა ჰქონდეს საკუთარი მატერიალური საზრუნავი. თუ იმაზე ფიქრობ, როგორ არჩინო ოჯახი, სხვების ბედზე როგორ იფიქრებ? ამას გარდა, როცა სახელმწიფო ხაზინასთან გაქვს შეხება, მატერიალური პრობლემების შემთხვევაში, ეცდები ჯერ საკუთარი ფინანსური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილო. კარგად დავინახეთ, ხელისუფლების წევრები მმართველობით სტრუქტურაში ღარიბ-ღატაკები მოვიდნენ და დღეს როგორ გამდიდრდნენ.**

რაც შეეხება ადრეფიზიოლოგიური სექსუალური ეტაპის გადალახვას, ხატოვნად ნათქვამმა სწორმა აზრმა ქილიკის საფუძველი წარმოშვა, მაგრამ დააკვირდით, ვინ ქილიკობდა? ვინც ჩემს სიტყვებში საკუთარი თავი ამოიცნო, კრიტიკაც სწორედ მათგან დავიმსახურე. როგორც ჩანს, ძალიან ეწყინათ ჩემი სიტყვები, რაც იმას ნიშნავს, რომ ნათქვამმა მიზანს მიაღწია.

როცა გამოხმაურებები წავიკითხე, ზოგი ძალიან მაკრიტიკებდა, ზოგი ამბობდა, რომ აზრი სწორია, მაგრამ გამოხატვის ფორმა არც თუ ისე მისაღებიაო. შეიძლება ასეც იყოს, არ უარვყოფ, მაგრამ მე დაწერილ სიტყვებს არ ვკითხულობდი, არამედ იმ იმპულსებით ვსაუბრობდი, რასაც იმ მომენტში ვგრძნობდი.

**— ახლახან ისრაელში პატრიარქს ახლდით. თქვენი ვიზიტის შესახებ მომიყევით.**

— მოგეხსენებათ, მე ორ ებრაელ ბიზნესმენს ვიცავდი. გასული წლის 18 აპრილს პატრიარქმა ისინი საპატიმროში საკუთარი ნებით მოინახულა. მათ უთხრეს, როცა გავთავისუფლდებით, დიდი სიამოვნებით გიხილავთ ისრაელშიო. წელს რონი ფუქსმა დაბადების დღე მიულოცა პატრიარქს და კვლავ სურვილი გამოთქვა ისრაელში ეხილა პატრიარქი. ამას გარდა, დაემთხვა, რომ საქართველოს საპატრიარქომ ბერძენთა პატრიარქისგანაც მიიღო მიწვევა იერუსალიმში. ეს ოფიციალური ვიზიტი და გათავისუფლებული ებრალების სურვილი — ეხილათ პატრიარქი თავიანთ სამშობლოში, ერთდროულად განხორციელდა. როდესაც პატრიარქს მადლობის წერილი გადავეცი, თქვენც ხომ იქნებითო, მკითხა, ასე რომ, მეც იქ ალმოვჩნდი. უნიკალური შესაძლებლობა მომეცა, მენახა წმინდა ადგილები და მაცხოვრის ტაძარში საქართველოს პატრიარქის მიერ შესრულებული წირვა-ლოცვის მონაწილეც გავმხდარიყავი.

**— ისრაელის პრეზიდენტს, შიმონ პერესს შეხვდით, რომელმაც ისრაელის მოქალაქეების კვალიფიციური მომსახურებისთვის მადლობა გადაგიხადათ. როგორ აისახა ცნობილი ინციდენტი საქართველო-ისრაელის ურთიერთობაზე?**

— ისრაელის პრეზიდენტს რონი ფუქსის დაბადების დღეზე შევხვდი. მან მადლობა გადამიხადა თანამემამულეების დაცვისთვის. მომხდარმა, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა მოახდინა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზე. **14 თვის განმავლობაში, რაც ებრაელები დაპატიმრებულები იყვნენ, არც ერთი ოფიციალური დელეგაცია საქართველოდან ისრაელში არ ჩასულა. გაუქმდა რამდენიმე ვიზიტი. ამ შემთხვევაში ის კი არ არის მთავარი, ჩაიდინეს თუ არა მათ დანაშაული, ეს ადამიანები ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის მოწვევით ჩამოვიდნენ და, როდესაც ქვეყნის პირველი პირი სტუმრად მოწვეულ ადამიანს ბორკილებს ადებს, ეს გაუგებარია და არანაირ მორალურ ჩარჩოებში არ ჯდება.**

შესაძლებელია, საქართველოს სახელმწიფომ რაღაც მილიონები დაზოგა, მაგრამ ვინ დათვალა საქართველოს ზარალი?

**— ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დაპატიმრებულ ებრაელებს ციხეში ცუდად ექცეოდნენ. რას ამბობენ თავად უკვე გათავისუფლებული პატიმრები?**

— დაპატიმრებულ ებრაელ ბიზნესმენებს ჰქონდათ პრეტენზია კვებასთან დაკავშირებით; ტელეფონზე დარეკვის საშუალებას არ აძლევდნენ. იყო შემთხვევები, როცა არაადამიანურადაც ეპყრობოდნენ: ღამე აღვიძებდნენ, საკანში ხელებაწეულებს, ტანისამოსის გარეშე აყენებდნენ, მათ პირად ნივთებს და სალოცავებს ძირს ყრიდნენ, საწოლზე რაღაც სითხეს უსხამდნენ და ყველანაირად აბუჩად იგდებდნენ, რამაც ერთ-ერთი მათგანის, ზეევ ფრენკელის ინფარქტიც კი გამოიწვია.

იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ამ ადამიანების ბედით ისრაელის სახელმწიფო იყო დაინტერესებული. ისრაელის ელჩი ყოველ კვირა მიდიოდა მათ სანახავად და ამის მიუხედავად, მათ თუ ასე ცუდად ექცეოდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ პატიმრები, რომლებსაც მომკითხავიც არავინ ჰყავთ, როგორ მდგომარეობაში იქნებიან? იმაზე მეტი უუფლებო, ვიდრე პატიმარია საკანში, არავინ არსებობს. მათ საკუთარი სიმართლის დამტკიცების უფლებაც არ აქვთ.

**— თქვენ მრავალი უცხოური კორპორაციის ინტერესებს იცავთ. როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოსადმი?**

— მათი დამოკიდებულება ძალიან ფრთხილია. **უცხოელ ინვესტორებს ჩვენი ქვეყნის მიმართ არასტაბილურობის შეგრძნება აქვთ, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი დამკვიდრებული ქცევის წესები. არადა, ბიზნესში სტაბილურობა მნიშვნელოვანია.** მაგალითისთვის გეტყვით, გასართობი ბიზნესის სფეროს რეგულაცია ახალი წლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ლიცენზია თუ ღირდა 20 ათასი, ახლა მილიონი ღირს. კი, ბატონო, არავინ დავობს, სახელმწიფოს უფლებაა, განსაზღვროს, რა არის გონივრული. გასართობი ბიზნესი ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია, მაგრამ ასეთი სწრაფი ცვლილებები ბიზნესში არ შეიძლება. როგორ შეიძლება ამის მერე სტაბილურ გარემოზე ისაუბრო? **პრობლემაა ნდობა, რომელიც არ არსებობს და ჩვენი, „ქართული ოცნების“, ერთ-ერთი დევიზი სწორედ ეს არის: გვსურს, ადამიანებს დაკარგული ნდობა დავუბრუნოთ.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**2005 წლიდან ისრაელმა სომხეთი მზაკვრულ თამაშში ჩაითრია, რომელიც კატათაგვობანას წააგავს: ხან გენოციდის მიმართ პოზიციის შეცვლის დაპირებით, ხან კი „საკუთარი სიტყვების უკან წაღების“ სახით... დღეს სულ უფრო თვალნათელი ხდება, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში „თურქების“ მიერ სომეხთა ჟლეტა (გენოციდი) ებრაელთა მიერ პროვოცირებული და წარმართული შურისძიების აქტი იყო**

კონსპიროლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:**

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-7 (140-145)

**ისრაელი, რომელსაც საკუთარი წყლის რესურსები არ გააჩნია, წყალს მის მიერ ოკუპირებული პალესტინისა და არაბული ტერიტორიების (ეგვიპტე, სირია, ლიბანი, იორდანია) წიაღის ძარცვით მოიპოვებს. ახლა ისრაელისკენ, ისრაელისა და ამერიკელი ებრაელების თხოვნით, მთელი მდინარეები წავა ამერიკის მიერ ოკუპირებული ერაყიდან და, აგრეთვე, თურქეთიდან. ისრაელმა ისედაც ააქოთა მთელი აფრიკული კონტინენტი ურიცხვი ომების პროვოცირებით და „შავი აფრიკის“ ყველა ქვეყანაში საკუთარი სამხედროებისა და ეკონომიკური მრჩეველების გაგზავნით, კონტინენტზე საშინელი გენოციდის მოწყობით. ირანზე ისრაელის თავდასხმის ახლანდელი გეგმები სხვა არაფერია, თუ არა ირანის წყლისა და ნავთობის მარაგებზე „მომდგარი ნერწყვი“ და ისრაელის საოკუპაციო ზონის გაფართოების სურვილი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „ირანის ატომურ საფრთხესთან“.**

ებრაელების არსებობა კაცობრიობას უკვე ასეულობით მილიონი ადამიანის მსხვერპლად, 2 მსოფლიო ომად და ათას უბედურებად დაუჯდა. ისრაელის არსებობა უკვე მეორე მსოფლიო ომის დარ მსხვერპლად, მის გარშემო არსებულ სახელმწიფოთა გაცამტვერებად, უზარმაზარი რეგიონის მოსახლეობის გაღატაკებად, მის მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფის, ცხოვრების დონის ათჯერ და ასჯერ დაცემად დაჯდა. ისრაელის ელიტის კეთილდღეობა (უბრალო ებრაელების ცხოვრების დონის დაცემის ფონზე) მიიღწევა მეზობელი ქვეყნების უმოწყალო ძარცვის, კონკურენტული ეკონომიკების (ლიბანი, ერაყი და ლიბია) სამხედრო დათრგუნვითა და ისრაელის გავლენის გაფართოებით ახალ ტერიტორიებზე, შუამდინარეთისა (ერაყი) და კავკასიის ჩათვლით. მეთოდები, რომლითაც ისრაელი წყალსა და ნავთობს სწოვს მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილის წიაღიდან, ვამპირული ნატურის სიმბოლოა, იმის სიმბოლო, თუ როგორ წოვენ ისინი სისხლს მთელ კაცობრიობას.

ხოდუსოვსკის სტატიაში კიდევ ერთ მომენტს გავუსვამთ ხაზს:

ისრაელის მიერ ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის წიაღიდან (ისრაელის სამხედრო დაცვის ქვეშ) ნავთობისა და გაზის რესურსების დატაცება, რათა შემდეგ უკვე ისრაელიდან გაყიდონ იმავე აზიურ ქვეყნებზე (რომლებიც დააყაჩაღა), წარმოადგენს შიდა აზიური ენერგეტიკული ბაზრის თავხედურ ძალისმიერ გაჩანაგებას, რომელიც მანამდე პირდაპირი ნავთობდერეფნების განვითარებას ეფუძნებოდა. ეს დერეფნები კი ცენტრალურ აზიასა და რუსეთს სამხრეთ აზიასთან, ჩინეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან აკავშირებდა.

**ხოდუსოვსკის სტატიის ანალიზს ცოტა ხნით დავშორდეთ და აღვნიშნოთ, რომ მოსადში საკუთარი წყაროების მქონე debka.com-თან დაახლოებული ებრაული რესურსი საქართველოს ეკონომიკაში ჩადებულ ისრაელის გიგანტურ ინვესტიციებში სწორედ ისრაელის „სანავთობო აგრესიის“ ავანსს ხედავს, აგრეთვე, იმის საფასურს, რომ ისრაელი ნავთობსადენის დასაცავად მიუშვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისრაელის სრული „სამხედრო სუვერენიტეტი“ ვრცელდება.**

სამხედრო პოლიტიკურ-სტრატეგიულ გეგმაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მიზნად ისახავს რუსეთის როლის შეკვეცას ცენტრალურ აზიაში, ჩინეთის ჩამოშორებას შუააზიური ნავთობრესურსებისგან (ჩინეთს კი საკუთარი რესურსები საერთოდ არ გააჩნია), აგრეთვე, ირანის დასუსტებას და იზოლაციას. ამ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სატანური გეგმის ნაწილი სწორედ სამხრეთ ოსეთში საქართველოს ინტერვენციით განხორციელდა.

ირანული წყაროების მითითებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდგომი 2 ათასი ამერიკელი სამხედრო უფრო ისრაელის მოსადს ემორჩილება, ვიდრე პენტაგონს, ხოლო ამერიკული მხარის მიერ ირანთან და რუსეთთან აზერბაიჯანის საზღვარზე განლაგებული რადარები, პირველ რიგში, ირანისა და რუსეთის მიმართ აგრესიის სიმბოლოა, მეორეს მხრივ კი, არა მარტო ამერიკის, არამედ ისრაელის არმიას ემსახურება. ეს რადარები ამერიკის გეოპოლიტიკაზე სწორედ ისრაელის გავლენის შედეგად გაჩნდა. 2012 წელს რუსეთი საბოლოოდ დაკარგავს რადარების ბაზას გაბალში (აზერბაიჯანი), რომელიც ამერიკისა და ისრაელის ხელში გადავა.

როცა სამხრეთ ოსეთის მოვლენების ჩემეულმა ანალიზმა ტომსკში ჩააღწია, გაზეთმა „ტომსკი ობზორმა“ არნო დე ბორშგრავის (Washington Times-ის და United Press International-ის რედაქტორი) შენიშვნის თარგმანი გამოაქვეყნა. ჩემი დასახელების გარეშე (რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა) მან, ფაქტობრივად, ჩემი სტატიის შინაარსი გადმოსცა თავის სტატიაში „ისრაელი კავკასიაში?!“. ჩემგან დასახელებული ფაქტების გარდა, **დე ბორშგრავმა გაზეთ JERUSALEM POST-ის (2008 წლის 12 აგვისტო) ციტატა მოიტანა: „საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ სამშაბათს, დილით საგანგებოდ დარეკა ისრაელში, რათა ერთ-ერთი პატივცემული რაბინისა და სასულიერო ლიდერის, რებე აარონ ლეიბ შტეინმანის კურთხევა მიეღო. „მინდოდა, მას ჩვენთვის და ჩვენი სახელმწიფოსთვის ელოცა“, — განაცხადა მან“.**

ისრაელის მიერ საქართველოს შეიარაღებასთან დაკავშირებით ჩემ მიერ მოტანილ ფაქტებს დე ბორშგრავმა კიდევ ერთი დაამატა: **„პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში რუსეთის ფედერაციის გენშტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ნოგოვიცინმა განაცხადა, რომ საქართველოსადმი ისრაელის დახმარება მოიცავდა „რვა ტიპის სამხედრო სატრანსპორტო საშუალებებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებსა და საგანგებო ასაფეთქებელ ნივთიერებებს დანაღმული ველების გასაწმენდად“.**

**ირანი ამ რეგიონში რუსეთისა და ჩინეთის მუდმივი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა და მასზე ისრაელის თავდასხმის შემთხვევაში სამივე სახელმწიფო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.**

ჩინეთი — არა მარტო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ ირანის ნავთობსა და გაზზე არის დამოკიდებული; რუსეთი – იმიტომ, რომ კავკასიაში ისრაელის ექსპანსიის აღარავითარი სისტემური წინაღობა აღარ იარსებებს. **დღევანდელ ვითარებაში ნებისმიერი თავდასხმა ირანზე რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ უნდა განიხილებოდეს, როგორც რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმა.**

ირანის მიმართ ისრაელის სიძულვილისა და მისი სურვილის საფუძველში, პირისაგან მიწისა აღგავოს სპარსეთი და მთელი ირანელი ხალხი, არც პოლიტიკაა, არც იდეოლოგიური წინააღმდეგობა და არც „უსაფრთხოების საკითხები“. მთავარი მიზეზები ოკულტურ, ეზოთერულ, ირაციონალურ სფეროშია. ებრაული რელიგია სპარსეთის სიძულვილსა და ირანელი ხალხის განადგურების აღთქმას თითქმის ცენტრალურ ადგილს უთმობს. **ერთ-ერთი მთავარი ებრაული რელიგიური დღესასწაული — ჰანუქა სწორედ ებრაელების მიერ ირანელი დიდებულის – ამანის, მისი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების მხეცურად ამოწყვეტას ეძღვნება. ამანის დროს, ებრაელების ინტრიგებისა და დასმენების წყალობით, სპარსი ერის ნაღები, ყველაზე განათლებული და დიდგვაროვანი ფენა მთლიანად განადგურდა.**

ებრაულ რელიგიაში მთავარი ადგილი კაცთმოძულე, სადისტურ ტრადიციებს უკავია და ჰანუქა ერთ-ერთი მათგანია. ამ დღესასწაულზე კარზე ამანის „მოჭრილი“ თავის მულაჟს ამაგრებენ; აცხობენ „ოზნეი ამანს“ — „ამანის ყურებს“ (კანიბალიზმის გამოძახილი), „ამანის ცხვირს“, „ამანის ღვიძლს“ და ა. შ. შესასვლელთან თოჯინა კიდია — „ჩამომხრჩვალი ამანი“. ებრაელები ამას აღიქვამენ როგორც ნებისმიერ „გოიზე“ (არაებრაელზე) გამარჯვებას.

როგორ უნდა აღიქვან ეს „დღესასწაული“ ირანელებმა? როგორ აღიქვამდნენ, მაგალითად, რუსები ამგვარ დღესასწაულს, რომლის „ტრადიციით“ მიღებული იქნებოდა ერთმანეთის გამასპინძლება ნამცხვრით, სახელად „რუსის ენა“, „რუსის გული“, „რუსის ღვიძლი“, ხოლო ამ რელიგიური ტრადიციის მიმდევართა საცხოვრებლის შესასვლელში „ჩამომხრჩვალი რუსი“ ან „რუსის მოჭრილი თავი“ ყოფილიყო ჩამოკიდებული?

გასაგებია, რომ ირანელები ისრაელის სახელმწიფოსა და იუდეური რელიგიის მიმართ სიმპათიას მხოლოდ ამიტომ არ გრძნობენ.

მათთან, ვისი მტრობაც პრაგმატულის ნაცვლად რელიგიურ (სატანურ) ფანატიზმს ასახავს, მოლაპარაკება შეუძლებელია (და უსარგებლოც). მათთან, ვისაც სჯერა, რომ მათ ათასი წელია, ყველა ჩაგრავს და ამიტომ ყველაფრის უფლება აქვთ, მოლაპარაკებას აზრი არა აქვს.

ისრაელნი ამ მხრივ „კვადრატში აყვანილი ებრაელები“ არიან. მათი „ხუცპა“ (თავხედობა) უსაზღვროა. კავკასია მათთვის მეორე „აღთქმულ მიწად“ იქცევა, ხოლო როგორ ექცევიან ებრაელები მათ, ვინც აღთქმულ მიწაზე მათ დაბრუნებას წინ ეღობება, პალესტინელების მაგალითზე ჩანს.

**რუსეთის მეორე ბუნებრივი მოკავშირე** (ირანის გარდა) **სომხეთია. მის ურთიერთობას ისრაელთან სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა ხანგრძლივ ზავს** (არაბულად – ხუდნა)**. რაოდენობით, სიმდიდრითა და გავლენით სომხურ დიასპორას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში, ებრაულის შემდეგ** (მესამე ადგილზე დღეს პრეტენზიას ჩინეთი გამოთქვამს)**. სომხები ებრაელებისთვის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ ნიშას იკავებენ** (ვაჭრობა, ფინანსები და ა. შ.)**. მათი დამოკიდებულება მუტერლანდის მიმართ ისეთივეა, როგორც ებრაელებისა. რა თქმა უნდა, სომხებსა და ებრაელებს შორის წარმოუდგენელი კონკურენციაა. ისრაელის ომები ლიბანში** (სადაც თითქმის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მდიდარი სომხური თემი ცხოვრობდა) **შეიძლება განვიხილოთ როგორც დაპირისპირების საკუთარი თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მცდელობა.**

შემთხვევითი არ არის, რომ სომხეთს ყველა სხვა ქვეყანაზე დიდხანს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. მიუხედავად ამისა, 1998 თუ 1999 წელს ისრაელმა ერევანში საკუთარი საკონსულოს გახსნა დაჟინებით მოითხოვა. თელ-ავივის ზეწოლით ერევანი დიპლომატიურ მოლაპარაკებებს დათანხმდა, მაგრამ ამან პრინციპული ცვლილებები არ მოიტანა. **2002 წელს რივკა კოენმა** (მაშინ ისრაელის ელჩმა საქართველოში) **შეურაცხმყოფელი და პროვოკაციული შინაარსის განცხადება გააკეთა სომხების 1915 წლის ტრაგედიის შესახებ და აგრესიულად უარყო ოსმალთა იმპერიაში სომხების გაჟლეტის გენოციდთან გაიგივების ლეგიტიმურობის საკითხის განხილვაც კი. თავის მხრივ, სომეხმა ოფიციალურმა პირებმა** (სომხურ მასმედიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) **ისრაელს არაერთხელ უწოდეს მკვლელი და ჯალათი და მათი, როგორც სამხედრო დამნაშავეების გასამართლება მოითხოვეს ლიბანში ისრაელის პირველი და მეორე** (2006 წელს) **შეჭრის, ღაზის სექტორის ბარბაროსული დაბომბვებისა და სხვა ამგვარი ქმედებების გამო.**

**2005 წლიდან ისრაელმა სომხეთი მზაკვრულ თამაშში ჩაითრია, რომელიც კატათაგვობანას წააგავს: ხან გენოციდის მიმართ პოზიციის შეცვლის დაპირებით, ხან კი „საკუთარი სიტყვების უკან წაღების“ სახით.** სწორედ ამიტომ 2005 წელს ისრაელში პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) მაღალი და მრავალრიცხოვანი სომხური დელეგაცია ჩავიდა (80 წევრი) სომხეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ჩათვლით (სერჟ სარგსიანი და ტიგრან სარქისიანი), ხოლო 2007-2008 წლებში კნესეტში (ისრაელის პარლამენტში) ოსმალთა იმპერიაში სომეხთა ჟლეტის გენოციდად აღიარების მიზანშეწონილობის საკითხიც კი დადგა. მართლაც, თუ თურქეთი თავად აღიარებდა სომეხთა გენოციდს, ეს ისრაელის საზიანოდ, სომხურ-თურქული ურთიერთობების სწრაფ გაუმჯობესებას გამოიწვევდა.

**დღეს სულ უფრო თვალნათელი ხდება, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში „თურქების“ მიერ სომეხთა ჟლეტა (გენოციდი) ებრაელთა მიერ პროვოცირებული და წარმართული შურისძიების აქტი იყო.**

დღეს სომეხი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ **1915 წლის ჟლეტა ებრაელების მიერ იყო ორგანიზებული, რომლებიც მაშინდელი თურქული ოპოზიციის ლიდერები იყვნენ** (ისევე, როგორც რუსეთში სწორედ ებრაელები იყვნენ ბოლშევიკებისა და პირველი საბჭოთა მთავრობის ლიდერები). **არანაკლები მონაწილეობა მიიღო სომეხთა გენოციდში ებრაულმა სექტამ „დიონმე“. სომეხმა მკვლევარებმა ამოწიეს ჟლეტის მონაწილეთა საქმეები** (რომელთა ნაწილიც სიკვდილით დასაჯეს) **და აღმოჩნდა, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა თურქი ებრაელი იყო!**

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან ებრაელები სომეხთა გენოციდის აღიარებას. მეორე მიზეზი ეგრეთ წოდებული ჰოლოკოსტის კულტია, რომელსაც სომეხთა გენოციდის აღიარება სამუდამოდ დაჩრდილავდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა 7000 შემთხვევა ვლინდება. ამ მხრივ, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში ვლიდერობთ. „ნაცმოძრაობა“ ონკოპაციენტებს ამშვიდებს, 2013 წლის ოქტომბრიდან III-IV ჯგუფის ინვალიდებს დაგაზღვევთ და იქ ქიმიოთერაპიის ხარჯებიც გათვალისწინებული იქნება, მანამდე გაუძელითო. როგორ გაძლოს, როგორ დაიცადოს 2013 წლის ოქტომბრამდე, ახალი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, IV კატეგორიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულმა ადამიანმა, რომელმაც ყოველ 6 თვეში თუ არ ჩაიტარა ქიმიოთერაპიის კურსი, აუცილებლად დაიღუპება?**

# გენოციდის ნაციონალური

**მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერები ხშირად შლიან ხელებს და ლამის გულწრფელი გაკვირვებით კითხულობენ: რა გინდათ, ხალხო, შუქი და გაზი არ იყო ქვეყანაში, ბნელი და უკუნი იყო საქართველოში, ამდენი რამ გავაკეთეთ, გზები დავაგეთ, ქვეყანა გავანათეთ და ტაშ-ფანდურსაც არ გაკლებთ, თავი დაგვანებეთო! ხელისუფლება მიიჩნევს, რომ, რაც მათ საბიუჯეტო, ანუ ხალხის ფულით გააკეთეს, ყოველდღე უნდა გვამადლონ. თან თავი უნდა ვუკანტუროთ და ყველა არჩევნებში ხმაც მათ უნდა მივცეთ.**



## საქართველოში 800 ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, ანუ მათ საარსებო მინიმუმი — 156,1 ლარიც არ აქვთ თვეში შემოსავალი

ჯერ ერთი, ვერ მიმხვდარან, რომ, თუ ხალხისა და ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთოს აკეთებენ, ეს ამ ხალხის ფულია და მათი გადასაწყვეტია, სად რა უნდა გაკეთდეს, და არა სააკაშვილის ახირებებისა, ქვეყანა შადრევნებით რომ გაავსო.

მეორეც, „ნაციონალებს“ ისიც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამ სახელმწიფო დოვლათს, ბიუჯეტი რომ ჰქვია, სხვა პოლიტიკური ძალა უფრო ყაირათიანად, ხალხისთვის სასარგებლოდ გახარჯავდა. ესენი ამას ვერც ვერასოდეს გაიგებენ, რადგან მთელი საქართველო ამტკიცებს, რიყეზე „ოლვეის ულტრად“ წოდებული შუშის ხიდი უგემოვნობის დემონსტრირებააო და ასიოდე „ნაციონალი“ ხმამაღლა გაჰკივის — სუპერთანამედროვე არქიტექტურული ნიმუშია, ტრადიციული და თანამედროვე არქიტექტურის ასეთი ეფექტური შერწყმა სხვაგან არ გვინახავსო.

**რა ალმაშენებელიც მიხეილ სააკაშვილია და რა დიდი ნაზირ-ვეზირებიც ჰყავს, რა წარმატებული ინფრასტრუქტურული თუ ანტიკრიმინალური რეფორმები განახორციელეს და რატომ აქვს ხალხს ერთი სული, დედაწულიანად როდის მოშორდება ამ ქვეყანას „ნაცმოძრაობის“ კრიმინალური კლანი, ამის თაობაზე მხოლოდ ციფრებით ვილაპარაკებ, რადგან ციფრებს მართლა ვერსად გაექცევიან.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2011 წელს ერთ ზრდასრულ ადამიანზე საარსებო მინიმუმი 156,1 ლარს შეადგენს. იმავე სამსახურის მონაცემებით, ოთხსულიან ოჯახზე თვეში 270 ლარია. მე არაფერი შემშლია, აი, ასეთი აბსურდულია „ნაციონალური სტატისტიკა“. დალოცვილო, თუ ერთმა ადამიანმა 156,1 ლარი უნდა იკმაროს, ოთხჯერ 156,1 ხომ 624,4 ლარია? ოთხსულიან ოჯახს თავი დავანებოთ, ეს 270 ლარი ორსულიან ოჯახსაც არ ჰყოფნის. წესიერად მაინც დაითვალე ეგ საარსებო მინიმუმი და ხალხს აბუჩად ნუ იგდებ! გარდა ამისა, **საქართველოში 800 ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, ანუ მათ ეს საარსებო მინიმუმი 156,1 ლარიც არ აქვთ თვეში შემოსავლად. გამოდის, სახელმწიფო ამ ხალხს თავად უბიძგებს, რომ მოიპაროს, იმათხოვროს ან რაღაც უბედურება ჩაიდინოს.**

840 ათასი პენსიონერი კატასტროფულ მდგომარეობაშია — თვეში 97 ლარს იღებს, ანუ ამ 156,1 ლარზე გაცილებით ნაკლებს. მართალია, სახელმწიფო სხვადასხვა სოციალური პროექტით ეხმარება ამ ხალხს, მაგრამ ამ 156 ლარს ვერ მისწვდნენ. აი, ამის მერე გვეუბნება სააკაშვილი, წინ მივიწევთ, ქვეყანა ვითარდებაო?! ასე „განახორციელა“ მიშამ და მისმა „ნაცმოძრაობამ“ წინასაარჩევნო დაპირება „საქართველო სიღარიბის გარეშე.“

ყველა მაღალი ტრიბუნიდან სააკაშვილი გაჰყვირის, რომ მისი ქვეყანა ოკუპირებულია და 500 ათასი დევნილი ჰყავს. ეს საერთაშორისო ფინანსური დონორი ორგანიზაციებისთვის გაგზავნილი მესიჯია — არიქა, გვიჭირს, დაგვეხმარეთო. ისინიც გვეხმარებიან, მაგრამ რა აღწევს ამ დახმარებიდან ხალხამდე? რეალურად, 280 ათასი დევნილია აღრიცხული და თითოეულის სახელმწიფო დახმარება 24 ლარია, ანუ 132 ლარით ნაკლები იმ საარსებო მინიმუმზე, რომლის იქით, ადამიანს ჭკუა აღარ მოეკითხება — ან უნდა იქურდო და იყაჩაღო, ან უნდა იმათხოვრო. ამ 24-ლარიან დევნილებს ატყუებს სააკაშვილი: ნუ გეშინიათ, მალე დაგაბრუნებთ საკუთარ სახლებშიო.

**საქართველოში ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი, სულ მცირე, 200 ათასი ნარკომანია. ქვეყანას, რომლის მთლიანი მოსახლეობა, რეალური გათვლებით, 3 მილიონ 100 ათასს არ აღემატება და რომელსაც 200 ათასი ნარკომანი ჰყავს, განვითარება არ უწერია. აი, ეს არის „ნაციონალების“ ჯანდაცვისა და შს სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შედეგი. ამას „საქართველოს ნარკოგენოციდი“ ჰქვია, საკუთარი ხალხის მიმართ წარმოებული გენოციდი. სამაგიეროდ, ნარკომანთა მიერ გადახდილი 500-1000-ლარიანი ჯარიმებით ივსება ბიუჯეტი და ამ ხალხს „ნაცმოძრაობა“ მარტო წინასაარჩევნოდ როდი იყენებს სათავისოდ.**

**მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო იმ 22 ქვეყანას შორისაა, სადაც ვერა და ვერ დადგინდა C ჰეპატიტით დაავადებულთა ზუსტი რაოდენობა? და იცით რატომ? C ჰეპატიტზე საკონტროლო შემოწმება რომ ჩაიტარო, 120 ლარი ღირს, უამრავ ადამიანს 120 ლარი ერთად არც უნახავს და, ცხადია, ამ თანხას ვერ გადაიხდის, რომ გაიგოს, აქვს თუ არა ეს დაავადება. მერე ეს ხალხი ასნებოვნებს სხვა ადამიანებს, ხოლო თავად დაავადებულთა უმეტესობა ციროზით, კიბოთი და ღვიძლის უკმარისობით იღუპება.**

კაცი ვერ მოთვლის, ჯანდაცვის რამდენი მინისტრი გამოიცვალა საქართველომ, მაგრამ ყველამ ერთად იმდენს ვერ მიაღწია, რომ ის მაინც დაედგინათ — რამდენი C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანია საქართველოში. ანდრია ურუშაძეს „საამაყოდ“ ის აქვს, რომ საქართველოში ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა 7000 შემთხვევა ვლინდება და ამ მხრივ, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში ვლიდერობთ. დიახ, **ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში უფრო მეტი ონკო-დაავადებულია, ვიდრე ჩერნობილის კატასტროფაგადატანილ უკრაინაში, სადაც მილიონობით ადამიანმა მიიღო რადიაციული დასხივება და მრავალ რეგიონში, სადაც დასახლებებია, წყალსა და ნიადაგში ჯერაც ნორმაზე ბევრად მაღალია რადიაციული ფონი.** „ნაცმოძრაობა“ ონკოპაციენტებს ამშვიდებს, 2012 წლის ოქტომბრიდან III-IV ჯგუფის ინვალიდებს დაგაზღვევთ და იქ ქიმიოთერაპიის ხარჯებიც გათვალისწინებული იქნება, მანამდე გაუძელითო. როგორ გაძლოს ადამიანმა, რომელმაც ყოველ 6 თვეში თუ არ გაიკეთა ქიმიოთერაპია, აუცილებლად დაიღუპება? როგორ დაიცადოს 2012 წლის ოქტომბრამდე, ახალი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, IV კატეგორიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულმა? **დათვალეთ ახლა, 2013 წლამდე რამდენი ადამიანი დაიღუპება, რამდენს დაუმძიმდება მდგომარეობა და ეს იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მის ნაცბანდას ახლახან გაახსენდათ, რომ ეს ხალხიც, მათი ჭირისუფალნიც ამომრჩეველნი არიან და ქიმიოთერაპიის კურსებს საოქტომბროდ, წინასაარჩევნოდ აფინანსებს.**

შვეიცარიის განვითარების ფონდის კვლევების მიხედვით, საქართველომ 2012 წელს პირველი ადგილი დაიკავა კრიმინალური აბორტების გამოვლენის მხრივ: **შარშან — 25 ათასი აბორტი, წელს — 14 ათასი აბორტი დაფიქსირდა.** საქართველოს უკან მოსდევენ აზერბაიჯანი, სომხეთი და ალბანეთი. ამავე ფონდის კვლევების თანახმად, **ფეხმძიმე ქალთა 60% ორსულობამდე ექიმთან ვერ მიდის. ამიტომაც იმრავლა თანდაყოლილმა პათოლოგიებმა, ამიტომაც იმატა დაბადებისთანავე სიკვდილის ფაქტებმა.** ღმერთმა ჯანმრთელად უმყოფოს გიგი უგულავს შვილები, მაგრამ აქ უთუოდ გაგახსენდება მისი მეუღლის, ლელა კილაძის ვენის პრესტიჟულ კლინიკაში „მშობიარობა-ფართი“, რომლის ხარჯიც, 26 ათასი ევრო, ჯანდაცვის სამინისტრომ გადაიხადა. დალოცვილო, დედაქალაქის მერი ხარ, შენი ქვეყნის ფეხმძიმე მოსახლეობის 60% ექიმთან კონსულტაციისთვისაც ვერ მისულა და შენი მორიგი შვილის შეძენა 26 ათასი ევრო უნდა დაუჯდეს ქვეყანას?

**გაეროს მონაცემებით, მსოფლიოს 220 ქვეყანას შორის საქართველო მე-14 ადგილზეა, რომლის ყოველი მე-4 მოქალაქე სოციალური გაჭირვების გამო ტოვებს ქვეყანას. პარლამენტარ კობა ნაყოფიას გაუჭირდება ამის გაგება, რომელიც საკუთარ შვილს სახელმწიფოსგან ჩალის ფასად ნაყიდი „მადნეულიდან“ ნაკეთები ფულით 1,5-მილიონიან ქორწილს უხდის თურქეთში.**

რაღაცაში ხომ უნდა ვიყოთ პირველები და აი, ისევ გაეროს კვლევათა მონაცემები: **საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოს 220 ქვეყანას შორის, რომელიც არანაირ დახმარებას არ უწევს არც ახალშობილსა და არც მშობელს.** სხვათა შორის, როცა სახელმწიფო მინისტრი იყო, კახა ბენდუქიძის ინიციატივით შეუწყდათ მშობლებსა და ახალშობილებს ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება, რაზეც ჯანდაცვის სამინისტრო უსიტყვოდ დათანხმდა. სახელმწიფომ დიდი ეკონომია გააკეთა, ათასი სისულელე დააფინანსა ახალშობილთა და მათი დედებისთვის წართმეული რძისა და პამპერსის ფულით. პირველი საცურაო აუზიც მაგ ფულით გახსნა სააკაშვილმა.

**სხვათა შორის, კახა ბენდუქიძის რეფორმატორული ნაბიჯების წყალობითაა, რომ საქართველოს მოსახლეობის 23% ჩიყვით არის დაავადებული, მათ შორის 48% არასრულწლოვანია. ბენდუქიძის დავალებით გააუქმა ჯანდაცვის მინისტრმა „იოდდეფიციტური დაავადებების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, იკრძალებოდა არაიოდიზირებული მარილის ქვეყანაში შემოტანა. იოდის შემცველობასთან ერთად, მარილში სხვა ნივთიერებების კონტროლიც მოიშალა. ამის მერე იყო, გივი თარგამაძემ უკრაინიდან მარილის იმპორტი რომ დაიწყო და მათ შორის, იმ რეგიონებსაც გადასწვდა, ჩერნობილს რომ ესაზღვრება. მესამე სამყაროს წყალწაღებული ქვეყნის ჩინოსნებიც კი ერიდებიან ამ რეგიონებიდან ნებისმიერი სახის პროდუქციის იმპორტს. ამ რეგიონების უკონტროლო მაფიოზებთან, მარტო განვითარებადი ქვეყნის განგსტერი-ოლიგარქები იჭერენ საქმეს, რომელთაც ერთადერთი მიზანი აქვთ — ამოწყვიტონ საკუთარი ხალხი, რომელიც მათ არ ეგუება.**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, როგორც იქნა, ოფიციალურად აღიარა, რომ 24 ათას 500 პატიმარია საქართველოში და ამ მონაცემებით, აშშ-ის მერე, მეორე ადგილზე ვართ მსოფლიოში. ქართველი უფლებადამცველები კი მეტსაც ასახელებენ, 45 ათასი პატიმარიაო, — რაღაცით ხომ უნდა დავეწიოთ ამერიკას. წინ საპარლამენტო არჩევნებია, ბევრი ხალხი ჰყავს „ნაცმოძრაობას“ დასაჭერი და მერწმუნეთ, რომ ამერიკას სადღაც შემოდგომამდე გავუსწრებთ კიდეც.

**ევროსაბჭოს ოფიციალური მონაცემებით, ქართულ სასამართლოებში საპროცესო გარიგებების 80% თვითალი-** ▶

**ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში უფრო მეტი ონკო-დაავადებულია, ვიდრე ჩერნობილის კატასტროფაგადატანილ უკრაინაში, სადაც მილიონობით ადამიანმა მიიღო რადიაციული დასხივება!**

**1991 წლიდან დღემდე უცხოეთის ქვეყნებში თავშესაფარი მოითხოვა საქართველოს 86 ათასმა მოქალაქემ, აქედან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავშესაფარი მოითხოვა 44 ათასმა ადამიანმა, ანუ ნახევარზე მეტმა. აი, ამათი დემოკრატია და ადამიანთა დაცული უფლებები. სტატისტიკა უტყუარად მეტყველებს, თუ რა საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავისებურებანი

**არებით სრულდება. ევროსაბჭოს მეტი აღარაფერი უთქვამს, მან ციფრი დადო და ეჭვის საფუძველი დაიტოვა.** ახლა თავად განსაჯეთ. რატომ 80%? იმიტომ, რომ, თუ არ აღიარებენ ბრალს, საპროცესო გარიგებაზე ვერ წავლენ ბრალდებულნი. ვინც საპროცესო გარიგებას ვერ მიიღებს, ვაი იმის ბრალი: ციხეს ხომ ვერ დააღწევს თავს და იმ ქონებას, რომლის ნაწილსაც ამ გარიგებით ართმევდა სახელმწიფო, ამჯერად სულ წაართმევს და მისი ოჯახის წევრებს გაამათხოვრებს; მას კი აუღიარებლადაც კარგად მიუსჯიან, სასჯელს სრულად მოახდევინებენ და ბოლო დღემდე ნამდვილ ჯოჯოხეთში ამყოფებენ. რატომ ეუცნაურა ეს 80% ევროსაბჭოს უმაღლეს კომისარს, რომელიც აქამდე თვალს ხუჭავდა ასეთ „წვრილმანებზე“?

გაეროს მონაცემებით, საქართველო კატასტროფის ზღვარზეა. წეღან მოგახსენეთ, ყოველი მე-4 მოქალაქე ტოვებს ქვეყნას. ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი. თურმე ჯერ სადა ვარ! **საქართველო გაერომ იმ 20 ქვეყნის სიაში შეიყვანა, რომლებშიაც დეპოპულაციაა, და იმ 14 ქვეყანას შორის მოიხსენია, რომელთა განვითარებაც არ ხდება.** სააკაშვილსა და მის ხელის ბიჭებს ქვეყნის აშენება ბათუმში პიაცას აშენება და კანალიზაციის გაყვანა ჰგონიათ.

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოც კი ვეღარ მალავს შემზარავ სინამდვილეს: საქართველოს მოსახლეობის 32% სიღარიბის 2-დოლარიანი ზღვარის ქვეშ ცხოვრობს. **„ნაციონალების“ მტკიცებით, ქვეყნის მოსახლეობა 4 მილიონ 100 ათასი ადამიანია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოდის, რომ 1 მილიონ 300 ათასი ადამიანი დღეში 2 დოლარსაც ვერ ღებულობს. მოსახლობის 15%, ანუ 750 000 ადამიანი კი დღეში მხოლოდ 1,25 დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს.** დსთ-ს სივრცეში ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ჩვენი პრეზიდენტი ლამის ყოველდღე სოციალურ პროგრამებს გვამადლის, ახალ-ახალ სოციალურ პროექტებს აპიარებს, რეალურად კი საქმე ასეა: სახელმწიფო დახმარებით მოსახლეობის მხოლოდ 8% სარგებლობს.

**„ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს შევარდნაძის გარეშე, ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს უშუქობის გარეშე, ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს უგზოობის გარეშე, ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს კორუფციის გარეშე და შემდეგი წლების განმავლობაში, ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში, ჩვენ მივაღწევთ საქართველოს სიღარიბის გარეშე!“** — აცხადებდა მიხეილ სააკაშვილი 2007 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, თელავში, ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრაზე. სააკაშვილის ეს დაპირებაც ისეთივე მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა, როგორც სხვა მრავალი — მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა სადაცაა მიილევა, სიღარიბე კი არათუ აღმოიფხვრა, პირიქით, უფრო გაღრმავდა, კატასტროფულად მოიმატა და ჩვენი გაქსუებული პრეზიდენტი და მისი ნაცამალა თითს არ ანძრევენ გაჭირვებულთა გაუსაძლისი ყოფის შესამსუბუქებლად.

**საგანგაშო მდგომარეობაა ახალგაზრდების დასაქმების კუთხით. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 20-24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მხოლოდ 33 პროცენტია დასაქმებული. ეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლება აქცენტს ახალგაზრდების დასაქმებაზე აკეთებს, საშუალო ასაკის თუ ხანში შესული მოქალაქეები კი, უბრალოდ, „ჩარეცხა“.**

2010 წლის 3 ოქტომბერს „ქალაქ“ ანაკლიაში, ღია ცის ქვეშ, საპარლამენტო უმრავლესობასთან და თავის მინისტრებთან გამართულ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა ამ მუქთახორებს ქამრების მოჭერისკენ „მოუწოდა“: **„ყველამ იფრინოს ეკონომკლასით. 15 ათას ევროზე მეტი ღირებულების მანქანა სახელმწიფო აპარატმა არ უნდა შეიძინოს, არაა აუცილებელი, რომ უამრავი მანქანა იყიდონ“,** — ყასიდად შეაფუცხუნა გამგელებული „ნაცისტები“. ცხადია, სიტყვა სიტყვად დარჩა. ამის მერე იყო, სოფლის მეურნეობის ახლადდანიშნულმა მინისტრმა ზაზა გოროზიამ 127 ათას ლარად ღირებული ავტომობილი რომ შეიძინა სამინისტროს ბიუჯეტით, ფოთის მერმა ვახტანგ ლემონჯავამ — 77-ათასლარიანი „ლენდ კრუიზერი“, წალენჯიხის გამგებელმა კი — 100-ათასლარიანი „ჯიპი“. ეს, — რაც გახმაურდა და რაც არ ვიცით? აი, ასეთია „ქამრების მოჭერა ნაციონალურად.“ სააკაშვილმა ხალხი, ჩვეულებისამებრ, „დააბოლა“, მისმა ჩინოსნებმა კი საბოლოოდ აიღეს ნამუსზე ხელი. აი, რაში იხარჯება ის ფული, რომელიც ონკოპაციენტებს, ნარკომანთა რეაბილიტაციას, პენსიებს, დევნილებს, ომის ვეტერანებსა და სოციალურად დაუცველ მოქალქეებს უნდა ხმარდებოდეს. **სახელმწიფო, ანუ ხალხის ბიუჯეტი „ნაციონალური მოძრაობის“ ბოსებისა და მათი თავკაცისთვის ბედლია, რომელსაც ყოველწლიურად მხოლოდ იმიტომ ავსებენ ისედაც გაღატაკებული მოსახლეობისგან ხარკის აკრეფის, ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვისა და ბიზნესმენთა რეკეტის ხარჯზე, რომ მომდევნო წელს უფრო მეტი თქვლიფონ და უფრო კომფორტულად იცხოვრონ.**

ამ შემზარავი ციფრების უკან კი ასიათასობით ადამიანი, მათი ძნელად წარმოსადგენი გასაჭირი დგას; ამ ციფრების უკან დგანან უწამლობით დაღუპული ადამიანები, შიმშილით დახოცილი ბავშვები, ჭკუაზე შერყეული დედები, უქონლობით თვითმკვლელებად გადაქცეული მამები, უდანაშაულოდ ციხეში გამომწყვდეული პატიმრები, მათი ოჯახის წევრები... ამ ყველაფრისთვის კი ჯერ პასუხი არავის უგია.

**ეს კატასტროფული სტატისტიკური მონაცემები „საქართველო და მსოფლიომ“ „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარეს, გია გაჩეჩილაძეს გააცნო,** რომელიც კიდევ უფრო შემაძრწუნებელი სტატისტიკის შესახებ გვესაუბრა.

**— ბატონო გია, ამ სტატისტიკის თანახმად, გადაშენების გზაზე კი არ ვდგავართ, უკვე სადღაც შუა გზაზე ვიმყოფებით. მეთანხმებით?**

— სამწუხაროდ, მართლა უმძიმესი და კატასტროფული ვითარებაა ყველა სფეროში. მე მაქვს მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს საშინელ მდგომარეობას. ამას წინათ, ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკა იმ ოჯახებისა, რომელთაც თავად მიმართეს სამინისტროს, რომ უმწეოთა პროგრამაში ჩაესვათ და 20-ლარიანი დახმარება მიეღოთ. იცით, რამდენმა ოჯახმა მიმართა სამინისტროს? 511 ათასმა ოჯახმა გაიარა რეგისტრაცია, ანუ ჩვენი პარტიის დაანგარიშებით, ოჯახების 54% აღიარებს, რომ უმწეოა და მათთვის თვეში 20-ლარიანი დახმარება შეღავათია.

**— თქვენი პარტიის მონაცემებით, ეს 511 ათასი ოჯახი რამდენ სულს შეადგენს?**

— ეს არის 1 მილიონ 639 ათასი ადამიანი. ჩვენი დაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 155 ათასი კაცია. ეს არის რეალურ ციფრთან ყველაზე მიახლოებული მონაცემი, რადგან ჩვენ დავეყრდენით 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს. ამ აღწერით, საქართველოში იყო 4 მილიონ 345 ათასი ადამიანი. ამ ციფრს გამოვაკლოთ ეს 3 მილიონ 639 ათასი კაცი და გამოდის, რომ 2002 წლის, ანუ, ფაქტობრივად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოდან წავიდა 1 მილიონ 180 ათასი ადამიანი. აი, რა დღეში ჩააგდეს ხალხი და ქვეყანა თავიანთი ანტიხალხური და უგუნური პოლიტიკით.

**ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, თუ რამდენად იკლო მოსახლეობამ რეგიონებსა და რაიონებში და საფუძვლად კვლავ 2002 წლის აღწერის შედეგები ავიღეთ. აი, ბატონო, ინებეთ რეგიონების მონაცემები: რაჭა-ლეჩხუმი — 50%, გურია — 46%, იმერეთი — 38%, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 42%, კახეთი — 38%, სამცხე-ჯავახეთი — 33%, ქვემო ქართლი — 29%, შიდა ქართლი — 26% და აჭარა — 17%. აი, სადამდე მიგვიყვანა ამ ხელისუფლებამ.** სხვათაშორის, ჩვენი კვლევის შედეგები დაადასტურა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია“. მათ არჩევნებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი კვლევა ჩაატარეს და მათი მონაცემები ლამის ერთი-ერთზე დაემთხვა ჩვენს შედეგებს.

ახლა ერთ სახელისუფლო აფერაზე გეტყვით. შარშან მთავრობამ დაარიგა ელექტრო ენერგიისა და სურსათის ვაუჩერები. მაშინ ოფიციალურად თქვეს, რომ საქართველოში 845 ათას ოჯახს მიეცა ეს ვაუჩერები. ახლა ხომ ისევ არიგებენ ამ 20-ლარიან ენერგოვაუჩერს. პრემიერ-მინისტრმა გილაურმა განაცხადა, ამ ვაუჩერებს 1 მილიონ 200 ათასი ოჯახი მიიღებსო. ამათი არითმეტიკით გამოდის, რომ ქვეყანაში ამ ერთ წელიწადში 250 ათასი ოჯახით გაზრდილა მოსახლეობა. რეალურად, აქედანვე ჩანს, რომ არჩევნების გაყალბებას აპირებენ. **ეს 250 ათასი ოჯახი საშემოდგომო არჩევნებზე მათი სარეზერვო ფონდია — დაახლოებით 800 ათასი კაცი. ეს 250 ათასი ოჯახი რეალურად არ არსებობს, მაგრამ ბიუჯეტი ამ არარსებულ ოჯახებზეც გამოყოფს თანხას — თითოზე 20 ლარს. გამოდის, 5 მილიონ ლარს გილაური და რამდენიმე კაცი ჩაიჯიბავს ბიუჯეტიდან „მკვდარი ოჯახების“ ხარჯზე.**

**— მეეჭვება, გილაური მიუშვან მაგ ფულთან, მას სიყალბეს გააკეთებინებენ და პრეზიდენტი ამ 5 მილიონს ევროპაში 3-4 უსაგნო და უშედეგო ვიზიტისას დახარჯავს თავის ნაცამფსონებთან ერთად.**

— რა მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის, ვინ სად დახარჯავს ამ ფულს? ფაქტია, ხალხის ფულს ვიღაც მიითვისებს უნამუსოდ. ახლა ისევ გაუარესებულ სტატისტიკას დავუბრუნდეთ. **2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობამ 25%-ით იკლო. ოფიციალური მონაცემებით, მილიონ 600 ათასი კაცია უცხოეთში წასული, რამდენია არალეგალურად, ეს კიდევ კაცმა არ იცის. ამ ხელისუფლების პერიოდში, ანუ 2003 წლის შემდეგ, 860 ათასმა კაცმა დატოვა ქვეყანა, ესენი კი გაიძახიან, რევოლუციის მერე ხალხი უცხოეთიდან ბრუნდებაო.**

გაეროს მონაცემებით, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, **1991 წლიდან დღემდე უცხოეთის ქვეყნებში თავშესაფარი მოითხოვა საქართველოს 86 ათასმა მოქალაქემ, აქედან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავშესაფარი მოითხოვა 44 ათასმა ადამიანმა, ანუ ნახევარზე მეტმა. აი, ამათი დემოკრატია და ადამიანთა დაცული უფლებები. სტატისტიკა უტყუარად მეტყველებს, თუ რა საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ.** ღმერთმა ნუ ქნას და, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩა ხელისუფლებაში საშემოდგომო არჩევნების შემდეგ, რაც სააკაშვილის მმართველობის გაგრძელების საწინდარიცაა, ეს ქვეყანა დაღუპულია. ქვეყანას ის ხალხიც დატოვებს, ვინც დღემდე, პატრიოტული თუ სხვა მოტივით, ჯერ არ წასულა უცხოეთში და საქართველოს „ნაციონალები“ დააქცევენ და გააპარტახებენ. ეს წელი გადამწყვეტი წელია ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. მინდა, ხალხს ვუთხრა: ნუ გაიყიდებიან 5-10 ლარად, ნუ მისცემენ ხმას ამ თანხის საფასურად „ნაციონალებს“, პარტიების მეტი რა არის, ნებისმიერს დაუჭირონ მხარი, ოღონდ ამათ არა!

**ლევან ჯავახიშვილი**





**როცა სახელმწიფო მინისტრი იყო, კახა ბენდუქიძის ინიციატივით შეუწყდათ მშობლებსა და ახალშობილებს ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება, რაზეც ჯანდაცვის სამინისტრო უსიტყვოდ დათანხმდა**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შიშველი-გადარეულები! ძალიან კარგად ჩაცმულ-დახურულები სულელები არიან, თორემ გადარეულს რა უჭირს. ჩემი მეგობრის მამის ერთი გამონათქვამი მახსენდება: გიჟს კიდევ რაღაცა ეშველება, სულელს ვერაფერს მოუხერხებო. ამათ რომ ვუყურებ, ამათ მოღვაწეობას, ვრწმუნდები, რომ მართალი იყო ის კაცი.“

## ეგვიპტეში რადიკალური ისლამისტები იმარჯვებენ

**ეგვიპტის პარლამენტის ზედა პალატაში უმრავლესობა რადიკალური ისლამის მიმდევარმა პოლიტიკურმა ძალებმა მოიპოვეს.** ისლამისტებმა ზედა პალატაში 270-დან 150 მანდატი მიიღეს. 105 მანდატი მიიღო თავისუფლებისა და სამართლიანობის პოლიტიკური ფრთის რადიკალურმა დაჯგუფებამ „ძმები მუსლიმანები“, ხოლო 45 ადგილი — პარტია „ან-ნურმა“. მესამე ადგილზე გასულმა ლიბერალურმა პარტიამ „ვაფდმა“ მხოლოდ 14 მანდატი მოიპოვა, მეოთხეზე კი 8 მანდატით სოციალ-დემოკრატები — „ეგვიპტის ბლოკი“ გავიდა. დარჩენილი მანდატები სხვა პარტიებს შორის გადანაწილდება. უნდა აღინიშნოს, რომ ზედა პალატა საკანონმდებლო უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი. ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ისლამისტები ეგვიპტეში მნიშვნელოვნად იკრებენ ძალებს.



## ნატომ ავღანეთიდან ყველა თანამშრომელი გამოიწვია

**ნატომ ავღანეთის სამინისტროებში დასაქმებული ყველა თავისი თანამშრომელი გამოიწვია.** ავღანეთში ISAF-ის ძალების მეთაურმა ჯონ ალენმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ქაბულში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე შეტევის შედეგად ნატოს ორი ამერიკელი მრჩეველი მოკლეს. „უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მივიღე სასწრაფო გადაწყვეტილება ქაბულის სამინისტროებსა და მის ფარგლებს გარეთ დასაქმებული ISAF-ის სრული პერსონალის გამოწვევის შესახებ“, — განაცხადა ჯონ ალენმა. შეგახსენებთ, რომ ავღანეთში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ყურანი დაწვეს. იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ავღანეთის პრეზიდენტს ამერიკელი სამხედროების ქმედების გამო ოფიციალურად ბოდიში მოუხადა, თალიბები და ადგილობრივი მოსახლეობა პოლიციაზე და გაეროს წარმომადგენლებზე თავდასხმებს განაგძრობენ.

# გენიტალიებთან შეხების «ხელოვნება» და «აი ია»-ს საკრალური მნიშვნელობა



**იანვრის ბოლოს რუსთაველის თეატრისა და ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ერთობლივი ქართულ-ინგლისური სპექტაკლის „შემეხეს“ პრემიერა. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილმა ამ უზნეობამ აღაშფოთა ქართული საზოგადოებრიობა, რომელმაც ასეთი „კულტურული თანამშრომლობა“ ხალხის, მისი ტრადიციების, ელემენტარული წესიერების აბუჩად აგდებად შეაფასა. ამ თემაზე ვიწყებთ საუბარს ბატონ ემირ ბურჯანაძესთან.**

**— შიშველი-გადარეულები თეატრალურ სცენაზე რომ დარბიან დღეს, პირდაპირი გაგებით შიშვლები, და თანამედროვე ხელოვნების შედევრად რომ მიიჩნევენ საკუთარ ნაცოდვილარს, ამაზე რა აზრის ხართ, ბატონო ემირ?**

— რა გითხრათ? საერთოდ უზნეობის დროა. ყველაფერში. ეს არის საშინელება! აი, ახლა მომიტანეს ახალი ამბავი: **თბილისის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ რექტორად აირჩია ქალბატონი ნინო ღაღანიძე და კულტურის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა. მაგრამ მინისტრი რურუა ხელს არ აწერს. არ უნდა. ალბათ, „ნაცებიდან“ არ არის აკადემიის კანდიდატი. ეს თავხედობის უმაღლესი დონეა. ნაძირლების დოღია. უბედურებაა! დასცინიან ქვეყანას!**

ამ ქალბატონის არჩევა ფორმალური პროცედურა კი არ იყო, არამედ — აკადემიის საერთო პოზიცია: იგი ნამუშევარია აკადემიაში, გარკვეულია სასწავლო პროცესის თავისებურებებში. თეორეტიკოსია, ხელოვნებათმცოდნე.

**— გიმუშავიათ მასთან ერთად?**

— სამწუხაროდ, არა. ადრე წამოვედი აკადემიიდან... ახალი კადრები მოვიდნენ, მაგრამ თურმე მიცნობენ და ვახსოვართ კიდევ...

თურმე იმათ თავიანთი კადრი ჰყავთ. თურმე ხმები სწორად არ ყოფილა დათვლილი...

**— ბევრი „თურმე“ ხომ არ დაგროვდა?!**

— ბევრი... რომელი ყრილობა ეს იყო, ან პარლამენტის არჩევნები, ხმების დათვლა რომ შეშლოდათ? ზღვარსგადასული თავხედობაა: მე როგორც მინდა, რაც მინდა, იმას ვაკეთებ, შენ არაფრად გთვლი!

შენ ვინა ხარ?

**ვინც ავტორიტეტული იყო, ვინც რამეს წარმოადგენდა აკადემიაში, დღეს ყველა ქუჩაშია. არავინ არ უნდათ.**

**— ვის?**

— იმას თუ ახსოვს, რა ჰქვია, კაცო, იმას? ჩვენს პირველს, საქართველოს სიმაღლეს და სიამაყეს. ახსოვს რას ამბობდა ცოტა ხნის წინათ? 40 წლის ხეც არ მინდაო.

ჭკუა აქვს ამის მთქმელს?

40 წლის ხე კიდევ ახალგაზრდაა, იმდენად, რომ მისახედია, მოვლა სჭირდება, ძირის დაბარვა, გადაბელვა, კირით შეღებვა.

ხეც არ უნდა!

ხე მარტო მცენარე კი არა, ძალიან დიდი სიმბოლოა, ებრაელებისთვის განსაკუთრებით. ადამიანს ადარებენ ხეს: „ადამიანი მინდვრის ხესა ჰგავს“ (ნათან ზახი). ხე — სიცოცხლის პირველი ნიშანი. მიწიერის ცისკენ ლტოლვა.

**— „აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა“, — წერია ბიბლიაში (დაბ. 2,9).**

— ასეთი აზროვნება ამათთვის სრულიად უცხო ხილია: რა ხელოვნებაზე, რომელ თეატრალურ დადგმაზე, რა თანამედროვეობასა და რა პოზიციებზეა ლაპარაკი?!

არ ვიცი!

**რაღაც ფორმას ეძებენ და ველარ გაიგეს, რა ფორმაა საჭირო. ახლა, ალბათ, შიგნეული უნდა გადმოუყარონ მსახიობს, რომ რაღაც სახე შექმნან — სიშიშვლე აღარ ჰყოფნით.**

**— გამოშიგვნა ყასბების საქმეა!**

— სიურეალიზმი რომ შემოვიდა, როგორც მიმდინარეობა, ხედვა და აზროვნება, ძალიან ბევრმა დააღო პირი, ვერ გაარკვია, რას ნიშნავდა ეს დეფორმაცია, იმპროვიზებული, არარეალური, არადამაჯერებელი ფორმები. მაგრამ ეს პირველად მიქელანჯელომ გააკეთა: თავისი ტყავი აქვს დაკიდებული: ტყავში გამძვრალი სული.

სალვადორ დალიმ საათი დაკიდა უფორმო.

პიკასოს აქვს ნათქვამი: რაც უფრო გაუგებარია მნახველისთვის, მით უფრო საინტერესოა მისთვისო.

**— ნაწლავების გადმოყრაში ან გენიტალიების დემონსტრირებაში რა არის „გაუგებარი და საინტერესო“?**

— ეს არის ნიჭის და ოსტატობის არქონის უხამსობით დაფარვის მცდელობა, სხვა არაფერი, თორემ სიშიშვლე ბუნებრივი მდგომარეობაა. ეს არის ფორმა, ღმერთის ნაყოფია, ბუნების შვილია.

ელინისტური კულტურა გადაყვა შიშველი ფიგურის ძერწვას. ასე იყო ეგვიპტის ხელოვნებაში, ასეა ქართულში და ასე აზროვნებს მსოფლიო.




**«ეს არის ნიჭის და ოსტატობის არქონის უხამსობით დაფარვის მცდელობა, სხვა არაფერი, თორემ სიშიშვლე ბუნებრივი მდგომარეობაა. ეს არის ფორმა, ღმერთის ნაყოფია, ბუნების შვილია»**

**— ხოლო მიქელანჯელოს „დავითი“ მამაკაცის შიშველი ფიგურის გამოსახვის იდეალურ ნიმუშად, ხელოვნების მწვერვალადაა მიჩნეული, არაფერი რომ არა ვთქვათ იდეაზე, რომელიც ამ ქანდაკებაშია ჩადებული — კონცენტრირებული რისხვა და ფიქრი ბრძოლისთვის გამზადებული მეფის.**

— მისი ფლორენციის სინიორიის მოედნიდან ფლორენციის სახვითი ხელოვნების აკადემიაში გადატანის გამო ლამის სამოქალაქო ომი ატყდა. თუმცა საბოლოოდ მაინც აკადემიის კედლებში მოთავსდა. მოედანზე მისი ასლი დგას.

**— ან მიქელანჯელოსავე მარმარილოს კომპოზიცია „პიეტა“ — გარდაცვლილი ადამიანის შიშველი ფიგურა წმინდა პეტრეს ტაძარში.**

— უამრავი სხვა უცნობილესი მაგალითის დასახელება შეიძლება. სიშიშვლე კი არ არის პრობლემა, არამედ რისი თქმა გსურს ამ სიშიშვლით, და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო ხელოვნებასთან. გააჩნია, როგორ გამოიყენებ მას, რა იდეას ჩააქსოვ.

**— თქვენთან მოსვლის წინ სპეციალურ ლიტერატურას გადავავლე თვალი და სწორედ იდეის მატერიალიზაციის შესახებ ერთმა გამონათქვამმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ჯორჯო ვაზარი თავის ნაშრომში, რომელიც ყველაზე უფრო გამოჩენილი ფერმწერების, სკულპტორებისა და ხუროთმოძღვართა შემოქმედებისადმია მიძღვნილი, ასე აფასებს მიქელანჯელოს შედევრებს (ციტატა მიახლოებითია): საგნების, რომელთაც იგი იდეაში ხედავდა, ქმნიდა კიდეც. წარმოუდგენელია სხვა ადამიანს ხორცი შეესხა ესოდენ დიადი და განმაცვიფრებელი ჩანაფიქრისთვის.**

სიქსტის კაპელის საკურთხევლის მიქელანჯელოსეულ ფრესკაზე „განკითხვის დღე“ შიშველი ფიგურებითაა წარმოდგენილი. ▶

მსოფლიო

## კოსოვო და სერბეთი შეთანხმდნენ

**ბრიუსელში გამართულ მოლაპარაკებებზე კოსოვოსა და სერბეთის წარმომადგენლებმა შეთანხმების მიღწევა შეძლეს.** შეთანხმების მიხედვით, ოფიციალური ბელგრადი პრიშტინას დამოუკიდებლობას არ აღიარებს, თუმცა კოსოვოს ბალკანეთის რეგიონულ ორგანიზაციებში ჩართვის უფლებას მისცემს. გარდა ამისა, მხარეები სადავო საზღვრების ერთობლივ კონტროლზე შეთანხმდნენ. ეს შეთანხმება პირველია მას შემდეგ, რაც კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. კოსოვოს დამოუკიდებლობა რამდენიმე ათეულმა სახელმწიფომ აღიარა. საქართველო პრიშტინას დამოუკიდებლობას არ სცნობს.



## აშშ-ს არ სჯერა

**ამერიკული გამოცემა „ლოს ანჯელეს ტაიმსის“ ინფორმაციით, აშშ-ს არ სჯერა, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს.** გამოცემა ამ ინფორმაციის წყაროდ ასახელებს აშშ-ის დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტს, რომელშიც წერია, რომ თეირანმა ბირთვული იარაღის შექმნისაგან ხელი ჯერ კიდევ 2003 წელს აიღო. „აშშ-ის დაზვერვის ინფორმაციით, ირანის მიერ წარმოებული კვლევით ბირთვული იარაღის შექმნა შესაძლებელია, მაგრამ თეირანი ამას არ აპირებს“, — წერს გამოცემა.

„აი ია“ — ეს ოთხიანი ნიშნავს ოთხწლეულს. რამეთუ სამი წლის შემდეგ, ყოველ მეოთხე წელიწადს ერთი დღე ემატება, რათა შეივსოს წელიწადის დღეთა რაოდენობა — 365. ეს არის კალენდარი. ეს არის დროის გამოხატვის არაჩვეულებრივი მათემატიკური და ლინგვისტური აზროვნება. ულამაზესი სისტემაა. დასაბამისობა არის მეხსიერებასთან დაკავშირებული დროის აუცილებლობა. სწორედ დროისთვისაა განსაზღვრული ქართული დამწერლობა და ამით აღიქმება მთელი სამყარო და ჩვენი ყოფა.“



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ემირ ბურჯანაძე: გიჟს კიდევ რაღაც ეშველება, სულელს ვერაფერს მოუხერხებ

◀ **კათოლიკური ეკლესიის ბევრი ცენზურა გაიარა ამ შედევრმა, დაბოლოს მაინც პირვანდელი სახე აღიდგინა.**

— ოთხი წლის წინათ გია ბუღაძემ შემომთავაზა პერსონალური გამოფენის მოწყობა ან აკადემიაში, ან გალერეაში. გალერეას მაშინ არემონტებდნენ, რჩებოდა აკადემია, სადაც პროფესიონალები იყვნენ, ჩემი მეგობრები, ხელოვანთა საზოგადოება. მოვაწყვეთ ეს გამოფენა, რომელმაც შემდეგ სამების კათედრალის ახალგაზრდულ ცენტრში გადაინაცვლა. სამწუხაროდ, ამას დაემთხვა 2008 წლის ომი. ისე აიბურდა ვითარება, რომ 3 თვე გასტანა ამ გამოფენამ, რომლისთვისაც, კაცმა რომ თქვას, აღარავის ეცალა. ყველაფერ უბედურებასთან ერთად ამათ ტაშფანდური ჰქონდათ ატეხილი — ჩვენ გავიმარჯვეთო. სად გამოგვეყოფოდა თავი?

**უცებ მოვიდნენ ჩემი მეგობრები — კოლეგა მხატვრები და მეუბნებიან, ემირ, შენი გამოფენის რამდენიმე ნიმუში დატოვე სამებაში მხატვრების საერთო გამოფენის ექსპოზიციისთვისო.**

**რისთვის ვყვები ამ ყველაფერს?**

**ვყვები იმიტომ, რომ ამ პროზაული ამბის ბოლოს ხდება „სასწაული“: ჩამოიარა სამების ეკლესიის წინამძღვარმა, ცენზორის თვალით გადახედა ექსპოზიციას და რამდენიმე ნამუშევარზე მიუთითა — ესენი მოხსენითო. რატომო, რომ ჰკითხეს, შიშველი ფიგურებიაო.**

**— სიქსტის კაპელას რეციდივი?**

— რანაირად შემიძლია შევადარო კათოლიკური პოზიცია მართლმადიდებლურ აზროვნებას?! სისასტიკით ის ჭარბობს, შედარებაც არ შეიძლება. თურმე რა ყოფილა შიშველი, არ იკითხავთ? ცხენ-კაცი — მითიური კენტავრი ყოფილა შიშველი.

**(ვიცინით. ერთ რუსულ ანეკდოტსაც ვიხსენებთ კენტავრთან დაკავშირებით კაცისა და ცხენის ეს ჰიბრიდი კმაყოფილმა დიასახლისმა ასე შეაფასა: — И мужик в доме и скотина во дворе. კაცად კაცი სახლში მყავს და საქონელიც დამიდის ეზოშიო...).**

— მერაბ ცინცაბაძე გვყავს, სოხუმელი კაცი, ნიჭიერი და განათლებული ადამიანი. მეკითხება, გამაგებინე, კენტავრი როგორი უნდა იყოს ჩაცმულიო.

ბოლოს და ბოლოს, ჯვარზე გაკრული ქრისტეს ხატი, ჯვარცმული ქრისტე ჩაცმულია?

**— ეს იყო განსჯა თემაზე „სიშიშვლე და ხელოვნება“... გამოთქმა „შიშველი გიჟი“ როგორ გესმით, ბატონო ემირ?**

— შიშველი-გადარეულები! ძალიან კარგად ჩაცმულ-დახურულები სულელები არიან, თორემ გადარეულს რა უჭირს. **ჩემი მეგობრის მამის ერთი გამონათქვამი მახსენდება: გიჟს კიდევ რაღაცა ეშველება, სულელს ვერაფერს მოუხერხებო. ამათ რომ ვუყურებ, ამათ მოღვაწეობას, ვრწმუნდები, რომ მართალი იყო ის კაცი.**

(ნორმალურად მოაზროვნე საქართველოს მოქალაქე, თუ მკითხველი დაკვირვებია, ჩვენს ხელისუფლებას უმეტესად მხოლოდ მინიშნებით, ნაცვალსახელით მოიხსენიებს: ესენი, ამათ და ა.შ. ანუ ისე, როგორც ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაშია კოდირებული: უარყოფითი რეაქციის გამჟღავნება იმგვარი სულიერისადმი, მოვლენისადმი თუ საგნისადმი, რაც ადამიანში ნეგატიურ ემოციებს იწვევს — განვედ ჩემგან! უსიამოვნებისგან თავდაცვის საშუალებად დგება წინა პლანზე. გარკვეული თვალსაზრისით, ტოტემიზმის ერთგვარი ნაშრევის გამოვლენაა.

ამის საუკეთესო მაგალითები მოიძებნება მეგრულ ენაში, სადაც ამგვარ სახელებს სინონიმები აქვს დამკვიდრებული, „საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად“, შესაძლო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

დღეს „ესენიო“, რომ იტყვის კაცი, ამ ჩვენს ხელისუფლებას გულისხმობს, და არის ცინიზმის დიდი დოზა ამ ნაცვალსახელში ჩადებული, კოდირებული.

კოდირებაზე განვაგრძობ საუბარს ბატონ ემირ ბურჯანაძესთან, რაც წინარე პუბლიკაციებში არაერთგზის გვაქვს ნახსენები და რაიც ქართულ დამწერლობასთანაა დაკავშირებული).

## რა დევს „აი ია“-ში?

— მოგეხსენებათ, რომ თითოეულ ასონიშანს აქვს თავისი რიცხვითი მნიშვნელობა. ანბანურ-რიცხობრივი სისტემა რომ გავითავისე, ჩემთვის გადავამოწმე (არავითარ აღმოჩენაზე არ ვდებ თავს) და გამოვიდა ძალიან საინტერესო ციფრული რამდენიმე ვარიანტი, რომელშიც ერთიდან ცხრამდე აბსოლუტურად ყველა მუშაობს, ციფრი ორი გამორცჰეულია, ხოლო, მთელი ქართული სისტემა ცხრეულითაა დანახული.

**— ზოგიერთი მეცნიერი ქართული ანბანის შვიდეულების პრინციპზე ლაპარაკობს — სამი, ოთხი და ხუთი შვიდეულის შესახებ, და ამ განსაკუთრებული სისტემის საფუძველს პითაგორიანულ მოძღვრებაში ეძებს.**

— დიახ, ასეა. მაგრამ, მოდით, ჩვენ თავიდან დავიწყოთ — ერთითა და ორით, რადგან ერთი და ორია ძალიან საინტერესო: ერთია ღმერთი, ორია ქალბატონი — ორსული, შობადი. ე.ი. მქნადი და შობადი.

როგორც ჩანს, ქართულში იყო სქესის ნიშნები — **ა**, **ი**.

ძალიან კარგად იცის ეს ვაჟა ფშაველამაც, გალაკტიონმაც, ყოველ შემთხვევაში, ეს მომენტი მათთან თვალნათლივაა წარმოდგენილი.

სახელობით ბრუნვაში ხომ არის „ვაჟ**ი** ფშაველ**ი**“, მაგრამ ა მამრისაა, ქმნადია, ამიტომ — ვაჟ**ა** ფშაველ**ა** — მამრი.

ერთ ლექსში არის ასეთი სტრიქონი — „ქალო, განხე ფეხშიშველ**ი**“; გალაკტიონთან — „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველ**ა**მ არ გავიარე“. **ი**-სა და **ა**-ს მონაცვლეობაა, — მამრისა და მდედრის.

**ი** არის 10, **ა** არის 1. ერთი, ათი, ასი, ათასი და ათიათასი მთელი სიცხადით ერთიანია. ნულები არაფერს ნიშნავს არც ისტორიისთვის, არც ბიბლიური მცნებებისთვის, არც ამ სამყაროს ახსნის თვალსაზრისით. წამია ყველაფერი, ერთია ყველაფერი.

**— „რიცხვი „ერთი“ პითაგორიანული გაგებით არის საწყისი საერთოდ რიცხვისა... „ორი“ კი უარყოფითი რიცხვია, გეომეტრიული სწორი ხაზი სივრცეული „ორია“, იგი უსასრულოა, არც საწყისი აქვს და არც დასასრული. ამიტომ „ორი“ უარყოფითი რიცხვია“, — ამბობს რამაზ პატარიძე, თქვენთან კი ორი დადებითი მუხტის მატარებელია, უმშვენიერესია, ორსულია, შობადი.**

— არის ეს განსხვავება. მაგრამ „ორი“ საწყისიცაა და ზღვარიც.

მეგობარი მყავდა ნოდარ ხვედელიძე, რომელმაც დატოვა ძალიან საინტერესო ნაშრომი „ასტროლინგვისტიკა“. საინტერესო პარალელები აქვს მოტანილი ქართულთან, არაჩვეულებრივად ღრმა და ბევრისმთქმელი.

**— „აი ია“-ში რა კოდია ჩადებული, ბატონო ემირ? გარდა იმისა, რომ ეს არის ანათვალი ერთიდან ათის ჩათვლით, კი 10 პითაგორიანულ სწავლებაში სრულყოფილი რიცხვია.**

— „აი ია“ — ეს ოთხიანი ნიშნავს ოთხწლეულს. რამეთუ სამი წლის შემდეგ, ყოველ მეოთხე წელიწადს ერთი დღე ემატება, რათა შეივსოს წელიწადის დღეთა რაოდენობა — 365. ეს არის კალენდარი — წელიწადის ოთხი დროის აღმნიშვნელი. ეს არის დროის გამოხატვის არაჩვეულებრივი მათემატიკური და ლინგვისტური აზროვნება. ულამაზესი სისტემაა. დასაბამისობა არის მეხსიერებასთან დაკავშირებული დროის აუცილებლობა. დასაბამიდან... სწორედ დროისთვისაა განსაზღვრული ქართული დამწერლობა და მისით აღიქმება მთელი სამყარო და ჩვენი ყოფა.

**— ქართული ანბანი?**

— დიახ. ეს არის არაჩვეულებრივი სისტემა, განუმეორებელი, მსგავსი არ არსებობს, უნიკალურია. ეს ჰქონდა მხედველობაში რამაზ პატარიძეს, რომელიც ამბობდა, რომ ქართული ანბანი კალენდარიაო, მაგრამ ვერ ახსნა რატომ.

„აი ია“ რომ დავინახე, დავფიქრდი, რას უნდა ნიშნავდეს ეს მშვენიერება. დავთვალე, დავთვალე და მივედი ზუსტად „ვიემდე“ (*ასო, რომელიც დღევანდელი ქართული ანბანიდან ამოღებულია. — ა.ს.*), რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არ აქვს. „ვიე“ 22-ე ასონიშანია, რაც ჯამში ოთხია. ორის წარმოება თავის თავთან — ორჯერ ორი, ორს მივუმატოთ ორი, ორი აყვანილი ხარისხში და ა.შ., მუდმივად ერთსა და იმავე მდგრად პასუხს იძლევა — ოთხს. ოთხი კი ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში დროისა და სივრცის სიმბოლური რიცხვია. „ვიე“ არის სწორედ კლიტე, გასაღები სამ-ოთხისა. სამსა და ოთხს შორის არის „ვიე“ — გამოტოვებული ციფრული მნიშვნელობა. რა საინტერესო კოდია, ხედავთ? როგორი ხედვაა! აი, რას ნიშნავს კოსმოგონია ზოგადად! ეს არის, ვიმეორებ, ქართული აზროვნების ულამაზესი სისტემა.

* * *

**ბატონი ემირ ბურჯანაძის მიხედვით, რასაც იგი ქართული დამწერლობის მრავალმხრივ ანალიზზე დაყრდნობით ამტკიცებს, „დასაბამიდან დომინირებული აზროვნება ჩვენია“, შუამდინარეთისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ცივილიზაცია ჩვენი განაყოფია.**

**„აი ია“ საწყისია, ვთქვათ ასე, — პირველი საფეხურია: ამას მოჰყვება უფრო და უფრო საინტერესო მიგნებანი და აღმოჩენები, რომლებიც გაშიფრულია ქართველ მეცნიერთა და ბატონ ემირ ბურჯანაძის მიერ.**

**ჩათვალეთ დღევანდელი პუბლიკაცია, მომდევნო წერილების შესავლად და მიადევნეთ თვალი „საქართველო და მსოფლიოს“ ნომრებს.**

**ახლა კი, ჩვენო განათლებულო მკითხველებო, რაც წაიკითხეთ, იმ გადასახედიდან შეაფასეთ შიშველი-გადარეულების ტინგიცობა თეატრის სცენაზე თუ პოლიტიკაში, რასაც ერთნი ხელოვნებად ასაღებენ, მეორენი — ქვეყნისა და ხალხის მსახურებად.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## ვაზუსტებთ

„საქართველო და მსოფლიოს“ №7-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ ჯემალ აჯიაშვილთან, რომლის სათაური უნდა იკითხებოდეს: „ნიუ იორკ ტაიმსი: გაუგონარი ტელესანახაობა საბჭოთა კავშირის ისტორიაში“, ხოლო იმავე პუბლიკაციის (გვ. 18) მეორე სვეტის ქვემოდან პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

„— გარკვეულწილად, ალბათ, — კი... მესამე ცოლი ჰყავდა მაშინ“, და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ეს დასანანი უზუსტობა დაშვებულ იქნა ავტორის უყურადღებობით, რისთვისაც ბატონ ჯემალს და მკითხველებს ვუხდი ბოდიშს.

არმაზ სანებლიძე



## ბაშარ ასადს მოსკოვში წასვლა ურჩიეს

**ტუნისის პრეზიდენტმა თავის სირიელ კოლეგას, ბაშარ ასადს ოჯახთან ერთად რუსეთში წასვლა ურჩია.** ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ყველას (პრეზიდენტს და მისი ოჯახის წევრებს) უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი. „სამართლიანობა მის მიმართ შეიძლება არ დადგეს, მაგრამ სირიელი ხალხის სიცოცხლე ამჟამად სამართლიანობაზე მაღლა დგას“, — განაცხადა მარზუკიმ ტუნისში გამართულ კონფერენციაზე „სირიის მეგობრები“, რომელშიც მონაწილეობა 70-ზე მეტმა სახელმწიფომ მიიღო. ტუნისის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მთავარი კრიზისიდან პოლიტიკური გამოსავლის პოვნაა და მის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი გახდება სისხლისღვრის შეწყვეტის მიზეზი.



## იანუკოვიჩი ტიმოშენკოს შეიწყალებს

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ყოფილი პრემიერ-მინისტრის — იულია ტიმოშენკოს შესაძლო შეწყალების შესახებ ალაპარაკდა.** როგორც იანუკოვიჩმა უკრაინული ტელეარხებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, შეწყალების პროცესის დაწყება შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ექს-პრემიერის სასამართლო პროცესი დასრულდება და პრეზიდენტს ტიმოშენკო შესაბამისი განცხადებით მიმართავს. „ევროპელებს ვეთანხმები, რომ უკრაინული კანონმდებლობა სრულყოფილი არ არის და ტიმოშენკოს საქმე ევროპული სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად არ განიხილებოდა“, — აღიარა პრეზიდენტმა.

მოკლედ

## მიტ რომნი ბარაკ ობამას აკრიტიკებს

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნი მიიჩნევს, რომ აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სისუსტე გამოიჩინა, როდესაც მხარი არ დაუჭირა ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების იდეას.** რომნის განცხადებით, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ის არ დაუშვებს, რომ ირანელებს ბირთვული იარაღი გაუჩნდეთ. „ეს არის პრეზიდენტი, რომელსაც ირანისათვის უნდა გამოეცხადებინა, რომ ჩვენ მზად ვართ, გამოვიყენოთ ძალა და რომ ჩვენ განვიხილავთ სამხედრო მოქმედებების შესაძლებლობებს“, — აღნიშნა რომნიმ.



## ტიმოშენკოს აწამებენ

**უკრაინის ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს შვილის მტკიცებით, მის დედას საკანში 24-საათიანი ვიდეოთვალთვალითა და ანთებული სინათლით აწამებენ.** როგორც მან განაცხადა, იულია ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო დიაგნოზს აყალბებს. ექსპრემიერის შვილის მტკიცებით, უცხოელი ექიმების მიერ მომზადებულ დასკვნაში, რომელიც ცოტა ხანში გამოქვეყნდება, ტიმოშენკოს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სიმართლე დაიწერება.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საეჭვო საკითხია, გაეროს წევრების უმრავლესობა არ აღიარებს სერბეთისაგან მის გამოყოფას, ფაქტობრივად, მხარეს (აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს მფარველობით) სწორედ ტაჩი ხელმძღვანელობს. ოთხი წლის მანძილზე მან მოასწრო, კიდევ ერთხელ მოეგო საპარლამენტო არჩევნები და შეენარჩუნებინა თანამდებობა. მას ილებენ ვაშინგტონის, ბრიუსელის, ბერლინისა და სხვა დასავლური დედაქალაქების სახელისუფლო კაბინეტებში. დასავლეთს სულაც არ აშფოთებს, რომ ამ ადამიანს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უსასტიკეს დანაშაულებში სდებენ ბრალს.**

# ხაშიმ მფატრავი

**ოთხი წლის წინ კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ეს ფაქტი მაშინვე აღიარა დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანამ. მას შემდეგ „სახელმწიფო მოღვაწეთა“ წრეში შევიდა მხარის პრემიერ-მინისტრი ხაშიმ ტაჩი, მეტსახელად „გველი“. საეჭვოა, დედამიწაზე არსებობდეს პოლიტიკოსი, რომელსაც მასზე უფრო შავბნელი წარსული ჰქონდეს. სერბების მკვლელობებსა და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში ბრალდება მხოლოდ ნაწილია იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებშიც ტაჩი შემჩნეულია, მაგრამ, დასავლეთის ნებით, თანამედროვე ისტორიას ამგვარი „ძაღლიშვილიც“ ქმნის. მხარის სერბული მოსახლეობა მოკლებულია თავის კანონიერ უფლებებს, მათ მიერ ჩატარებული რეფერენდუმები და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები „მსოფლიო საზოგადოების“ მხრიდან სრული იგნორირებისთვისაა განწირული.**

ხაშიმ ტაჩი დაიბადა სერბეთის ავტონომიური მხარის სოფელ ბროკნიში. მისი ახალგაზრდობის წლების შესახებ მონაცემები ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპიროა. ადგილობრივი მცხოვრებნი ყვებიან, რომ ტაჩის სრული საშუალო განათლებაც კი არ მიუღია, სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა ალკოჰოლისადმი მიდრეკილებითა და სიმთვრალეში ჩხუბით. კოსოვოს მიტროვიცას ბაზარში იგი ცალკე გამყიდველებს ძარცვავდა და ცალკე — მყიდველებს. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ბანდფორმირებისა თუ მაფიოზური ჯგუფის ხელმძღვანელის „კარიერისათვის“ სავსებით შესაფერისი დასაწყისი ისახება.

**მაგრამ, თუ ოფიციალურ ბიოგრაფიას დავუჯერებთ, ტაჩიმ არა მხოლოდ სკოლა, არამედ მხარის დედაქალაქ პრიშტინაში ისტორიისა და ფილოსოფიის სპეციალობებით უნივერსიტეტიც კი დაამთავრა. ჯერ 20 წლისაც არ იყო, როდესაც ადგილობრივი ალბანელი ნაციონალისტების რიგებში გაერთიანდა. სხვა სტუდენტებთან ერთად მან დააარსა ახალი, „სუფთა ალბანური“ უნივერსიტეტი, რომელმაც უარყო ბელგრადის მიერ დაწესებული ყველა პროგრამა. 1992 წლიდან ტაჩი უკვე ბრწყინავდა არაკანონიერი ფორმირებების საქმიანობაში. ერთი წლის შემდეგ ის იყო გლოგოვეცის დასახლებაში იმ აფეთქების ორგანიზატორთა შორის, რომელსაც სამი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

1993 წელს ტაჩი შვეიცარიაში გადავიდა, თითქოსდა ციურიხის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ამ მომენტისათვის იქ ცხოვრობდა ალბანელთა მრავალრიცხოვანი დიასპორა, რომელიც კოსოვოს სერბეთისაგან გამოყოფაზე ოცნებობდა. ჩვენი გმირი გაწევრიანდა რადიკალურ მარქსისტულ წრეში „კოსოვოს სახალხო მოძრაობა“, რომლისგანაც მომავალში წარმოიშვა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია. ტაჩიმ მალე გამოავლინა ისეთი თვისებები, რომ მეგობრებმა მეტსახელად „გველი“ შეარქვეს.

**ახალ ორგანიზაციაში, რომელიც „დიდი ალბანეთის“ (ალბანეთის, კოსოვოს, მაკედონიის ნაწილის, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის მომცველი) შექმნის იდეით გამოდიოდა, ტაჩი ფინანსებზე, მომზადებასა და შეიარაღებაზე აგებდა პასუხს. ეს ყველაფერი ხდებოდა ალბანეთში განლაგებულ სავარჯიშო ბანაკებში. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკები გადადიოდნენ კოსოვოს ტერიტორიაზე და იქ ახორციელებდნენ დივერსიებს. საიდან ფული? ჯერ კიდევ მაშინ წერდნენ, რომ კოსოვოელ სეპარატისტებს კოსოვო-ალბანური ნარკომაფია აფინანსებდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ის არა...**

1990-იანი წლების შუა პერიოდში ტაჩი სერბეთში ერთ-ერთ ყველაზე ძებნილ ადამიანად იქცა. მომავალ პოლიტიკოსს „დრენიცის ჯგუფის“ ხელმძღვანელობა ბრალდებოდა. დივერსიის გარდა, იგი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, ნავთობისა და სიგარეტის კონტრაბანდაში, სუტენიორობაში, მანქანების გატაცებაში. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ კონკურენტებთან, მათ შორის, ალბანელებთანაც ცერემონიები არ სჩვეოდა. სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კოსოვოში ჩადენილი ყველა დანაშაულის 15 პროცენტთან „დრენიცის ჯგუფი“ იყო დაკავშირებული. 1997 წელს სერბეთის სასამართლომ ტაჩის 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, მაგრამ მისი მოძებნა არავის უფიქრია...

1997-98 წლებში კოსოვოში მსხვილმასშტაბიანი გეოპოლიტიკური თამაშები დაიწყო.



**ხაშიმ ტაჩი «ჩვენიანი ძაღლიშვილის» ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. სერბეთისგან კოსოვოს მოწყვეტის სანაცვლოდ, აშშ-მა და ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებმა მას კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული აპატიეს**

გარემოებათა დამთხვევით, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს იმ დროს ეთნიკური ალბანელი ჯორჯ ტენეტი ედგა სათავეში. კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ შეიარაღებული ამბოხი წამოიწყო იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ მხარის გამოყოფის მოთხოვნით. მათი მომზადების ბანაკებში მიდიოდა ამერიკული, გერმანული და სხვა წარმომავლობის ფული. აშშ-მა და ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებმა ალბანელი ბოევიკების ღიად მხარდაჭერა დაიწყეს და ბელგრაზე ზეწოლის განხორციელებას შეუდგნენ. ტაჩი საველე მეთაურებს შორის დაწინაურდა. სწორედ ის ჩაუდგა სათავეში კოსოვოელი ალბანელების დელეგაციას იუგოსლავიის ხელისუფლებასთან საფრანგეთში გამართული მოლაპარაკებებისას, 1999 წლის დასაწყისში.

**კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო წარმატებები საეჭვო იყო — 1999 წლის მარტში იუგოსლავიის არმია საკმაოდ მტკიცედ აკონტროლებდა კოსოვოს. მსუბუქად რომ ვთქვათ, ტაჩისგან სარდალი ვერ გამოვიდა. მის დამსახურებად ერთადერთი ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა კოსოვო-ალბანელი ისლამისტები. მარქსისტ ტაჩის მუდამ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ისლამისტებთან.**

ასე რომ, კოსოვოელი ალბანელების მოძრაობას რელიგიური ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ დარბეული სერბული ტაძრებისათვის ეს ნუგეშად ვერ გამოდგება.

**კოსოვოში მდგომარეობის მბრძანებლად ტაჩიმ თავი 1999 წელს იგრძნო. ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის შედეგად სერბი პოლიციელები და ჯარისკაცები მხარიდან წავიდნენ. კოსოვო ფორმალურად საერთაშორისო კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ სინამდვილეში მას აშშ-ისა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მხრიდან ზურგგამაგრებული ალბანელები ხელმძღვანელობდნენ. რაც ამის შემდეგ მოხდა, იმის შეხსენება არავის სჭირდება. ათასობით სერბი და სხვა არაალბანელი დახოცეს, ასობით ათასი გაიქცა. ის, რომ ამ საქმესთან საველე მეთაური ტაჩიც იყო დაკავშირებული, ყველასათვის კარგად ცნობილი საიდუმლოა.**

ამავე დროს ტაჩი 1999 წლიდან ნელ-ნელა ითვისებდა პოლიტიკოსის როლს. მან დაშალა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია, შექმნა კოსოვოს დემოკრატიული პროგრესის პარტია, რომელსაც შემდეგ კოსოვოს დემოკრატიული პარტია უწოდეს. ტაჩიმ თავად დაინიშნა თავი მხარის პრემიერად, შემდეგ კი რამდენიმე თვე იყო დაკავებული ხელისუფლების დანაწილებით ალბანური კოსოვოს პირველი პრეზიდენტის იბრაგიმ რუგოვას მომხრეებთან ერთად. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთის შუამავლობით კოსოვოელი ალბანელების ლიდერები შეთანხმდნენ და ტაჩიმ უფლებამოსილება მოიხსნა.

საპარლამენტო არჩევნებზე 2001 და 2004 წლებში ტაჩის პარტიამ ორჯერ დაიკავა მეორე ადგილი და პირველობა გაცილებით უფრო ზომიერ რუგოვას მომხრეებს დაუთმო. მიუხედავად ამისა, „გველი“ ხელისუფლებაზე პრეტენზიებს არ მალავდა. პირველი მარცხის შემდეგ ის კიდევ დიდხანს ითხოვდა პრემიერის პოსტს, შედეგად კი თავისი პროტეჟე ბაირამ რეჟეპის დანიშვნით დაკმაყოფილდა. შემდეგ კი შექმნა „ჩრდილოვანი ხელისუფლება“. საბოლოოდ 2007 წლის შემოდგომაზე კოსოვოს დემოკრატიულმა პარტიამ გამარჯვება მოიპოვა, ტაჩისაც ეღირსა მთავრობის სათავეში დგომა. მისი პროგრამის საფუძვლად იქცა მხარის დამოუკიდებლობის დაუყოვნებელი გამოცხადება, რაც მოხდა კიდეც 2008 წლის 17 თებერვალს.

**მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საეჭვო საკითხია, გაეროს წევრების უმრავლესობა არ აღიარებს სერბეთისაგან მის გამოყოფას, ფაქტობრივად, მხარეს (აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს მფარველობით) სწორედ ტაჩი ხელმძღვანელობს. ოთხი წლის მანძილზე მან მოასწრო, კიდევ ერთხელ მოეგო საპარლამენტო არჩევნები და შეენარჩუნებინა თანამდებობა. მას ილებენ ვაშინგტონის, ბრიუსელის, ბერლინისა და სხვა დასავლური დედაქალაქების სახელისუფლო კაბინეტებში. დასავლეთს სულაც არ აშფოთებს, რომ ამ ადამიანს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უსასტიკეს დანაშაულებში სდებენ ბრალს.**

ტაჩის კრიმინალურ წარსულსა და აწმყოზე, დიდი ხანია, იწერება. ჯერ კიდევ 1999 წელს ამერიკულმა გაზეთმა „The New York Times“-მა „გველი“ თავისი მოწინააღმდეგეების მკვლელობაში დაადანაშაულა. 2005 წელს შვეიცარულმა გამოცემამ „Weltwoche“-მ გამოაქვეყნა გერმანული სადაზვერვო სამსახურის მოხსენებიდან ამონარიდები. მასში ტაჩის ღიად უწოდებდნენ ერთ-ერთ მთავარ დამაკავშირებელს პოლიტიკასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის. სამი წლის შემდეგ კი გამოვიდა ჰააგის ტრიბუნალის ყოფილი პროკურორის, კარლა დელ პონტეს წიგნი სახელწოდებით „ნადირობა“, რომელშიც მოთხრობილი იყო ისტორია, რომლის თანახმადაც ტაჩი არაფრით განსხვავდება აფრიკელი კაციჭამიებისაგან.

მისი მონაცემებით, 1999 წელს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკებმა დაახლოებით 300 სერბი და არაალბანელი გაიტაცეს და ალბანეთში გადაიყვანეს. სუსტები და ავადმყოფები მაშინვე დახოცეს, ჯანმრთელებსა და ძლიერებს კი ჯერ საქონელივით კვებავდნენ, შემდეგ კი იატაკქვეშა საოპერაციოებში აგზავნიდნენ. იქ ქირურგები (არამხოლოდ ალბანელები) მათ გულსა და თირკმელებს აცლიდნენ. ამის შემდეგ ორგანოებს ევროპაში, ისრაელსა და თურქეთში აგზავნიდნენ, **თავად ტაჩი ტყვეებს არ აწამებდა, მაგრამ ორგანოების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 80%-ს იჯიბავდა.** მიუხედავად ამისა, ჰააგის ტრიბუნალმა გადაწყვიტა, არაფერი გამოეძია. როგორც დელ პონტე წერს, მოსამართლეებმა „გველის“ საწინააღმდეგო 400-მდე სამხილის განადგურება ბრძანეს.

**2010 წლის დასასრულს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შვეიცარელმა დეპუტატმა დიკ მარტიმ თავისი მოხსენება გამოაქვეყნა. მასში ნათქვამი იყო, რომ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დასავლეთის ქვეყნების ლიდერების მაგიდებზე ეწყო მოხსენებები, რომლებშიც საუბარი იყო ადამიანების გატაცებასთან ტაჩის კავშირზე, ორგანოებით ვაჭრობასა და შეკვეთილ მკვლელობებზე. ეს ინფორმაცია არავინ „შენიშნა“.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივით, დაიწყო გამოძიება. გაირკვა, რომ კოსოვოში ორგანოებით ვაჭრობა 2008 წელს დაიწყო. ხელისუფლების მფარველობით მოღვაწე კლინიკა „მედიკუსი“ დონორებს იზიდავდა, ორგანოებს აჭრიდა და ფულს არ უხდიდა. ამ პერიოდში კი კოსოვოს მთავრობას ტაჩი ედგა სათავეში.

ყველაფერი შერჩა.

ხაშიმ ტაჩი „ჩვენიანი ძაღლიშვილის“ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. სერბეთისგან კოსოვოს მოწყვეტის სანაცვლოდ, აშშ-მა და ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებმა მას კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული აპატიეს. თუ ლიბერიის კაციჭამია დიქტატორი ტეილორი ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლა, ტაჩის ეს სასამართლო ველარ შესწვდა. ეს ადამიანი ახლა ლამის უმთავრესი პოლიტიკური ფიგურაა ბალკანეთის პოლიტიკაში. ცხადია, არ ითვლებიან ისინი, ვინც ამ პოლიტიკური მოღვაწის, ბოევიკის, ბანდიტისა და მფატრავის უკან დგანან.

perevodika.ru



**სირიის წინააღმდეგ გადადგმული ყველაზე სავარაუდო მომდევნო ნაბიჯი იქნება იმის მცდელობა, რომ „საქმე“ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაეცეს, რაც რუსეთის საწინააღმდეგო კიდევ ერთი დარტყმა იქნება, რადგან ამგვარი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ უშიშროების საბჭოს გავლით. შესაძლოა, წინ ვეტოს ახალი პროვოკაციაა და საბოლოო ჯამში შეიძლება გაჩაღდეს მასობრივი ისტერია რუსეთის წინააღმდეგ, შეეცდებიან, მის წინააღმდეგ განეწყოს მთელი არაბი და სხვა მუსლიმანი მოსახლეობა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პირსისხლიანი რეზოლუცია

**16 თებერვალს ნიუ იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სირიასთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტს უყარეს კენჭი. შეთავაზებულ ვარიანტს მხარი დაუჭირა 137 სახელმწიფომ, უარი განაცხადა 12-მა, 17-მა კი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავა. რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი, ვენესუელა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ირანი, ეკვადორი, ნიკარაგუა, სირია, ბოლივია, ზიმბაბვე და ბელარუსი. კენჭისყრის მოტივებთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლისას რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი არ შეესაბამება ყველა მხრიდან ძალადობის შეწყვეტის ამოცანას: „დიდწილად ის ჩვენში შეშფოთების გამომწვევი იმ ტენდენციის ანარეკლია, რომელიც ცდილობს სირიის ხელისუფლების იზოლირებას, მასთან რაიმე კონტაქტზე უარის თქმას, პოლიტიკური დარეგულირების ფორმულის გარედან თავს მოხვევას“.**

მართალი არიან კომენტატორები, როდესაც წერენ, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს არ გააჩნიათ იურიდიული ვალდებულების წარმომშობი ძალა, მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. **გაეროს წესდების თანახმად, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია განიხილოს საკითხი, რომელსაც უშიშროების საბჭო განიხილავს.** ამრიგად, დასავლურმა ბლოკმა და მისმა ახლოაღმოსავლურმა მოკავშირეებმა, უბრალოდ, დაარღვიეს გაეროს წესდება. ამასთან, სხდომაზე თავმჯდომარე იყო ავსტრალიის, ანუ იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც პროექტის კოსპონსორია. მიუხედავად მთელი რიგი დელეგაციების მოთხოვნისა, აეხსნათ, რის საფუძველზე გააძვრინეს ასამბლეაზე რეზოლუცია, რომელიც დღის წესრიგშიც კი არ იყო შეტანილი, ამ კითხვაზე პასუხი არავის გაუცია. უფრო სწორად, გაისმა საცოდავი ახსნა-განმარტებები, რასაც სხვაგვარად შეიძლება აბსოლუტურად გულახდილი შულერობა ეწოდოს.

წინა პროექტთან შედარებით, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოში იყო წარდგენილი, ამჯერად რვა სპონსორით მეტის მოგროვება მოხერხდა. „საინიციატივო ჯგუფის“ ყოფილ წევრებს (ბაჰრეინი, ეგვიპტე, იორდანია, ლიბია, ყატარი, კუვეიტი, მაროკო, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი, ომანი, ტუნისი, თურქეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი და აშშ) დაემატნენ ავსტრალია, ანდორა, უნგრეთი, საბერძნეთი, დანია, კომორის კუნძულები, ნორვეგია, პანამა, კორეა, სომალი, ფინეთი, ხორვატია და ჩერნოგორია. თუ უშიშროების საბჭოს პროექტი ცდილობდა, „საერთოარაბული პოზიცია“ აესახა, ამჯერად ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ კოსპონსორებად ყველა კონტინენტის ქვეყნები მოეზიდათ, რათა პროექტის მხარდაჭერის დიდი რეპრეზენტატივობის შთაბეჭდილება შექმნილიყო.

ახალი პროექტი, რომელიც ფორმალურად ეგვიპტემ წარადგინა, პრაქტიკულად სრულად იმეორებდა გაეროს უშიშროების საბჭოზე 4 თებერვალს წარდგენილ პროექტს. რეზოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ განიკითხავს „ნებისმიერ ძალადობას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის“, მოთხოვნებს მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებას უყენებს და არა ოპოზიციას და მით უმეტეს, ტერორისტებს. რეზოლუციის მთელი არსი მოცემულია მესამე პუნქტის მეექვსე პარაგრაფში, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქებიდან და დასახლებული პუნქტებიდან ყველა სირიული სამხედროსა და შეიარაღებული ძალების გაყვანას და მათ დაბრუნებას ყაზარმებში პირველადი დისლოკაციის ადგილის შესაბამისად“. **მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი ტერორის პირობებში, სწორედ ეს მოთხოვნაა ყველაზე პირსისხლიანი და მიმართულია იმისაკენ, რომ მოკვდეს რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. რეზოლუციის ყველა მხარდამჭერი უნდა აცნობიერებდეს ამას.**

ყურადღების გარეშე არც სხვა პუნქტები უნდა დარჩეს. ერთ-ერთში სირიის ხელისუფლებას ევალება, უზრუნველყოს საერთაშორისო მასმედია სრული და დაუბრკოლებელი წვდომით სირიის არაბული რესპუბლიკის ყველა რაიონთან და თავისუფალი გადაადგილების საშუალებით მდგომარეობის ადგილებზე შესწავლისა და ინციდენტების კვალზე მიყოლისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ქვეყანაში უნდა დაიშვას ყველაზე ვერაგი მედიასაშუალებები, რათა გაჩაღდეს ყველაზე დამანგრეველი საინფორმაციო ომი სირიის წინააღმდეგ და ამ მედიასაშუალებებს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოთ.**



**ტვინების გამორეცხვა ხორციელდება არა მხოლოდ ცინიკურად, არამედ გამომგონებლურადაც. მაგალითად, ახლა სირიელი გოგონები, რომლებიც საპროტესტო დემონსტრაციებზე დადიან, სახეზე სისხლის ცრემლებს იხატავენ. როგორი გამოგონებაა?**

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტის თანახმად, დადგენილი ფაქტის სახითაა წარმოდგენილი, რომ სირიის ხელისუფლება სისტემატიურად და მასობრივად არღვევს ადამიანის უფლებებს და შელახავს მათ ძირითად თავისუფლებებს, იყენებს ძალას სამოქალაქო პირებისადმი, ხოცავს და დევნის პროტესტის გამომხატველებს, უფლებადამცველებს, ჟურნალისტებს, უკანონოდ აპატიმრებს ადამიანებს, ძალადობრივად აქრობს მათ, უზღუდავს სამედიცინო დახმარების მიღების საშუალებებს, აწამებს, სასტიკად ექცევა, სექსუალურად ძალადობს ბავშვების მიმართაც კი. ეს ჩამონათვალი სხვა არაფერია, თუ არა მომავალი საბრალდებო დასკვნა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ სირია არაა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრი და არ მოუხდენია რატიფიცირება, **სუდანისა და ლიბიის შემთხვევაში უკვე ვნახეთ, რომ არაწევრების წინააღმდეგაც საქმის წამოწყება პრობლემას არ წარმოადგენს. მითუმეტეს, რომ რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში პირდაპირაა მინიშნებული, რომ აუცილებელია პასუხისგებაში მიცემა ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, მათ შორის იმ შემთხვევებისთვისაც, რომლებიც, შესაძლოა, განხილულ იქნეს საერთაშორისო დანაშაულად.**

სირიის წინააღმდეგ გადადგმული ყველაზე სავარაუდო მომდევნო ნაბიჯი იქნება იმის მცდელობა, რომ „საქმე“ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაეცეს, რაც რუსეთის საწინააღმდეგო კიდევ ერთი დარტყმა იქნება, რადგან ამგვარი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ უშიშროების საბჭოს გავლით. შესაძლოა, წინ ვეტოს ახალი პროვოკაციაა და საბოლოო ჯამში შეიძლება გაჩაღდეს მასობრივი ისტერია რუსეთის წინააღმდეგ, ადგილი ექნება მცდელობას მის წინააღმდეგ განეწყოს მთელი არაბი და სხვა მუსლიმანი მოსახლეობა. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ეს სიძულვილი (ყველა მისგან გამომდინარე და ყველასათვის კარგად გასაგები შედეგებით) არის კიდეც დასავლეთის მთავარი მიზანი, განსაკუთრებით რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინა და მის შემდგომ პერიოდში.

ეს ისტერია კი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და მნიშვნელოვნად სცდება გაეროს ფარგლებს. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში მსოფლიო მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სირიის ხელისუფლება რუსი სპეციალისტების კონტროლით ქიმიურ იარაღს იყენებს. გარდა ამისა, 16 თებერვალს ევროპარლამენტმა ცალსახად ანტირუსული სულისკვეთების ერთბაშად ორი რეზოლუცია მიიღო. პირველი რეზოლუცია რუსეთს განიკითხავდა 4 თებერვალს სირიის რეზოლუციასთან დაკავშირებით ვეტოს უფლების გამოყენების გამო და მოუწოდებდა, შეწყვიტოს სირიისათვის იარაღის მიწოდება. ევროპარლამენტმა დაავალა კეტრინ ეშტონს, „უზრუნველყოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღება“ რუსეთთან და ჩინეთთან მუშაობის შედეგად. მეორე რეზოლუცია რუსეთს გრიგორი იავლინსკის პრეზიდენტობის კანდიდატად დაურეგისტრირებლობის გამო განიკითხავს, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ სირიასთან დაკავშირებული პოზიციის გამო რუსეთი ამ რეზოლუციაშიც კი გაკიცხეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი რეზოლუცია ერთ დღეს იქნა მიღებული და ამგვარი განმეორება ერთი შეხედვით უცნაურადაც კი გამოიყურება, სინამდვილეში რუსეთის შიდა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირზე მინიშნება სავსებით ნათელია.

რაც შეეხება სირიის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციას, ერთი შეხედვით, მას არ აქვს იურიდიული ვალდებულების წარმოშობის ძალა და ახალს ვერაფერს იძლევა. მაშ, რისთვის იყო ის საჭირო? პასუხი მარტივია: **ხორციელდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მასობრივი ზომბირება. ახლა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სჭირდება მორალური ლეგიტიმაცია აგრესიის ღია ეტაპისათვის. აგრესიის ფარული ეტაპი ახლაა, თუმცა მისი ყველა საიდუმლო ზამბარა ჯერ არ ჩანს.** მაგალითად, როგორია ამ ომში სირიის მეზობლისა და ნატოს წევრი ქვეყნის — თურქეთის როლი? რა საიდუმლო ხერხებით გაიზარდა თურქეთის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფი „სირიის თავისუფალი არმიის“ შემადგენლობა ორ თვეში 150 ადამიანიდან 40 ათასამდე და რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ამ არმიის ჯარისკაცები? ოდესმე ცნობილი გახდება, თუ ვისი ბიუჯეტებიდან იხარჯება მილიონობით დოლარი პოლიტიკური შეთქმულებისა და მეამბოხეთა ბანდების დასაფინანსებლად, „გლობალურ“ მასმედიაში მათი საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ტვინების გამორეცხვა ხორციელდება არა მხოლოდ ცინიკურად, არამედ გამომგონებლურადაც. მაგალითად, ახლა სირიელი გოგონები, რომლებიც საპროტესტო დემონსტრაციებზე დადიან, სახეზე სისხლის ცრემლებს იხატავენ. როგორი გამოგონებაა? დასავლური მედია კი ოპოზიციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ სახელმწიფო საავადმყოფოები დემონსტრაციებზე დაჭრილებს არ იღებს. ამგვარი შტრიხებისაგან იქმნება სურათი, რომლის კულმინაციაც ისაა, რომ თურმე „ხელისუფლება იტაცებს და აწამებს ათი წლის ასაკის ბავშვებს“. პარალელურად **კატასტროფული სისწრაფით იზრდება მშვიდობიან მოსახლეობას შორის გარდაცვლილების რაოდენობა — ამჟამად საუბარი უკვე 7 ათას მოკლულზეა.**

**უნდა ველოდოთ უფრო სულისშემძვრელ ცნობებს, რადგან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი დუღილის ზღვარზე უნდა მივიდეს.**

მათ კი, ვინც სირიის საწინააღმდეგო რეზოლუციას მისცა ხმა, თითქოს არც იცის, რომ დღე-დღეზე სირიაში რეფერენდუმი ჩატარდება, სამ თვეში — საყოველთაო არჩევნები. საჭირო გახდა, რომ ბაშარ ასადმა ხვალვე დატოვოს თანამდებობა. დამასკოში შეცვივდნენ შეიარაღებული მეამბოხეები, რომლებიც თავად განსჯიან და თავადვე აღასრულებენ.

დღეს პოლიტიკურ ხრიკებში გაურკვეველ ადამიანებსაც კი ესმით, რომ ვიდრე ბაშარ ასადის რეჟიმი დგას, იქნება თეირანის მიერ შექმნილი ახლო აღმოსავლეთში ირანული გავლენის უზრუნველმყოფელი მთელი ინფრასტრუქტურაც, რომელიც ამ რეგიონში ამერიკა-ისრაელის ტოტალური კონტროლის დამყარების საშუალებას არ იძლევა.

fondsk.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფედერალური სარეზერვო სისტემა რწმენითა და სიმართლით ემსახურება ამერიკელ ხალხს (და მასთან ერთად მთელ კაცობრიობასაც) უკვე საკმაოდ სოლიდური პერიოდის — 92 წლის განმავლობაში, ამიტომ თამამად შეიძლება მიღწეული შედეგების გადახედვა. შედეგები კი შთამბეჭდავია. 1913 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალი სამ მილიონ დოლარზე ოდნავ ნაკლები იყო. ამჟამად „დემოკრატიის“ მთავარი ბასტიონის ნაციონალურმა ვალმა 14 ტრილიონს გადააჭარბა. ყოველდღიურად ვალი მილიარდ 680 მილიონი დოლარით იზრდება.

# ფედერალური სარეზერვო სისტემა — აშშ-ის ნამდვილი მეპატრონე

**დროდადრო პლანეტის საქმიანი აქტივობის ნორმალური მდინარება წყდება და გამოჩენილი ბიზნესმენები, ბანკირები, საბირჟო ტრეიდერები, ფონდების მმართველები, მათთან ერთად კი პოლიტიკოსებიც, მინისტრებიც, ნავთობმაგნატებიც, ნარკომოვაჭრეებიცა და ჟურნალისტების მრავალათასიანი არმიაც სულგანაბულები ისმენენ გამხდარი მოხუცის, ალან გრინსპენის გამოსვლას. ეს უკანასკნელი კი აუწყებს მსოფლიოს ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთების მომატების ან დაკლების შესახებ. მოხუცი პირს მომუწავს და პლანეტაზეც მკვდარი მდუმარება მეფდება... რამდენიმე წამი და მსოფლიოს ბირჟების თავზე ატომური სოკოსავით იშლება ისტერიული აქტივობა, რომლის შედეგადაც ბაზარი ერთბაშად იჩეხება უფსკრულში ან ცაში აიჭრება.**



**წლიდან წლამდე ამ რიტუალურ სიგიჟეზე დაკვირვებით მუდმივად ისმის კითხვა: მაინც ვინაა აქ ქათამი და ვინ — კვერცხი? მსოფლიო ეკონომიკა თუ ფედერალური რეზერვის მმართველობის თავმჯდომარე? ვინ ვის განსაზღვრავს და განაპირობებს ბოლოს და ბოლოს? გასაგებია, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მატერიალურის ან იდეალურის პირველობა არანაირ როლს არ ასრულებს: ის, უკვე დიდი ხანია, სულ სხვა — სოციალური მითოლოგიის კანონებით ცხოვრობს. გარდა ამისა, ალან გრინსპენი, ბოლოს და ბოლოს, ერთი ჩვეულებრივი უწყების ჩვეულებრივი არჩევითი ჩინოვნიკია. მაშ რატომაა, რომ თვით აშშ-ის პრეზიდენტიც კი „არასწორი“ სახელმწიფოების დაბომბვის სისტემატიური მუქარებით ვერ ახერხებს მსოფლიო ბაზრების იმის მეასედით შერყევასაც კი, რასაც უბრალო გამოსვლით ახერხებს ერთი ჩვეულებრივი მოხუცი? მის ზურგს უკანაც სახელმწიფოში ნამდვილი უხილავი სახელმწიფო — რაღაც ამერიკული ვატიკანის მაგვარია აღმართული.**

**ფედერალური სარეზერვო სისტემა არ არის ფედერალური, არ გააჩნია არანაირი რეზერვი და, სისტემა კი არა, კრიმინალური სინდიკატია.**

1913 წლის 23 დეკემბერს აშშ-ის კონგრესის საკანონმდებლო აქტით შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებდა. ფედერალური სარეზერვო სისტემა შედგება შვიდი გუბერნატორისაგან — მმართველობის წევრებისაგან, რომელთა შტაბბინაც ვაშინგტონში მდებარეობს და 12 სარეზერვო ბანკისაგან, რომლებიც ქვეყნის მსხვილ ქალაქებშია განლაგებული. ფედერალური რეზერვის შესახებ კანონის პრეამბულაში საუბარია წამოწყების კეთილ მიზნებზე: „ვალუტის ელასტიურობის უზრუნველსაყოფად, კომერციული ვექსილების აღრიცხვისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო მოქმედებებზე უფრო ეფექტური მეთვალყურეობის დაწესებისა და სხვა ამოცანებისთვის“.

ფედერალური სარეზერვო სისტემა რწმენითა და სიმართლით ემსახურება ამერიკელ ხალხს (და მასთან ერთად მთელ კაცობრიობასაც) უკვე საკმაოდ სოლიდური პერიოდის — 92 წლის განმავლობაში, ამიტომ თამამად შეიძლება მიღწეული შედეგების გადახედვა. შედეგები კი შთამბეჭდავია. **1913 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალი სამ მილიონ დოლარზე ოდნავ ნაკლები იყო. ამჟამად „დემოკრატიის“ მთავარი ბასტიონის ნაციონალურმა ვალმა 14 ტრილიონს გადააჭარბა. ყოველდღიურად ვალი მილიარდ 680 მილიონი დოლარით იზრდება.**

რა მოხდება, როდესაც, მაგალითად, ჩინურ და იაპონურ სავალუტო რეზერვებს ევროში გადაიყვანენ? ამის წარმოდგენაც კი საშინელებაა. ამერიკის შეერთებულ შტატებს 30-იანი წლების დიდი დეპრესია სამოთხეში გასეირნებად მოაგონდება.

მაგრამ ეს არასდროს მოხდება. ეს ქვეყნები თავიანთ სავალუტო რეზერვებს სხვა ვალუტაში არასდროს გადაიტანენ. „მესამე მსოფლიოს“ არც ერთი ქვეყნის არანაირ ცენტრალურ ბანკს ამის უფლებას არასდროს მისცემენ. ყველა იმას გააკეთებს, რასაც ეტყვიან. „მესამე მსოფლიოს“ თვითნებურ გადატანაზე აზრიც კი არ გაუელვებს, თვითმკვლელები ხომ არ არიან? შეხედეთ, რა უშფოთველობითა და ღირსებით ატრიალებს ალან გრინსპენი ფინანსურ ბორბალს: ფედერალური საპროცენტო განაკვეთის მეოთხედი იქით მიდის, მეოთხედი — უკან ბრუნდება! გაიხედავ და მსოფლიო ეკონომიკა უმკაცრეს კრიზისშია ჩაფლული: უკვე ხუთი წელია, საბირჟო ინდექსი „Dow Jones Industrial“-ი 10-დან 11-მდე ვიწრო დერეფანში ჯიუტად ბარბაცებს და ვირტუალურად აღწევს თავს თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნას.

## «დემოკრატიის» მთავარი ბასტიონის ნაციონალურმა ვალმა 14 ტრილიონს გადააჭარბა. ყოველდღიურად ვალი მილიარდ 680 მილიონი დოლარით იზრდება

ნუ შევეცდებით, გამოვიცნოთ, აინ რენდის აღსაზრდელებმა იციან თუ არა რაიმე ისეთი, რაც თავდაჯერებულობას მატებთ, თუ ბლეფით გააქვთ თავი. მთავარი ისაა, რომ აღსრულდეს პოზიტიური მოსაზრებები და არ აიჭრას ტალღები, რადგან თავისთავად ამერიკა არ ჩაიძირება — აუცილებლად ჩაითრევს თან ირგლივ მყოფთ. გასაგებია, ტალღების აბობოქრება არ ღირს, მაგრამ ფედერალური სარეზერვო სისტემის სამზარეულოში შეხედვა და ფარულ მაქინაციებში გარკვევა ხელს არაფერს შეუშლის.

### კუნძული ჯეკილი

ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალურ ისტორიაში, ცხადია, ვერ იპოვით ინფორმაციას 1910 წელს ჯეკილის კუნძულზე გამართულ შეკრებაზე, მაგრამ ჟურნალისტებმა, დიდი ხანია, დააგემოვნეს ეს კონსპიროლოგიური დესერტი. სხვებზე კარგად ეს საკუთარი სახელობის ჟურნალის დამაარსებელ სახელგანთქმულ ჩარლზ ფორბსს გამოუვიდა. ჯერ კიდევ 1916 წელს მან თანამემამულეებს კარგი ამბავი აუწყა: „წარმოიდგინეთ ყველაზე ძლიერი ბანკირების კომპანია, რომელიც ჩუმად ტოვებს ნიუ იორკს კერძო სარკინიგზო ვაგონით შუაღამისას. სამხრეთისაკენ ასობით მილის გავლით ისინი გადასხდებიან უცნობ კატერში, რომელსაც ისინი გაუდაბნოებულ, მხოლოდ ერთი მუჭა მოსამსახურეებით დასახლებულ კუნძულზე მიჰყავს. კუნძულზე ბანკირები მთელი კვირის განმავლობაში უმკაცრესი გასაიდუმლოების პირობებში ცხოვრობენ, ერთმანეთს მხოლოდ სახელებით მიმართავენ, რომ მოსამსახურეებმა მათი გვარები არ გაიგონ და მსოფლიოს არ ამცნონ ამერიკის ფინანსურ ისტორიაში ყველაზე უცნაური და ყველაზე გასაიდუმლოებული ექსპედიციის შესახებ. მე არ ვფანტაზიორობ, უბრალოდ, პირველი ვუამბობ მსოფლიოს სახელგანთქმული ჩვენი ახალი სავალუტო სისტემისათვის საფუძვლადქცეული „ოლდრიჯის სავალუტო ანგარიშის“ შექმნის ნამდვილ ისტორიას. შეხვედრის გასაიდუმლოება მთავარი იყო. საზოგადოება ვერც კი უნდა მიმხვდარიყო, თუ რა ხდებოდა. სენატორმა ოლდრიჯმა ინსტრუქტირება გაუწია ყველა მონაწილეს, რათა ისინი შეუმჩნევლად შემძვრალიყვნენ კერძო ვაგონში, რომელიც სარკინიგზო ხელმძღვანელობის განკარგულებით მიტოვებულ ბაქანზე იდგა. ნიუიორკელი რეპორტიორები გასულელებულნი დარჩნენ... ნელსონ ოლდრიჯმა გააფრთხილა ჰენრი, ფრენკი, პაული და პაიეტი, რომ მათ ჩაკეტილებს მოუწევდათ ყოფნა კუნძულ ჯეკილზე, ცივილიზაციისაგან შორს, მანამ, ვიდრე არ შემუშავდებოდა სამეცნიერო სავალუტო პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ასე დაიბადა ფედერალური სარეზერვო სისტემა — ის კუნძულ ჯეკილზე შექმნეს პაულმა, ფრენკმა და ჰენრიმ“.

როგორც ხედავთ, **კონსპირატორების ტრანსპორტირება დალუქული სარკინიგზო ვაგონებით XX საუკუნის დასაწყისში პოპულარობით სარგებლობდა ოკეანის ორივე მხარეს**. და მაინც, „ჯეკილის კუნძულის“ ისტორიაში რაღაც ისე არაა, როგორც საჭიროა. გადაჭარბებულად ჩანს პროვინციალური თეატრის დეტალები: „უგვაროთა კლუბი“, „ღამის ვაგონი“, „მოტყუებული ჟურნალისტები“, „კუნძული ოკეანეში“... უბრალო კონფიდენციალობისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა რომელიმე მონაწილის ქალაქგარეთ მდებარე ერთ-ერთ სახლში განმარტოება. მაშ, რისთვისღა იყო საჭირო მთელი ეს ჰელუინი? იმისთვის, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ საიდუმლო შეკრების დეტალები პოლიტიკური წვეულების მონაპოვარი გამხდარიყო, თანაც თავად მონაწილეთა ხელშეწყობით?

არ დაიჯერებთ, მაგრამ სწორედაც რომ ამისთვის! კონსპიროლოგების მთელი თაობა იმალებოდა „საიდუმლო შეთქმულების“ დეტალებში ისე, რომ ვერ ხედავდა იმას, რაც პირდაპირი გაგებით ზედაპირზევე იდო: **ოპერაცია „ჯეკილი“ თავიდანვე ჩავარდნისათვის იყო ჩაფიქრებული! ედგარ პოს სტილში მოწყობილი მთელი ანტურაჟი კი ემსახურებოდა უჩვეულო, მაგრამ სავსებით მიწიერ ამოცანას: უოლ-სტრიტის ბანკირების მიერ ჩაწოდებული და რესპუბლიკელების მიერ ლობირებული ცენტრობანკის იდეისადმი საზოგადოების სიძულვილის გაძლიერებას.**

**ჩანაფიქრი წარმატებით დაგვირგვინდა: „ოლდრიჯის გეგმა“ კონგრესში ჩავარდა, რესპუბლიკელებმა ორივე პალატაში დაკარგეს უმრავლესობა, მათმა პრეზიდენტმა უილიამ ჰოვარდ ტაფტმა კი არნახული მარცხი იგემა არჩევნებში და ოვალური კაბინეტი დემოკრატ ვუდრო ვილსონს დაუთმო.**

დემოკრატებმა თავიანთი საკუთარი „კანონი ფედერალური რეზერვის“ შესახებ წარმოადგინეს და დაამტკიცეს კიდეც კონგრესში 1913 წლის 23 დეკემბერს. ეს კიდევ არაა ყველაფერი: **დემოკრატების „კანონი ფედერალური რეზერვის შესახებ“ პრაქტიკულ-** ▶

**ადამიანები, რომლებმაც ფედერალური სარეზერვო ფონდის საქმე გაჩარხეს, პოლიტიკაში არ მოღვაწეობდნენ. ისინი პოლიტიკაზე მაღლა იდგნენ, რადგან ყველა აქტიური პოლიტიკური ძალა — რესპუბლიკელებიც, დემოკრატებიცა და „პროგრესისტებიც“ — დამჯერად ასრულებდნენ ზემოდან მოწოდებულ პროგრამას. მხოლოდ ამგვარი განლაგებით შეიძლება აიხსნას ის სიმარტივე, რომლითაც „უგვაროთა კლუბმა“ დათმო თავისი რესპუბლიკური კოლონა და დასახული ამოცანის შესრულება დემოკრატებს გადაულოცა. არ მოსწონს საზოგადოებას სენატორი ოლდრიჯი და მის ზურგს უკან მდგარი ცუდი ინგლისურით მოლაპარაკე უოლსტრიტელი ბანკირების არმია? პრობლემა არ არის! მოვაშორებთ რესპუბლიკელ ოლდრიჯს და წინა ხაზზე წამოვწევთ დემოკრატ სენატორ კერტერ გლასს. გავლენა — კოლოსალურია, ფული — უთვალავი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ად სიტყვასიტყვით იმეორებს „ოლდრიჯის გეგმას“, რომელიც კუნძულ ჯეკილზე იდუმალმა „უგვაროთა კლუბმა“ შეიმუშავა.**

როგორი კომბინაციაა? ნიკოლა მაკიაველი შურისაგან ცხარე ცრემლით იტირებდა.

## „უგვაროთა კლუბი“

ჯერჯერობით ცხადია ერთი რამ: ადამიანები, რომლებმაც ფედერალური სარეზერვო ფონდის საქმე გაჩარხეს, პოლიტიკაში არ მოღვაწეობდნენ. ისინი პოლიტიკაზე მაღლა იდგნენ, რადგან ყველა აქტიური პოლიტიკური ძალა — რესპუბლიკელებიც, დემოკრატებიცა და „პროგრესისტებიც“ — დამჯერად ასრულებდნენ ზემოდან მოწოდებულ პროგრამას. მხოლოდ ამგვარი განლაგებით შეიძლება აიხსნას ის სიმარტივე, რომლითაც „უგვაროთა კლუბმა“ დათმო თავისი რესპუბლიკური კოლონა და დასახული ამოცანის შესრულება დემოკრატებს გადაულოცა. არ მოსწონს საზოგადოებას სენატორი ოლდრიჯი და მის ზურგს უკან მდგარი ცუდი ინგლისურით მოლაპარაკე უოლსტრიტელი ბანკირების არმია? პრობლემა არ არის! მოვაშორებთ რესპუბლიკელ ოლდრიჯს და წინა ხაზზე წამოვწევთ დემოკრატ სენატორ კერტერ გლასს, რომელმაც წარუდგინა კიდეც კონგრესს საკანონმდებლო სიამის ტყუპი. გავლენა — კოლოსალურია, ფული — უთვალავი.

**წარმოგიდგენთ კუნძულ ჯეკილის „უგვაროთა კლუბის“ წევრებს:**

**სენატორი ნელსონ ოლდრიჯი** — პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის მიერ 1908 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფულადი სისტემის ცვლილებათა პერსპექტივის შესასწავლად შექმნილი ნაციონალური სავალუტო კომისიის ხელმძღვანელი. პირველი ორი წელი ნაციონალურმა სავალუტო კომისიამ ევროპაში გაატარა და იქ ეცნობოდა წამყვანი ცენტრალური ბანკების მუშაობის გამოცდილებას. იქ დიდი წარმატებით ითვისებდნენ 300 ათასი დოლარის ოდენობით გამოყოფილ ბიუჯეტს. კუნძულ ჯეკილზე შემუშავებული სავალუტო რეფორმის გეგმა შემდეგ კონგრესს წარუდგინეს, როგორც კომისიის სამწლიანი მუშაობის შედეგი. გეგმამ მოწონება არ დაიმსახურა და, როგორც კი კონგრესი დაინტერესდა, სად წავიდა დახარჯული ფული, ნაციონალურმა სავალუტო კომისიამ განაცხადა, რომ მის წინაშე მდგარი ამოცანები შესრულდა და იშლება. ნელსონ ოლდრიჯი სენატში მოხვედრამდე საშუალო დონის ბითუმად მოვაჭრე იყო, მაგრამ ორი წლის შემდეგ ის უკვე გავლენიანი პოლიტიკოსი და მულტიმილიონერი იყო. თავისი ოქროს გასაღები ნელსონმა მაშინ იპოვა, როდესაც ჯორჯ როკფელერის სიძე გახდა.

**ოლდრიჯის პირადი მდივანი შელტონი** — ადამიანი, რომელიც მხოლოდ დავალებებს ასრულებდა და ამ ისტორიისათვის საინტერესო პერსონას არ წარმოადგენს.

**პაიეტ ენდრიუ** — ჰარვარდის პროფესორი, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მეგობარი. „უგვაროთა კლუბში“ იგი მონაწილეობდა „არადაინტერესებული სამეცნიერო წრეების“ წარმომადგენლის ამპლუაში და მშვენივრად სარგებლობდა ჯონ როკფლერისა და ჯეი პი მორგანის გრანტებით.

**ფრენკ ვანდერლი** — ნიუ-იორკის ნაციონალური საქალაქო ბანკის პრეზიდენტი, ჯონ როკფელერის ფინანსური იმპერიის ფლაგმანი.

**ჰენრი დევისონი** — ჯეი პი მორგანის კომპანიაში უფროსი პარტნიორი.

**ჩარლზ ნორტონი** — ჯეი პი მორგანის კონტროლქვეშ მომუშავე ნიუ იორკის პირველი ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი.

**ბენჟამინ სტრონგი** — ჯეი პი მორგანის რეფერენტი.

**პაულ ვარბურგი** — ფინანსური სახლის „კუნ, ლეიბ და კომპანიის“ პარტნიორი, ვარბურგების გერმანული ფინანსური იმპერიის მემკვიდრე.

მხოლოდ სახელების ჩამოთვლაც საკმარისია იმისათვის, რომ გამოიკვეთოს იმ წრის შემადგენლობა, რომელიც დაინტერესებული იყო ამერიკული ცენტრალური ბანკის შექმნის პროექტის რეალიზებით. **ეს წრე შედგებოდა სამი ჯგუფისაგან: ჯეი პი მორგანი, ჯონ როკფელერი და ფინანსური სახლი „კუნი, ლეიბი და კომპანია“.**

**„უგვაროთა კლუბის“ გონებრივი ცენტრი პაულ ვარბურგი იყო. ჯერ ერთი, გახლდათ რა მსოფლიო კლასის პროფესიონალი ბანკირი, ის სხვებზე ბევრად უკეთ ერკვეოდა საკითხის ფინანსურ ნიუანსებში, ამიტომაც საკუთარი ხელით განახორციელა როგორც „ოლდრიჯის გეგმის“, ასევე მომავალი „ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ“ კანონის ლომის წილი. მეორეც, პაულ ვარბურგი გარკვეულწილად იყო მთავარი ზედამხედველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური სარეზერვო სისტემის შემოღების საქმეში.**



# აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, ახორციელებდა რა თავის სადოლარო ემისიას და განსაზღვრავდა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის საკრედიტო პოლიტიკას, სინამდვილეში კერძო კომპანიაა!

ვერბურგი ემიგრანტი იყო. იგი ამერიკაში 1897 წელს ჩავიდა, „კუნი, ლეიბში“ პარტნიორი გახდა და უკვე 1903 წელს „კუნი, ლეიბის“ ხელმძღვანელს, იაკობ შიფს, რომელსაც მკითხველი კარგად იცნობს რუსი ბოლშევიკების მთავარი მეგობრისა და სპონსორის ამპლუაში, უკვე დეტალურად დამუშავებული გეგმა წარუდგინა. ცხადია, შიფსა და ვერბურგს თბილი ნათესაური ძაფები აკავშირებდათ: იაკობ შიფი იყო კომპანია „კუნი და ლეიბის“ თანადამფუძნებელის, სოლომონ ლეიბის სიძე, პაულ ვარბურგი კი — სოლომონ ლეიბისა და მისი მეორე ცოლის ქალიშვილის, ნინა ლეიბის მეუღლე. ინცესტუალური კულმინაცია მას შემდეგ დადგა, რაც იაკობ შიფის ქალიშვილი ფრიდა ცოლად გაჰყვა პაულ ვერბურგის ძმას, ფელიქსს, ასევე „კუნი, ლეიბის“ პარტნიორს.

პაულ ვერბურგის წინაშე ციკოპური ამოცანა იდგა. საკმარისია მხოლოდ იმის თქმაც, რომ ცენტრობანკის სისტემა ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციურ საფუძვლებს. ვთქვათ, ფედერალური სარეზერვო სისტემა პირდაპირაა დაკავებული ფულადი ემისიით, არადა, კონსტიტუციის პირველი თავის მე-8 ნაწილის მე-5 პარაგრაფი მხოლოდ კონგრესს ანიჭებს ცალსახად „მონეტების მოჭრის, მისი ღირებულების რეგულირების, ზომებისა და ერთეულების საზომის დადგენის“ უფლებებს.

შემთხვევითი არაა, რომ პაულ ვერბურგმა და როკფელერებისა და მორგანების სახლებიდან მისმა თანამოაზრეებმა პირველივე ნაბიჯებიდან დაიწყეს ინიციატივის რეალური მიზნის — ემისიის კონტროლირებისა და საკრედიტო რესურსების გადანაწილების უფლებათა საერთაშორისო ფინანსური ელიტისთვის გადაცემის შენიღბვა.

პირველი კვამლის ფარდა იყო სიტყვა „ცენტრობანკის“ გამოყენებაზე შეგნებულად უარის თქმა და მისი შეცვლა „ფედერალური რეზერვით“, რომელიც ინიციატივის სახალხო-დემოკრატიულ სულისკვეთებას გაუსვამდა ხაზს. შენიღბვის მეორე ელემენტი ფედერალური სარეზერვო სისტემის მართვის უფლებების ვითომდა დამოუკიდებელი არჩევითი დირექტორებისა და 12 დამოუკიდებელი რეგიონალური სარეზერვო ბანკისათვის დელეგირება იყო.

როდესაც კვამლი გაიფანტა, კანონიც უკვე მიღებული იყო და ფედერალური რეზერვის სისტემაც ამუშავებული, აღმოჩნდა, რომ ყველა რეგიონული ბანკი ან საკორესპონდენტო იყო, ან პირდაპირ დამოკიდებულნი იყვნენ ნიუ იორკის გიგანტებზე — მორგანის, როკფელერისა და შიფის ბანკებზე. „დამოუკიდებელი“ თანამდებობების განაწილებასთან დაკავშირებითაც ყველაფერი რიგზე იყო. აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა აღიარა, რომ მას მხოლოდ ერთი ადამიანის (ტომას ჯონსი) დანიშვნის უფლება მისცეს. ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველობაში დანარჩენები ნიუიორკელმა ბანკირებმა გაუშვეს. აი ისინიც:

**ადოლფ მილერი** — ჩიკაგოს როკფელერის უნივერსიტეტისა და მორგანის ჰარვარდის ეკონომისტი;

**ჩარლზ ჰემლინი** — მდიდარი ბოსტონელი იურისტი, მორგანის უახლოესი წრის ახლობელი;

**ფრედერიკ დელანო** — როკფელერის კონტროლს დაქვემდებარებული „უობაშ რეილროუდ კომპანიის“ ხელმძღვანელი;

**უორენ ჰარდინგი** — როკფელერის პროტეჟე, ატლანტის პირველი ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი;

**პაულ ვარბურგი** — ჩვენი ძველი ნაცნობი, რომლის პორტრეტიც იდეალურად ავსებს საიდუმლო ცნობებს, რომლებიც 1918 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურმა გაამჟღავნა: „ნატურალიზებულია 1911 წელს, დაჯილდოებულია გერმანიის კაიზერის მიერ 1912 წელს, ფედერალური სარეზერვო სისტემის ვიცე-თავმჯდომარე, დაკავებული იყო დიდი თანხების მიწოდებით გერმანიიდან ლენინისა და ტროცკისათვის. ჰყავს ძმა, მაქს ვარბურგი, რომელიც სათავეში უდგას გერმანიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურს“. აი, ასეთი სულიერი მამა ჰყავს ამერიკის ცენტრობანკს.

**მაგრამ ფედერალური სარეზერვო სისტემის ძლევამოსილი სტრუქტურა მხოლოდ მმართველობით არ შემოიფარგლებოდა. მისი მოქმედების მიღმა შენიღბული კონტროლით დაკავებულია ეგრეთ წოდებული ფედერალური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც სინამდვილეში აფორმირებს კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური ბანკის მთელ ფულად და საკრედიტო სისტემას.**

ეს ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებულად კეთდებოდა. ფედერალური საკონსულტაციო საბჭოს პირველი თავმჯდომარე გახდა ჯეიმს ფორგანი, ჩიკაგოს პირველი ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი. თავდაპირველად ფორგანი ამერიკაში ცენტრობანკის სისტემის დანერგვის თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში რბილად გადავიდა მის თავგამოდებულ მომხრეთა ბანაკში. ეს გასაგებიცაა: **მორგანის ნიუ-იორკის პირველი ნაციონალური ბანკის კორესპონდენტების სიაში პირველ ადგილზე ჩიკაგოს პირველი ნაციონალური ბანკი იყო. ფორგანის ბანკის კორესპონდენტების სიაში კი პირველ ადგილზე დადგა მანჰეტენის ბანკი, რომელსაც იაკობ შიფი და პაულ ვარბურგი მართავდნენ.**

ახლა კი ყველაზე მთავარსა და პარადოქსულზე. **აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, ახორციელებდა რა თავის სადოლარო ემისიას და განსაზღვრავდა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის საკრედიტო პოლიტიკას, სინამდვილეში კერძო კომპანიაა!**

ფედერალური სარეზერვო სისტემის აქციები რეგიონული სარეზერვო ბანკების საკუთრებაა. ისინი, თავის მხრივ, ასევე მსოფლიო ფინანსური ელიტის რამდენიმე წარმომადგენლის საკუთრებაცაა. საერთო სურათის წარმოდგენა შეიძლება ნიუ იორკის ფედერალური ბანკის მაგალითზე. ის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში დომინირებს და მთლიანად განსაზღვრავს მთელი სტრუქტურის პოლიტიკას. 1914 წლის 19 მაისს ნიუ იორკის ფედერალურმა ბანკმა ფულადი ბრუნვის მაკონტროლებლის ოფისში დაარეგისტრირა 203 053 აქცია, რომელთაგან 30 ათასი აქცია შეიძინა ნიუ იორკის ნაციონალურმა საქალაქო ბანკმა (როკფელერისა და „კუნი, ლეიბის“ ერთობლივმა კანტორამ) და 15 ათასი აქცია გადაეცა ჯეი პი მორგანის პირველ ნაციონალურ ბანკს. ამ ბანკების გაერთიანების მომენტში, 1955 წელს ნიუ იორკის ფედერალურ ბანკში მათი საერთო წილი მთელი აქციების მეოთხედს შეადგენდა. დანარჩენი აქციები გადავიდა ევროპელი როტშილდების, ძმებ ლაზარების (ევგენი მეიერის კომპანია), ეროპელი ვარბურგების, ძმებ ლემანებისა და „გოლდმან საქსის“ მფლობელობაში.

მკითხველი, ალბათ, მიაქცევდა ყურადღებას, რომ **ფედერალური სარეზერვო სისტემის ყველა ფინანსური ვექტორი ევროპისკენაა მიმართული, გარდა ერთისა — ჯეი პი მორგანისა.**

ოდესღაც ჯეი პი მორგანის კომპანიას ერქვა „ჯორჯ პიბოდი და კომპანია“. XIX საუკუნის დასაწყისში ჯორჯ პიბოდი საბითუმო მანუფაქტურით იყო დაკავებული და თან მონებითაც ვაჭრობდა, 1835 წელს მან კომპანიის წარმომადგენლობა გახსნა ლონდონში და, ალბათ, ასეც განაგრძობდა თავის საქმიანობას, მოულოდნელი მიწვევა რომ არ მიეღო ბარონ ნათან მაიერ როტშილდისაგან. ვინაიდან ბრიტანეთის არისტოკრატიის ლამის ყველა წარმომადგენელს როტშილდის ვალი ჰქონდა და ამ უკანასკნელს მათთან ურთიერთობა ეძაბებოდა, ინგლისის უგვირგვინო მეფემ მოკრძალებულ ამერიკელს შესთავაზა, ლონდონში ყველაზე მდიდრული ელიტური წვეულებებისთვის სალონი გაეხსნა. ცხადია, მთელ ხარჯებს ბარონი საკუთარ თავზე იღებდა. ჯონ პიბოდი მაშინვე მიხვდა, რომ ამგვარ წინადადებაზე იდიოტებიც კი თანხმდებიან.

ორიოდე წელიწადში პიბოდის სახლში გამართული ამერიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი წვეულების შესახებ მთელი ლონდონი ლაპარაკობდა. იმის თქმა საჭიროც აღარაა, რომ ამერიკელი მონებით მოვაჭრის პატარა ბიზნესი დიდ საერთაშორისო საქმედ იქცა. რა ინვესტიციების ხარჯზე? ამ დონის სიბინძურეებზე ამჯერად ვერ ვისაუბრებთ!

ჯორჯ პიბოდის კომპანიის ამერიკული აგენტი იყო ბოსტონური ფირმა „ბიბი და მორგანი“, რომელსაც ჯონ პირპონტის მამა, ჯუნიუს მორგანი მართავდა. ბებერ პიბოდის შვილები არ ჰყავდა და ახალგაზრდა ჯუნიუსი მას ძალიან მოსწონდა, 1864 წელს მამა მორგანი კომპანია „ჯორჯ პიბოდის“ უმცროსი პარტნიორი გახდა, თავისი მფარველის გარდაცვალების შემდეგ კი განაგრძო პლანეტის უდიდესი ფინანსური სახლის ინტერესების წარმოდგენა ამერიკაში. ცხადია, კომპანიასაც შეუცვალა სახელწოდება და „ჯუნიუს ს. მორგან კომპანი“ დაარქვა.

ახლა კი აიღეთ ტკივილამდე ნაცნობი მწვანე ქაღალდი და წაიკითხეთ, რა აწერია სულ ზემოთ: „A FEDERAL RESERVE NOTE“. თარგმანში ეს ნიშნავს: „ფედერალური რეზერვის სავალე ვალდებულებები“.

tokadoka.kz

არაპოლიტკორექტული სიმართლე
ქართველი და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ სტალინს დაადანაშაულებენ იმის გამო, რომ მან ვერ გამოიცნო ჰიტლერელთა თავდასხმის დრო და მთავარი მიმართულება, ეს ნიშნავს, რომ დამბრალებლები თვითონ მოექცევიან „პიროვნების კულტის“ გავლენის ქვეშ, ანუ ნიშნავს, რომ სრულად ირწმუნებენ მის ზეადამიანურ წინასწარმეტყველურ უნარს, რომელიც მან, გაუგებარი მიზეზების გამო, ვერ გამოიყენა.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (139-145)

**ნიკიტა ხრუშჩოვმა სამამულო ომის პერიოდში წარუმატებლობანი პირადად სტალინს დააბრალა, მის უუნარობას, ეჭვიანობასა და სიჯიუტეს. ამის შესახებ ის თავმომწონედ აცხადებდა „დახურულ მოხსენებაში“.**

კერძოდ, ეჭვქვეშ აყენებდა სტალინის თეზისს თავდასხმის მოულოდნელობის შესახებ. მის მითითებას, არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს, რომლებიც ომის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო; იგნორირებული იყო ყოველგვარი ინფორმაცია, რომლებსაც აწვდიდნენ მხედართმთავრები, თუ რომლებსაც იღებდა მტრის პრაქტიკულ მოქმედებათა შესახებ და ცინიკურად შენიშნავდა: „ეს როგორი შორსმჭვრეტელობაა პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელის ისტორიის ესოდენ საპასუხისმგებლო მომენტში?“

ხრუშჩოვის ასეთ თავდაჯერებულ სისულელეებს უამრავი მოწმე აქარწყლებს, უწინარეს ყოვლისა კი, ის ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული პირადი წვლილი შეიტანეს ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში.

## სტალინმა „მხედველობაში არ მიიღო“ გაფრთხილება ომის დაწყების თაობაზე

ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრ გოლოვანოვი ამ თემის განხილვისას მიდის ერთადერთ სწორ დასკვნამდე: „მოულოდნელი თავდასხმის“ გამო პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ ერთი ადამიანისათვის უსამართლობაა. იგი, ისევე, როგორც გამარჯვების დაფნის გვირგვინი, თანაბრად უნდა განაწილდეს იმათზე, ვისაც იმ წლებში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ არმიასა და სახელმწიფოში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოცემული დოკუმენტები ადასტურებს: სტალინი და საბჭოთა ხელმძღვანელობა ელოდნენ თავდასხმას, მაგრამ ცნობები, რომლებსაც მრავალი წყაროდან იღებდნენ, ბუნდოვანი, გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავი იყო. ზოგიერთი მკვლევარი ორ მთავარ პრობლემას გამოყოფს: წინასწარგანზრახული დეზინფორმაციის სიუხვე და საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სადაზვერვო მონაცემების წინააღმდეგობრიობა.

შეგახსენებთ: გერმანიის არმიამ თავდასხმის მზადების პროცესში აქტიურად აამოქმედა წინასწარშემუშავებული დეზინფორმაციის დეტალური გეგმა საბჭოთა ხელმძღვანელობის დასაბნევად და შესაცდენად. გამოქვეყნებულია 1941 წლის 15 თებერვლის ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს კეიტელი.

ამ პრობლემაზე მუშაობის პროცესში ისტორიკოსმა ვადიმ კოჟენოვმა ყურადღება მიაქცია ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა, საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიციასთან შედარებით, გაცილებით მეტი შეცდომა დაუშვა. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმას, რაც მან ვერ გათვალა. მაგრამ, შენიშნავს კოჟინოვი, ისტორიკოსებს აზრადაც არ მოსდით, გაამტყუნონ რუზველტი ამის გამო.

რაც შეეხება ხრუშჩოვის საყვედურებს, მათგან ბევრი შეიძლება თვით მომხსენებლის წინააღმდეგ შემოვაბრუნოთ: მაგალითად, **თუ სტალინს დაადანაშაულებენ იმის გამო, რომ მან ვერ გამოიცნო ჰიტლერელთა თავდასხმის დრო და მთავარი მიმართულება, ეს ნიშნავს, რომ დამბრალებლები თვითონ მოექცევიან „პიროვნების კულტის“ გავლენის ქვეშ, ანუ ნიშნავს, რომ სრულად ირწმუნებენ მის ზეადამიანურ წინასწარმეტყველურ უნარს, რომელიც მან, გაუგებარი მიზეზების გამო, ვერ გამოიყენა.**

მართალია, ხრუშჩოვი შეგნებულად არ შეხებია ღალატის საკითხს, მაგრამ განსაიდუმლოებული და გამოქვეყნებული დოკუმენტებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამცემლობას მართლაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, დასავლეთის ფრონტზე წითელი არმიის მასშტაბურ დამარცხებაში ფაქტობრივი დამნაშავე იყო გენერალი დ. პავლოვი.

გროვერ ფერი



იგი მონაწილეობდა დამარცხების ორგანიზებასა და შეთქმულებაში გერმანიის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირს არ შეეძლო საყოველთაო მობილიზების გამოცხადება, რადგან ეს ომის გამოცხადებად იქნებოდა აღქმული. 1914 წელს ასეთმა მობილიზაციამ გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის დაწყების პროვოცირება. 1941 წელს მობილიზაციის გამოცხადება ჰიტლერს სერიოზულ საფუძველს მისცემდა ომის გამოსაცხადებლად, საბჭოთა კავშირი კი გერმანია-ბრიტანეთის პაქტის წინაშე უძალო აღმოჩნდებოდა. 1940 წელს შედგენილი ოპერაცია „ოსტის“ გეგმას გენერალ-მაიორმა მაკსმა ასეთი მინაწერი დაურთო: „რუსები ჩვენზე თავდასხმით სამსახურს არ გაგვიწევენ“, ე.ი. ხელს არ შეგვიწყობენ, არ დაგვეხმარებიანო.

სსრ კავშირი ვერ ენდობოდა ბრიტანეთის გაფრთხილებებსაც: ინგლისელები ლამის ღიად და დაუფარავად ცდილობდნენ ჰიტლერის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წასისინებას. და თუ ისინი ვერ მოახერხებდნენ გერმანიასთან სამშვიდობო შეთანხმების დადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ძალას არ დაიშურებდნენ, სულ ცოტა, ორივე ქვეყნის დასასუსტებლად ისე, როგორც ამას ელტვოდნენ დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების წარმომადგენლები.

მარშალი მერეცკოვი, რომელსაც სტალინის მიმართ კეთილგანწყობილებას ვერ დავაბრალებთ, 1968 წელს გამოცემულ თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ ომის წინადღეს შექმნილი ვითარება იყო უაღრესად რთული და დახლართული და რაიმეს წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მარშალმა ჟუკოვმა, რომელმაც ხრუშჩოვის ზეობის პერიოდში ნიკიტას დაუჭირა მხარი, თავისი ცხოვრების მიწურულს მტკიცედ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა სტალინის ხელმძღვანელობით გააკეთა ყველაფერი, რისი შესაძლებლობაც მაშინ არსებობდა ჰიტლერიზმთან შესაბმელად.

საბჭოთა მხედართმთავრების მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოემზადებინათ შეიარაღებული ძალები შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა.

და კიდევ ერთი ფაქტის შესახებ, რომელსაც ანტისტალინელები განსაკუთრებული მონდომებით ატრიალებდნენ. საქმე ეხება ცნობილ საბჭოთა მზვერავ რიხარდ ზორგეს, რომელმაც იაპონიაში გერმანიის საელჩოს წყაროდან მიღებული ცნობების საფუძველზე შედგენილი ინფორმაცია წარუდგინა მოსკოვს, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხმება 1941 წლის 22 ივნისს. სტალინმა ეს შეტყობინება არაფრად ჩააგდო. როგორც გაირკვა, **ზორგეს ეს შეტყობინება ხრუშჩოვისდროინდელი დათბობის პერიოდში შედგენილი ნაყალბევი გამოდგა**, ანუ ფალსიფიცირებულია. დაინტერესებულმა მკითხველმა ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მიიღოს გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ 2001 წლის 16 ივნისის პუბლიკაციიდან — „1941 წლის 22 ივნისი. შეიძლებოდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო?“, ასევე ინტერნეტსაიტიდან:

http://www.redstar.ru/2001/06/16 06/4.html.

## ვორონცოვის შეტყობინებანი

„დახურულ მოხსენებაში“ ხრუშჩოვი საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად ასახელებს ბერლინში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ატაშეს, პირველი რანგის კაპიტნის 1941 წლის 6 მაისის პატაკს ასახელებს, რომელშიც ნათქვამი იყო: „საბჭოთა ქვეშევრდომმა ბოზერმა... ჩვენი საზღვაო ატაშეს თანაშემწეს აცნობა ჰიტლერის მთავარბანაკის ერთ-ერთი ოფიცრის ნათქვამი, რომ გერმანელები 14 მაისისთვის ამზადებენ სსრკ-ში შეჭრას ფინეთიდან, ბალტიისპირეთიდან და ლატვიიდან. ამასთან, განზრახული აქვთ ძლიერი საავიაციო დარტყმების განხორციელება მოსკოვსა და ლენინგრადზე და საპარაშუტო დესანტის გადმოსხმა საზღვრისპირა ცენტრებში“...

ამ შემთხვევაში ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ხრუშჩოვმა შეგნებულად იცრუა, რადგან ხელთ გვაქვს ადმირალ კუზნეცოვის შეტყობინების ტექსტი, რომელიც მან სტალინს გაუგზავნა ვორონცოვის დეპეშის გამო და რომელშიც მოკლედ აფასებს მის შინაარსს. მაგრამ კუზნეცოვის მოსაზრება „დახურული მოხსენებიდან“ ამოაგდეს, რამაც საფუძვლიანად შეცვალა ატაშეს შეტყობინების არსი. ხრუშჩოვმა შეგნებულად დაუმალა ყრილობის დელეგატებს, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობამ ვორონცოვისგან მიღებული ცნობა შეაფასა როგორც დეზინფორმაცია, რომელიც, საბჭოთა ხელმძღვანელობის დაბნევის მიზნით, სპეციალურად იყო შემოგზავნილი.

**ვორონცოვის დეპეშის მაგალითად მოხმობის ყალთაბანდური იდეა, როგორც ჩანს, თვით ხრუშჩოვს ეკუთვნოდა.** იგი არ ფიგურირებს არც პოსპელოვის მოხსენებაში, არც პოსპელოვ-ხრუშჩოვის მიერ მომზადებულ ხრუშჩოვის სიტყვის პროექტში (1956 წლის 18 თებერვალი), არ არის იგი არც ხრუშჩოვის მიერ ნაკარნახევ ტექსტებში (1956 წლის 19 თებერვალი). არც ისაა ცნობილი, თუ როგორ აღმოჩნდა ვორონცოვის შეტყობინება ხრუშჩოვის ხელში.

კრებულის „ნ.ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტის შესახებ“ რედაქტორებმა არ გადაბეჭდეს კუზნეცოვის ბარათის ტექსტი და არც მიუთითეს მასზე. წარმოუდგენელია იმის დაშვებაც კი, რომ მათ არ იცოდნენ ამ ბარათის ორიგინალის არსებობა, რადგან იგი გამოქვეყნებული იყო პოპულარულ ჟურნალში „Военно-исторический журнал“ (1992 წლის №2-ში, გვ. 39-40).

ხრუშჩოვი ცრუობს და ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ვორონცოვის შეტყობინების ფაქტმა.

## საბჭოთა მხარეს გადმოსული გერმანელები

ხრუშჩოვი: „ცნობილია ასეთი ფაქტიც. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰიტლერული არმიის შემოჭრის წინა დღეს ჩვენს საზღვარზე გადმოვიდა გერმანელი და გვაცნობა, რომ გერმანიის ჯარებმა მიიღეს ბრძანება, რომ 22 ივნისის ღამის 3 საათზე უნდა დაიწყონ შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სტალინს, მაგრამ ეს სიგნალიც უყურადღებოდ დატოვეს“.

ხრუშჩოვის ეს განცხადებაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, მაგრამ ვორონცოვის დეპეშისგან განსხვავებით, რომელიც ბოლო დრომდე გასაიდუმლოებული რჩებოდა, გერმანელი ჯარისკაცის საზღვარზე გადმოსვლის ისტორია ყრილობის დელეგატებს უნდა ხსომებოდათ.

ამ ჯარისკაცს ერქვა ალფრედ ლისკოვი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მისი შეტყობინება უყურადღებოდ დატოვეს. მოხსენება გერმანიის არმიიდან დეზერტირებული ჯარისკაცის დაკავების შესახებ 21 ივნისს, 21:00 საათზე ტელეფონით გადაიცა 22 ივნისის ღამის 3 საათსა და ათ წუთზე, თავდასხმამდე 50 წუთით ადრე.

ამრიგად, ხრუშჩოვი ცრუობს, როცა სურს, დაამტკიცოს, რომ ცნობა გერმანელი ჯარისკაცის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ გადასცეს სტალინს, ეს ერთი. და ცრუობს, როცა აცხადებს, რომ „სიგნალი უყურადღებოდ დატოვეს“. ამას დავუმატოთ, რომ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ლისკოვმა თავის მეთაურისგან — ლეიტენანტ შულცისგან 21 ივნისის საღამოს შეიტყო.

ლისკოვი მოსკოვში ჩაიყვანეს. 1941 წლის 27 ივნისს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა მისი მონათხრობი, მისსივე ფოტოსურათით და მოწოდებით გერმანელი კარისკაცების მიმართ, გადასულიყვნენ საბჭოთა მხარეს. ზოგიერთი ცნობით, ლისკოვი მალე დაიღუპა, ხოლო სასაზღვრო ნაწილი, რომელშიც თავდაპირველად მოხვდა ლისკოვი, რამდენიმე საათში მთლიანად განადგურდა წინასწარ მომზადებული თავდაცვითი ზღუდეების დაცვისას.

ქალაქი მინსკი, საჰაერო დაბომბვის შემდეგ. (ბუნდესარქივის ფოტო)



არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ, რომ ნიკიტა ხრუშჩოვს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კიევის სამხედრო ოლქის მრავალი ოფიცრის მოსპობის გამო**

◀ მემუარებში, რომლებიც 1960-იანი წლების ბოლოს დაწერა, ხრუშჩოვს აღარ გაუმეორებია საზღვარსგადმოსულ გერმანელ ჯარისკაცთან დაკავშირებული მისეული მტკიცება და სიტყვაც არ უთქვამს, რომ დეზერტირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

## დახვრეტილი სარდლები

ხრუშჩოვი ხელიდან არ გაუშვებდა მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 1937-1941 წლებში „ცრუ ბრალდებების საფუძველზე“ და „სტალინის ეჭვიანობის ნიადაგზე“ რეპრესირებული იყო უამრავი საჯარისო მეთაური და პოლიტმუშაკი, თითქმის მთლიანად გაანადგურეს მეთაურთა ის კადრები, რომლებმაც გარკვეული გამოცდილება მიიღეს ესპანეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ომის დროს.

ხრუშჩოვმა „დახურულ მოხსენებაში“ მხოლოდ მიანიშნა იმის თაობაზე, რაზეც თავის მომხრეებთან ერთად მომდევნო წლებში გამუდმებით ილაპარაკებს:

— მარშალი ტუხაჩევსკი და მასთან ერთად 1937 წლის 11 ივნისს გასამართლებული რვა მეთაური თურმე უდანაშაულონი იყვნენ და მათ მსჯავრი დაედოთ ცრუ ბრალდებების საფუძველზე.

— დახვრეტები და არმიიდან დათხოვნის მასშტაბები იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. რეპრესირებული სარდლები გაცილებით განათლებულები და გამოცდილები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც მათ ჩაენაცვლა.

განვიხილოთ ეს დებულებები განსაიდუმლოებული დოკუმენტების ანალიზის მოხმობით:

1. იმ, არცთუ დიდი რაოდენობის მასალებიდან, რომლებიც ცნობილი გახდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, აშკარად გამჟღავნდა, რომ ტუხაჩევსკი და ის მეთაურები, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ მსჯავრდებული, ნამდვილად იყვნენ დამნაშავენი. მაგრამ ჯერჯერობით განსაიდუმლოებულია ასეთ წყაროთა უმნიშვნელო რაოდენობა, ხელისუფლება არ ჩქარობს, მზის სინათლეზე გამოიტანოს არქივებში დაცული დოკუმენტები — დაკითხვების ოქმები, ღია და დახურული სასამართლო პროცესების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

პირველწყაროები დუმს. მაგრამ, თუ ხმა ამოიღეს, მაშინ ბევრი რამ გამჟღავნდება. მაგალითად, ეჟოვის ახლახან გამოქვეყნებული აღიარებითი ჩვენებებიდან მტკიცდება, რომ არსებობდა სამი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან მოქიშპე შეთქმულ სამხედროთა ჯგუფი: პასუხისმგებელ სამხედრო მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ა. ეგოროვის, ი. გამარკინის, ი. იაკირისა და ი. უბორევიჩის ტროცკისტული ჯგუფი და ტუხაჩევსკის „ოფიცერბონაპარტისტთა ჯგუფი“.

დამახასიათებელი შტრიხია; ხრუშჩოვმა 1957 წელს მოითხოვა ტუხაჩევსკისა და სხვა ოფიცერთა რეაბილიტაცია, მაგრამ „სამხედროთა საქმეების“ მეტ-ნაკლებად დეტალური შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1962 წელს. შესაბამისი კომისიის ანგარიში, რომელშიც, ფაქტობრივად, მოცემულია მხედართმთავართა ბრალეულობის დამატებითი მტკიცებულებანი, 1994 წლის ჩათვლით გასაიდუმლოებული რჩებოდა.

2. ხრუშჩოვის დროიდან მოყოლებული, ტუხაჩევსკისა და მასთან ერთად რეპრესირებულ მხედართმთავრებს განადიდებენ ლამის საბჭოთა კავშირის გმირების დარად.

**რეპრესიების „საშინელი“ მასშტაბების ახსნაც ადვილად ასახსნელია: ხრუშჩოვმა და მისმა მიმდევარმა ისტორიკოსემა მრავალჯერადად გაზარდეს დახვრეტილთა და წითელი არმიიდან დათხოვნილი მეთაურების რაოდენობა** (იხ. ამ თემასთან დაკავშირებული წერილები, რომლებიც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა რუბრიკებით „არაპოლიტკორექტული სიმართლე“ და „უკომენტაროდ“ მიმდინარე წლის იანვრიდან).

დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ, რომ ნიკიტა ხრუშჩოვს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კიევის სამხედრო ოლქის მრავალი ოფიცრის მოსპობის გამო. კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს მიერ ხელმოწერილ დადგენილებებს იმოწმებს გენერალი ვოლკოგონოვი. ამ დოკუმენტებში ხუშჩოვი თავს იწონებს იმით, რომ განხორციელებული აქვს დიდი სამუშაო წითელი არმიის რიგების მტრული ელემენტებისგან გაწმენდისა და მათ ადგილზე ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული კადრებით ჩანაცვლების საქმეში. ახალი კადრები, ნათქვამია კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს დადგენილებაში, მტკიცედ არიან შეკრულნი „ჩვენი პარტიისა და ხალხთა ბელადის — სტალინის გარშემო და უზრუნველყოფენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტიკურ სიმტკიცესა და სამხედრო ძლიერების ამაღლებას“.



წითელარმიელები

მოსკოვის ქუჩებში ომის დაწყების შესახებ ბოლო ცნობებს უსმენენ



# სტალინი უაღრესად აქტიურად მუშაობდა ომის დაწყების პირველივე საათიდან და უფრო ადრიდანაც კი

და შემდეგ: „სამხედრო საბჭო თავის მთავარ ამოცანად ისახავს მტრული ელემენტების საბოლოოდ ამოძირკვას...“ დოკუმენტს ხელს აწერენ კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის მეორე რანგის სარდალი ტიმოშენკო, სამხედრო საბჭოს წევრი, კორპუსის მეთაური სმირნოვი და უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხრუშჩოვი.

## ომის დასაწყისში სტალინმა „დაკარგა“ მართვის უნარი

**ხრუშჩოვი: „სწორი არ იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ ფრონტებზე პირველი მძიმე წარუმატებლობებისა და დამარცხებათა შემდეგ სტალინმა ჩათვალა, რომ ყველაფერი დამთავრდა. ამ დღეებში ერთ-ერთი საუბრის ბოლოს მან განაცხადა:**

**— ის ყველაფერი, რაც ლენინმა შექმნა, ჩვენ სამუდამოდ დავკარგეთ.**

**ამის შემდეგ იგი დიდხანს, ფაქტობრივად, არ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს და, საერთოდ, საქმისთვის ხელი არ მოუკიდებია...“**

ის ყველაფერი, რაც ხრუშჩოვმა თქვა, აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს და ნიკიტამ ეს შესანიშნავად იცოდა. იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ისინი, ვინც ომის პირველ კვირებში სტალინის მხარდამხარ მუშაობდნენ. მათ მსგავსი რამ არასოდეს არ განუცხადებიათ. ხრუშჩოვი კი ომის საწყის პერიოდში უკრაინაში იმყოფებოდა და ვერაფრით გაიგებდა, რას ამბობდა და აკეთებდა სტალინი.

ისტორიკოსებისთვის ამჟამად კარგადაა ცნობილი მომსვლელთა ჟურნალი, რომელშიც სკრუპულოზურად იყო ჩანიშნული ყველა, ვინც სტალინთან იყო დაბარებული კრემლში, მის სამუშაო კაბინეტში. ჩანაწერებში დოკუმენტური სიზუსტითაა აღნუსხული და, მაშასადამე, დადასტურებული, რომ სტალინი უაღრესად აქტიურად მუშაობდა ომის დაწყების პირველივე საათიდან და უფრო ადრიდანაც კი. 1941 წლის 21-დან 28 ივნისამდე მომსვლელთა ჩანაწერები გამოქვეყნებულია ჟურნალში „Исторический архив“ (იხ. ამ ჟურნალის 1996 წლის №2, გვ. 51-54).

მარშალი **ჟუკოვი** სტალინის მიმართ ბოლომდე კეთილგანწყობილი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად ამისა, თავის მემუარებში **იგი სტალინზე დიდი პატივისცემით წერს და აბათილებს ხრუშჩოვის ბევრ მონაჭორს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც სამამულო ომის პირველ დღეებთან და თვეებთან არის დაკავშირებული.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა ეკუთვნის კომინტერნის აღმასკომის გენერალურ მდივან **გიორგი დიმიტროვს**, რომელმაც თავის დღიურში ჩაწერა, რომ **1941 წლის 22 ივნისს, დილის 7 საათზე, კრემლში გამოძახებით რომ მივიდა, იქ დახვდნენ სტალინი, პოსკრებიშევი, მარშალი ტიმოშენკო, ადმირალი კუზნეცოვი, წითელი არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსი მეხლისი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბერია.** შემდეგ დღიურში ასეთი წინადადებაა ჩაწერილი: **„გასაოცარი სიმშვიდე, სიმტკიცე, საკუთარი ძალის რწმენა სტალინის და ყველა დანარჩენის“.**

კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდათ, ანტისტალინისტებმა ხელზე დაიხვიეს ფაქტი, რომ **მომსვლელთა ჟურნალში 29 და 30 ივნისს არავითარი ჩანაწერი არ გაკეთებულა.** ეს აიტაცეს და შეეცადნენ, ხრუშჩოვის მონაჭორი ამ ორი დღით მაინც გაემართლებინათ. მაგრამ აქაც სრული ფიასკო განიცადეს, რადგან „პრობლემა“ სრულიად მარტივად იშიფრება: **ამ ორ დღეს სტალინი ე. წ. ახლო აგარაკზე მუშაობდა. ამასთან, როგორც მარშალი ჟუკოვი იხსენებს, სტალინი ორჯერ მივიდა თავდაცვის სახალხო კომისარიატში, მთავარსარდლობის შტაბბინაში. ხოლო 30 ივნისს მოიწვია პოლიტბიუროს სხდომა.**

29 და 30 ივნისს სტალინი პროსტრაციაში იმყოფებოდაო, არ ცხრებოდნენ ხრუშჩოვის ხელის ბიჭები, მაგრამ ისეთმა დაუძინებელმა ანტისტალინისტმაც კი, როგორიც საბჭოთა ისტორიკოსი-დისიდენტი როი მედვედევია, ეს ვერსია სიყალბედ მიიჩნია. იგი წერს, რომ ხრუშჩოვის ნათქვამი „წმინდა წყლის მონაგონია“ *(იხ. პ. სელველევ „Неизвестный Сталин”, გვ. 242. ინგლისური გამოცემა). მედვედევის ეს ფრაზა მეორდება ჯ. ლუისის და ფ. უაიტხედის მიერ შედგენილ სტალინის ბიოგრაფიაში, რომელიც 1990 წელს გამოიცა, ასევე ა. ბალოკის წიგნში და „მეორე მსოფლიო ომის ოქსფორდის ენციკლოპედიაში“ (1995 წელი).*

სტალინი სავსებით შრომისუნარიანი იყო 22 ივნისიდან მოყოლებული 29 და 30 ივნისის ჩათვლით. 29 ივნისს თავდაცვის სახალხო კომისარიატში ყოფნისას იგი მკაცრად ეკამათა ტიმოშენკოს და ჟუკოვს. ეს ცნობილი ფაქტია: მიქოიანმა ამის შესახებ მოუთხრო გ. კუმანევს *(იხ. პჭლრს ყრ Уითომნძს... გ. კუმანევი, გვ. 28-29).* იმავე დღეს სტალინმა მოამზადა და ხელი მოაწერა დირექტივას პარტიზანული მოძრაობის გაშლის თაობაზე. 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილებით, შეიქმნა *თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: იოსებ სტალინი (თავმჯდომარე), ვიაჩესლავ მოლოტოვი (თავმჯდომარის მოადგილე), კლიმენტი ვოროშილოვი, გიორგი მალენკოვი და ლავრენტი ბერია.*

მთელი სახელმწიფო ძალაუფლება კონცენტრირებული იქნა ამ კომიტეტის ხელში. ყველა მოქალაქესა და ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამხედრო ორგანოს დაევალა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებისა და განკარგულების უსიტყვო შესრულება.

გენერლების: ვოლკოგონოვისა და სუდოპლატოვის ბედსა და მრწამში საერთო არაფერია, მაგრამ, როცა 1990-იან წლებში ისინი თავიანთ წიგნებს წერდნენ, ორივენი სტალინის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. მიუხედავად ამისა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორივე მივიდა ერთსა და იმავე დასკვნამდე: **ხრუშჩოვი ცრუობდა, როცა ყვებოდა, თუ როგორ იქცეოდა სტალინი ომის პირველ დღეებში.**

**გაგრძელება იქნება**

ირაკლი თოიძის ცნობილი პლაკატი




რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა შეძლო საგრძნობლად გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ამერიკასთან, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ ჰიტლერის მთავარი დამფინანსებელი აშშ და ნაწილობრივ ინგლისის მონოპოლიები იყვნენ.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (139-145)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

ინგლისსა და საფრანგეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჰიტლერზე დადებული ფსონი ორი მიზეზის გამო: პირველი — გერმანიის შიგნით ნაცისტური რეჟიმის სისუსტე; მეორე — ჰიტლერსა და მუსოლინის შორის არსებული წინააღმდეგობანი. ორივე სახელმწიფო, განსაკუთრებით, საფრანგეთი, შეშფოთებული იყო იმით, რომ ჰიტლერს განზრახული ჰქონდა გერმანიისთვის თანაბარუფლებიანობის მოთხოვნის საფარით მოესპო ევროპის უშიშროების ვერსალის სისტემა.

ჰიტლერის მიერ თავისი რეჟიმის, როგორც ანტისაბჭოთა ბასტიონის, რეკლამირებას 1933-1934 წლებში მხარი არ დაუჭირეს საფრანგეთის, ინგლისისა და აშშ-ის მმართველმა წრეებმა. ამასობაში **სტალინმა შეძლო საგრძნობლად გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ამერიკასთან, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ ჰიტლერის მთავარი დამფინანსებელი აშშ და ნაწილობრივ ინგლისის მონოპოლიები იყვნენ.**

სტალინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კაპიტალისტური ქვეყნების ერთიანი ანტისაბჭოთა კოალიციის შექმნის დაუშვებლობა იყო. ამას მან 1933 და 1934 წლებში კიდეც მიაღწია უპირატესად საფრანგეთზე დაყრდნობით, რომელიც გერმანიის გაძლიერებას უფრთხოდა, მაგრამ 1935 წელს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. **სახალხო ფრონტების წარმატებებმა, რომლებიც საფრანგეთსა და ესპანეთში კომუნისტების ინიციატივით შეიქმნა, აიძულა საფრანგეთი, სულ უფრო მიმხრობოდა ლოზუნგს „უმჯობესია ჰიტლერი, ვიდრე სახალხო ფრონტი“. გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის გაძლიერება, მუსოლინისა და ჰიტლერის დაახლოება სულ უფრო ენერგიულად უბიძგებდა ლონდონს ბერლინთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.**

ანტისაბჭოთა საფუძველზე ჰიტლერისა და დასავლეთის გაერთიანების შემაშფოთებელ სიგნალად აღიქვა სტალინმა საარის ოლქის გერმანიასთან მიერთება. მომდევნო 1936 წელს ორი ისეთი მოვლენა განხორციელდა, რომლებმაც ეს შეშფოთება კიდევ უფრო გააძლიერა: გერმანიის მიერ რეინის ოლქის ხელში ჩაგდება და ჰიტლერელთა სამხედრო ჩარევა ესპანეთში დაწყებულ სამოქალაქო ომში. ერთიცა და მეორეც დასავლეთის მხარდაჭერით მოხდა, რომელიც მზად იყო, ვერსალის სისტემის მსხვერპლად გაღებით ჰიტლერი ანტისაბჭოთა ძალად გადაექცია.

**სტალინმა თავისი კონტრსვლა განახორციელა. მან შეძლო ფაშისტების ჩათრევა საბჭოთა კავშირის საზღვრებს დაცილებული ესპანეთის სამოქალაქო ომში. 1936-1937 წლებში სამმა ათასმა საჭოთა მრჩეველმა, რომლებიც ესპანეთის რესპუბლიკის არმიას ხელმძღვანელობდნენ, შეძლეს 25 ათასი გერმანელი მფრინავის, ტანკისტის, არტილერისტისა და სხვა სამხედრო სპეციალისტის შებოჭვა, რომლებიც რესპუბლიკის მტრის, გენერალ ფრანკოს მხარეს იბრძოდნენ.**

**ხაზი უნდა გაესვას, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ესპანეთის მთავრობას, რომელიც დემოკრატიული წესით იყო არჩეული, დასავლეთის „დემოკრატიები“ კი მის დამხობას ცდილობდნენ. რესპუბლიკელების დამარცხება გარკვეულწილად განსაზღვრა ტროცკისტების დესტრუქციულმა მოქმედებამ, რომლებიც ქვეყანაში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.**

იმავე წლებში მოხდა ერთი ნაკლებად ცნობილი მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანია განსახილველი თემისთვის. 1937 წლის ნოემბერში ლონდონის საბჭოთა საელჩოში მივიდა ფიურერის ძმისშვილი პატრიკ ჰიტლერი. მან საბჭოთა დიპლომატებს შესთავაზა ბიძის — ფიურერის პირადი ცხოვრების მაკომპრომენტირებელი დოკუმენტების შეძენა. თავისი მოქმედება ახსნა შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობით, რომელშიც იგი დედასთან ერთად აღმოჩნდა. დედა, წარმოშობით ირლანდიელი, ინგლისის მოქალაქე იყო. მამამ — ალიოზ ჰიტლერმა, ადოლფის უფროსმა ძმამ მიატოვა ოჯახი და გერმანიაში გადასახლდა.

თავისი მასალებისთვის ძმისშვილმა ძალიან დიდი თანხა მოითხოვა და ამ შეთავაზების დასადასტურებლად საელჩოში განცხადება დატოვა.

საბჭოთა დაზვერვამ მას დაუყოვნებლივ დაადგა თვალი და მიაკუთვნა ფსევდონიმი „ძმისშვილი“.

საბჭოთა აგენტი „სემა“ 1937 წლის 4-8 დეკემბრის პაქტაკით ხელმძღვანელობას აცნობებდა შემდეგს: „ძმიშვილი“ ფლობს ინფორმაციას ჰიტლერის მთავრობის რიგი ბნელი კომბინაციების შესახებ და აქვს კავშირი სამინისტროებთან... ძმისშვილის მამას ალიოზ ჰიტლერს აქვს რესტორანი შემდეგ მისამართზე: ვიცენბერგპლაცი, 3, და ფარულად ხვდება ჰიტლერს, თუმცა არ ამჟღავნებს, რომ მისი ძმაა...

შეხვედრისას მან წარმოგვიდგინა... ჰიტლერის ადიუტანტის „ძმისშვილისთვის“ გაგზავნილი პირადი წერილი... პირადად მიმაჩნია, რომ შეიძლება მისი გამოყენება გერმანიაში, შეხვედრების ორგანიზებით მეზობელ ქვეყანაში, მისი ნათესაური კავშირები ჰიტლერთან კი დავიტოვოთ მარქაფად, რადგან მომავალში შეიძლება დაგვჭირდეს“.

პასუხი ცენტრიდან, რომელიც, როგორც ჩანს, სტალინის ნაკარნახევია: **„ამ საკითხს შემდეგნაირად ვუდგებით: ძმისშვილის „სენსაციები“ არ გვჭირდება. ისინი უთუოდ ეხება ბიძის წარმოშობას და მისთ. ყოველ შემთხვევაში, ისინი უფრო პირადულია და არა პოლიტიკური ხასიათის და, რა თქმა უნდა, ასეთ ფულს მას არ გადავუხდით...“**

ამჟამად, როცა დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ საბჭოთა დაზვერვა ჰიტლერთან მიახლოებას მისი ნათესავების მეშვეობით ცდილობდა, ლოგიკური იქნება, ვივარაუდოთ, რომ გერმანიის დაზვერვაც ცდილობდა სტალინამდე მიღწევას, 30-იან წლებში გერმანიაში სავაჭრო წარმომადგენლად მუშაობდა მისი შორეული ნათესავი დ. კანდელაკი, უფრო ადრე კი ეს პოსტი ბერლინში ეკავა სტალინის პირველი ცოლი ძმას — ა. სვანიძეს. ორივე დახვრიტეს „ეჟოვშჩინის“ აღზევების დროს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სტალინი ამ პერიოდში უპირველესი ფიგურა გახდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მისი დამხობა ქვეყანას უეჭველად სამოქალაქო ომის პირას დააყენებდა და დაასუსტებდა. ამით უეჭველად ისარგებლებდნენ კაპიტალისტური სახელმწიფოები და ქვეყანას საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარებდნენ.

ესპანელი რესპუბლიკელები, 1937 წელი




### ომისწინა მანევრები

**1938 წელს სიტუაცია საბჭოთა კავშირისთვის და სტალინისთვის გაუარესდა. დასავლეთი უკვე აშკარად წარმართავდა ჰიტლერულ აგრესიას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. მარტში განხორციელებულმა ავსტრიის ანშლიუსმა ვერმახტი საბჭოთა კავშირის საზღვრების შორეულ მისადგომებს დაუახლოვა, ხოლო ნოემბერში ჩეხოსლოვაკიის მიმართ განხორციელებულმა ღალატმა, აგრეთვე, ლიტვაში შეჭრამ აგრესორი უშუალოდ საბჭოთა საზღვართან დააყენა.**

ესპანეთის რესპუბლიკა მარცხს მარცხზე განიცდიდა, მისი დღეები ფაქტობრივად დათვლილი იყო. ჰი- ▶

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამით — დათანხმდა ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო დელეგაციების მოსკოვში ჩამოსვლას გერმანიის წინააღმდეგ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების გასამართად, მაგრამ იმედგაცრუება ელოდა.**

ჰიტლერს მიეცა შესაძლებლობა, მოეკრიბა ძალა აღმოსავლეთში საომარი მოქმედების გასაჩაღებლად... ან დასავლეთისკენ შეიარაღებული ძალის წარსამართად.

სტალინს 1939 წლის გაზაფხულზეც არ ჰქონდა დაკარგული იმედი, რომ სსრ კავშირის ბურჟუაზიულ დემოკრატიებთან თანამშრომლობას სასარგებლო შედეგის მოტანა შეეძლო. საამისო საფუძველიც ჰქონდა. ინგლისში ჩანერგილი სადაზვერვო ორგანიზაცია „კემბრიჯის ოთხეული“ უაღრესად ფასეულ ინფორმაციას აწვდიდა: ლონდონი, რომელმაც მიუნჰენის ღალატი განახორციელა და მშვიდად აღიქვა ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ნაწილის მიტაცება 1939 წლის გაზაფხულზე, განწყობილი არ არის, ასევე მორჩილად დაუთმოს ფიურერს პოლონეთი.

სტალინმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამით — დათანხმდა ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო დელეგაციების მოსკოვში ჩამოსვლას გერმანიის წინააღმდეგ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების გასამართად, მაგრამ იმედგაცრუება ელოდა. საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა სახალხო კომისარი კლიმენტ ვოროშილოვი, უცხოელებისას — უმნიშვნელო სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები, ამასთან, ისინი აღჭურვილი არ იყვნენ თავიანთი მთავრობების მიერ მინიჭებული ოფიციალური უფლებით, ხელი მოეწერათ სამშვიდობო შეთანხმებაზე. მოლაპარაკება უპერსპექტივო გამოდგა, თუმცა გარკვეული შედეგი მაინც ჰქონდა: **სტალინმა ჰიტლერს დაანახა, რომ მზადაა ინგლისთან და საფრანგეთთან კავშირის დასამყარებლად.**

საბჭოთა აგენტმა, რომელიც საფრანგეთის პრემიერმინისტრის კანცელარიაში მუშაობდა, სტალინს აცნობა, რომ ვარშავა, რომელიც ევროპაში საფრანგეთის მთავარ მოკავშირედაა მიჩნეული, მზადაა ბერლინის მხარეს გადასასვლელად. ამ დროს, სწორედ პოლონეთის ჰილერული აგრესიისგან დაცვა იყო მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების მთავარი თემა. აშკარა გახდა, რომ სურდათ მისი ჩათრევა გერმანიის წინააღმდეგ საომარ კონფლიქტში, რისთვისაც **უკიდურესად არახელსაყრელ პირობებს სთავაზობდნენ საბჭოთა კავშირს — მას სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინა ინგლისისა და საფრანგეთისთვის, რომლებიც მოვალენი არ იქნებოდნენ გაეკეთებინათ იგივე აგრესორის სსრკ-ზე თავდასხმის შემთხვევაში.**

...1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება იყო და რჩება არა მხოლოდ მეცნიერების ყურადღების ობიექტად, არამედ პოლიტიკური დემაგოგიის იარაღად. იგი აქციეს სსრ კავშირის წინააღმდეგ გამართული საინფორმაციო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად.

განვიხილოთ ეს თემა.

უწინარეს ყოვლისა, — სიყალბეთა შესახებ.

**პირველი ტყუილი**, რომელსაც ანტისტალინელებმა დიდი ფეხები გამოაბეს, არის მათ მიერ გავრცელებული სიცრუე, თითქოს 1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის დადების ინიციატორი იყო სტალინი, რომელიც ამ დოკუმენტის მიღების საფუძველს ჰქმნიდა გერმანიაში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლის კანდელაკის მეშვეობით, ხოლო მოლოტოვით ლიტვინოვის ჩანაცვლებით ჰიტლერს მისცა ნიშანი, რომ მზად არის გარიგებისთვის.

**მეორე ტყუილი**. სტალინი ესწრაფოდა ჰიტლერთან თანამშრომლობას, განახორციელებდა ფიურერის მსგავს აგრესიულ პოლიტიკას და ცდილობდა ევროპის ქვეყნების ნაწილის მიტაცებას.

მოგვიანებით ამ ორ ტყუილს **მესამეც დაემატა**: სტალინს განზრახული ჰქონდა გერმანიაზე თავდასხმის მზაკვრული გეგმის განხორციელება.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პაველ სუდოპლატოვი წერს: „ჰიტლერმა პირველმა მოსინჯა საბჭოთა კავშირის პოზიცია ჯერ კიდევ 1939 წლის გაზაფხულზე, როცა საგარეოპოლიტიკურ უწყებას სათავეში მაქსიმ ლიტვინოვი ედგა... (*ლიტვინოვის ნამდვილი სახელი და გვარია — მეერგენოხ მოვშეს ძე ვალახი. ჰიტლერი უგულებელყოფდა მას, როგორც პარტნიორს მოლაპარაკებების საწარმოებლად მისი ებრაული წარმოშობის გამო. — ა.ს.*).

...დღეს ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკებების, საიდუმლო ოქმების შესახებ, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ თავის დროზე ხელიდან გაუშვეს დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმების შანსი, რომ სტალინმა ინგლისელებთან და ფრანგებთან ურთიერთობას ჰიტლერთან მოლაპარაკება ამჯობინა“.

ინგლისელებთან და ფრანგებთან შეთანხმებას სტალინმა მართლაც ვერ მიაღწია. ხოლო გერმანიასთან ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ერთობლივ სამხედრო მოქმედებას, არამედ აძლევდა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან ომის გადადების ერთგვარ შანსს. ამასთან ერთად, დასავლეთს უნდა გაეგო, რომ ჰიტლერისათვის შემდგომ კოჭის გორებას შეიძლება გამოეწვია მისი აგრესიის მიმართვა სწორედ

**ჰიტლერის ძმისშვილი უილიამ პატრიკი და მისი დედა ბრიჯეტი, 1941 წ. 8 ივლისი**




**«ამ საკითხს შემდეგნაირად ვუდგებით: ძმისშვილის «სენსაციები» არ გვჭირდება. ისინი უთუოდ ეხება ბიძის წარმოშობას და მისთ. ყოველ შემთხვევაში, ისინი უფრო პირადულია და არა პოლიტიკური ხასიათის და, რა თქმა უნდა, ასეთ ფულს მას არ გადავუხდით...»**

დასავლეთისკენ. სტალინს ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ მოვლენები შეიძლებოდა ასე განვითარებულიყო, ეს კი მოცემულ ვითარებაში ყველაზე უფრო მომგებიანი იქნებოდა საბჭოთა კავშირისთვის.

საქმე ის არის, რომ 1939 წლის გაზაფხულზე გერმანიის მხარის ინიციატივით სტამბოლში ორი ელჩის — ფონ პაპენისა და ტერენტიევის შეხვედრა გაიმართა. ფონ პაპენი გერმანიის ყოფილი კანცლერი იყო. სტამბოლში გამგზავრების წინ მან ჰიტლერისგან ფართო უფლებამოსილება მიიღო (სტალინმა ამის შესახებ გაიგო თავისი დაზვერვის რეზიდენტისგან).

პირველი საუბარი მიეძღვნა რეგიონულ საკითხებს, მეორე საუბრის დროს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო, **ფონ პაპენი გამუდმებით იმეორებდა, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა ახალ საფუძვლებზე უნდა აიგოს.** მინიშნება ზუსტად იქნა აღქმული. **დასავლეთთან მოლაპარაკების წარუმატებლობის შემდეგ სტალინმა გერმანელების შეთავაზებაზე უარი არ თქვა. 1939 წლის 23 აგვისტოს რიბენტროპი მოსკოვში ჩავიდა. მისი ჩასვლიდან ზუსტად 13 საათის შემდეგ, ღამის ორ საათზე ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტს.**

მიღებული გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ნაუცბათევი არ იყო. სტალინი მანამდეც ცდილობდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა დიპლომატიური გზით მოეგვარებინა. მაგალითად, 1936 წლის აპრილში იგი ფინეთის მთავრობას მოუწოდებდა დაედო საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. სამწუხაროდ, — ამაოდ.

ჩვენ მიერ ნახსენები სუდოპლატოვი წერს: „მანერჰეიმმა ჩვენი წინადადებების შესახებ აცნობა ფიურერს, ასე რომ ჰიტლერი რიბენტროპს მოსკოვში რომ აგზავნიდა,

**ვიაჩესლავ მოლოტოვის შეხვედრა ადოლფ ჰიტლერთან**



სტალინის მხოლოდ სპონტანური რეაქციის იმედად არ იყო. მან იცოდა, რომ ჩვენ მზად ვიყავით ამგვარი წინადადების მისაღებად, რადგან თავადვე ვაპირებდით ანალოგიური ხელშეკრულების დადებას ფინეთთან“.

რიბენტროპმა ნიუნბერგის პროცესის მიმდინარეობის პროცესში დაწერა მნიშვნელოვანი მოგონებები, რომლებიც ამ საკითხთანაც არის დაკავშირებული. აი, როგორ აღწერა მან შეხვედრა საბჭოთა კავშირის ბელადთან: „...ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოგრძო კაბინეტში შეგვიყვანა, რომლის ბოლოში ფეხზე მდგარი სტალინი გველოდებოდა... შულენბურგმა (გერმანიის ელჩი სსრკ-ში) გაკვირვების შეძახილი ვერ შეიკავა; მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე რამდენიმე წელიწადი იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, სტალინს არასოდეს დალაპარაკებია.

**შეხვედრის პირველივე მომენტიდან სტალინმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა: არაჩვეულებრივი მასშტაბის ადამიანია. მისმა გონიერმა, თითქმის ხისტმა, მაგრამ აზრის გამოთქმის უაღრესად ზუსტმა მანერამ და მტკიცე, მაგრამ ამავე დროს მოლაპარაკების დიდსულოვანმა სტილმა დაგვარწმუნა, რომ თავის გვარს იგი დამსახურებულად ატარებს.**

საყურადღებოდ მიმაჩნია ერთი მცირე, მაგრამ დამახასიათებელი ეპიზოდი... მე სტალინს ვკითხე, შეუძლია თუ არა ფიურერის პირად ფოტოგრაფს, რომელიც თან მახლავს, გადაიღოს რამდენიმე სურათი. სტალინი დამთანხმდა, და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მან უცხოელს ნება დართო კრემლში ფოტოსურათის გადაღების. როცა სტალინს და ჩვენ, სტუმრებს ყირიმული შამპანურით სავსე ბოკალებით ხელში ფოტო გადაგვიღეს, სტალინმა გააპროტესტა, თქვა, რომ ამ სურათების გამოქვეყნება არ სურს. ჩემი მოთხოვნით, ფოტორეპორტიორმა აპარატიდან ამოიღო ფირი და გადასცა სტალინს, მაგრამ მან უკან დაუბრუნა და შენიშნა: იგი ჩვენ გვენდობა, რომ სურათს არ გამოვაქვეყნებთ...“

უეჭველია, რომ ნდობის გამოხატვის ეს ჟესტი ცნობილი გახდა ფიურერისთვის. ფიურერმა, რომელმაც იმთავითვე იცოდა, რომ ეს პაქტი სამხედრო ფანდი იყო, რომელსაც შესაფერის მომენტში მუხანათურად დაარღვევდა, განიცადა შეიძლება მცირე, მაგრამ საგრძნობი მორალური დამარცხება. მას, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა სტალინის გულუბრყვილობის, მაგრამ არავითარი საფუძველი არ ჰქონდა დაედანაშაულებინა იგი ცბიერებასა, ვერაგობასა და უნამუსობაში.

მოსკოვში ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმებსაც. მათმა გამოქვეყნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტისაბჭოთა პროპაგანდაში. კიდევ ერთხელ დავიმოწმოთ სუდოპლატოვი: **„ასეთი ხასიათის საიდუმლო ოქმები ჩვეულებრივია დიპლომატიურ ურთიერთობებში, როცა საქმე განსაკუთრებით რთულ საკითხებს ეხება... დღეს, როცა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმებს ვკითხულობ, მათში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. დირექტივები, რომლებიც ხელმოწერილ შეთანხმებებს ეფუძნება, ფრიად ზუსტი და გარკვეული იყო; მათ შესახებ იცოდნენ არა მხოლოდ დაზვერვის ხელმძღვანელებმა, არამედ სამხედრო ხელმძღვანელობამ და დიპლომატებმა. პოლონეთის დაყოფის ცნობილი რუკა, რომელიც ერთვოდა 1939 წლის 28 სექტემბრის ოქმებს, ფაქტობრივად, გაზეთ „პრავდის“ გვერდებზე გამოჩნდა, რა თქმა უნდა, სტალინისა და რიბენტროპის ხელმოწერების გარეშე, და მისი ნახვა მთელ ქვეყანას შეეძლო“.**

გერმანია საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ყველა სფეროში დამყარდა, მათ შორის, სამხედრო სფეროშიც. მაგრამ დასავლეთგერმანელი ისტორიკოსის სებასტიან ჰაფნერის თქმით: „ჰიტლერისა და სტალინის პარტნიორობა არ იყო სასიყვარულო კავშირი, მათ შორის, სტალინის მხრიდანაც. შესაძლებელი რომ ყოფილიყო თავისქეიფა და თავნება პარტნიორის — საბჭოთა კავშირის გადაქცევა უმწეო და მორჩილ, ყოველ შემთხვევაში, დამთმობ რუსეთად, ჰიტლერი ასეთ ვარიანტს ყოველთვის ამჯობინებდა“.

ომი გარდაუვალი იყო. როდის დაიქუხებს? სტალინს მხოლოდ შეეძლო ევარაუდა, ამასობაში კი ყველა ძალას წარმართავდა თავისი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად, ამასთან, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტ ხანს შეენარჩუნებინა მშვიდობა, რადგან წითელი არმიის გადაიარაღება მხოლოდ დაწყებული იყო.

მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება, დიდი უბედურება, რომელსაც ელიან, მოულოდნელად თავზე დაატყდება ხოლმე მომლოდინეს.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

დექავე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის გამათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.**

# მათ გასაგონად, ვინც მეჩეთის

**აზიზიეს მეჩეთის — თურქული ოკუპაციის ცოცხალი ძეგლის ხელახლა აშენება ბათუმში, უკვე ორი წელია, ქართული საზოგადოების სერიოზული განსჯის საგანია. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, საქართველოს ხელისუფლება ვითომდა ოშკისა და იშხნის მონასტრების რესტავრაციის სანაცვლოდ აჭარაში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით თურქეთის წინადადებას უკვე დასთანხმდა. როგორც ამა ქვეყნის ხელისუფალთ სჩვევიათ, ისინი ამჯერადაც ათასგვარ სიცრუეს ავრცელებენ, უამრავ ყალბ არგუმენტს გვთავაზობენ, რომ გაამართლონ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი. რაღა მაინცა და მაინც აზიზიეს მეჩეთის მიმართ აეშალა ტოლერანტობის საღერღელი ჩვენს ხელისუფლებას? ან გულდაგულ რატომ მალავენ, რომ მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან მეჩეთების აღდგენა-აშენების საკითხზე 2006 წლიდან მიმდინარეობდა? და კიდევ: ეს ამბავი პირველად მხოლოდ 2010 წლის მიწურულს რატომ გახდა ცნობილი? საზოგადოება კი სწორედ იმას აპროტესტებს, რომ მოლაპარაკების პროცესი დახურული და გაუმჭვირვალე იყო. შადიმანობა საქართველოს ყოველთვის ძვირი უჯდებოდა, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა თავის საბოლოო მიზანს.**

**აჭარა და კერძოდ ბათუმი ყოველთვის იყო ის გემრიელი ლუკმა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართ წარსულში არა ერთხელ უპირებდა ჩაყლაპვას თურქეთი. მაშინ მომხდურ მტერს მტრულად ვხვდებოდით და ხმლითა და მახვილით გადავარჩინეთ ენა, მამული, სარწმუნოება. ხოლო ბათუმში თავის დროზე თურქი დამპყრობელი სამხედროებისათვის აშენებული აზიზიეს მეჩეთი სწორედ რომ თურქული ოკუპაციის სავალალო შედეგი იყო. მათ, ვისაც თურქეთი საქართველოს ისტორიულ მეგობრად მიაჩნია, შევახსენებთ ჩვენი ისტორიის ერთ ტრაგიკულ მომენტს — 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს.**



XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. ავსტრია-უნგრეთს, რომელსაც სურდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხელში ჩაგდება, აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. ინგლისი გაბატონებული იყო თურქეთის ბაზარზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების ცდებს. გერმანია ხელს უწყობდა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას, რადგან ეს აძლევდა მას მოქმედების თავისუფლებას ცენტრალურ ევროპაში.

**1875 წელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იფეთქა ანტითურქულმა აჯანყებამ. მალე აჯანყებას შეუერთდნენ ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია, რის შემდეგ მან მიიღო სლავი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის ხასიათი.**

**ბალკანეთის სლავების ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომს მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. მათ არ უნდოდათ ბალკანეთში დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რადგან სლავებს რუსული ორიენტაცია ჰქონდათ. ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი ეხმარებოდნენ თურქეთს სლავთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის საქმეში.**

სლავთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა რუსეთმა. სლავებისათვის დახმარების იდეამ მოიცვა რუსეთის საზოგადოების ფართო წრეები. მოსკოვში დაარსებული სლავური კომიტეტის მეშვეობით ბალკანეთში იგზავნებოდა კერძო შეწირულობანი და მოხალისეთა რაზმები. მეფის მთავრობას აშინებდა სლავებისათვის დახმარების ხალხის ფართო მასებიდან მომდინარე ინიციატივა, მაგრამ მას არ შეეძლო, გარკვეული ანგარიში არ გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის. მით უმეტეს, რომ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. რუსეთის მთავრობამ თავის ხელში აიღო ინიციატივა და მას შემდეგ, რაც ევროპის დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, 1877 წლის 24 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირეაზიაში.

**ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის გამათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.**

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ, კვლავ აღედგინათ ოსმალეთის საქართველოსთან კავშირი. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვ. ივ. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც, თურმე, ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქეთის წინააღმდეგ.

**1875 წ. თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. მძიმე გადასახადებით უკმაყოფილო აჭარლებმა არ შეასრულეს სულთნის ბრძანება და აჯანყდნენ.** „დროების“ კორესპონდენტი წერდა, რომ აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამოსარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ მოსამართლე იბრეიმ აღა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა მასთან გამოცხადებაზე და შეუთვალა — **„ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა სწარმოებს რა, არ გეახლებითო, საიდანაც მობრძანებულხართ იქვე წაბრძანდითო“. ცნობას აჭარელთა ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა.**

ილია ჭავჭავაძე, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას, კარგად ითვალისწინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების შესაძლებლობას და წერდა: **„არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შეუერთდეთ და ქართველი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“.**

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად, მართლაც, საჭირო გახდა ქართველთა სისხლის დაღვრა. თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ არა მარტო რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, არამედ ქართველი მოლაშქრეებიც.

მოსახლეობის **რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. როცა სარდლობა შეუდგა ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილების შედგენას, გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავის სურვილით ეწერებოდა მოხალისეთა რაზმებში. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდაო. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები.**

ასეთი განწყობილების პირობებში მილიციონერთა ნაწილების ჩამოყალიბება დაუბრკოლებლად ხდებოდა. ომის დაწყებისას ამიერკავკასიაში უკვე შექმნილი იყო მილიციონერთა 8 ქვეითი და 3 ცხენოსანი პოლკი, 6 ქვეითი რაზმი, 4 ცხენოსანი დივიზიონი და 3 ქვეითი ასეული. აქედან ქართველი მოლაშქრეებით დაკომპლექტდა 6 ქვეითი რაზმი, 1 ცხენოსანი პოლკი, 2 დივიზიონი და 2 ასეული. ომის მსვლელობაში მილიციონერთა ნაწილები თანდათან მრავლდებოდა. ბრძოლის ველზე გავიდა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მოლაშქრე.

ომის დაწყებისას რუსეთის იმ არმიაში, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა, 180 ათასი კაცი და 400 ქვემეხი ითვლებოდა. კავკასია-მცირეაზიის ფრონტზე გაიგზავნა 43 ქვეითი ბატალიონი, რეგულარული კავალერიის 16 ესკადრონი, კაზაკთა 65 ასეული, 15 საარტილერიო ბატარეა (120 ქვემეხით) და სხვ. — სულ 60 ათასამდე კაცი. ომის მსვლელობაში მოქმედ კორპუსს ახალ-ახალი რეგულარული ნაწილები ემატებოდა. საომარ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მილიციონერებიც.

თურქეთი საკმაოდ კარგად იყო მომზადებული ომისათვის. თურქთა ჯარის მეოთხე კორპუსში, რომელიც ანატოლიის ძლიერ ციხესიმაგრეებში იდგა, 70 ათასი კაცი და მრავალი ასეული ქვემეხი ითვლებოდა. არმია აღჭურვილი იყო კრუპის ფირმების ქვემეხებით და უახლესი სისტემის თოფებით.

ომის დაწყებისთანავე რუსეთის ჯარმა და ამიერკავკასიის მილიციონერებმა გადალახეს საზღვარი და საომარი ოპერაციები თურქეთის ტერიტორიაზე გააჩაღეს. **რუსთა ჯარის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა თურქეთის საზღვრებში მცხოვრები ქართველებისა და სომხების კეთილგანწყობილების მოპოვებას, მათ ამხედრებას საერთო მტრის წინააღმდეგ.**

რუსთა ჯარის შეტევა მარცხენა ფრთაზე საკმაოდ წარმატებით დაიწყო. არტაანის აღება იყო რუსთა ჯარის პირველი დიდი გამარჯვება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში.

არტაანის აღების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა გაიხსნა ბათუმისაკენ, მაგრამ რუსთა სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ამ მიმართულების ხელსაყრელობა და ბათუმის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო ოზურგეთიდან. არტაანის იერიშში მონაწილე რუსთა ჯარები კი ყარსისაკენ გაემართნენ.

იმის გამო, რომ ყარსს — თავისთავად ძლიერ ციხესიმაგრეს — თურქთა მრავალრიცხოვანი გარნიზონი იცავდა, რუსთა ჯარის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია.

1877 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე რუსთა ჯარის მდგომარეობა მცირეაზიის ფრონტზე კრიტიკული იყო. წინა პერიოდის წარმატებები შეიცვალა მარცხითა და უკან დახევით. ამის მიზეზად მიჩნეულ იქნა ის, რომ რუსეთის ჯარი მოქმედებდა დანაწევრებულად — სამ კოლონად, რაც ასუსტებდა მას, მტერს კი მანევრირების საშუალებას აძლევდა. რუსთა მოქმედი კორპუსი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მტრის მთელი ტერიტორია და ერევნის გუბერნიის ნაწილიც კი.

**რუსეთის ჯარმა მარცხი განიცადა კავკასიის ფრონტის შავი ზღვისპირა უბანზეც. მართალია, რუსთა ჯარის ნაწილებმა ქართველ მოლაშქრეთა დახმარებით ბათუმისაკენ შეტევის გზაზე დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ საერთოდ, აჭარაში შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა. იქ ბატონობდნენ თურქეთის სამხედრო გემები, რომელნიც ბომბავდნენ რუსეთის სანაპირო სიმაგრეებს, ახალ-ახალი ნაწილები გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე და შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას იარაღით და სურსათ-სანოვაგით. ასეთ პირობებში შავი ზღვის სანაპირო ხაზით შეტევის წარმოება აშკარა შეცდომა იყო, მაგრამ რუსთა ჯარის სარდლობა შეუპოვრად ცდილობდა ბათუმისაკენ გაჭრას.**

1877 წ. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან. ეს სიმაგრე შეუვალად ითვლებოდა და მისი დაცვა მცირე ძალებით შეიძლებოდა. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ციხისძირის დასაცავად 35 ათასი ჯარისკაცი გამოყო, რუსთა შემტევ ჯარში კი მხოლოდ 25 ათასი კაცი ითვლებოდა. ძალთა ასეთი თანაშეფარდების პირობებში, ბუნებრივია, რუსეთის ჯარმა ვერ შეძლო ციხისძირის აღება და უკან დაიხია.

1877 წ. 11 მაისს თურქებმა დესანტი გადმოსხეს გუდაუთის ახლოს და სოხუმისაკენ დაძრეს იგი. სოხუმის გარნიზონის უფროსი გენ. კრავჩენკო გაუბედავად მოქმედებდა. თურქებმა თითქმის აფხაზეთის ნახევარი დაიკა- ▶

**მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.**

დეჟავუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელახლა აშენებას ემხრობა!

ვეს და აფხაზები აიძულეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ.

გენ. კრავჩენკოს ნაწილების დასახმარებლად და აფხაზეთის გასათავისუფლებლად გაიგზავნა გენ. ალხაზიშვილი რუს-ქართველთა ჯარით. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმის მიდამოებში მოხდა. მტერი დამარცხდა და უკან დახევა დაიწყო. 1 აგვისტოს თურქებმა დატოვეს ოჩამჩირე, 2 სექტემბერს კი რუსთა ჯარი სოხუმში შევიდა. მალე აფხაზეთის მთელი ტერიტორია გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისაგან.

სხვა ფრონტებზე რუსთა ჯარის გამარჯვებებს აჭარის მიმართულებით მოქმედი დივიზიის წარმატება არ ემატებოდა. რუსთა სარდლობა ცდილობდა ამ ვითარების გამოსწორებას და ბათუმის აღების გეგმას ადგენდა. 1877 წ. 24 ნოემბერს სვიატოპოლკ-მირსკი მეფისნაცვალს სწერდა, რომ „რუსეთთან ბათუმის შეერთება ამ ომის ყველაზე სასურველი შედეგი იქნება და თუ გვინდა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმი ჩვენ დაგვრჩეს, იგი ბრძოლით უნდა დავიკავოთ“. სიატოპოლკ-მირსკი კარგად ითვალისწინებდა მოსალოდნელ სიძნელეებს და სარდლობას ურჩევდა, ბათუმისაკენ ლაშქრობა ერთდროულად არტაანის, ახალციხისა და ქობულეთის მხრიდან დაეწყო.

1877 წ. 14 დეკემბერს არტაანის რაზმი შავშეთში შეიჭრა და სოფ. ხევი და ხერთვისი დაიკავა. 16 დეკემბერს რუსთა ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აიღო ქ. არტანუჯი, სოფ. ბაცა და ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე გავიდა. 1878 წლის იანვრისათვის მთელი შავშეთი უკვე რუსეთის ჯარების ხელთ იყო.

**ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. სხვების პოზიცია კი გაურკვეველი ჩანდა. ამიტომ რუსთა სარდლობა დიდხანს აჭარაში აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს შერიფ ბეგის მოთხოვნის თანახმად რუსები ახალციხის მხრიდან შეიჭრნენ აჭარაშიც. დემორალიზებულმა თურქეთის არმიამ ბრძოლის ამ უბანზეც დამარცხება იწვნია.**

ციხე-ქალაქი არზრუმი მუხთარ ფაშას ერთადერთ იმედად რჩებოდა. მან მოახერხა გარნიზონის რამდენადმე გაძლიერება. მაგრამ რუსთა მოალყე ჯარი გაცილებით მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. რუსეთის სამმა ქვეითმა დივიზიამ და კავალერიის ნაწილებმა არზრუმის 30 ათასიანი გარნიზონი და 60 ათასი მოქალაქე სრულად მოსწყვიტა გარე სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ჯარისკაცებს აკლდათ სურსათი, თბილი ტანსაცმელი და მის რიგებს ტიფის ეპიდემია ანადგურებდა, რუსთა სარდლობა გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის არმიამ დიდი წარმატებები მოიპოვა ამიერკავკასია-მცირე აზიის ფრონტზე, მაგრამ გადამწყვეტი ოპერაციები ბალკანეთში გაიშალა. 1877 წ. 10 დეკემბერს რუსთა ჯარმა აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი ბუგარეთში პლევნა, გაანადგურა და დაატყვევა მისი 50-ათასიანი გარნიზონი. ამის შემდეგ გენ. გურკოს ნაწილებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და ბულგარელ მოლაშქრეთა დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს თურქებს სოფიის დაბლობზე გამართულ ბრძოლებში. 1878 წ. 9 იანვარს გენ. რადეცკის ჯარმა დაატყვევა 21 ათასი თურქი. მალე გენ. გურკოს ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს სულეიმან ფაშას 50-ათასიანი არმია. თურქთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. 20 იანვარს რუსთა ჯარმა უომრად აიღო ანდრიანოპოლი და გეზი უშუალოდ კონსტანტინოპოლისაკენ აიღო. თურქეთის სულთანი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა. 1878 წ. 31 იანვარს დადებულ იქნა დროებითი ზავი, 3 მარტს კი გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებლობას ღებულობდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში კი — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი სოღანლუღის მთებამდე.

* * *

**რუსეთის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობამ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ სახალხო-გამათავისუფლებელ ომში, ეხმარებოდა რუსეთის არმიას როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. ომის მსვლელობაში მრავალმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გვიჩვენა გმირობისა და თავდადების ნიმუშები. „ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმების ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, აგრეთვე, გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი რაზმები და არარეგულარული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა.**

ქართული ნაწილების სიმამაცისა და მაღალ სამხედრო ოსტატობას ქებით იხსენიებდა რუსეთის არმიის სარდლობა. ქობულეთის მიდამოებში გამართული ერთ-ერთი ბრძოლის მონაწილე გენერალი კოლუბიაკი იტყობინებოდა: **„გავიდნენ რა საკმაოდ ჩქარ მდინარე კინტრიშზე და სძლიეს რა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს, გაბედული ქართველები სისტემატურად აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლას, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ ზარალს განიცდიდნენ, მაინც ფრიად წარმატებით მიიწევდნენ წინ“.** იგივე გენერალი გურიის პირველი ქვეითი რაზმის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა, წერდა: **„ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“.** დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების პირველივე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში. ეს გლეხები სოფ. ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. 1877 წლის 23 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის გზაზე უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულების დრს თექვსეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში სახელი გაითქვეს რუსეთის რეგულარული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა: ზაქარია ჭავჭავაძემ, რომელიც ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი; ალექსი ქავთარაძემ, რომელიც მთელი ომის განმავლობაში დარუბანდის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა იერიშზე თავისი მებრძოლები; მიხეილ ამირეჯიბმა რომელიც ელიზავეტოპოლს პოლკს მეთაურობდა და ქალაქ არტაანისათვის ბრძოლაში, აგრეთვე, ალაჯის სიმაგრეების იერიშის დროს სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა. თავი ისახელეს, აგრეთვე, ამილახვარმა, მიქელაძემ, კვიტინაძემ, იოსელიანმა, ჭავჭავაძემ, ორბელიანმა, ფანჩულიძემ და სხვ. ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და რიგითმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში მარტო სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობით როდი ამოიწურებოდა. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ზოგჯერ კი საომარი ოპერაციები თვით საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით, ბინებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებით და სურსათით უდიდეს ძალ-ღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა ურმებით, ცხენებითა და აქლემებით.

* * *

**რუსეთის წარმატებამ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობებში შეაშფოთა ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი — ინგლისი. მათ რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და „დაჩაგრული“ თურქეთის ქომაგობა იკისრეს. ამან გაამხნევა ოსმალეთი და სულთანმ კვლავ დაიწყო იარაღის ჟღარუნი, ინგლისის ფლოტი კი, რუსეთზე ზემოქმედების მიზნით, შავ ზღვაში შევიდა. ინგლის-თურქეთის აგენტები მოედვნენ ამიერკავკასია-მცირე აზიასა და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.**

სულთნის ემისრები განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვდნენ მაჰმადიანი ქართველებისაგან. დერვიშ-ფაშამ აჭარლებს იარაღი დაურიგა და მათ რუსეთის წინაამდეგ ამხედრება მოსთხოვა. ასეთივე ბრძანება მიიღო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმაც. იმის გამო, რომ შერიფმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა, აჭარაში თურქთა დამსჯელი რაზმი გაიგზავნა, რომელმაც სოფ. სხალთაში არსებული მისი სასახლე მიწასთან გაასწორა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადავიდა და რუსეთის მთავრობის სამსახურში აშკარად ჩადგა.

**ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაკავებული ანტირუსული პოზიციისა და ინგლის-თურქეთის ახალი ომისათვის მზადების პირობებში სან-სტეფანოს ზავი დროებითი გამოდგა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, ათანხმებოდა ბერლინში ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევას და სან-სტაფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას.**

ბერლინის კონგრესმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრები და სხვა წარმომადგენლები, სხდომები დაიწყო 1878 წ. 13 ივნისს. კონგრესის მუშაობის პროცესში განმტკიცდა ავსტრია-გერმანიის კავშირი და გამომჟღავნდა ინგლის-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია. მეფის რუსეთი კი იზოლირებული აღმოჩნდა. კონგრესზე მწვავედ იდგა როგორც ბალკანეთის პოლიტიკური მოწყობის, ისე რუსეთ-თურქეთის აზიური საზღვრების საკითხი. განსაკუთრებით დიდი კამათი წარმოებდა ბათუმის გარშემო. მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ზოგი რამ დათმო, მაგრამ ძლევამოსილი ომის ძირითადი მონაპოვარი შეინარჩუნა.

**1878 წ. 13 ივლისს ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. თურქთა ხანგრძლივი ბატონობისაგან გათავისუფლდა, აგრეთე, დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.**

აღნიშნული ტერიტორიების უმეტესობა ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში რუსთა ჯარის ხელთ იყო. მხოლოდ აჭარაში (ბათუმითურთ) რჩებოდა თურქეთის ჯარი. ოსმალეთის მთავრობა აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარის გადაცემას. თურქეთის აგენტები ყოველნაირად ცდილობდნენ, გამოეწვიათ კონფლიქტი აჭარლებსა და რუსეთის ჯარს შორის. ერთმორწმუნეებს მოუწოდებდნენ, გადასახლებულიყვნენ თურქეთის შიგა პროვინციებში. **რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ბათუმიდან და აჭარიდან თურქეთის ჯარების გაყვანა. ბოლოს და ბოლოს, დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად აჭარის ქალაქები და სოფლები რუსთა ჯარს უნდა გადასცემოდა თანდათანობით 16-დან 25 აგვისტომდე.** თურქთა აგენტების ვარაუდი არ გამართლდა. აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით ხვდებოდა რუსთა ჯარს. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა ნაწილები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.

**ქართველი ხალხი, მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებას.**

ი. გოგებაშვილი წერდა: **„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.**

მთავრობისაგან წაქეზებული თურქი ემისრები მაინც არ ცხრებოდნენ; შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციები, თავს ესხმოდნენ რუსთადა ქართველთა რაზმებს, წვავდნენ სახლებს და მაღაზიებს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, ეპატიჟებოდნენ მათ „დედა თურქეთისაკენ“. თურქეთის ემისრებმა აჭარის რამდენიმე სოფლის აჯანყებაც კი შეძლეს. რუსეთის ადმინისტრაციის ზოგი წარმომადგენლები აჯანყებულთა მკაცად დასჯას მოითხოვდა, სხვებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ აჭარლების კეთილგანწყობა მოლაპარაკებით ყოფილიყო მოპოვებული. **„ჩვენი აზრი — ეს არის,** — წერდა „დროების“ კორესპონდენტი, — **რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთი შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში და, არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვინმესთვის სანატრელი და სასიამოვნო შეიქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი“.** მართლაც, აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად აჭარაში გაიგზავნა პოლკოვნიკი იოსელიანი მცირე რაზმით. იგი ჩავიდა სოფ. დანდალოში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი იყო შეკრებილი და დაარწმუნა აჭარლები აჯანყების უნაყოფობასა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილობაში. მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახალშემოერთებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს მაჰმადიან ქართველთა ნაწილის გაბრიყვება და მათი ოსმალეთში გადასახლება.

**უნდობლობის გასაფანტავად, აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტი დამყარების მიზნით მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა აჭარელთა დეპუტაცია მოიპატიჟა თბილისში. ბანკეტზე ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა. ცხადი გახდა, რომ დიდი ხნის წინათ დაშორებულ და კვლავ შეყრილ ძმებს კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, კარგად ითვალისწინებდნენ არსებული სიძნელეების დასაძლევად ერთობლივი მუშაობის საჭიროებას. ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა, დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად გათავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისათვის. „აბა, ქართველობავ,** — წერდა დიდი მოღვაწე, — **ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლადშემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!“**

ილიას ეს მოწოდება როდი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მთელი ქართველი ხალხის დახმარებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახელობამ მალე მოიშუშა თურქთა ხანგრძლივი ბატონობისა და ომისაგან მიყენებული ჭრილობები და პროგრესული განვითარების გზაზე გამოვიდა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიმართლე გითხრათ, ეს პასუხი იმდენად თქვენ არ გეკუთვნით, რამდენადაც მატარებლებს იმ იდეოლოგიისა, რომელიც ქართული ცნობიერებისთვის მიუღებელი და დამღუპველია. ერთიც გახსოვდეთ, რომ ყოველ წარმოთქმულ სიტყვას თავისი ძალა აქვს, ამიტომ გაუაზრებელ სიტყვას და მცდარ არჩევანს შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს ჩვენს სამშობლოს, მითუმეტეს, თუ ჩვენი ნამოღვაწარი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით არაა გაჟღენთილი.**

**„ფეისბუქზე“ ავთო ტყაბლაძის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერი ერთ საათში გახდა პოპულარული. შემდეგ იგი „დრონი.ჯი“-მ გაავრცელა. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ კითხველის წერილს, რომელშიც ავტორი საკუთარ მოსაზრებასაც გვიზიარებს და ავთო ტყაბლაძესაც პასუხობს.**

# «ЧТО ХУЖЕ ДУРАКА? – ДУРАК С ИНИЦИАТИВОЙ»

## ანუ ანდაზა, რომელიც ადრესატს ეძებს

### ბირთვულ ფიზიკოსს, ბატონ ავთო ტყაბლაძეს

ბატონო ავთო! (როგორ მინდოდა, რუსთველის გმირის სახელით მომემართა თქვენთვის — „ბატონო ავთანდილ“, მაგრამ, რადგანაც თქვენ ბრძანეთ, რომ „დასანახავად ვერ იტანთ თვითმფრინავებს და ცაში ფრენისა გეშინიათ“, გამოდის, მიწიერი ცხოვრება უფრო გიზიდავთ. თანაც საკუთარ თავს თვითონ ავთო ტყაბლაძეს უწოდებთ, ამიტომ მეც ასე მოგმართეთ).

თქვენ ბრძანეთ: **„შეიძლება ჩემი ლოგიკა მცდარი იყოს, კი, ბატონო, შემისწორეთ...“,** შევეცდები, შეგისწოროთ და ვუპასუხო თქვენს წერილს **„რა უნდა“ კი არა, „რა შეუძლია ბიძინა ივანიშვილს?“**

ჯერ ერთი, რამდენად ეთიკურია თქვენი დასკვნა რუსულ ენაზე — „Что хуже дурака? — Дурак с инициативой“. თქვენი აზრით, იმ ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში ქველმოქმედებას ეწეოდა, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს, ჯერ თავისი პარტია არც კი დაუარსებია და არ მოგისმენიათ მომავალი პარტიის პროგრამა, უკვე ბრალს სდებთ და შეურაცხყოფას აყენებთ, ნორმალურია? რუსთველის გმირი ავთანდილი ამას არასოდეს იკადრებდა, ხოლო პიროვნება თავის თავს დავით აღმაშენებელზე მაღლა რომ აყენებს, თქვენი აზრით, უფრო ჭკვიანი უნდა იყოს?!

თურმე იმ უცნობ რუს ფილოსოფოსს უნდა ვუმადლოდეთ თქვენი სტატიის გამოქვეყნებას, რომლის მეშვეობითაც, ალბათ, ქართველ ხალხს დღეიდან თვალები აეხილება და ქვეყნის „სწრაფი განვითარების დამმუხრუჭებელი ძალის „გამოაშკარავებით“ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სულს მოითქვამს და სხვა დანარჩენი პრობლემები აღარ ექნება.

კარგი იქნებოდა, თანამედროვე სხვა რუსი ფილოსოფოსებიც გაგეცნოთ: **„ნებისმიერი ქვეყნის დასამარცხებლად სრულიად არაა აუცილებელი ბევრი ენერგიის დახარჯვა. იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკური ცხოვრება განადგურდეს, საჭიროა, მიღწეულ იქნას ისეთი კანონების მიღება, როცა მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდებოდა სურვილების დაკმაყოფილების კულტად ქცევა და ფულით ყველაფრის გაზომვა, როცა ქურდობა, ღალატი და უხამსობა სარგებლიანი იქნებოდა ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის. ამის შემდეგ კი საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ თვალყურის დევნება, თუ როგორ გაიხრწნებოდა ამ ქვეყნის პოლიტიკა, ეკონომიკა და იდეოლოგია. ყველაზე მთავარი მიზეზი ნებისმიერი ქვეყნის დაღუპვისა არის იმ ქვეყნის ლიდერის თვითგანადგურებისკენ მიმართული მოქმედებები, რომლებიც მთლიანად ამ ქვეყნის საზოგადოების არასწორი მსოფლმხედველობის შედეგია“** (სერგეი ლაზარევი).

თქვენ ბრძანეთ: **„რა ვიცოდი ივანიშვილზე? ჰქონდა მილიარდები, ბანკი — რუსეთში, ცხოვრობდა ჭორვილაში, ეხმარებოდა თანასოფლელებს, ეწეოდა ქველმოქმედებას“,** ესე იგი ადამიანი, რომელიც ჩუმად, ყოველგვარი ანგარების და თვითრეკლამის გარეშე, ქველმოქმედებას ეწეოდა და პოლიტიკაში არ ერეოდა, თურმე უფრო კარგი კაცი ყოფილა, ხოლო როგორც კი პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, ისევ თქვენი სიტყვებია: **„ერთ-ერთი კითხვა, რაც თავში მომივიდა, იყო შემდეგი: რაში და როგორ დახარჯა ბიძინა ივანიშვილმა ფული?“.**

**ყოჩაღ ბატონო ავთო, მართლაც ნამდვილი „ბირთვული ფიზიკოსი“ ბრძანებულხართ, ასე გამჭრიახად როგორ შეძელით, თქვენი თქმის არ იყოს, „წინასწარმეტყველება, გაზომვა და დამზერა“, უბრალო მოკვდავი ამას ვერასდროს მიხვდებოდა!**

ივანიშვილზე ბრძანებთ: **„უბედურება ისაა, რომ ხალხმა ამ კაცზე არაფერი იცის, რომ ამ კაცს ჩააბარონ თავიანთი და ქვეყნის ბედიო“.** საინტერესოა, როგორ დაემთხვა პირადად თქვენი და ხელისუფლების კონტროლირებადი მასმედიის წარმომადგენლების თითქმის უნისონში წარმოთქმული აზრები, ნუთუ ამერიკიდან ყველაფერი ასე მკაფიოდ ჩანს და „ინსტრუქტაჟიც“ კი არ დაგჭირდათ? ეტყობა, „მასების დეზინფორმაციის ტექნოლოგიებს“ კარგად ფლობთ და ყველაფერ ამას იმიტომ აკეთებთ, რომ მოძმისადმი ელემენტარული პატივისცემა და სიყვარული არ გაგაჩნიათ.

**ნამდვილი უბედურება ჩვენი ქვეყნისთვის, იცით, რა არის? როცა ხელისუფლების წარმომადგენელს თავისი ქვეყნისადმი სიყვარული არ გააჩნია და თავისი სამშობლო კი არა, მხოლოდ თავისი თავი უყვარს ამ ქვეყანაში.**

ნუთუ არ მოგბეზრდათ ეს დემაგოგიური განცხადებები რუსული ფულის წარმოშობაზე, ნატოში გაწევრიანება-არგაწევრიანებაზე, თქვენ, „სანავთობო ინდუსტრიაში“ მოღვაწე, ამერიკაში მცხოვრებო თანამემამულევ? ვერ დავიჯერებ, არ იცოდეთ იმის შესახებ, რომ ამერიკაში მცხოვრები ათასობით ჩვენი თანამემამულე დამამცირებელ სამუშაოზე მუშაობს, რადგან „სანავთობო ინდუსტრიაში“ ვაკანსიები ყველასთვის მისაწვდომი არაა. წლების განმავლობაში ისინი, ოჯახებს და შვილებს მოშორებულები, ვინ იცის, რის ხარჯზე ახერხებენ იმას, რომ გაჭირვებულ ახლობლებს დაეხმარონ. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ იმას, რომ ამ პრობლემებზე ხელისუფლება საერთოდ არ რეაგირებს? ყველას ჰგონია, რომ ეს დროებითი მოვლენაა, მაგრამ რა გარანტიაა იმისა, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის სამუდამო პრობლემად არ გადაიქცევა?

ვინ ხართ თქვენ, ბატონო ავთო? ეს უკვე გასაგებია (ავთო ტყაბლაძე, ბირთვული ფიზიკოსი (სანავთობო ინდუსტრია), აშშ) და „რა შეგიძლიათ“? ჯერ თქვენ თვითონ გაეცით ამ კითხვას პასუხი. **„თქვენს გულისტკივილს“**



ნუგზარ ხონელიძე ოჯახთან ერთად

**მაშინ მოვისმენდი, ორივე მხარეს რომ თანაბრად აკრიტიკებდეთ. თქვენ კი ამის მაგივრად სამუდამოდ გვთავაზობთ ერთპარტიულ სისტემას, ხოლო მომავალ პრეზიდენტად — ბოკერიას. თვითონ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, ვინ ურჩევნია, თქვენ კი ამის მორალური უფლება არ გაქვთ ამერიკის კონტინენტიდან, რადგან თქვენ ქართულ ადათსა და კაცობას პატივს არ სცემთ. თქვენ, ალბათ, ერთი ბარელი ნავთობი გირჩევნიათ ყველაფერს. თქვენ რომ ობიექტური ადამიანი იყოთ, მიხვდებოდით, რომ ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში „დემოკრატიის დაცვისთვის“ არ იღუპებიან. დაინახავდით იმას, რომ ჩვენს ქვეყანას უკვე 11 მილიარდი ვალი აქვს, რომელიც ჩვენი შვილიშვილების გადასახდელი იქნება და მონობის მეტს არაფერს უქადის მათ. დაინახავდით იმას, თუ როგორ ავიწროებენ ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლობას და როგორც ჭეშმარიტი ქართველი განგაშს ატეხდით, მიხვდებოდით, ტოლერანტობის ნიღბით თუ როგორ ნერგავენ ჩვენს სამშობლოში გარყვნილებასა და უზნეობას. თქვენ რომ „შეგეძლოთ“, შეამჩნევდით იმ უიმედო მოხუცების უმრავლესობას, ახლადგახსნილი საავადმყოფოების კარები რომ დაკეტილი აქვთ.** თქვენ ბრძანებთ: **„ხალხი უკვე ბრაზდება, ამდენ შადრევანებს ნუ ვაშენებთ და შენობებს ნუ ვალამაზებთო“.** თქვენ რომ „შეგეძლოთ“, მიხვდებოდით, რომ ხალხს შადრევნებისა და შენობების გალამაზება კი არ მობეზრდა, არამედ ის „ბუტაფორია“, რომლის მიღმა ტყუილი და თვითრეკლამა იმალება. თქვენ ყოველივე ამის დანახვა არ შეგიძლიათ და არც გინდათ.

**რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს, აუცილებელი არაა მაინცდამაინც ამერიკული** (თვით ამერიკელების აზრით, ეტალონს ნამდვილად არ წარმოადგენს) **ან რუსული** (რომელიც ჩინოვნიკების თავგასულობითა და კორუფციით გამოირჩევა) **მოდელი ავირჩიოთ, ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენი გზა. ქართველ ხალს ჭირდება არა პროფესიონალი ან დილეტანტი, ჩვენ გვჭირდება ქვეყნის ალალად და უანგაროდ მოსიყვარულე ლიდერი.**

**„შეიძლება ჩემი ლოგიკა მცდარი იყოსო“,** — ამბობთ თქვენ, ბრძენი კი ასე ამბობს: **„ლოგიკა — ეს ხის ლამაზი, მწვანე ფოთლებია, რომლებიც შემოდგომაზე ყვითლდება და მიწაზე ცვივა. ჭეშმარიტი სიყვარული კი მყარი ხის ფესვებია, რომლებიც არ არის დამოკიდებული არც შემოდგომაზე და არც ზამთრის სუსხზე“.**

თქვენი ციტატაა: „Что хуже дурака? — Дурак с инициативой“. ასე დაასრულეთ თქვენი წერილი თქვენ, საუკუნის „წარმატებულო“ თანამემამულევ! ნუთუ რუსეთიდან მხოლოდ ეს „სიბრძნე“ ჩამოიტანეთ, იმ საქვეყნოდ „საძულველი რუსული ფულის“ გარდა. მკითხველმა განსაჯოს, თუ ვის უფრო შეეფერება ეს ანდაზა.

**გულახდილად გეტყვით, მე ეს წერილი არ დამიწერია იმის გამო, რომ რომელიმე მხარის „ფანატურად მორთფიალე“ ვარ, მაშინ ნუ მომასწროს ღმერთმა ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას. ბოდიშს გიხდით, თუ თქვენ მიმართ ცოტა გადავაჭარბე. სიმართლე გითხრათ, ეს პასუხი იმდენად თქვენ არ გეკუთვნით, რამდენადაც მატარებლებს იმ იდეოლოგიისა, რომელიც ქართული ცნობიერებისთვის მიუღებელი და დამღუპველია.** ერთიც გახსოვდეთ, რომ ყოველ წარმოთქმულ სიტყვას თავისი ძალა აქვს, ამიტომ გაუაზრებელ სიტყვას და მცდარ არჩევანს შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს ჩვენს სამშობლოს, მითუმეტეს, თუ ჩვენი ნამოღვაწარი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით არაა გაჟღენთილი.

არ უნდა დავივიწყოთ: **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმედ სულსა“.** სულის სიფაქიზე უნდა შევინარჩუნოთ და ღმერთის წინაშე მართლები უნდა ვიყოთ.

**ნუგზარ ხონელიძე,**
ოთხი შვილის მამა.
საქართველო

მოკლედ

## უსაფრთხოება მხოლოდ რუსეთთან ერთად

**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტობის კანდიდატ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ რუსეთთან ერთად არის შესაძლებელი.** იგი ასეთ მოსაზრებას წინასაარჩევნო პროგრამის ფარგლებში მომზადებულ მეშვიდე სტატიაში გამოთქვამს, რომელშიც ყურადღებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე ამახვილებს. „მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში უსაფრთხოების დამყარება მხოლოდ რუსეთთან ერთად არის შესაძლებელი და არა იმის მცდელობით, რომ იგი გვერდზე გასწიო, მისი გეოპოლიტიკური პოზიციები დაასუსტო და თავდაცვისუნარიანობას ზიანი მიაყენო“, – ნათქვამია სტატიაში, რომელიც გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ გამოქვეყნდა.

## სამხედრო ოპერაცია მიუღებელია

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი თავის მორიგ სტატიაში კვლავ აცხადებს, რომ მისთვის პრინციპულად მიუღებელია სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ჩარევა.** ვლადიმერ პუტინი ასევე აცხადებს სირიისა და ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციების მიუღებლობის შესახებ. პუტინის რიგით მეშვიდე წინასაარჩევნო სტატია საგარეო პოლიტიკას ეძღვნება სახელწოდებით „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“. მასში რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი აფასებს რუსეთის როლს თანამედროვე მსოფლიოში და ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.

**საგარეო პოლიტიკის დარგში „ქართულმა ოცნებამ“ უარი უნდა უთხრას ნატოს, რომელიც რუსეთ-ირანის სამეზობლო პიროგებში უკიდურესად შეუთავსებელია საქართველოს გეოგრაფიული სივრცისთვის და საერთოდ სამხრეთ კავკასიისთვის, რაც სომხეთმა და აზერბაიჯანმა შესანიშნავად შეიმეცნეს... მან უნდა მოუხმოს ჯანსაღ გეოპოლიტიკურ აზროვნებას; პატივი მიაგოს ისტორიულ მემკვიდრეობა-მეხსიერებას. სწორედ ნატოს უარყოფა მისცემს „ქართულ ოცნებას“ უაღრესად საჭირო, ტაძართან მისასვლელ მწვანე გზას რუსეთთან კეთილმეზობლობისა და ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების მიმართულებით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# და-სა-ნა-ნი-ა!

**ასეთი სათაური ჩემი წერილისთვის შემთხვევით არ მიმიცია, რამეთუ ოთხი თვის წინ კმაყოფილებით შევხვდი ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენას. 2011 წლის 7 ოქტომბერს მისეული დაპირება — საპარლამენტო არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობით მოვალო — შესაძლებლად ვიწამე. მაშინ, 7 ოქტომბერს, ბატონმა ბიძინამ იმედის დიდი ჩირაღდანი აანთო, მაგრამ მალე ამ ჩირაღდანმა, გაძლიერების ნაცვლად, თანდათანობითი შესუსტება იწყო. დღეს, ოთხი თვის შემდეგ, მისი ძლიერება ნავთის მბჟუტავ ლამპამდეა ჩამოქვეითებული; სწორედ ეს მიმაჩნია დასანანად.**



**ბატონო ბიძინა, ძალიან მწარე კომპრომატები წამოიწყო თქვენ წინააღმდეგ სააკაშვილის ტელევიზიებმა; თუ არგუმენტირებულად არ უარყოფთ მათ, იცოდეთ, დამარცხდებით**

რა მოხდა? ბევრმა ინტელექტუალმა, ობიექტურად მოაზროვნე ჟურნალისტ-პუბლიცისტმა ამის მიზეზები დამაჯერებლად და სრული სიზუსტით ახსნა. ვუერთდები მათ და ჩემეულ მოკრძალებულ, ზოგჯერ კრიტიკულ შენიშვნებს თუ რჩევებს ვაახლებ ბატონ ბიძინას. იმედია, არ მიწყენს, რამეთუ მე, 82 წლის კაცს, 57 წლის სტაჟის მქონე ისტორიკოს-პოლიტოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, მისი მამის ტოლს ამის მორალური უფლება ნამდვილად მაქვს.

**ბატონი ბიძინას დიდი შეცდომა იყო პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთმანეთისგან გათიშვა-დაპირისპირება მასთან სათანამშრომლო და არასათანამშრომლო, ანუ დაწუნებულ ძალებად; მათ შორის სადემარკაციო ხაზის გავლება.**

ჟურნალისტ ია ანთაძესთან ბატონმა ბიძინამ შესანიშნავი მოწოდება გააჟღერა: **„ყველამ ზუსტად უნდა გაარკვიოს, მე მიჭერს მხარს თუ სააკაშვილს“.** თქვენი ეს მოწოდება, ბატონო ბიძინა, დიდად ინტელექტუალურმა „ასავალ-დასავალმა“ თქვენი ინტერვიუს მთავარ სათაურად შემთხვევით როდი აიტაცა; ამით მის ჭეშმარიტ ღირებულებას გაუსვა ხაზი.

სულ ახლახან, ბატონო ბიძინა, ასევე დიდად ინტელექტუალურმა „საქართველო და მსოფლიომ“ თავის 2012 წლის 8-14 თებერვლის ნომერში ახალი სამოქმედო ლოზუნგი — მოწოდება შემოგთავაზათ: **„გიწვევთ ყველას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ“.** შესანიშნავია; იმოქმედეთ ამ მოწოდებით, რომლის ავტორია დიდებული პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, ქალბატონი ნანა დევდარიანი. მე მას თქვენ მაგივრად მადლობას ვუხდი; მწამს, თქვენც ამასვე გააკეთებთ.

ამრიგად, ბატონო ბიძინა, გირჩევთ, უარი თქვათ საბედისწერო სადემარკაციო ხაზზე და იმოქმედოთ ზემოთ მოტანილი სამოქმედო ლოზუნგებით.

ბატონო ბიძინა, დაუყოვნებლივ დააარსეთ ყოველკვირეული გაზეთი სახელწოდებით „ქართული ოცნება“, რომელსაც ეპიგრაფად წარემძღვარება ქალბატონ ნანას მიერ შემოთავაზებული მოწოდება.

**თქვენ, ბატონო ბიძინა, საყრდენ პოლიტიკურ ძალებად „რესპუბლიკელები“ და ალასანიას პარტია მიიჩნიეთ; კარგი, მაგრამ ისინი ისე გაკადნიერდნენ, რომ საკუთარ ხელში აიღეს უფლება — ვინ მიიღონ და ვის უთხრან უარი „ქართული ოცნების“ რიგებში გასაერთიანებლად, თქვენ ლამის თავიანთ მძევლად გაქციეს. ამ გარემოებამ მე, პოლიტოლოგს, მათქმევინა: „ქართული ოცნების“ ანსამბლში ქაოსია; ვერ გაგვიგია, ვინ დირიჟორობს ამ ანსამბლს — ბიძინა ივანიშვილი, დავით უსუფაშვილი თუ ირაკლი ალასანია.**

ურეიტინგო რესპუბლიკელებმა და ირაკლი ალასანიას პარტიამ „ქართული ოცნების“ გვერდით დადგომის მსურველ ოპოზიციურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ ცნობად პოლიტიკურ სახეებს (ვაჟა ლორთქიფანიძეს, ვალერი კვარაცხელიას და ა. შ.) გველივით დაუწყეს კბენა და გარეთ ერეკებიან. თუ ასე გაგრძელდა, რასაც ბატონი ბიძინას მისამართით კომპრომატები უშუალოდ თითქმის ყოველდღიურად ემატება, მაშინ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ შედეგები სავალალო იქნება — 15-17 პროცენტს ძლივს მიაღწევს, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა ოცნების საზღვრებში დარჩება; მარტო დოლარების ხარჯვა გამარჯვებას ვერ მოგვიტანს.

**„ქართული ოცნება“ მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მხარდაჭერას და გახდება ყველაზე მასობრივი სახალხო მოძრაობა, თუ თავის გარშემო შემოიკრებს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ უკლებლივ ყველა ძალას.**

„ქართულმა ოცნებამ“ დევიზად უნდა გაიხადოს: „ღარიბ-ღატაკებო, უმუშევრობით გაწამებულებო, პენსიონერებო, საზღვარგარეთ გადახვეწილებო, დადექით „ქართული ოცნების“ დროშის ქვეშ და თქვენ გაიმარჯვებთ!“

თუ არ ჩაღრმავდება ფსკერზე ხალხის ძირითადი მასების გულებში და, „სახალხო კრების“ მსგავსად, მხოლოდ ზედაპირზე იტივტივებს, „ქართული ოცნება“ მასობრივ პოპულარობას ვერა და ვერ მოიხვეჭს, გამარჯვებას ვერ მიაღწევს.

თქვენ კარგად ხედავთ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, უკვე წლებია, მისი პარტიისთვის დიდად სასარგებლო წინასაარჩევნო საქმიანობას ეწევა. თქვენი 7 ოქტომბრის განცხადების შემდეგ მან ეს საქმიანობა გააათკეცა. მან ბევრი რეკორდი დაამყარა: ვანო ჯავახიშვილით დაწყებული ყველა შოუმენს, ჯამბაზს, ილუზიონისტს თუ ფანტაზიორს გადაუსწრო, დემაგოგიის დიდოსტატად იქცა; არც შავ სამუშაოს თაკილობს; „ფიგარო — აქ, ფიგარო — იქ“, როლიც შესანიშნავად აითვისა, ხალხიც მრავლად აიყოლია. არჩევნებისთვის დიდად სასარგებლო რესურსებს ქმნის.

აღნიშნულის ფონზე „ქართულ ოცნებაში“ სრული უმოქმედობაა; მეტიც — უკუსვლაა. **„ქართულმა ოცნებამ“ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს აქტიური მუშაობა რეგიონებში — ქალაქებსა და სოფლებში, რათა დაამყაროს მჭიდრო კავშირი იქ მოქმედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.** მაგალითად, ქ. ქუთაისში ორგანიზაცია „ახალი მემარცხენეები“ გამოხატავს მზადყოფნას, იმუშაოს „ქართული ოცნების“ გვერდით მის მხარდასაჭერად, თუ იგი ამას ინებებს და არ გვიბიძგებს იმისკენ, რომ მესამე ძალის მიმართულებით ვიმოქმედოთ; დაუფიქრდით! თბილისში ჩვენი საკონტაქტო ტელეფონის ნომერია 74-68-21, ხოლო ქუთაისში — 24-96-83 და 27-77-55.

**საგარეო პოლიტიკის დარგში „ქართულმა ოცნებამ“ უარი უნდა უთხრას ნატოს, რომელიც რუსეთ-ირანის სამეზობლო პიროგებში უკიდურესად შეუთავსებელია საქართველოს გეოგრაფიული სივრცისთვის და, საერთოდ სამხრეთ კავკასიისთვის, რაც სომხეთმა და აზერბაიჯანმა შესანიშნავად შეიმეცნეს... მან უნდა მოუხმოს ჯანსაღ გეოპოლიტიკურ აზროვნებას; პატივი მიაგოს ისტორიულ მემკვიდრეობა-მეხსიერებას. სწორედ ნატოს უარყოფა მისცემს „ქართულ ოცნებას“ უაღრესად საჭირო, ტაძართან მისასვლელ მწვანე გზას რუსეთთან კეთილმეზობლობისა და ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების მიმართულებით.**

ნატო დღეს იარაღია, „სხვისი ხელით ნარის მგლეჯელი“, მსოფლიო ჟანდარმად ქცეული აშშ-ის ხელში. მხატვარი რომ ვიყო, აშშ-ის სიმბოლო ძია სემს ხელში დიდი უროთი დავხატავდი — უროს თავზე წარწერით: NATO-OTAN, ხოლო უროს ქვეშ, ლიბიის რუკაზე ჩაკეცილი კადაფის გასისხლიანებულ თავს გამოვსახავდი. კადაფი ლაჩარივით არ გაქცეულა, სული საკუთარ მიწაზე დალია.

**იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში და ა.შ. სისხლისმნთხეველ ნატოს ქართველი კაცი არ უნდა ეთაყვანებოდეს, ბატონო ბიძინა.**

ჯერ კიდევ 60 წლის წინ, როცა აშშ-ის ინიციატივით ნატო ახალი ჩამოყალიბებული იყო, თავის მახვილ პოლიტიკურ პუბლიკაციაში — **„ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“** დიდებული მწერალი კონსტანტინე გამსახურდია წერდა:

**„საკმარისია, თვალი გადავავლოთ აშშ-ის არც ისე ხანგრძლივი ისტორიის მთავარ ეტაპებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ სახელმწიფოს მესვეურთა მთელი პრაქტიკა ემსახურებოდა არა მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის მაღალ იდეალებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ იყო ომისა და შფოთის ინიციატორი“** (იხილეთ თხზ., ტ. VI, გვ. 720). რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია; კაცი იტყვის: კონსტანტინე ბატონს ეს სტრიქონები დღეს ხომ არ დაუწერია?

ბატონო ბიძინა, ბევრჯერ მითქვამს: ნატო გაეროს გვერდით ზედმეტია, შფოთის წყაროა, იგი უნდა დაიშალოს, ხოლო გაეროს უფლებები გაძლიერდეს.

მავანი, რომელიც იყბედებს: ნატოშიც შევალთ და რუსეთთანაც დავამყარებთ ნორმალურ ურთიერთობასო, ხალხს უსირცხვილოდ მოატყუებს და საქართველოს ეროვნულ მტრად მოგვევლინება.

ბატონო ბიძინა, ობამას მისამართით გაგზავნილი თქვენი წერილის შინაარსი არა და არ მომეწონა, რამეთუ თქვენ მას უთხარით: არჩევნებში ხმა მე მომეცით და თქვენთვის სააკაშვილზე უკეთესი სააკაშვილი მე ვიქნებიო. სხვა ლოგიკა მე ვერ დავინახე.

**ბატონო ბიძინა, 9 თებერვალს თქვენ და თქვენმა მხლებლებმა სააკაშვილის პორტრეტი ფეხქვეშ რომ გაიგდეთ, ემოციის ტყვეობაში რომ აღმოჩნდით, ნამდვილად არ მომეწონა; ეს პოლიტიკური უკულტურობა იყო; ამით სისუსტე უფრო გამოამჟღავნეთ, ვიდრე სიძლიერე, რამეთუ მავანს ათქმევინეთ: „ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრიაო“.**

**ბატონო ბიძინა, ძალიან მწარე კომპრომატები წამოიწყო თქვენ წინააღმდეგ სააკაშვილის ტელევიზიებმა; თუ არგუმენტირებულად არ უარყოფთ მათ, იცოდეთ, დამარცხდებით.**

თქვენთან შესახვედრად და სასაუბროდ მზად ვარ, რამეთუ გარკვეული მიზეზების გამო აქ ყველაფერი ვერ გითხარით.

**თქვენდამი წრფელი პატივისცემით,**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

## ირანის ბირთვულ პროგრამას ვერაფერი შეაჩერებს



**ირანი ბირთვული იარაღის შექმნისკენ არ მიისწრაფვის, თუმცა ბირთვული პროგრამის რეალიზებაზე უარს არ იტყვის.** ამის შესახებ ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალ ჰამენეიმ განაცხადა. „ისლამური რესპუბლიკა წერტილს დაუსვამს მსოფლიო ძალაუფლებების მძვინვარებას, რომლებიც ბირთვულ იარაღზეა დაფუძნებული. ღვთის დახმარებით, ირანი მკაცრად შეინარჩუნებს თავის ბირთვულ კურსს. გავლება, სანქციები და პოლიტიკური მკვლელობები შედეგს ვერ მოიტანს. ირანის ბირთვულ პროგრამას ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს“, — განაცხადა ჰამენეიმ.

## «უპრეცედენტო» მკვლელობა

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ „უპრეცედენტო“ უწოდა ქაბულში შსს-ს შენობაში კოალიციური ძალების ორი უფროსი ოფიცრის მკვლელობა.** პენტაგონის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით აშშ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა მოძრაობამ „თალიბანმა“. ავღანეთში კოალიციის გაერთიანებული ძალების სარდალმა ჯონ ალენმა მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთის სახელმწიფო სტრუქტურებიდან ISAF-ის წარმომადგენლების სრული გამოწვევის შესახებ.



## ორი თვე თოვლში

**შვედეთში მაშველებმა თოვლში ორი თვის წინ ჩამარხული მამაკაცი გადაარჩინეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, შვედეთის მოქალაქე ამ ხნის განმავლობაში თოვლით დაფარულ მანქანაში იმყოფებოდა.** 45 წლის მამაკაცი თოვლის „ხაფანგში“ 2011 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გაება. მისი მანქანა ქალაქ უმეოს შემოგარენში ტყეში იპოვეს. მამაკაცს საუბარი და მოძრაობა არ შეეძლო. ორი თვის განმავლობაში მისი ერთადერთი საარსებო წყარო თოვლი იყო. ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა სტაბილურია. ექიმებმა შემთხვევას უნიკალური უწოდეს. მათი თქმით, ამდენ ხანს საკვების გარეშე ძალიან ცოტა ადამიანი გაძლებდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრისტალის თავის ქალები

**თავის ქალა სიკვდილის, ბოროტების სიმბოლოდ ითვლება, მაგრამ მას ბევრი სიძლიერეს და მაგიასაც უკავშირებს. მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაიას ტომის ხალხი და აცტეკები. ამ ცივილიზაციებმა უამრავი ისეთი რიტუალი და მაგია იცოდნენ, რომელთაც თანამედროვე ადამიანი ველარასოდეს გაიგებს. ეს რიტუალები ამ ცივილიზაციებთან ერთად გაქრა, თუმცა დღევანდელი არქეოლოგები პოულობენ უამრავ უცნაურ ნივთს, რომლებიც ამ ტომებს უკავშირდება.**







ერთ-ერთი ამგვარია კრისტალური თავის ქალა. პირველი კრისტალური ქალა 1890 წელს იქნა ნაპოვნი. თავიდან ეს თავის ქალა უბრალო რელიქვიად ჩათვალეს და ბრიტანეთის მუზეუმში შეინახეს.

ამის შემდეგ ნაპოვნი იქნა კიდევ 5 ასეთი თავის ქალა, რომლებმაც შვედეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის მუზეუმებში დაიდეს ბინა. ხოლო 1967 წელს არქეოლოგებმა — მერი და მაიკლ სმიტებმა (მამა-შვილმა) იპოვეს კიდევ ერთი ქალა, რომლის შესახებაც არსად არ განუცხადებიათ და არც მუზეუმში გაუგზავნიათ, რადგან ჩათვალეს, რომ ეს უბრალო რელიქვია არ იყო და რაღაც ზებუნებრივი ძალა უნდა ჰქონოდათ. ცოტა ხანში გაირკვა, რომ მამა-შვილი არ ცდებოდა.

როდესაც რაიმე უბედურება უნდა მომხდარიყო, ქალა რამდენიმე საათით ადრე სველდებოდა და ყინულს ემსგავსებოდა. ამ ფაქტის შესახებ კი მერი სმიტმა (მაიკლი უკვე გარდაცვლილი იყო) საქვეყნოდ განაცხადა. გასინჯეს სხვა თავის ქალებიც და ზებუნებრივი ძალა ყველას აღმოაჩნდა. ამის შემდეგ კიდევ 7 ასეთი ქალა იქნა ნაპოვნი. მათ, ძირითადად, მაიას ტომისა და აცტეკების ცივილიზაციების ტერიტორიაზე პოულობენ, პირამიდებში ან ნამარხებში.

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, თავის ქალა დაახლობით 36 000 წლის წინათ არის შექმნილი. მაგრამ საოცარი ისაა, რომ მას არ ეტყობა რაიმე სამუშაო იარაღის კვალი, ის თითქოს გამოძერწილია. კვლევა დღესაც მიმდინარეობს, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სულ 27 ქალაა დამარხული და დარჩენილი ეგზემპლარების ძებნას განაგრძობენ.



# ხელოვნური კუნძულები

**მსოფლიოს ყველაზე მაღალი ცათამბჯენი აზერბაიჯანში აშენდება. დღემდე ყველაზე მაღალი შენობა — Burj Khalifa დუბაიში მდებარეობდა.** აზერბაიჯანის ცათამბჯენის სიმაღლე 1050 მეტრი იქნება, იგი 22 მეტრით აღემატება წინამორბედს. ცათამბჯენის მშენებლობა 2015 წელს დაიწყება. გარდა ამისა, მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის გარშემო 41 ხელოვნური კუნძული შეიქმნება და მასზე მთელი ქალაქი გაშენდება. თავად ცათამბჯენი კომპოზიციის ცენტრალური არქიტექტურული ელემენტი იქნება.

ხელოვნური კუნძულები კასპიის ზღვაში ბაქოს სამხრეთ-დასავლეთით გაშენდება. კუნძულები ქვეყნის ახალ ბიზნეს-ცენტრად მოიაზრება. ქალაქი მილიონ მცხოვრებზე იქნება გათვლილი. კუნძულები ერთმანეთს ხიდებით დაუკავშირდება. აქ განთავსდება აეროპორტები და „ფორმულა-1“-ის ტრასა. კუნძულების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 100 მილიარდი დოლარი გამოიყო. აქედან 2 მილიარდი აზერბაიჯანის ცათამბეჯენის მშენებლობას მოხმარდება.

მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის მშენებლობა 2018-2019 წლებში დასრულდება, ხოლო კუძულების მშენებლობა — 2022 წლამდე.



# მინიატურული სამყარო

იაპონელმა მხატვარმა ტაკანორი აიბამ **ბონსაის** ხის გარშემო ულამაზესი სკულპტურები, ქარის წისქვილები და შუქურები შექმნა. ნამუშევრები ქაღალდისგან, თაბაშირისგან და აკრილის საღებავისგანაა შექმნილი. „ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. ბონსაი ძალიან სათუთი მცენარეა. თითოეული დეტალი გათვლილი მაქვს. ყველა ნამუშევარი ძალიან მიყვარს. ისინი ჩემი სულის ნაწილია. ეს ნამუშევრები ცოდნისა და დიდი ექსპერიმენტის შედეგია“, — განმარტა მხატვარმა.

ნამუშევრების შექმნის პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადი იყო. ხის გაზრდის პროცესი მარტივი არაა. მხატვარი ულამაზეს მინიატურულ სამყაროს 10 წელი ქმნიდა. თითოეული ნამუშევრის შექმნაზე მან უზარმაზარი ენერგია დახარჯა.







# გიგანტური ზვიგენი

**პაკისტანში, ყარაჩის პორტში, მეთევზეებმა წყლიდან გიგანტური ზვიგენი ამოიყვანეს. ზღვის ცხოველი უკვე მკვდარი იყო.** ყარაჩის პორტის მეთევზეები თავიანთი მონაპოვრით კმაყოფილები ჩანან, ვინაიდან ზვიგენის ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდია თევზებს შორის. მისი სიგრძე 12 მეტრს აღწევს. ზვიგენი საპორტო ქალაქიდან 150 მეტრის მოშორებით რამდენიმე დღის წინ შეამჩნიეს. მისი წყლიდან ამოსაყვანად სპეციალური ტექნიკა გახდა საჭირო. გიგანტური თევზი სანაპიროზევე 18 000 დოლარად გაიყიდა. 2008 წელს გადაშენების პირას მყოფი ზვიგენის ეს სახეობა „ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სპეციალურ სიაში შეიყვანეს, ამიტომ მისი მოკვლა კანონით აკრძალულია.



# გათხოვება საწყობზე

**ქალი ძველ საწყობზე დაქორწინდა. საწყობი დემონტაჟს ექვემდებარებოდა და სიეტლში მცხოვრებმა ბაბილონია აივაზმა პროტესტის ნიშნად შენობაზე დაქორწინება გადაწყვიტა. ბაბილონიასთან ერთად ქორწილს რამდენიმე აქტივისტიც ესწრებოდა.**

საქორწინო ცერემონია ყველა ტრადიციის დაცვით ჩატარდა. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა და მუსიკაც ისმოდა. საქორწინო ცერემონიაზე ბაბილონიას ხელში მუყაოს ქაღალდი ეჭირა, რომელზეც ეწერა „შეწყდეს ურბანული დაგეგმარება“.

„მიყვარს ეს შენობა და ვერ ავიტან ამ საწყობის ადგილას ცარიელი სივრცის დანახვას. პროტესტს გამოვხატავ და ვგმობ ამ გადაწყვეტილებას. შენობებსაც აქვთ უფლება, იარსებონ“, — განაცხადა პატარძალმა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე მსუქანი მოდელი

**პოპულარული ფრანგული ჟურნალი Elle, რომლის გარეკანზე გამოჩენაც უამრავი მოდელის ოცნებაა, ახალ გამოცემაში ჭარბწონიან მოდელს მასპინძლობს.** ჟურნალის თებერვლის ნომრის გარეკანზე მოდელი ტარა ლინი ლურჯ, სექსუალურ სამოსშია გამოწყობილი. გარეკანზე კარგად ჩანს მისი მასიური ფორმები. ჟურნალის ახალი სახე უამრავ ჭარბწონიან ადამიანს დაამშვიდებს და საჭირო რჩევებს მიაწვდის. **„ძალიან ბედნიერი ვარ! მახსოვს, როდესაც თინეიჯერი ვიყავი, 14/16 ზომა სამოსსაც კი ვერ ვიცვამდი. შემდეგ ამ ყველაფერს შევეჩვიე და საკუთარი თავი ისეთი მივიღე, როგორიც ვარ“,** — განაცხადა მოდელმა.



# მსოფლიოს 7 უდიდესი ღრმული

**მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებული ღრმულები შეიძლება ბუნების საოცარ მოვლენებს მიეწეროს.**



## იაკუტია

**კიმბერლის მილი „მირ“ — კარიერი, რომელიც მდებარეობს ქალაქ მირნში. სიღრმით 525 მეტრს აღწევს, მისი დიამეტრი კი 1,2 კილომეტრია.**

ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კარიერია. კარიერზე მადნის მოპოვება 2001 წელს შეწყდა. ამჟამად იქ მაღაროს მშენებლობა მიმდინარეობს, რათა დარჩენილი მარაგის მოპოვება გახდეს შესაძლებელი.



## კანადა

**კანადის კარიერი „Diavik“-ი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა ალმასის მომპოვებლებს შორის.** პირველად იგი 1992 წელს აღმოაჩინეს, ალმასის წარმოება კი 2003 წელს დაიწყო. სავარაუდოდ, ალმასის მოპოვება ამ კარიერზე კიდევ 16-დან 22 წლამდე პერიოდით გაგრძელდება. მისი მდებარეობა უნიკალურია. პირველ რიგში კარიერი შედგება არა ერთი, არამედ სამი ღრმულისგან. ის მდებარეობს კუნძულზე, რომელიც პოლარული სარტყელიდან მხოლოდ 220 კილომეტრითაა დაშორებული. სრულიად მოკლე დროში დიავიკი გახდა კანადის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ამ ადგილას წელიწადში 8 მილიონ კარატ (1600 კგ) ალმასს მოიპოვებენ. მისი მეზობელი კუნძულებიდან ერთ-ერთზე აგებულია აეროპორტი, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი ბოინგების მიღებაც კი.



## გვატემალა

**150 მეტრი სიღრმისა და 20 მეტრი სიგანის გიგანტური კრატერი აქ მიწისქვეშა წყლების მოძრაობისა და უხვი ნალექის შედეგად გაჩნდა.** ამ ღმულის წარმოქმნის დროს რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და საცხოვრებელი სახლები განადგურდა. ადგილობრივების თქმით, ტრაგედიამდე საკმაო ხნის განმავლობაში მიწის სიღრმიდან უცნაური გრუხუნი ისმოდა.



## იუტას შტატი

**ესაა ყველაზე დიდი მოქმედი კარიერი მსოფლიოში, სადაც სპილენძის მადნის გადამუშავება 1863 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება. მისი სიღრმე დაახლოვებით 1 კილომეტრია, სიგანე კი — 3,5 კილომეტრი.**

სპილენძის მადანი პირველად 1850 წელს აღმოაჩინეს, 1863 წლიდან დაიწყო მისი დამუშავება და დღესაც გრძელდება. დღეისთვის კაიერზე დასაქმებულია 1400 ადამიანი, რომლებიც დღეში 450 000 ტონა ქანებს ჭრიან. მადანი იტვირთება 64 უზარმაზარ სატვირთოზე, რომელთაც ერთ ჯერზე 231 ტონის გადატანა შეუძლია.



## ბელიზი

**მსოფლიოში ცნობილი დიდი ცისფერი ხვრელი, ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილი, ბელიზში მდებარეობს (ცენტრალურ ამერიკაში, იუკატანის ნახევარკუნძულზე).** ეს ნამდვილად არ არის კიდევ ერთი კარიერი. აქ არა ალმასებს, არამედ ტურისტებს „აგროვებენ“ და ამის წყალობით ქვეყანა უკეთეს შემოსავალს იღებს, ვიდრე ალმასის მომპოვებელი კარიერები. ესაა იდეალურად მრგვალი, მუქი ლურჯი ლაქა პირდაპირ კარიბის ზღვის ცენტრში. მისი სიგანეა 400 მეტრი, სიღრმე კი — 145-160 მეტრი.



## კალიფორნია

**დიდი ხელოვნური ღრმული მდებარეობს ჩრდილოეთ კალიფორნიაში, მაგრამ ეს უბრალოდ ხვრელი არაა. ესაა გადინების ხვრელი მონტიჩელოზე – ყველაზე დიდ წყალსაცავზე მსოფლიოში.** ის 55 წლის წინ ააშენეს. ეს ძაბრი აუცილებელია წყალსაცავზე. ის საშუალებას იძლევა, დაიცალოს რეზერვუარი ზედმეტი წყლისაგან. ვიზუალურად ძაბრი გამოიყურება როგორც ბეტონის გიგანტური მილი. მას შეუძლია წამში გაუშვას 1370 კუბური მეტრი წყალი. ამ მილის სიღრმე 21 მეტრია, აქვს კონუსის ფორმა, დიამეტრი დასაწყისში — 22 მეტრს, ხოლო ბოლოში — 9 მეტრს შეადგენს. მილი წყალსაცავის მეორე მხარეს გადის. მანძილი მილის დასაწყისიდან გასასვლელამდე დაახლოვებით 200 მეტრია.



## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

**ალმასის მადნის მომპოვებელი მაღარო, რომელიც ამჟამად უმოქმედოა, მდებარეობს ქალაქ კიმბერლიში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). ითვლება, რომ ეს არის უდიდესი ღია კარიერი, რომელიც დამუშავებულია მუშების მიერ, ტექნიკის გამოყენების გარეშე. დღეისთვის ეს კარიერი ქალაქ კიმბერლის სავიზიტო ბარათად ითვლება.**

1866 წლიდან 1914 წლამდე ამ კარიერს დაახლოვებით 50 ათასი მაღაროელი თხრიდა მხოლოდ წერაქვებითა და ნიჩბებით, რის შედეგადაც გადაამუშავეს 2722 ტონა ალმასი (14,5 მილიონი კარატი). თხრის პროცესში მოიჭრა 22.5 მილიონი ტონა მიწის ქანი. ზუსტად აქ აღმოაჩინეს ისეთი ცნობილი ალმასები, როგორებიცაა „დე ბირსი“ (428,5 კარატი), მოლურჯო თეთრი „პორტერ-როდსი“ (150 კარატი), ნარინჯისფერ-ყვითელი „ტიფანი“ (128,5 კარატი). დღეისთვის ამ ადგილზე არსებული ალმასის მარაგი სრულიად ამოწურულია.

კარიერის ფართობი შეადგენს 17 ჰექტარს, დიამეტრი 1,6 კილომეტრია. თავდაპირველად ღრმულის სიღრმე 240 მეტრი იყო, მაგრამ შემდეგ ამოავსეს ნარჩენი ქანებით და მისმა სიღრმემ 215 მეტრი შეადგინა. დღესდღეობით ღრმულის ფსკერი დაფარულია წყლით, რომლის სიღრმე 40 მეტრს შეადგენს. ამ კარიერის ადგილას ადრე (70-130 მილიონი წლის წინ) ვულკანის კრატერი იყო. თითქმის ასი წლის წინ, 1914 წელს, კარიერის დამუშავება შეწყდა, მაგრამ იგი დღესაც კარგად „მუშაობს“ — უამრავ ტურისტს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან.

# ყველაზე დიდი ფოტოკამერა

**ფოტოგრაფმა დენის მანარჩმა 10 წელი უზარმაზარი ფოტოაპარატის შექმნას შეალია. ფოტოაპარატი სიგრძეში 10,5 მეტრია, სიმაღლეში — 3,5მ, სიგანეში — 2,5 მეტრი. მისი მოცულობა საშუალებას იძლევა, მასში პატარა ბინაც კი მოაწყო. მას 1,5X2 მეტრის სიგრძის ნეგატივი სჭირდება. ფოტოაპარატი უმნიშვნელო ნიუანსებსაც კი აფიქსირებს.**

ადამიანების უზარმაზარ ფოტოებს ყოველდღიურად ვხვდებით ბილბორდებზე, თუმცა მანარჩის ნამუშევრებში სიახლე ის არის, რომ უკეთ ჩანს სახის ნაკვთები და ცალკეული დეტალები — თმა სახეზე, ფორები, ლაქა, დაცემული წამწამი და უმცირესი გამონაყარიც კი. ისეთი შეგრძნება გრჩებათ, თითქოს ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი თქვენ წინ ზის.

მანარჩი აღიარებს, რომ აპარატთან მუშაობა ადვილი არ არის. შეუძლებელია ფოტოს გადაღებისას ღილაკზე ხელის დაჭერა, როგორც ციფრულ აპარატებში. პორტრეტის გადაღება მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი, რამდენიმე კადრის დაფიქსირება აქ ვერ ხერხდება, ამიტომ თითოეული დეტალი წინასწარ უნდა იყოს გათვლილი.







# ძმებო აზერბაიჯანელებო, ერთად ხომ არ სჯობს ამ რეჟიმთან გამკლავება?!

**კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების სოფლებში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, აზერბაიჯანული ტოპონიმების აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.**




ხელმოწერებს ამავე რეგიონებში მცხოვრები აქტივისტები აგროვებენ. **„დაგეგმილია დაახლოებით 50 ათასამდე ხელმოწერის შეგროვება, რის შემდეგაც მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გავუგზავნით. დაახლოებით 20-ზე მეტი ტოპონიმის აღდგენას ვითხოვთ. ამავე დროს, კიდევ გაგრძელდება აქციები ბაქოში, საქართველოს საელჩოსთან“,** — განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს აქტივისტებმა. მათივე თქმით, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში 3 ათასამდე ხელმოწერა უკვე შეაგროვეს.

შეგახსენებთ, რომ ამავე მოთხოვნით, რამდენიმე დღის წინ ბაქოში, საქართველოს საელჩოს წინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბორჩალოს“ 40-მდე აქტივისტმა აქცია მოაწყო. ისინი საქართველოში აზერბაიჯანელებით დასახლებულ პუნქტებში, მათი თქმით, ისტორიული აზერბაიჯანული სახელწოდებების აღდგენასა და მიწების დაბრუნებას მოითხოვდნენ. მონაწილეებს ხელში ეჭირათ ლოზუნგები: **„გაუმარჯოს ძმობას და მეგობრობას!“, „ძირს სეპარატიზმი!“, „ის, ვინც აზერბაიჯანელებისა და ქართველების მეგობრობას არღვევს, ჩვენი მტერია!“, „აღდგეს საქართველოში აზერბაიჯანული ტოპონიმები“.**

„ბორჩალოს“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელმა ალი ადიგეზალემ აქციის მონაწილეთა რეზოლუცია საქართველოს საელჩოში პირადად შეიტანა. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ 1991-1992 წლებში საქართველოში აზერბაიჯანულ სოფლებს ისტორიული სახელწოდებები გადაარქვეს. გარდა ამისა, მიწის რეფორმის საფარქვეშ აზერბაიჯანელი გლეხების კუთვნილი მიწის ნაკვეთები უცხო პირებმა დაიტაცეს და ამით გარდაბნისა და საგარეჯოს სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებები შეილახა. **„ეს პრობლემები გადაუჭრელია, საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ამ უსამართლობას ბოლო მოეღოს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის დეკემბერში, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს მაცხოვრებლებმა წერილით საქართველოს პრეზიდენტსაც მიმართეს. **„ბატონო პრეზიდენტო, რად გვინდა 30-ლარიანი ვაუჩერი მიწის გარეშე? ჩვენ არც პოლიტიკოსები ვართ და არც გვაინტერესებს ასეთი რამ, მაგრამ, როცა საარჩევნო პერიოდი ახლოვდება, მაშინ ვახსენდებით ყველას, თუმცა ეტყობა, ამჯერად არც ამისთვის ვართ საჭირო და ჩვენ მიმართ საკითხი გადაწყვეტილია. მიგვაჩნია, რომ ჩვენ განწირულები ვართ საშიმშილოდ. ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უარს ვამბობთ იმ ოცდაათლარიან ვაუჩერებზე, რომლის დარიგებაზე ერთი აჟიოტაჟია ატეხილი, რადგან ის, როგორც თქვენ ბრძანებთ, უნდა გამოგვეყენებინა მიწის მოსახნავად. ახლა მიწა ჩვენ აღარ გვაქვს და არც მოწყალებას ვიღებთ ვინმესგან.**

ჯერ იყო და, აღნიშნული მიწა იჯარით მოგვცეს 25 წლის ვადით, უამრავი თანხა გადაგვახდევინეს ბიუჯეტში, შემდეგ იჯარა გაგვიუქმეს და მიწა გაყიდეს. იორმუღანლოში რამდენიმე ათასი ოჯახი ვცხოვრობთ, 20 ათასამდე ადამიანი. აქედან 98 პროცენტი ეროვნებით აზერბაიჯანელია. ჩვენ წაგვართვეს მიწები და გადასცეს გაურკვეველი წარმოშობის შპს-ს. მიწის ნაკვეთი მთლიანად შეადგენს 5100 ჰექტარს და მოიცავს საგარეჯოს რაიონის 6 სოფლის ტერიტორიას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მთელი ეს მიწის ნაკვეთი, შპს Georgia project-2-ს ხუთ მილიონ ლარად მიჰყიდეს. არც ერთი წელი მიწა არ გაგვიცდენია, ვამუშავებდით, მოგვყავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები როგორც ოჯახებისთვის, ასევე ქვეყნისთვის. გთხოვთ, რომ აღნიშნული საქმე საკუთარ კონტროლზე აიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტის უკიდურეს ზომებს მივმართავთ და თითოეულ მტკაველ მიწას დავიცავთ“, — ნათქვამია პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში. იორმუღანლოს მაცხოვრებლებს სააკაშვილის ადმინისტრაციიდან პასუხი არ მიუღიათ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა კი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში განმარტა, რომ ის მიწა, რომელზეც იორმუღანლოს მაცხოვრებლები დავობენ, სახელმწიფოს საკუთრებაში იყო და ეკონომიკის სამინისტრომ კანონიერად გაყიდა.

**საქართველოში, როგორც ჩანს, ყველა ეროვნების წარმომადგენელს მეტი ბრძოლის უნარი და ნებისყოფა აქვს, ვიდრე ქართველებს. ის, რაზეც აზერბაიჯანელები ჩივიან, მათზე ადრე და უფრო დაუნდობლად სააკაშვილის რეჟიმმა საკუთარ სისხლსა და ხორცს დამართა.**

ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ მიწის გაყიდვას ერთ დღეზე მეტი არ სჭირდება და არად დაგიდევთ, რომ სამეგრელოში, სვანეთში და ყველა სხვა კუთხეში მიწას უცხოელები ეუფლებიან, გლეხი კი მომავლის გარეშეა დარჩენილი. რაც შეეხება ისტორიულ ტოპონიმებს, აქ კი ნამდვილად შეატოპინეს ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებს. **სირცხვილია, საქართველოში არარსებულ ისტორიულ ტოპონიმებზე იდავო, როცა საინგილოში ქართველ ბავშვს ქართული სახელით არ არეგისტრირებენ!**

ცალკე ამ ხელისუფლებასთან ბრძოლას ის ხომ არ სჯობს, ჩვენებურმა აზერბაიჯანელებმა დამკვიდრებულ ტრადიციას გადაუხვიონ და სახელისუფლო „ხმების ბეღელად“ გამოცხადებულმა აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულმა სოფლებმა სააკაშვილის პარტიის ნაცვლად იმ ძალას მისცენ ხმა, რომელიც ყველა ამ უბედურებას სრულიად საქართველოს ააცილებდა თავიდან?!

GEWORLD.GE


## საუკეთესო შემოთავაზება შენთვის «ელიტ ელექტრონიქსში»

**ზამთრის კამპანიის ფარგლებში მომხმარებელს სამ ახალ აქციას სთავაზობს „ბოშისა“ და „გორენიეს“ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე.**





**„ბოშისა“** და **„გორენიეს“** მსხვილი ტექნიკის შეძენის შემთხვევაში მომხმარებელს საშუალება ეძლევა, ამავე ბრენდების **წვრილი ტექნიკა მხოლოდ 20 ლარად** შეიძინოს.

წვრილი ტექნიკის მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ამავე ბრენდების **ყოველი მეორე წვრილი ტექნიკა 20%-ის ფასდაკლებით და ყოველი მესამე — 30%-ის ფასდაკლებით.**

ელიტ ელექტრონიქსის მაღაზიათა ქსელში ასევე მიმდინარეობს **„ბოშის“ ჭურჭლის სარეცხი მანქანის უპრეცენდენტო აქცია,** მომხმარებელს საშუალება ეძლევა შეიძინოს „ბოშის“ ჭურჭლის სარეცხი მანქანა და თუ არ მოეწონათ შეძენილი ნივთი ერთი თვის ვადაში კომპანია დაიბრუნებს უკან.

ასევე გრძელდება **50%-მდე ფასდაკლება: „ბოშის“, „სიმენსის“, „გორენიეს“, „ჰაიერის“, „კენვუდის“, “სამსუნგის“, „ჰუნდაის“, „გრეცისა“, „ბებილისის“, „დელის“, „ასუსისა“, „ეჩ-პის“, „შარფისა“, „ჰიტაჩის“, „ეისერის“, „ალკატელის“, „სონი ერიქსონის“, „ნოკიას“** და **„სამსუნგის“** პროდუქციაზე.

**მომხმარებელს შეუძლია ასევე ისარგებლოს 0%-იანი განვადებით კომპანიის ქსელში წარმოდგენილ ყველა პროდუქციასა და ყველა მიმდინარე აქციის პროდუქციაზე, გარდა „ბოშის“ ჭურჭლის სარეცხი მანქანისა.**

**აქციები ძალაშია «ელიტ ელექტრონიქსის» მთელ ქსელში, 15 მარტის ჩათვლით**

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS



## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო
## ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net